



ევროკავშირი
საქართველოსთვის
The European Union for Georgia



უფლებებზე დაფუძნებული სოციალური მომსახურება

საკითხავი მასალა სოციალური მუშაობის
აკადემიური პროგრამებისთვის

2021





სახელმძღვანელო განკუთვნილია სოციალური მუშაობის აკადემიური პროგრამებისთვის.

სახელმძღვანელო მომზადდა ევროკავშირის მხარდაჭერით მიმდინარე სამწლიანი პროექტის (2019-2022წ) “უფლებებზე დაფუძნებული სოციალური მომსახურების განვითარება შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირების და ხანდაზმულებისთვის“ ფარგლებში, რომელსაც ახორციელებს „საქართველოს სტრატეგიული კვლევების და განვითარების ცენტრი“ ორ პარტნიორ ორგანიზაციასთან - „საქართველოს საზოგადოებრივი ინტერესების დაცვის ასოციაციასა“ (თელავი, კახეთი) და „ახალგაზრდა პედაგოგთა კავშირთან“ (ოზურგეთი, გურია) ერთად. პროექტის მიზანია, საქართველოში ისეთი სოციალური მომსახურებების განვითარება, სადაც ხელს უწყობენ და პატივს სცემენ მოწყვლადი ჯგუფების, კერძოდ, შშმ პირების და ხანდაზმულების სოციალურ, კულტურულ და ეკონომიკურ უფლებებს.

სახელმძღვანელოზე იმუშავა გუნდმა შემდეგი შემადგენლობით:

ზურაბ ტატანაშვილი გუნდის ხელმძღვანელი

სახელმძღვანელოს სხვადასხვა ნაწილი მოამზადა ავტორთა გუნდმა შემდეგი შემადგენლობით:

გიორგი წოწკოლაური ნაწილი I - ის, „უფლებები, სოციალური პოლიტიკა და უფლებებზე დაფუძნებული მიდგომა სოციალური მუშაობაში“, ავტორი

ქეთევან გიგინეიშვილი ნაწილი II - ს, „ადამიანის უფლებებზე დაფუძნებული მიდგომა ფსიქო-სოციალური საჭიროების მქონე პირების მომსახურებებში“, ავტორი

შორენა საძაგლიშვილი ნაწილი III - ს, “უფლებებზე დაფუძნებული მომსახურების მართვა: კვლევა, დაგეგმვა, განხორციელება და შეფასება”, ავტორი

თამარ მახარაძე ნაწილი IV - ს, “ინდივიდზე ორიენტირებული მიდგომა ფსიქიკური პრობლემების მქონე პირთა ფსიქო-სოციალური მომსახურებისას - გავრცელებული მიდგომები, მომსახურებები და საუკეთესო პრაქტიკები”, ავტორი

ეს სახელმძღვანელო შექმნილია ევროკავშირის მხარდაჭერით. მის შინაარსზე სრულად პასუხისმგებელია საქართველოს სტრატეგიული კვლევების და განვითარების ცენტრი და შესაძლოა, რომ იგი არ გამოხატავდეს ევროკავშირის შეხედულებებს.



სარჩევი

უფლებები, სოციალური პოლიტიკა და უფლებებზე დაფუძნებული მიდგომა სოციალური მუშაობაში - ავტორი: გიორგი წოწკოლაური	4
თავი I – უფლებებზე დაფუძნებული მიდგომის ისტორიული განვითარება	6
თავი II - სოციალური მუშაობა და ადამიანის უფლებები	15
სოციალური მუშაობის კვლევა და ადამიანის უფლებები	16
ადამიანის უფლებების პოტენციური გავლენა სოციალური მუშაობის პროფესიაზე .	16
სოციალური მუშაობის ეთიკა და ადამიანის უფლებები	17
ადამიანთა უფლებები და განათლება სოციალურ მუშაობაში	19
სოციალურ მუშაობაში უფლებებზე დაფუძნებული პრაქტიკის ბარიერები და გამოწვევები	22
უფლებებზე დაფუძნებული მიდგომა სოციალური მუშაობის პრაქტიკაში	24
თავი III - სოციალური პოლიტიკის ანალიზი და უფლებებზე დაფუძნებული მიდგომა ..	24
უფლებებზე და საჭიროებებზე დაფუძნებული მიდგომები სოციალური პოლიტიკის ანალიზის კრილში	27
სოციალური პოლიტიკა და ადამიანთა უფლებები	30
უფლებებზე დაფუძნებული მიდგომა და სოციალური პოლიტიკის ანალიზი	32
ადამიანთა უფლებების და სოციალური პოლიტიკის გააზრება	33
დანართი #1	37
დანართი #2	40
გამოყენებული ლიტერატურა	41
ადამიანის უფლებებზე დაფუძნებული მიდგომა ფსიქო-სოციალური საჭიროების მქონე პირების მომსახურებებში - ავტორი: ქეთევან გიგინეიშვილი	46
ადამიანის უფლებებზე დაფუძნებული მიდგომის სტანდარტების მიხედვით ფსიქო-სოციალური საჭიროების მქონე პირებსა და მათ ოჯახებთან მუშაობა	47
ვინ არიან ფსიქოსოციალური საჭიროების მქონე პირები და გონებრივი განვითარების შეფერხების მქონე პირები	47
შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებები მომსახურების მისაწვდომობის მხრივ	48
უფლებებზე დაფუძნებული მიდგომა	51
თვითაღქმა და კეთილდღეობის აღქმა	62
პირის თანამონაწილეობა მომსახურების განვითარების პროცესში და საერთაშორისო გამოცდილება უფლებებზე დაფუძნებული მომსახურების განვითარების პროცესში	66
მომსახურებების განვითარებაში პირის ჩართვის დამატებითი სტრატეგიები შემთხვევის მართვის საფეხურების შესაბამისად	71

გამოყენებული ლიტერატურა:	84
უფლებებზე დაფუძნებული მომსახურების მართვა: კვლევა, დაგეგმვა, განხორციელება და შეფასება - ავტორი: შორენა სამაგლიშვილი	86
უფლებებზე დაფუძნებული პროგრამის განვითარების ძირითადი პრინციპები	87
ნორმატიული საჭიროება.....	88
აღქმული საჭიროება	89
გამოხატული საჭიროება.....	89
რელატიური საჭიროება.....	90
უფლებებზე დაფუძნებული პროგრამების განვითარების საფეხურები	91
უფლებებზე დაფუძნებული კვლევა და ეთიკის საკითხები.....	98
უფლებებზე დაფუძნებული პროგრამების მონიტორინგი და შეფასება	109
გამოყენებული ლიტერატურა	116
ინდივიდზე ორიენტირებული მიდგომა ფსიქიკური პრობლემების მქონე პირთა ფსიქო-სოციალური მომსახურებისას - გავრცელებული მიდგომები, მომსახურებები და საუკეთესო პრაქტიკები - ავტორი: თამარ მახარაძე	117
რას გულისხმობს ინდივიდზე ორიენტირებული მიდგომა ფსიქიკური პრობლემების მქონე პირთა მომსახურების პროცესში.....	118
მართვა/ხელმძღვანელობა.....	122
გაზიარებული ღირებულებები და რწმენები.....	123
ინდივიდუალური შედეგები	124
ინკლუზიური თემი და საზოგადოება	125
შესაბამისი ღირებულებებისა და პროფესიონალიზმის მქონე პერსონალი	125
სწავლა და პროფესიული განვითარება ინდივიდუალურ და ორგანიზაციულ დონეზე	126
თანამშრომლობა/პარტნიორობები.....	127
ფსიქიკური პრობლემების მქონე პირთა მხარდაჭერის პოზიტიური გზები	128
ფსიქიკური პრობლემების მქონე პირების პიროვნებაზე ორიენტირებული სოციალური მომსახურების საუკეთესო პრაქტიკა - „მხარდაჭერის წრეები (შრეები)“ (circles of support)	137
გამოყენებული ლიტერატურა	147

უფლებები, სოციალური პოლიტიკა და
უფლებებზე დაფუძნებული მიდგომა
სოციალური მუშაობაში - ავტორი: გიორგი წოჭკოლაური

საკითხავი მასალა მომზადებულია ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის
სახელმწიფო უნივერსიტეტის, სოციალური მუშაობის საბაკალავრო პროგრამის
სავალდებულო კურსისთვის „სოციალური მუშაობის შესავალი“

„მიუხედავად იმისა, რომ მე და შენ სხვადასხვა ნაგებში ვართ, შენ შენს ნავში და ჩვენ ჩვენს კანოეში, ჩვენ ცხოვრების ერთსა და იმავე მდინარეს ვიზიარებთ“. — ორენ რ. ლიონ უმცროსი

„თითოეული ადამიანის უფლებები მცირდება მაშინ, როდესაც საფრთხე ემუქრება ერთი ადამიანის უფლებას“. - ჯონ ფ. კენედი, სამოქალაქო უფლებების გამოცხადება, 11 ივნისი, 1963

სოციალური მუშაობის პრაქტიკაში, უფლებებზე დაფუძნებული მიდგომის გამოყენება საზოგადოებაში, სოციალური უსამართლობისა და ადამიანის უფლებების დარღვევისგან აღმოფხვრის ერთ-ერთ, ძირითად და ეფექტურ საშუალებას წარმოადგენს. საქართველოს პრაქტიკოს სოციალური მუშაკთა ახალმა თაობამ, ის, რაც სოციალური მუშაობის სტუდენტებმა იციან ან ისწავლონ ადამიანის უფლებებზე დაფუძნებული მიდგომის შესახებ, შესაძლოა, გადამწყვეტი როლი შეასრულოს მათ მომზადებაში, რათა დაწერონ სოციალური სამართლიანობისა და ადამიანის უფლებების პრინციპები საკუთარ პროფესიულ პრაქტიკაში, ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციის¹ შესაბამისად.

საუკუნეზე მეტია, სოციალური მუშაკები ინდივიდების, ოჯახებისა და თემების ცხოვრების და მდგომარეობის გასაუმჯობესებლად მუშაობენ. სოციალური მუშაკები, რომლებიც ხშირად მოქმედებენ სახელმწიფოს ინტერესებიდან გამომდინარე, ინტერვენციას იმის მიხედვით ახორციელებენ, თუ თავად რას აღიქვამენ დასახმარებელი ადამიანის ცხოვრების ან/და ქცევის ნაკლოვანებად. ადამიანებთან მუშაობის ეს მიდგომა მფარველობს სტიგმატიზირებას და ძალიან ხშირად მათ რევიქტიმიზაციას² ახდენს, ვის დახმარებასაც ვცდილობთ. დროა განვახლოთ და შევცვალოთ ჩვენი მიდგომა, მათ მიმართ, ვისაც ჩვენ მომსახურებას ვუწევთ. სახელმძღვანელოს ამ ნაწილში, შესაძლებელია იხილოთ სოციალური მუშაობის (აშშ) პრაქტიკოსების მიერ გამოყენებულ დეფიციტური (ნაკლოვანი) მოდელები და ამის ნაცვლად გამოყენებული ადამიანის უფლებების პერსპექტივა.

უფლებებზე დაფუძნებული სოციალური მუშაობას, ყურადღება, ადამიანის საჭიროებებიდან ადამიანის უფლებებზე გადააქვს და სოციალურ მუშაკებს და მათ ბენეფიციარებს მოუწოდებს, აქტიურად ჩაერთონ სახელმწიფოს გადაწყვეტილებების მიღების პროცესში, რათა სახელმწიფო მოსახლეობის ინტერესებს უკეთესად ემსახუროს. სახელმძღვანელოში განხილული ავტორები გვიზიარებენ საკუთარ სტრატეგიებს საზოგადოების, თემებისა და ინდივიდების გასამდიდრებლად, რომლითაც ჩვენ, როგორც სოციალური მუშაკები, ჩავერთებით როგორც კლინიკოსები³, თემის მუშაკები⁴, მკვლევარები და პოლიტიკის ანალიტიკოსები.

¹ დეკლარაცია - საჯარო დოკუმენტი, რომელიც ასახავს სხვადასხვა ტიპის მონაცემებს მისი დანიშნულებიდან გამომდინარე

² რევიქტიმიზაცია - ხელახლა მსხვერპლად ქცევა

³ კლინიკოსი - კლინიკური პრაქტიკის მქონე (ექიმი, ფსიქოთერაპევტი, კლინიკური სოციალური მუშაკი და სხვ.)

⁴ თემის მუშაკი - პირი ან პირები, რომლებიც ზრუნავენ კონკრეტული თემის განვითარებაზე

სახელმძღვანელოს მიზანია სოციალური მუშაობის პრაქტიკოსებს, პედაგოგებს და სტუდენტებს დაეხმაროს სოციალური მუშაობის პრაქტიკის ახალი მიდგომის ამოქმედებაში, რომელიც ადამიანის უფლებებს ემყარება. ვიმედოვნებთ, რომ აქ განხილული მასალა ხელს შეუწყობს პრაქტიკის ახალი მეთოდების დანერგვას და ინდივიდების, თემებისა და საზოგადოებების პოტენციალის მაქსიმალურად გაზრდას. სახელმძღვანელო, ისევე როგორც სოციალური მუშაობა, ასახავს პრაქტიკის მეთოდების ფართო სპექტრს, სოციალურ საკითხებს და მოსახლეობას, ასევე ეხება სოციალური მუშაობის პრაქტიკის არსებით სფეროს. აქტუალური საკითხების გამოყენებით, როგორცაა უფლებებზე დაფუძნებული მიდგომების მაგალითები, სახელმძღვანელო, ადამიანის უფლებების მცოდნე სოციალური მუშაკების შესაძლებლობას მისცემს, უფლებებზე დაფუძნებული მიდგომები საკუთარ პრაქტიკაში გამოიყენონ.

ეს სახელმძღვანელო, მიზნად ისახავს უფრო მკაფიოდ განსაზღვროს ადამიანის უფლებების პრაქტიკა სოციალური მუშაობის ფარგლებში, პროფესიას ადამიანის უფლებების პრაქტიკის აღსაწერად მეტი ინსტრუმენტი მიაწოდოს და შესაბამისად, ხელი შეუწყოს სოციალური მუშაობის ზრდას და მნიშვნელოვნებას, როგორც ადამიანის უფლებების პროფესიას. უფრო მეტიც, ადამიანის უფლებათა პრაქტიკის სპეციფიკურმა ხელმძღვანელობამ, შეიძლება პრაქტიკაში მეტი სოციალური მუშაკი წახალისოს ადამიანის უფლებების თვალსაზრისით და შესაბამისად, დაუპირისპირდეს სტრუქტურებს, რომლებიც უსამართლობის უკან იმალება, რომელსაც სოციალური მუშაკები ყოველდღიურად ხვდებიან. მნიშვნელოვანია გვახსოვდეს, რომ ადამიანის უფლებების რეალური პოტენციალი მდგომარეობს უნარში, შეცვალოს ხალხის აღქმა საკუთარი თავის, მთავრობისა და სხვა აქტორების მიმართ.

თავი I – უფლებებზე დაფუძნებული მიდგომის ისტორიული განვითარება

ამერიკის შეერთებულ შტატებში, სოციალური მუშაობის ფესვების განვითარება დაკავშირებულია მაღალი კლასის ქალებისა და მამაკაცების უანგარო და კოლოსალურ ძალისხმევასთან, რომლებმაც საეკლესიო და საერო საქველმოქმედო ორგანიზაციები შექმნეს და ცდილობდნენ სიღარიბის, ურბანიზაციისა და იმიგრაციის შედეგების აღმოფხვრათ. ეს, ის მნიშვნელოვანი საკითხები იყო, რომლებიც იმ დროს, საზოგადოების სხვადასხვა სოციალური ფენის მიერ იგნორირებული იყო. გზადაგზა, სხვადასხვა ტრენინგებს და მიდგომებს სთავაზობდნენ მათ, ვინც საკუთარი რესურსის, ძალისხმევის და დროის კონტრიბუციის სურვილს ნებაყოფლობით გამოთქვამდა. და ეს მაშინ, როდესაც ამ საქველმოქმედო ორგანიზაციებში, მეცხრამეტე საუკუნის ბოლომდე, ბიზნესიდან და ინდუსტრიიდან მიღებული ცნებები გამოიყენებოდა ძალისხმევის შესამსუბუქელად, რომელიც ცნობილი იყო "სამეცნიერო ქველმოქმედების" სახელით. ამ მეცნიერულმა მიდგომამ საფუძველი დაუდო ქველმოქმედების განმცხადებლების მიმართ კვლევის, რეგისტრაციისა და ზედამხედველობის მეთოდის გამოყენებას და 1877 წელს ბუფალოში, ნიუ-იორკის შტატში, პირველი ამერიკული საქველმოქმედო ორგანიზაციების საზოგადოება (COS) შეიქმნა. 1919 წლისთვის 17 სოციალური მუშაობის სკოლა არსებობდა. 1920-იანი წლებისათვის, აშშ-ში შემთხვევაზე მუშაობა პროფესიონალური სოციალური მუშაობის მთავარ სამუშაო ჩარჩოს წარმოადგენდა და უპირველეს ყოვლისა, ორიენტირებული იყო ღარიბი ბავშვებისა და ოჯახების დახმარებაზე, თუმცა სფერო სწრაფად გაფართოვდა და პროფესიის კომპეტენციამ მოიცვა ვეტერანებთან და საშუალო ფენის პირთა, ბავშვთა კლინიკებში მუშაობა (Morris, 2008).

სხვათა დასახმარებლად შემუშავებული მეთოდების განვითარების მიუხედავად, სოციალური მუშაობის პრაქტიკა ზედმეტად ეყრდნობა ქველმოქმედებას და საჭიროებებზე მორგებულ მიდგომებს. ეს მიდგომები პრაქტიკის დეფიციტურ (ნაკლოვან) მოდელზეა დაფუძნებული, რომლის დროსაც, პროფესიონალები ან შეძლებული პირები იმის დიაგნოსტიკას ახდენენ, თუ რა არის „აუცილებელი“ მიმდინარე სიტუაციაში და რა სახის „მკურნალობა“ ან მომსახურებაა საჭირო, სასურველი შედეგის მისაღწევად, რომელიც განსაზღვრულია პროფესიის ან სხვა პრივილეგიების მქონე პირების მიერ. საჭიროების შესახებ განსჯა ემყარება პროფესიულ კვლევას, პრაქტიკულ სიბრძნეს და ღირებულებებით გაჯერებულ თეორიას (Ife J. , 2012). ეს ფასეულობები, კვლევები, თეორიები და პრაქტიკა, როგორც წესი, განმსჯელთა რწმენას ასახავს და არა, აუცილებლად იმ ადამიანის ღირებულებებს და თეორიებს, ვინც განიკითხება. ეს იწვევს უფლებამოსილების ჩამორთმევას და საკუთარ ცხოვრებაზე კონტროლის შემცირებას, სანამ პროფესიონალები პრივილეგიებით განაგრძობენ სარგებლობას (Ife J. , 2012). თავის მხრივ, ეს რისკები პასიურობას აძლიერებს და განაპირობებს მარგინალიზებული ჯგუფების და თემების უფლებების დარღვევას, ჩვენ კი, ჩვენი მხრივ ვცდილობთ გავაძლიეროთ და საუკეთესო შემთხვევაში, შევინარჩუნოთ საზოგადოებაში არსებული სტატუს-კვო.

საჭიროებებზე დაფუძნებული მიდგომების აღმოცენება საქველმოქმედო მიზნებიდან ხდება. სოციალური კეთილდღეობის სფეროში, ქველმოქმედებაზე დაფუძნებულმა ძალისხმევამ, დახმარების მიმღები ადამიანებისთვის „ღირსეულის“ და „უღირსის“ იარლიყის მიწებება განაპირობა. პირადი ქცევის შეფასება იწვევდა მათ მარგინალიზაციას, სიღარიბეს, დაავადებების გავრცელების ხელშეწყობას, რაც შემდგომში, სამოქალაქო უფლების ჩამორთმევის მიზეზი ხდებოდა, შესაბამისად, თანდათანობით, სხვადასხვა სახის დახმარების მიღებაც იზღუდებოდა. ელიტას განაჩენი გამოაქვს იმის შესახებ, თუ ვინ არის ღირსეული და ვინ არ არის კრიტერიუმებზე დამოკიდებული, რომლებიც ქველმოქმედებაზე დაფუძნებულ მიდგომებში, არსებული სოციალური, ეკონომიკური და პოლიტიკური ურთიერთობების გამყარებას ემსახურება. საჭიროებებზე დაფუძნებული მიდგომები მიზნად ისახავს, ობიექტურობა გამოიჩინოს შერჩევის პროცესის მიმართ, თუ ვინ და როგორ მიიღებს დახმარებას - მოხდეს მტკიცებულებების გამოყენებით, ეფექტური და ეფექტიანი ინტერვენციების დანერგვის საჭიროების დანახვა, როგორც გაჭირვებაში მყოფ, ისე მთლიანად საზოგადოების მდგომარეობის გასაუმჯობესებლად. თუმცა, საჭიროებებზე დაფუძნებული მიდგომის საკითხთა გარკვეული გადაწყვეტის გზები, ქველმოქმედებაზე დაფუძნებული მიდგომის მსგავსად, დახუნძლულია პროფესიონალებისა და პოლიტიკურად ელიტის ღირებულებებით და სულაც არ ასახავს მიზნობრივ პირთა ღირებულებებსა და არჩევანს, რომლებიც დახმარების მიმღებ ჯგუფს წარმოადგენენ. საჭიროებებზე დაფუძნებული მიდგომები, მიზნების განვითარების პროცესთან შედარებით, პრიორიტეტს, პროფესიონალურად დასახული მიზნების მიღწევას ანიჭებს და ძალიან ხშირად, შედეგების წარუმატებლობა, დახმარების მიმღები პირების ან ჯგუფების პიროვნულ თვისებებს ან ქცევებს ბრალდება. მაგალითად, მომსახურების სახეს, რომელსაც ფსიქიკური აშლილობის დიაგნოზის მქონე პირი საჭიროებაზე დაფუძნებული მიდგომის შესაბამისად იღებს, ხშირად გადაწყვეტილებები ხელისუფლების მიერ ან ექსპერტების მიერ განისაზღვრება, იმის მიხედვით, თუ რა არის საუკეთესო ადამიანისთვის და უკვე ნავარაუდევია, რომ ფსიქიკურ აშლილობას არ ძალუძს არჩევანის ან თუნდაც, არა "კარგი" არჩევანის გაკეთება. ამის შემდეგ, პროგრამის წარმატება დადგენილი მკურნალობის გეგმის მიხედვით, შესაბამისი უფლებამოსილების მქონე პირთა მიერ შეფასდება და შეიძლება უგულვებელყოფილიც კი იქნეს ბენეფიციართა პროტესტი ან ჯანმრთელობის მათივე შეფასებები (Gabel, 2016).

საჭიროებებზე დაფუძნებული და ქველმოქმედებაზე დაფუძნებული მიდგომებისგან განსხვავებით, ადამიანის უფლებებზე დაფუძნებული მიდგომა, პროცესს და შედეგებს თანაბარ მნიშვნელობას ანიჭებს. უფლებებზე დაფუძნებულ საქმიანობაში, მიზნები ის დროებითი ნიშნულებია, რომლებიც იხვეწება, რადგან ადამიანები უფლებებს მუდმივად ხელახლა აფასებენ და ახლებურად იგებენ, რაც თავის მხრივ, სოციალური საკითხებისადმი ახალ მიდგომებს მოითხოვს. მაგალითად, დაწყებით განათლებაზე უნივერსალური ხელმისაწვდომობის მიღწევის შემდეგ, განათლების უფლების ხელახალმა შეფასებამ შეიძლება ახალი მიზანი წამოწიოს, მაგალითად, როგორცაა განათლების ხარისხის ამაღლება ან გოგონებისთვის საშუალო სკოლაში უნივერსალური ჩარიცხვის ხელშეწყობა. უფლებებზე დაფუძნებული მიდგომები ემყარება ნორმატიულ ჩარჩოს, რომელიც დაფუძნებულია საერთაშორისო დონეზე შეთანხმებულ სამართლებრივ ხელშეკრულებებსა⁵ და კონვენციების ერთობლიობაზე, რომელსაც თავისთავად შეუძლია განსხვავებული და პოტენციურად უფრო მძლავრი მიდგომის უზრუნველყოფა. ამ მიდგომის ძირითადი ასპექტი ყველა ინდივიდის უფლებას აყალიბებს შესაძლებლობად, საზოგადოებრივი გადაწყვეტილების მიღების პროცესში მონაწილეობა, განსაკუთრებით იმ პირთა თუ ჯგუფებისთვის, რომლებზეც ეს გადაწყვეტილებები გავლენას ახდენენ.

უფლებებზე დაფუძნებული მიდგომა ადამიანის უფლებების საყოველთაოდ აღიარებულ პრინციპების გათვალისწინებას მოითხოვს: თითოეული ინდივიდის თანასწორობას, როგორც ადამიანის ყოფიერების, თანდაყოლილი ღირსების და თვითგამორკვევის, მშვიდობისა და უსაფრთხოების უფლებებს. ყველა ადამიანის უფლებების პატივისცემა საფუძველს უყრის ყველა სამოქალაქო, პოლიტიკურ, სოციალურ და ეკონომიკურ მიზანს, რომელიც ცდილობს ყველა ადამიანის კეთილდღეობის გარკვეული სტანდარტების დამკვიდრებას. უფლებებზე დაფუძნებული მიდგომის ძალისხმევა აღმოფხვრის ქველმოქმედების ასპექტს და ადამიანებს აღიარებს, არა მხოლოდ ბენეფიციარებად, არამედ როგორც აქტიური უფლებების მქონეს (Gabel, 2016).

ადამიანის უფლებებზე დაფუძნებული მიდგომის მნიშვნელოვანი სფეროა პოლიტიკის შემქმნელებისა და სხვა უფლებამოსილ პირთა ანგარიშვალდებულებაზე ყურადღების გამახვილება, რომლებიც ადამიანის უფლებებზე გავლენას ახდენენ. საჭიროებებისგან განსხვავებით, უფლებები მოვალეობებს გულისხმობს და მოვალეობები ანგარიშვალდებულებას მოითხოვს (UN OHCHR, 2002). მიუხედავად იმისა, რომ საჭიროებები შეიძლება მოთხოვნილებებს შეესაბამებოდეს ან კმაყოფილდებოდეს, უფლებები რეალიზდება და როგორც ასეთი უნდა იყოს პატივცემული, დაცული, გამარტივებული და შესრულებული. ადამიანის უფლებები განუყოფელი და ურთიერთდამოკიდებულია და საჭიროებებისგან განსხვავებით, რომელთა რანჟირებაც შესაძლებელია, ყველა ადამიანის უფლება თანაბარი მნიშვნელობისაა. ამრიგად, უფლებებზე დაფუძნებული მიდგომის ცენტრალური დინამიკა, სოციალური პრობლემების ძირეული მიზეზების დადგენა და უფლებების მფლობელთა უფლებამოსილების გაცნობიერებაა, სადაც ეს შესაძლებელია, მოითხოვონ საკუთარი უფლებები, ხოლო მოვალეობის შემსრულებლებს, თავიანთი ვალდებულებებს შესრულების საშუალება აქვთ. საერთაშორისო სამართლის თანახმად, სახელმწიფო არის უმთავრესი მოვალეობის შემსრულებელი იმ ადამიანთა უფლებების მიმართ, რომლებიც მისი იურისდიქციის ფარგლებში ცხოვრობენ. ამასთან, საერთაშორისო საზოგადოების პასუხისმგებლობას, ხელი შეუწყოს ადამიანის საყოველთაო უფლებების რეალიზაციას.

⁵ ხელშეკრულება, კონვენცია, შეთანხმება, ქარტია არის იურიდიულად სავალდებულო შეთანხმება ორ ან მეტ ქვეყანას შორის

ამრიგად, მონიტორინგისა და ანგარიშვალდებულების პროცედურები ვრცელდება არა მხოლოდ სახელმწიფოებზე, არამედ ისეთ გლობალურ აქტორებზე, როგორცაა დონორი საზოგადოება, მთავრობათაშორისი ორგანიზაციები, საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაციები და ტრანსნაციონალური კორპორაციები, რომელთა ქმედებები ადამიანის უფლებების სარგებლობას ემყარება ნებისმიერ ქვეყანაში (UN OHCHR, 2002).

შეიძლება ითქვას, რომ უფლებებზე დაფუძნებული პრაქტიკა, ბევრი სოციალური მუშაკის პრაქტიკისგან მკვეთრად არ განსხვავდება. მაგალითად, სიდლიერის პერსპექტივა, რომელიც სოციალური მუშაობის პრაქტიკაში პოპულარული მიდგომა 1990-იანი წლებიდან გახდა, უფრო ძლიერ მხარეებზე, შესაძლებლობებზე და პოტენციალზეა ფოკუსირებული, ვიდრე პრობლემებზე, დარღვევებსა და პათოლოგიებზე (Chapin, 1995) და „ინტერვენციები, უფრო თითოეული მომხმარებლის უნიკალურობაზე, უნარებზე, ინტერესებზე, იმედებზე და სურვილებზეა მიმართული, ვიდრე დაღვევების აღმოსაფხვრელ მკაცრ რუტინაზე“ (Kisthardt, 1992). სიდლიერზე დაფუძნებული მიდგომის თანახმად, კლიენტები, როგორც წესი, განიხილებიან როგორც საკუთარი სიტუაციის/შემთხვევის ექსპერტები, ხოლო პროფესიონალები იმ უპირატეს მდგომარეობაში ვერ იმყოფებიან, საიდანაც კლიენტის ძლიერ მხარეებს აფასებენ (Saleebey, 1992). ფოკუსი "სოციალურ მუშაკებსა და კლიენტებს შორის თანამშრომლობასა და პარტნიორობაზე" არის მიმართული (Early, T., & GlenMaye, L., 2000).

სიდლიერის პერსპექტივამ ბევრ სოციალურ მუშაკის პირობა შეუქმნა, ჩართონ საკუთარი თავი და სამიზნე ჯგუფი, რომელთანაც ისინი ადვოკატირებისა და გაძლიერების კუთხით მუშაობენ, რომელიც შესაძლებლობებისა და სოციალური ცვლილებების აქტიურ პროცესებს ემყარება. რასაკვრველია, სიდლიერზე და უფლებებზე დაფუძნებული მიდგომები ინდივიდებისა და თემების ძლიერ მხარეებს ემყარება და ორივე დეფიციტური მიდგომიდან იმ მიდგომაზე გადასვლას გულისხმობს, რომელიც ინდივიდებისა და თემების პოტენციალს აძლიერებს. ორივე მიდგომა, ინდივიდებისა და თემების სიდლიერისა და გამოწვევების უნიკალურ კომპლექტს აღიარებს და მათ, ინტერვენციების შემუშავებასა და განხორციელებაში კეთილდღეობის გასაუმჯობესებლად, გარემოს სირთულეების გათვალისწინებით, პარტნიორობად აერთიანებს. თუმცა, სიდლიერზე დაფუძნებული პერსპექტივა ინდივიდების იმის უფლებას არ შეესაბამება, რომ თავიანთი უფლებები საყოველთაო ნორმატიულ ჩარჩოებში მოითხოვონ, რომელიც სოციალურ სამუშაოს სცილდება, მოიცავს ყველა პროფესიულ დისციპლინას და ყველა ადამიანზე ვრცელდება. უფლებებზე დაფუძნებული მიდგომები, სოციალური მუშაობის პრაქტიკას გლობალურ სტრატეგიაში აერთიანებს, რომელიც საყოველთაო უფლებებს ისევე ითვალისწინებს, როგორც მთავრობების და სხვა აქტორების ანგარიშვალდებულებას, რომლებიც სამომავლოდ, ადამიანის უფლებების რეალიზაციაზე არიან პასუხისმგებელნი.

როგორც ისტორიამ არაერთხელ აჩვენა, სოციალურ მუშაობასა და ადამიანის უფლებების ნორმატიულ სტანდარტებს შორის კავშირი მნიშვნელოვანია. მრავალი თვალსაზრისით, სოციალური მუშაობა მიისწრაფვის ამ სტანდარტებისკენ (Healy L. M., 2008), მაგრამ ჯერ კიდევ ბოლომდე მიღებული არ აქვს. სოციალური მუშაობა, მისი არაკეთილსინდისერად სარგებლობის შემთხვევაში, ურთიერთგამომრიცხავ და დამაზნეველ პროფესიად იქცევა, რომელიც, როგორც გაჭირვებულთა დასახმარებლად, ასევე გასაკონტროლებლად ფუნქციონირებს. ზოგჯერ სოციალური მუშაკები ისეთ როლებს, სრულდებდნენ რომლითაც აძლიერდნენ ჩაგვრას (Ife J. , 2012) და ემსახურებოდნენ, როგორც „მოსამსახურე“ მათ, ვინც სტატუს-კვოს შენარჩუნებას ცდილობდა (Abramovitz, 1998). სოციალური სარგებლის გამოყენება შესაძლებელია მარგინალიზებული მოსახლეობის

ინტეგრირებისთვის, მაგრამ ასევე შესაძლებელია პრივილეგიისა და ექსკლუზიისთვის იქნას გამოიყენებული, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც საუბარი ქველმოქმედებაზე დაფუძნებულ მიდგომას ეხება. აღნიშნული პირობების გათვალისწინებით, სარგებელი შეიძლება, ასევე გამოყენებულ იქნას, როგორც ქვევის შეცვლის საშუალება და როგორც კერძო ინდივიდუალურ და ოჯახურ საკითხებზე ინფორმაციის შეგროვების საშუალება.

სოციალური მუშაობის ურთიერთგამომრიცხავი და დამაბნეველი ეს როლი გამოიკვეთა, თუმცა ესეც იმ უკიდურეს შემთხვევაში, როდესაც სოციალური მუშაობა სოციალურ ევგენიკურ⁶ მოძრაობაში მონაწილეობდა, რომელიც სპეციალურად ნაციონალ-სოციალისტების ლიდერების მიერ 1930-იან და 1940-იან წლებში გამოქვეყნდა (Johnson, S., & Moorhead, B., 2011). მეორე მსოფლიო ომამდე და ომის დროს სოციალური მუშაკები, ევროპაში ნაცისტური პოლიტიკის განსახორციელებელ ინსტრუმენტებად გამოიყენეს. მიუხედავად იმისა, რომ სოციალური მუშაობა და სოციალური მუშაობის განათლების ისტორია თითოეულ ევროპულ ქვეყანაში განსხვავებულია, ყოველ შემთხვევაში, გერმანიაში, ავსტრიაში, შვეიცარიაში, ჩეხოსლოვაკიასა და უნგრეთში, ხელისუფლებამ სოციალური მუშაკები იმისათვის გამოიყენა, რომ იმ ადამიანთა ექსკლუზია მოეხდინა, ვინც, იმ დროს სახელმწიფომ არასასურველ სამიზნე ჯგუფებად მიიჩნია. სამაგიეროდ, ისინი დააჯილდოვა, ვინც ერთგულება გამოხატა და პირობა დადო, სახელმწიფო იდეოლოგიას განახორციელებდა და მთავრობისთვის პირადი და ოჯახური საქმეების შესახებ ინფორმაციას შეაგროვებდა. 1933 წელს, გერმანიაში, როდესაც ნაციონალ-სოციალისტებმა კონტროლი აიღეს, როგორც უნივერსიტეტში დაფუძნებული, ისე სოციალური მუშაობის სწავლების ნებისმიერი ფორმები შეწყდა, რადგან „საზოგადოებისთვის უსარგებლო პირთა“ კეთილდღეობაზე ზრუნვა ზედმეტად და დროის ფლანგვად იყო მიჩნეული (Haus, G., & Schulte, D., 2009). "ქვემდგომებს" მხარდაჭერაზე უარი ეთქვათ და სოციალური მუშაკები ნაცისტური იდეოლოგიით ხელახლა გადაამზადეს, რათა დედებისთვის ესწავლებინათ, თუ როგორ აღეზარდათ საკუთარი შვილები, რომლებიც ნაციონალ-სოციალისტების მისწრაფებებისთვის ერთგულები და სასარგებლოები იქნებოდნენ (Kruse, 2009). ანალოგიურად, უნგრეთში, სადაც სოციალურ მუშაკებს მოიხსენიებდნენ როგორც "სოციალურ დებს", სოციალური მუშაკები ხელახლა გადაამზადეს, რათა დედებისათვის ესწავლებინათ ღირებულები, რომელიც სახელმწიფოსთვის შეტანილ წვლილს (ძირითადად, მათი რეპროდუქციული შესაძლებლობები და სახელმწიფოსთვის ძლიერი შვილების აღზრდა) მოიცავდა. გარდა ამისა, სოციალური მუშაკები უნგრეთის კეთილდღეობის მთავარი პროგრამის განხორციელებაშიც გამოიყენეს, რომელმაც "ღირსეული" კლიენტები ებრაული ქონების აქტივების გადანაწილებით დააჯილდოვა (Szikra, 2009). როგორც შიკრა (Szikra) აღნიშნავს, "1930-იან წლებში, სოციალური პოლიტიკა და სოციალური მუშაობა სოციალური და ეკონომიკური პოლიტიკის შემუშავების ცენტრალურ ნაწილს წარმოადგენდა, რომელიც ნაციონალისტური და ანტისემიტური იდეოლოგიით გაძლიერდა და რომელიც გერმანიაში, იტალიასა და ჩეხოსლოვაკიაში არსებული მსგავსი პრაქტიკების გავლენით იყო განპირობებული". ევგენიკასა და რასობრივ სიძულვილზე დაფუძნებული ნაცისტური იდეოლოგიის დათესვის შემდეგ, ავსტრიაში, სოციალურ მუშაკებს, ფსიქიკური დაავადებების, სქესობრივი გზით გადამდები დაავადებების, პროსტიტუციის,

⁶ ევგენიკა - მოძღვრება და ფსევდომეცნიერება, რომელიც ადამიანს განიხილავს, მისი მემკვიდრული (გარეგნული) ნიშან-თვისებებიდან გამომდინარე და მიმართულია, გარკვეულ მანიპულაციათა (გენური, ქირურგიული, მედიკამენტური და სხვ.) განხორციელებით, ინდივიდების შერჩევითი შეჯვარების შედეგად ადამიანის მოდგმის გაუმჯობესებასა და სრულყოფაზე.

ალკოჰოლიზმის, მემკვიდრეობითი დაავადებებისა და შეზღუდული შესაძლებლობის შესახებ მამხილებელი ინფორმაციის შეგროვებაზე დაეკისრათ პასუხისმგებლობა, რაც შემდგომში სოციალური სარგებლის უარყოფის, ქორწინების აკრძალვის და ავსტრიის ევთანაზიის პროგრამაში ბავშვები შეარჩევს მიზნითაც კი იქნებოდა გამოყენებული (Melinz, 2009).

სოციალური მუშაკების გამოყენება, როგორც სხვა სახელმწიფოების იდეოლოგიის განსახორციელებლად ხდებოდა, 1918 წლიდან, ასევე გამოიყენეს ისინი საბჭოთა დღის წესრიგის გასაუმჯობესებლად (Iarskaia-Smirnova, E., & Romanov, P., 2009). სოციალური მომსახურების გაწევა სხვადასხვა დისციპლინაში დამხმარე პროფესიებს შორის განაწილდა, ხოლო ტერმინი „სოციალური მუშაობა“, დასავლეთის სოციალურ კეთილდღეობასთან ასოცირების გამო არ იქნა გამოყენებული (Iarskaia-Smirnova, E., & Romanov, P., 2009). სოციალურ აგენტებად წოდებულ პროფესიონალებს (საბავშვო ბაღებისა და ახალგაზრდული ცენტრების მუშაკები, ქალთა ორგანიზაციებისა და პროფკავშირების აქტივისტები, ექთნები, პედაგოგები და საშინაო საქმეთა ჩინოვნიკები), სოციალური უზრუნველყოფისა და კონტროლის ორმაგი ამოცანა დაეკისრათ. თავიდან, სოციალურმა აგენტებმა ისეთი სტანდარტების დამკვიდრებას შეუწყეს ხელი, რომლებიც ღირსეულ და უღირს ქცევას, საქმიანობას და პრაქტიკას განსაზღვრავდა, როგორცაა: დაგმობა და სოციალური გარიყვა, რომელიც მიზნად მათ გააუცხოებდა ისახავდა, ვინც სახელმწიფო მიზნებს არ ასრულებდა (Iarskaia-Smirnova, E., & Romanov, P., 2009).

მიზნების განსახორციელებლად სოციალური მუშაკების გამოყენების მაგალითი, რომელიც სოციალური მუშაობის ეთიკას ეწინააღმდეგება, შეერთებულ შტატებშიც არსებობს (Abramovitz, 1998). ენტონი პლატი, თავის წიგნში, „ბავშვთა მხსნელები: დანაშაულის გამოგონება“ (1965), აჩვენებს, რომ მიუხედავად ახალგაზრდების დაცვის კეთილგანწყობილი მცდელობისა, შეერთებულ შტატებში არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების სისტემის დამკვიდრებამ ახალგაზრდები ზრდასრულთა მართლმსაჯულების სისტემიდან ამოიღო. ასე შეიქმნა დამნაშავეთა კლასი, რომლებიც სათანადო პროცესის გარეშე გაასამართლეს. პლატი მიიჩნევს, რომ "ბავშვთა მხსნელები არავითარ შემთხვევაში არ უნდა ჩაითვალოს ლიბერტარიანელებად ან ჰუმანისტებად" (Platt, 1965). არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების სისტემა, რომელიც ამ რეფორმატორებმა, რომელთაგან ბევრი სოციალური მუშაობის პიონერი იყო, შეერთებულ შტატებში შექმნეს, დამნაშავე და დამოკიდებულ ახალგაზრდებს⁷ შორის განსხვავებას მიზანმიმართულად ბუნდოვანს ხდიდა. დამოკიდებულ ბავშვებს, რომელთა უმრავლესობას დანაშაული არ ჩაუდენია, აკრავდნენ დამნაშავეების ირლიყს, რაც მათ სათანადო პროცესით სარგებლობის შესაძლებლობას ართმევდა. სახელმწიფოს და სხვადასხვა რელიგიურ ორგანიზაციებს მიენიჭა ძალაუფლება, განესაზღვრათ დანაშაული ისე, როგორც მათ საჭიროდ მიაჩნდათ და ბავშვები, რომლებსაც დევიანტური ქცევა⁸ აღენიშნებოდათ ან ახალგაზრდა ქალები, რომლებიც უზნეოდ მიიჩნეოდნენ, უფლებების ყოველგვარი დაცვის გარეშე, გამოსასწორებლად ინსტიტუციებს ან სახელმწიფო ზედამხედველობის სხვადასხვა ფორმებს გადასცეს.

ბუმილერის ბოლოდროინდელი ანალიზი შეერთებულ შტატებში ოჯახში ძალადობის შესახებ ჩვენს ცნობიერებას აღვიძებს იმის შესახებ, თუ როგორ შეუძლიათ სოციალური

⁷ დამოკიდებული ახალგაზრდა - არასრულწლოვანი პირი, რომელიც საკუთარი აღზრდელისგან ვერ იღებს სათანადო ზრუნვას და ვერ კმაყოფილდება მისი ძირითადი საჭიროებები.

⁸ დევიაციური ქცევა - საზოგადოებაში არსებული ნორმების და წესების საწინააღმდეგოდ მოქცევა, თუმცა არ მოიცავს დანაშაულებრივ (დელიქვენტურ) ქცევას

მუშაკებს, რომლებიც მუშაობენ ოჯახში ძალადობის და/ან გაუპატიურებაში მონაწილე პირებთან, უნებლიედ გაანადგურონ, იმის მაგივრად, რომ გააძლიერონ პირები და ოჯახები (Bumiller, 2008). ბუმილერი (2008) იყენებს სექსუალურ ძალადობას იმის დემონსტრირებისათვის, თუ როგორ შეიძლება იურისტებმა, სამედიცინო პროფესიონალმა და სოციალურმა მუშაკებმა სოციალური მომსახურების ბენეფიციარების პასიურობაში წვლილი შეიტანონ და ამით სახელმწიფოს უნარი გაზარდონ, თავისი წევრების ქცევები გააკონტროლოს. როგორც ბუმილერი განმარტავს, სექსუალური ძალადობის ჩამდენი პირების საჯარო დაღის დასმა, რომელიც მკაცრ სასჯელს და იზოლაციას იმსახურებს, საშუალებას გვაძლევს ჩათვალოთ, რომ მათ რეაბილიტაციის უნარი არ აქვთ და შესაბამისად, დამნაშავეებს, ჩვენ ვთავაზობთ მწირ შესაძლებლობებს, რომ საზოგადოებაში აქტიური წევრებად დაბრუნდნენ. ამის საპირისპიროდ, ჩვენმსხვერპლთა „სამკურნალოდ“ რესურსებს ვხარჯავთ, რათა ისინი წარმატებულ გადარჩენილებად იქცნენ და ამის გაკეთების პროცესში მათ ვუნერგავთ, გახდნენ სახელმწიფოზე დამოკიდებულები. ჩვენ ამას იმ მსხვერპლებისგან ვაკეთებთ, რომლებიც სახელმწიფოსგან დახმარებას და უსაფრთხოებას ითხოვენ, ხელისუფლებას დაემორჩილონ, რომელიც ხშირ შემთხვევაში სოციალური მუშაკები არიან და მათ ცხოვრებაში სახელმწიფოს კონტროლის შემოჭრას შეეგუონ. უსაფრთხოებისა და დახმარების სანაცვლოდ, გაჭირვებული ქალები და ბავშვები საკუთარი ცხოვრების კონტროლზე ხშირად უარს ამბობენ და იძულებულნი ხდებიან გახდნენ პირები, რომლებსაც მუდმივი ზედამხედველობა და რეგულირება სჭირდებათ. ”რადგან ქალები გახდნენ კეთილდღეობის უფრო ფართო, სახელმწიფოს სუბიექტები, სოციალური მომსახურების სააგენტოები ქალებს და მათ საჭიროებებს ისე განიხილავდნენ, რომ მათ ხშირად ხელს უშლიდნენ რეგულაციებისთვის წინააღმდეგობის გაწევასა და საკუთარი გადაწყვეტილებების აქტიური მონაწილეობაში” (Bumiller, 2008). ზოგიერთი სოციალური მუშაკი პროფესიულ უფლებამოსილებას იყენებს დეფიციტური მიდგომის მხარდასაჭერად, რაც სოციალურ მუშაკებს საშუალებას აძლევს, მშობლების უნარ-ჩვევები, განათლება, საცხოვრებელი, ურთიერთობები და ფსიქოლოგიური დაძლევის უნარ-ჩვევები მათ გაანალიზონ, ვინც განიცადა სექსუალური ძალადობა და შემდეგ განსაზღვროს ქცევა, რომელიც სარგებელზე (ბენეფიტზე) წვდომისათვის არის აუცილებელი. მათ, ვინც პრეტენზიებს გამოთქვამს და დეტალურ გამოკვლევას ეწინააღმდეგება, შეიძლება ისეთ სარგებელზე ეთქვათ უარი, როგორცაა ქალების დისკვალიფიკაცია TANF-ის (გაჭირვებული ოჯახების დროებითი დახმარება) მიღებულ ბენეფიტებზე, რომლებიც ვერ აკმაყოფილებენ სამუშაო მოთხოვნებს ან იმ ქალებს უწყვეტ დახმარებას, რომლებიც ძალადობრივ ურთიერთობებში ბრუნდებიან. როგორც ამ პროცესის მთავარ აქტორებს, სოციალურ მუშაკებს შესაძლებლობა აქვთ ქალთა ხმის ლეგიტიმაცია მოახდინონ, როგორც სოციალური კეთილდღეობის ინსტიტუტებში, ასევე გარკვეულ ურთიერთობათა ფარგლებში, იმის ნაცვლად, რომ არ გაუძლიერონ დამოკიდებულება და ზოგიერთ ვითარებაში, დამყოლობის მოთხოვნით მათი ხელახალი ვიქტიმიზაცია არ მოხდეს, რომელიც დახმარების მიღების წინაპირობად იყო მიჩნეული.

ამ მაგალითების საერთო მახასიათებელი ნორმატიული ჩარჩოს უმოქმედობაა, რომელიც სცდება ეროვნულ საზღვრებს. უფლებებზე დაფუძნებული მიდგომა საყოველთაო სამართლებრივ გარანტიებზეა დამყარებული, რათა ინდივიდები და ჯგუფები ისეთი ქმედებებისა და უმოქმედობებისგან დაიცვას, რომლებიც ადამიანის ფუნდამენტურ თავისუფლებას, უფლებებსა და ღირსებას არღვევს, როგორც ეს თავიდანვე იქნა წარმოდგენილი ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციაში (United Nations, 1948). ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართალი მთელ რიგ საერთაშორისო კონვენციებს,

შეთანხმებებსა და ხელშეკრულებებს ემყარება, რომლებიც რატიფიცირებულია⁹10 სახელმწიფოების მიერ, ისევე, როგორც სხვა არასავალდებულო დოკუმენტები, როგორცაა დეკლარაციები, მითითებები და პრინციპები. ერთად აღებული ეს ურთიერთდამოკიდებული, ურთიერთდაკავშირებული და ადამიანის განუყოფელი უფლებები მთელს მსოფლიოში ხალხს ეკუთვნის და ამ უფლებების პატივისცემა, დაცვა და შესრულების პასუხისმგებლობა, უპირველესად სახელმწიფოს ვალდებულებაა.

ამ საერთაშორისო სამართლებრივი ინსტრუმენტებთან სოციალური მუშაობის პრაქტიკის დაკავშირება სოციალურ მუშაკებს ავალდებულებს, სოციალურ საკითხებზე საკუთარი მთავრობის მიერ მიღებულ ზომებს გასცდნენ, გააძლიერონ მოსახლეობა, რომელთანაც ისინი მუშაობენ, რათა მათი ხმა გაიგონონ და მარგინალიზებული პირებისა და თემების უფლებელყოფილი სუვერენიტეტი აღადგინონ. ეს ხელს შეუწყობს სოციალურ მუშაკების სახელმწიფოს აგენტებიდან ცვლილების აგენტებად გადაქცევას, რაც სოციალური მუშაობის ფუნდამენტური ხედვის შესაბამისია. იგი სოციალური მუშაობის პრაქტიკის სხვადასხვა მეთოდს აერთიანებს, ყველა სოციალურ მუშაკს ავალდებულებს, დაფიქრდნენ იმაზე, თუ როგორ მოქმედებს საჯარო პოლიტიკა ინდივიდებისა და თემების უფლებებზე, ასევე ინდივიდუალური ქმედებები როგორ აისახება სხვების უფლებებზე (იხ. ცხრილი 2). უფლებებზე დაფუძნებული მიდგომა სოციალურ მუშაკებს აძლევს, დახმარების არსებული მეთოდების მიღმა გაიხედონ, რომლებიც ძალიან ხშირად არსებობს სახელმწიფოს ჩარევის გასამართლებლად, სიტუაციის ძირეული მიზეზების დადგენის გარეშე. ის მოუწოდებს სოციალურ მუშაკებს, რომლებიც ხშირად მოქმედებენ, როგორც სახელმწიფოს აგენტები, აღიარონ და საკუთარი პასუხისმგებლობით იმოქმედონ, როგორც მორალური მოვალეობის შემსრულებლები, რომლებიც ვალდებულნი არიან პატივი სცენ, დაიცვან და განახორციელონ უფლებების მფლობელთა უფლებები.

ცხრილი 2. სოციალური მუშაობის პრაქტიკაში უფლებებზე დაფუძნებული მიდგომები ინტერვენციის სხვადასხვა დონეზე

ინდივიდები, რომლებიც დახმარებას ეძებენ, არ განიხილებიან როგორც ღირსეული ან უღირსი დახმარების მიმღებები, არამედ განიხილებიან, როგორც უფლებების მფლობელები. სოციალური მუშაკები ეხმარებიან, მოითხოვონ თავიანთი უფლებები და იმის გაცნობიერებაში ეხმარებიან, თუ როგორ ირღვევა ინდივიდუალური უფლებები. შემოთავაზებული ინტერვენციები მფარველობა ან სტიგმატიზაცია არ არის, არამედ ის მეთოდებია, რომლებიც დაფუძნებულია ყველა ადამიანის ღირსებასა და პატივისცემაზე.

ინდივიდზე ორიენტირებული ცვლილების მაგალითი: *სექსუალური ტრეფიკინგის მსხვერპლი პირები განიხილებიან, როგორც უფლებების მფლობელები, რომელთა უფლებები დაირღვა და არა როგორც დამნაშავეები. მათ, მათი მთლიანობის აღსადგენად, სარეაბილიტაციო მომსახურებას და სხვადასხვა სარგებელს სთავაზობენ.*

⁹ რატიფიკაცია არის ფორმალური პროცესი, რომლის მიხედვითაც ქვეყანა გამოხატავს თანახმობას, აიღოს ვალდებულება ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესასრულებლად

¹⁰ დაჯავშნა არის გამონაკლისი, რომელსაც სახელმწიფოები აკეთებენ ხელშეკრულებაში (მაგალითად, სახელმწიფოებო პუნქტები, რომელსაც მთავრობა არ იღებს)

თემის/ჯგუფის/ორგანიზაციის ძალისხმევა განსხვავებულია იმ მტკიცებისგან, რომ ისინი რესურსს იმის გასაგებად იმსახურებენ ან საჭიროებენ, თუ როგორ შეუძლიათ მოითხოვონ რესურსებზე საკუთარი უფლებები. სოციალური მუშაკები ჯგუფის წევრებს შორის ადამიანის უფლებების შესახებ განათლებას, მათ შორის ადამიანის უფლებების ინსტრუმენტების, უფლებების ხელმისაწვდომობის პრინციპებისა და მეთოდების ცოდნას ხელს უწყობენ.

ჯგუფზე ორიენტირებული ცვლილების მაგალითი: ჯგუფებს ეძლევათ შესაძლებლობა გაეცნონ თავიანთ საცხოვრებელ უფლებებს, ცვლილებების პროცესს თავიანთ თემში და შეიძინონ უნარ-ჩვევები ისე, რომ შეძლონ საკუთარი უფლების მოთხოვნა, რათა თემის გადაწყვეტილებების მიღების პროცესში მიიღონ მონაწილეობა.

საზოგადოება ხელახლა მიმართავს თავის სოციალურ პოლიტიკასა და მიზნებს, რათა ადამიანის უფლებების რეალიზაციას, მათ შორის ადამიანის მოთხოვნილებების დაკმაყოფილებას ხელი შეუწყოს. მაკრო პრაქტიკოსი სოციალური მუშაკები პოლიტიკის პროცესზე და მიზნებზე, საზოგადოების ყველა წევრისათვის საშუალებების გაფართოების გზით გავლენას ახდენენ, რათა თითოეულის ხმა გადაწყვეტილების მიღების პროცესში იქნას გაჟღერებული.

საზოგადოებაზე ორიენტირებული ცვლილების მაგალითი: შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებს შეუძლიათ მონაწილეობა მიიღონ პოლიტიკის შემუშავების პროცესში ტექნოლოგიის გამოყენებით, რაც მათ საშუალებას აძლევს, შეხვედრებში მონაწილეობა საკუთარი სახლებიდან მიიღონ.

ბოლო ორი ათწლეულის განმავლობაში, სოციალურ მუშაობაში, უფლებებზე დაფუძნებულმა მიდგომებმა საერთაშორისო აღიარება მოიპოვა, უფრო მეტად შეერთებული შტატების გარეთ, ვიდრე ქვეყნის შიგნით. შეერთებული შტატებში, სოციალური მუშაკებისთვის ადამიანის უფლებების პრაქტიკა შედარებით ახალია, ნაწილობრივ დიდი ხნიანი წინააღმდეგობის გამო, რომელიც ცნობილია როგორც "ამერიკული განსაკუთრებულობა", რომელიც შეერთებულ შტატებს საშუალებას აძლევს დაიწყოს და მოითხოვოს ადამიანის უფლებების დაცვა საზღვარგარეთ, ამავე დროს, თავად (აშშ-მა), არაერთხელ უარყო ადამიანის უფლებების საერთაშორისო სტანდარტების გამოყენება (Hertel, S. & Libal, K., 2011). ამერიკელთა უმეტესობა სამოქალაქო და პოლიტიკურ უფლებებს იცნობს, მაგრამ გაცილებით ნაკლები იცნობს ეკონომიკურ, სოციალურ და კულტურულ უფლებებს. სოციალური მუშაკების ამ სფეროში შედარებით შეზღუდული ჩართულობა, ასევე იმ შეხედულებიდან გამომდინარეობს, რომ ადამიანის უფლებების აქტივიზმს საუკეთესოდ ხელმძღვანელობენ და წარმატებას აღწევენ იურისტები ან პოლიტიკის ელიტარული დამცველები.

უფლებებზე დაფუძნებული მიდგომა ჰოლისტურ პერსპექტივას სამოქალაქო, პოლიტიკურ, სოციალურ, ეკონომიკურ და კულტურულ როლებთან დაკავშირებით იძლევა, რომელსაც ჩვენ ვირგებთ, როგორც ადამიანები და კეთილდღეობის უფრო ჰოლისტურ გაგებას, რომელიც მატერიალური მოთხოვნილებების დაკმაყოფილებას სცილდება. ადამიანის უფლებების შესახებ ჩვენი აღქმა მუდმივად ვითარდება და ჩვენი მეთოდები, პრაქტიკა, კვლევები, ინტერვენციები და პროცესები ჩვენი ცნობიერების გაღრმავებასთან ერთად უნდა განვითარდეს.

თავი II - სოციალური მუშაობა და ადამიანის უფლებები

უპირველესი შეკითხვაა: მიზანშეწონილია თუ არა უფლებებზე დაფუძნებული მიდგომის გამოიყენება სოციალური მუშაობის პრაქტიკაში? ანუ, აქვს (ან უნდა ჰქონდეს) მხარდაჭერა ადამიანის უფლებების იდეალებსა და პრინციპებს სოციალური მუშაობის პროფესიის ფარგლებში? და, შეესაბამება თუ არა ეს იდეალები და პრინციპები სოციალური მუშაობის ეთიკას?

სოციალური მუშაობის მკვლევარები ამტკიცებენ, რომ სოციალურ მუშაობას, ისევე როგორც ადამიანის უფლებების პროფესიას ხანგრძლივი ისტორია აქვს. ისინი მიუთითებენ სოციალური მუშაობის რეფორმატორებზე, როგორცაა ჯეინ ადამსი აშშ-ში და ეგლანტინ ჯები ინგლისში და ამტკიცებენ, რომ ადამიანის უფლებების ფუნდამენტური ღირებულებების შესაბამისად, სოციალურ მუშაკები ღირებულების ადვოკატებისა და ღირსეულად მოპყრობის ტრადიციებით ამყარდებიან. რასაკვირველია, წლების განმავლობაში, ბევრი სოციალური მუშაკი იცავდა ადამიანთა უფლებებს, როგორც ღირებულებებს, მაშინაც კი, როდესაც მათ, თავიანთ საქმიანობას "ადამიანის უფლებების" იარლიყი არ მიაკრეს (Healy L. M., 2008).

ცოტა ხნის წინ, სოციალურმა მუშაობამ, რომელიც წარმოდგენილია მისი პროფესიული ორგანიზაციების მიერ, ადამიანის უფლებები ოფიციალურად მოიცვა (Reichert, E., 2011a) (Reichert, 2011b). 2000 წელს, სოციალურ მუშაკთა საერთაშორისო ფედერაციამ (IFSW) ადამიანის უფლებების საკითხიც კი შეიტანა, როგორც „ფუნდამენტური“ პრინციპები, რათა სოციალური მუშაობის პროფესია განემარტა: სოციალური მუშაობის პროფესია ხელს უწყობს სოციალურ ცვლილებებს, ადამიანთა ურთიერთობებში პრობლემების გადაჭრას, ადამიანების გაძლიერებასა და გათავისუფლებას, კეთილდღეობის გასაუმჯობესებლად. ადამიანის ქცევისა და სოციალური სისტემების თეორიების გამოყენებით, სოციალური მუშაობა ინტერვენციას ახდენს იქ, სადაც ადამიანები საკუთარ გარემოსთან ურთიერთობენ. სოციალური მუშაობისათვის, ადამიანის უფლებების და სოციალური სამართლიანობის პრინციპები ფუნდამენტურია (International Federation of Social Workers, 2014).

ანალოგიურად, შეერთებულ შტატებში, სოციალურ მუშაკთა ეროვნული ასოციაცია (NASW) ძალიან მტკიცედ უჭერს მხარს ადამიანის უფლებებს და ამტკიცებს, რომ სოციალური მუშაკები ადამიანის უფლებების დამცველები არიან. როდესაც ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციის რატიფიცირება მოხდა, ადამიანის უფლებებთან დაკავშირებული პრობლემები, შეერთებულ შტატებში, 50 წელზე მეტი ხნის განმავლობაში სოციალური მუშაობის პროფესიის ძირითადი ფოკუსი იყო. სოციალურმა მუშაკებმა იციან, რომ სამოქალაქო და პოლიტიკურ უფლებები ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებებით უნდა შეივსოს... სოციალური მუშაკები, პრაქტიკის რომელ დონეზეც არ უნდა იყვნენ ისინი, იცავენ ადამიანთა უფლებებს, ჰქონდეთ ანაზღაურებადი დასაქმება, ადეკვატური საკვები, განათლება, თავშესაფარი, ჯანდაცვა, ასევე ძალადობისგან თავისუფლების უფლება და მათი ოცნებების განხორციელების თავისუფლება (National Association of Social Workers, 2012).

ამ მკაფიო განცხადებების გარეშეც კი, მკვლევარები აღნიშნავენ, რომ ტრადიციული სოციალური მუშაობის ეთიკის კოდექსი, ადამიანის უფლებათა საყოველთაო

დეკლარაციას მაშინაც კი ეხმიანება, როდესაც ისინი კონკრეტულად ადამიანის უფლებებს არ ახსენებენ (Reichert, E., 2011a) და სოციალური მუშაობის ეთიკური ვალდებულებები სოციალურ მუშაკებს აიძულებს დაიცვან ადამიანთა უფლებები (Androff, 2010) (Buchanan, I. & Gunn, R., 2007) (Calma, T. & Priday, E., 2011) (Cemlyn, 2011). ალბათ, ყველაზე მკაფიო კავშირი, სოციალურ მუშაობასა და ადამიანის უფლებებს შორის, ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციაში არსებობს. 25-ე მუხლი „აუცილებელი სოციალური მომსახურების“ უფლებას ითვალისწინებს. ყველას აქვს უფლება ცხოვრების ის დონე მიიღოს, რომელიც მისი და მისი ოჯახის ჯანმრთელობისა და კეთილდღეობის ადეკვატურია, მათ შორის: საკვები, ტანსაცმელი, საცხოვრებელი და სამედიცინო მომსახურება, აუცილებელი სოციალური მომსახურება და უსაფრთხოების უფლება, უმუშევრობის, ავადმყოფობის, შეზღუდული შესაძლებლობის, დაქვრივების, ხანდაზმულობის ან სხვა საარსებო წყაროს შემთხვევაში, მათი კონტროლის მიღმა. დედობას და ბავშვობას განსაკუთრებული ზრუნვის და დახმარების უფლება გააჩნიათ.

სოციალური მუშაობის კვლევა და ადამიანის უფლებები

როგორც სხვა სფეროებში, სოციალური მუშაობის მკვლევარებს შორის, სრულყოფილი კონსენსუსი ადამიანის უფლებების ღირებულებებისა და განსაზღვრის შესახებ არ არსებობს. სოციალური მუშაობის ზოგიერთმა მეცნიერმა გაეროს ადამიანის უფლებათა სტრუქტურის „ზემოდან ქვემოთ“ მიდგომა გააკრიტიკა და იგი ცალკეული პირთა ხმების მიმართ უყურადღებობაში დაადანაშაულა (Ife, J., 2008) (Ife, J., 2010). მიუხედავად ამისა, სოციალური მუშაობის მკვლევართა უმრავლესობა, სხვა სფეროში, იგივე პოზიციაზე დასაქმებულების მსგავსად, ადამიანის უფლებების დასადგენად, ყურადღებას ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციებს და ადამიანის უფლებათა სხვა დეკლარაციებს, კონვენციებს, პრინციპებსა და ხელშეკრულებებს აქცევს (Healy L. M., 2008) (Mapp, 2008) (Reichert, E., 2011a). მიუხედავად იმისა, რომ სოციალური მუშაკები უკვე ათწლეულებია კლიენტების უფლებებს მხარს უჭერენ, აკადემიური კვლევა ადამიანის უფლებებისა და სოციალური მუშაობის სფეროში საკმაოდ ახალია და იმპულსს იძენს. ამ სფეროში, პირველი კვლევა 1990-იან წლებში გამოჩნდა. ასევე 1990-იან წლებში, გაერომ პირველი მონოგრაფია გამოაქვეყნა, როგორც ადამიანის უფლებებით და სოციალური მუშაობის სათაურით; ეს მონოგრაფია, სოციალურ მუშაობას, როგორც ამ სფეროში „გადამწყვეტ პროფესიას“ უსვამს ხაზს (United Nations, 1994).

ადამიანის უფლებების პოტენციური გავლენა სოციალური მუშაობის პროფესიაზე

რა არის უფლებებზე დაფუძნებული პრაქტიკის პოტენციური სარგებელი სოციალური მუშაობის კლიენტებისთვის და მთლიანად პროფესიისთვის? ისტორიკოსი ქეროლ ანდერსონი ამტკიცებს, რომ ადამიანის უფლებების ფართო სპექტრს - განათლების, ჯანდაცვის, დასაქმების და საცხოვრებლის ჩათვლით, ასევე პოლიტიკურ და სამართლებრივ უთანასწორობას - შეუძლია ფილოსოფიური და პოლიტიკური ძალაუფლება შექმნას, რომელიც (ვიწრო კატეგორიის) სამოქალაქო უფლებებს აკლია (Anderson, 2003). შოუნ გუდმა (2013) განავითარა ეს საკითხი, სადაც იგი წერს: „ადამიანთა აგენტების უფლებების დისკურსი (არის დისკურსი) არის წუწუნებენ იმაზე, რაც მათია, იმის ნაცვლად, რომ გავლენის მქონეთაგან ითხოვონ ნებართვა...“ ღირსება და არა ქველმოქმედება, არის მაცოცხლებელი პრინციპი. ადამიანები ცხოვრების საბაზისო საჭიროებებზე (საკვები, ჯანდაცვა, თავშესაფარი) მათი ადამიანობის გამო იღებენ წვდომას. უფლებების ენა იწვევს მოწყალეობის მთხოვნელს, დაჩოქილი მდგომარეობიდან წამოდგეს

და გაურკვევლობის და ვედრების გარეშე მისი ადამიანობის აღიარება მოითხოვს. მუშაკებს სიცოცხლის ანაზღაურების უფლება აქვთ, ბავშვებს უფლება აქვთ სიღარიბის გარეშე გაიზრდონ, ხოლო უსახლკარო პირებს უფლება აქვთ ჰქონდეთ სახლი.

ზოგიერთი სოციალური მუშაობის მვლევარი ამტკიცებს, რომ უფლებებზე დაფუძნებული მიდგომა სოციალურ სამართლიანობას, ინდივიდუალურ პათოლოგიაზე ფოკუსირების შემცირებით უწყობს ხელს და კონკრეტული საკითხების, სოციალურ-პოლიტიკურ, სტრუქტურულ კონტექსტში განხილვას მოითხოვს (Engstrom, D. & Okamura, A., 2005) (Lundy, 2011) (Mapp, 2008) (Zavirsek, D. & Herath, S. M. K., 2010). სხვები ვარაუდობენ, რომ ეს აქცენტი კლიენტებს აძლიერებს, რადგან ის მათ მოთხოვნილებებს, როგორც უფლებების მინიჭებას ან უფლებებს განსაზღვრავს (Cemlyn, 2011) (Hancock, 2007). უფლებები, სოციალურ მუშაკებს, ასევე აძლევს განათლების ძლიერ ინსტრუმენტებს - კლიენტებს, თემებს და საკუთარ თავს - უთანასწორობისა და უფრო დიდი სოციალური სტრუქტურების შესახებ (Barrett, 2011) (Calma, T. & Priday, E., 2011). რამდენიმე ავტორი ამტკიცებს, რომ ადამიანის უფლებებს პრაქტიკაში სიმკაცრე და განსაზღვრება შემოაქვს, ანუ ის თვისებები, რომლებიც "ზუნდოვან" (Mapp, 2008) და "მომველებულ" (Reichert, E., 2011a) სოციალური სამართლიანობის პრინციპს აკლია (Pyles, 2006); გადა ამისა, ადამიანის უფლებები სოციალური სამუშაოს მიკრო/მაკრო დაყოფას წყვეტს, მოქმედების ორივე ფორმის ერთდროული მოთხოვნით: ინდივიდებს დახმარების უფლება აქვთ და უსამართლო სისტემები ცვლილებებს ითხოვენ (Androff, D. & McPherson, J., 2014) (Depoy, E. & Gilson, S., 2008) (Reichert, 2011b). სოციალური მუშაობის პროფესიის დონეზე, ადვოკატები ამტკიცებენ, რომ შეფასების პროცესის გაფართოება ადამიანის უფლებების კავშირებს „ადგილობრივ და ეროვნულ საკითხებს გლობალური პრობლემებით“ მოიცავს (Healy L. M., 2008) და შეუძლია სოციალურ მუშაობას საკუთარი თავის გლობალურად პროფესიად რეორგანიზაციაში დაეხმაროს, საერთაშორისო მიგრაციისა და ნეოლიბერალური კაპიტალიზმის სამყაროში (Lundy, 2011) (Midgley, 2007) (Barrett, 2011) (Reichert, E., 2003). გარდა ამისა, ზოგიერთი მიიჩნევს, რომ ადამიანის უფლებებს გააჩნია პოტენციალი, სოციალური მუშაობის ხელახალი პოლიტიზირებისა და პრაქტიკის აუცილებელი თეორიის მხარდასაჭერად (Lundy, 2011) (Wronka, J. & Staub Bernasconi, S., 2012). დაბოლოს, ადამიანის უფლებებმა შეიძლება წინ წამოწიოს სოციალური მუშაობა, როგორც პროფესია, რომელიც სოციალურ კეთილდღეობაზეა ორიენტირებულია, და როგორც შესაძლებლობა, მიიღოს ლიდერობა და გახდეს მთავარი პროფესია, რომელიც ეკონომიკურ, სოციალურ და კულტურულ უფლებებს მოიცავს (Ife, J., 2008) (McPherson, 2014).

სოციალური მუშაობის ეთიკა და ადამიანის უფლებები

ცხადია, უფლებებზე დაფუძნებული მიდგომის მისაღებად მიზეზები არსებობს, მაგრამ არის რამე მიზეზი, ეს რომ არ მოხდეს? შეესაბამება თუ არა სოციალური მუშაობა და ადამიანის უფლებების ეთიკა? მკვლევარებმა აღნიშნეს ადამიანის უფლებათა საყოველთაო დაკლარაციის გამოძახილი სოციალური მუშაობის ეთიკურ კოდექსში (Reichert, E., 2011a), მაგრამ ეს საკმარისია? აშშ-ის სოციალური მუშაკთა ეროვნული ასოციაციის თანახმად, სოციალური მუშაობის პროფესიის უპირველესი მისია, ადამიანის კეთილდღეობის გაუმჯობესება და ყველა ადამიანისთვის ძირითადი ადამიანური მოთხოვნილებების დაკმაყოფილებაა. განსაკუთრებული ყურადღება საჭიროებებს და დაუცველი, ჩაგრული და სიღარიბეში მცხოვრები ადამიანების გაძლიერებას უნდა მიექცეს. სოციალური მუშაობის ისტორიული და განმსაზღვრელი მახასიათებელი, პროფესიის ფოკუსირება ინდივიდუალურ კეთილდღეობაზე სოციალურ კონტექსტში და საზოგადოების

კეთილდღეობაა. სოციალური მუშაობის ფუნდამენტური ელემენტია (მიკრო, მეზო, მაკრო) გარემოსადმი ყურადღების გამახვილება, რომლებიც ცხოვრებისეულ პრობლემებს ქმნიან, ხელს უწყობენ და გადაჭრიან (National Association of Social Workers, 1999).

რამდენად შეესაბამება უფლებებზე დაფუძნებული მიდგომა ამ განცხადებას? რასაკვირველია, ადამიანის უფლებები მიმართულია ადამიანის კეთილდღეობის გასაუმჯობესებლად, ხოლო უფლებებზე დაფუძნებული პრაქტიკა ასევე უფლებაჩამორთმეულ ჯგუფებსა და გარემოზე ამახვილებს ყურადღებას (United Nations Development Program, 2003). ამასთან, ერთი მნიშვნელოვანი განსხვავება, ადამიანის საჭიროებებზე ორიენტირებაა. აქ არის პიტერ იუვინის მიერ წარმოდგენილი მოკლე შინაარსი, მოთხოვნილებებსა და უფლებებს შორის განსხვავების შესახებ: უფლება გრძელვადიანი გარანტიაა, რომელიც წარმოადგენს სტრუქტურული მოთხოვნების ერთობლიობას, განსაკუთრებით, ყველაზე მოწყვლადი და არაპრივილეგირებული ან გარიყული ჯგუფებისთვის. ეს არ არის უბრალოდ საჩუქრის, ქველმოქმედების ან თუნდაც ჭკვიანი პოლიტიკის გეგმის შედეგი (Uvin, 2004).

იუვინი ვარაუდობს, რომ უფლების ხელმისაწვდომობა უზრუნველყოფს ადამიანების სტაბილურ წვდომას მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად, საქველმოქმედო მიდგომებისაგან განსხვავებით, რომლებიც შეიძლება დამოუკიდებელი იყოს. რა თქმა უნდა, სოციალური მუშაკები ამჯობინებენ, რომ მათ კლიენტებს საჭირო საქონელსა და მომსახურებაზე სტაბილური წვდომა ჰქონდეთ. გაეროს მოსახლეობის ფონდი (UNFPA) სერვისების ყურადღების გამახვილებასთან დაკავშირებით უფრო ღრმა ანალიზს გვაწვდის, საჭიროებებიდან უფლებებამდე: ძირითადი ცვლილებები შეიძლება შეჯამდეს შემდეგნაირად: (1) ფოკუსირება პროცესზე - მომსახურების გაწევის გზაზე - ასევე შედეგზე; (2) იმის გაცნობიერება, რომ საჭიროებების ცვლილება, ისევე როგორც უფლებების, გაძლიერების, მონაწილეობისა და უნარ-ჩვევების განვითარებისათვის ხსნის კარს და კლიენტებს უფლებას აძლევს მოითხოვონ, რომ მათმა მთავრობამ თავისი ვალდებულებები შეასრულოს; (3) პროგრამებსა და პროფესიებს შორის თანამშრომლობის გაზრდის აუცილებლობა; და (4) კლიენტთა პრობლემების სოციალურ, ეკონომიკურ, კულტურულ და პოლიტიკურ კონტექსტზე უფრო მეტი ფოკუსირება, პოლიტიკაზე უფრო მეტი აქცენტი (United Nations Population Fund (UNFPA) & Harvard School of Public Health, 2010). მიუხედავად იმისა, რომ აქცენტი განსხვავებულია, აქ არაფერია ისეთი, რაც სოციალურ მუშაკთა ეროვნული ასოციაციის კოდექსს ეწინააღმდეგება და მართლაც, იმის არგუმენტირება მოხდა, რომ ფოკუსის ეს ცვლილება, რეალურად სოციალური მუშაკების გაუძლიერებს უნარს, თავიანთი ეთიკური მანდატების შეასასრულებლად (Cemlyn, 2011) (Hancock, 2007).

მიუხედავად ამისა, მინიმუმ, ერთი სფერო მაინც არსებობს, სადაც პოტენციურად, ეთიკურ კონფლიქტს აქვს ადგილი სოციალურ მუშაობასა და ადამიანის უფლებებს შორის და ის უბრუნდება ადამიანის უფლებების ენისთვის დამახასიათებელ პრობლემას, რომელიც ზემოთ იყო ნახსენები. ადამიანის უფლებათა პრინციპის უნივერსალურობა შეიძლება აშშ-ის სოციალური მუშაობის „კულტურული კომპეტენციისა და სოციალური მრავალფეროვნების“ პრინციპს ეწინააღმდეგებოდეს (National Association of Social Workers, 1999). მრავალფეროვნების პრინციპი მოითხოვს, რომ აშშ-ს სოციალურ მუშაკებს „ჰქონდეთ ცოდნის ბაზა თავიანთი კლიენტების კულტურის შესახებ და შეძლონ კომპეტენტურობის დემონსტრირება როგორც, იმ მომსახურების მიწოდებაში, რომლებიც კლიენტებისთვის კულტურულად მგრძობიარეა ასევე, ადამიანებსა და კულტურულ ჯგუფებს შორის

განსხვავებებისადმი“. შეიძლება თუ არა, ადამიანის უფლებებისადმი უნივერსალური მიდგომა შეესაბამებოდეს ამ პრინციპს?

ლინ ჰილი (2007) ამტკიცებს, რომ ეს პრინციპები - ადამიანის უფლებებიდან უნივერსალურობა და სოციალური მუშაობიდან კულტურული რელატივიზმი - შეიძლება ტანდემში მუშაობდნენ, თუ არცერთი არ იქნება უკიდურესი. იგი აღნიშნავს, რომ პრაქტიკაში, ნებისმიერი ღირებულების უკიდურეს პოზიციას შეუძლია ზიანი მიაყენოს: კულტურული ტრადიციები შეიძლება მავნე დისკრიმინაციის წყარო იყოს (ამის მაგალითია, არაერთი გენდერული და სექსუალური ორიენტაციის ნიშნით ჩაგვრა), მაგრამ ასევე უნივერსალური საპასუხო რეაგირება, შეიძლება არამგრძობიარე იყოს და გამოიწვიოს შემდგომი ზიანი (ამის მაგალითია, ლტოლვილი ქალი, რომელიც გამოყოფილია თავისი თემს, ოჯახში ძალადობის მიმართ, მათი არამგრძობიარობის და ჩაურევლობის გამო). ჰილი პრიორიტეტს ანიჭებს სოციალური მუშაობის „ძლიერ კავშირს ადამიანის უფლებებთან“ და სოციალურ მუშაკებს ურჩევს, „უნივერსალიზმ-რელატივიზმის უწყვეტობის შუალედური პოზიცია დაიკავონ... უპირატესობა ზომიერი უნივერსალიზმისკენ“ - ასეთი პოზიცია აღიარებს, რომ ყველა ადამიანს აქვს უფლებები, თანასწორობისა და დაცულობის სრული სპექტრისათვის, ასევე აღიარებს უფლება-მოვალეობებს, რაც გაეროს ადამიანის უფლებათა ხელშეკრულებებშია გაწერილი. კულტურული მრავალფეროვნების მნიშვნელოვნება და კულტურულ ჯგუფებთან კავშირი აღიარებული იქნება როგორც ადამიანის უფლება. ამრიგად, კონკრეტული პრაქტიკის გადაწყვეტილებები უნივერსალურ უფლებების განხორციელებას შეუწყობს ხელს და შეძლებისდაგვარად, კულტურის შენარჩუნებას დაუჭერს მხარს (Healy L. , 2007).

ჰილის აზრით, პრინციპები შეიძლება მოქმედებდეს ერთხმად და მათ შორის დამაბულობამ, შესაძლოა, სოციალური მუშაობის შესახებ, პოტენციურად, უფრო გონივრული გადაწყვეტილებები წამორმშვას. როგორც ის აღნიშნავს, ეს პრინციპები ხშირად კონფლიქტში მოდის, როდესაც დასავლელი სოციალური მუშაკები, ინდივიდზე ორიენტირებული საზოგადოებების, როგორცაა აშშ, კოლექტივისტური კულტურის წარმომადგენელ კლიენტებთან უფრო ურთიერთობენ. იგივე კონფლიქტის მოგვარებისას, პიტერ იუვინი (2004) ანალოგიურ დასკვნამდე მიდის: "დასავლეთ-ცენტრიზმის" დებატები ვერასოდეს მოგვარდება. ეს, ალბათ, არც ისე ცუდია (დასავლელისთვის). მუდმივი დებატები გვაკლდებულებს მიწაზე დავეშვით და საკუთარი თავს კითხვები დავუსვით. ის მკვლევარებსა და პრაქტიკოსებს აიძულებს მხარი დაუჭირონ, რათა შეძლონ მოვლენების ხედვისა და ლაპარაკის ახალი გზების განვითარება, შეარბილონ საკუთარი პრეტენზიები, დაამყარონ კავშირები. დაბოლოს, ყოველივე ეს, მიუხედავად იმისა, რომ მათი ცხოვრება უფრო რთულდება და მათი წარმოდგენები შესაძლოა ნაკლებად წმინდა იყოს, პრაქტიკოსებისთვის, მაინც საკმაოდ კარგი მოვლენაა.

ადამიანთა უფლებები და განათლება სოციალურ მუშაობაში

მოკლედ რომ ვთქვათ, სოციალური მუშაობის მკვლევარები ადამიანის უფლებების შესახებ სტატიების წერისას სულ უფრო მეტად ინტერესდებიან, რომ სოციალური მუშაობის პროფესია, ადამიანის უფლებების ერთგულია და ასევე, სოციალური მუშაობა და ადამიანის უფლებების ეთიკა შეიძლება თანხვედრაში იყოს. ამრიგად, როგორც ჩანს, სოციალური მუშაობის განმანათლებლების ამოცანა, სოციალური მუშაკებს ადამიანის უფლებებისადმი საკუთარი პროფესიული ვალდებულებები გაცნობა და სტუდენტების დახმარებაა, ეს ვალდებულებები პრაქტიკულ ქცევებად აქციონ, რაც მათ მუშაობის პროცესში შეუძლიათ მიიღონ.

სოციალური მუშაობის პროფესიონალურმა საგანმანათლებლო ასოციაციებმა ეს გამოწვევა მიიღეს. 1990-იანი წლების დასაწყისიდან, საერთაშორისო დონეზე, სოციალური მუშაობის სკოლების საერთაშორისო ასოციაციამ (IASSW) ადამიანის უფლებათა კომიტეტი შეინარჩუნა, რომლის უპირველესი მიზანია, "ხელი შეუწყოს ადამიანის უფლებების სწავლებას სოციალური მუშაკებისათვის" (International Association of Schools of Social Work, 2018). კომიტეტი ადამიანის უფლებებთან და სოციალურ მუშაობასთან დაკავშირებულ სასწავლო მასალებს მათ ვებგვერდზე განათავსებს და ადამიანის უფლებათა დაცვის საერთაშორისო კამპანიებს იწყებს. ასევე, IASSW და IFSW სოციალური მუშაობის განათლების სფეროში ადამიანის უფლებების გლობალური სტანდარტების დამკვიდრებაზე ერთად მუშაობდნენ და რეკომენდაციას უწევდნენ, რომ სოციალური მუშაობის ყველა სტუდენტი „სწავლობდეს ადამიანის უფლებების ძირითად მიდგომას, რაც აისახება საერთაშორისო ინსტრუმენტებში, როგორცაა ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია და ბავშვთა უფლებების კონვენცია”.

კონკრეტულად, შეერთებულ შტატებში, სოციალური მუშაობის განათლების საბჭომ (CSWE) ადამიანის უფლებები, როგორც სოციალური მუშაობის განათლების "ძირითადი კომპეტენცია", პირველად 2009 წელს შეიტანა, როგორც საგანმანათლებლო პოლიტიკის და აკრედიტაციის სტანდარტების (EPAS) მიმდინარე გამოცემა (Council on Social Work Education, 2012). როგორც პროფესიის აკრედიტაციის ორგანო, CSWE აყალიბებს EPAS-ს, რომელიც აშშ-ის სოციალური მუშაობის განათლების შინაარსის ჩარჩოს უზრუნველყოფს, სოციალური მუშაობის ყველა სკოლაში, რომლებსაც აქვთ აკრედიტაცია ან ცდილობენ მის მოპოვებას. ეს იმის მყარი მტკიცებულებაა, რასაც მკვლევარები, სოციალური მუშაობის პროფესიაში, ადამიანის უფლებების ცენტრალურ საკითხთან დაკავშირებით ამბობდნენ: აშშ-ის სოციალური მუშაობის განმანათლებლებს მოეთხოვებათ, ადამიანის უფლებების განვითარების ფარგლებში ასწავლონ კომპეტენცია.

ამჟამად, CSWE საგანმანათლებლო პოლიტიკას ამუშავებს, რომელიც სოციალურ მუშაკებს მოუწოდებს „გააძლიერონ ადამიანის უფლებები და სოციალური და ეკონომიკური სამართლიანობა“: თითოეულ ადამიანს, მიუხედავად საზოგადოებაში არსებული პოზიციისა, ადამიანის ძირითადი უფლებები აქვს, როგორცაა თავისუფლება, უსაფრთხოება, კონფიდენციალურობა, ცხოვრების ადეკვატური დონე, ჯანდაცვა და განათლება. სოციალური მუშაკები ჩაგვრის გლობალურ ურთიერთკავშირებს აღიარებენ და გაცნობიერებულნი არიან სამართლიანობის თეორიებსა და ადამიანისა და სამოქალაქო უფლებების ხელშეწყობის სტრატეგიებში. სოციალური მუშაობა აერთიანებს სოციალურ სამართლიანობის პრაქტიკას ორგანიზაციებში, ინსტიტუტებსა და საზოგადოებაში, რათა უზრუნველყოს, რომ ეს ძირითადი უფლებები თანაბრად და ყოველგვარი შეზღუდვის გარეშე გადანაწილდეს. CSWE აღწერილობას შემდეგი სამი პრაქტიკული ქცევით ასრულებს: (1) ჩაგვრისა და დისკრიმინაციის ფორმები და მექანიზმები გაგება; (2) ადვოკატირება ადამიანის უფლებებისა და სოციალური და ეკონომიკური სამართლიანობისათვის; და (3) პრაქტიკაში ჩართვა, რომელიც სოციალურ და ეკონომიკურ სამართლიანობას წინ უსწრებს. ამ ქცევებიდან, მხოლოდ ერთი - ადვოკატირება ადამიანის უფლებებისა და სოციალური და ეკონომიკური სამართლიანობისათვის, პირდაპირ ეხება ადამიანის უფლებებს და შემდგომი მითითებები არ არის მოცემული, თუ როგორ განვსაზღვროთ „ადამიანის უფლებების ადვოკატირება“ (Council on Social Work Education, 2012).

CSWE-ის თანახმად, "კომპეტენციები არის გაზომვადი პრაქტიკის ქცევები, რომელიც ცოდნას, ღირებულებებს და უნარებს მოიცავს". როგორც ჩანს, CSWE სოციალური მუშაობის

განმანათლებლებს ძირითად კომპეტენციას აძლევს ადამიანის უფლებების განვითარება, რისთვისაც გაზომვადი პრაქტიკული ქცევა - ადვოკატირებაა. ადვოკატირება დიდი ხანია სოციალური მუშაობის ცენტრალურ აქტივობას წარმოადგენს და ასევე წარმოადგენს ადამიანის უფლებების პრაქტიკის აუცილებელ ასპექტს. მიუხედავად ამისა, ადამიანის უფლებების ადვოკატირება სოციალური მუშაობის კონტექსტში, შეიძლება რაღაც ახალი იყოს. აშშ-ში, ადამიანის უფლებების ადვოკატირების, სოციალური მუშაობის განათლების ძირითადი კომპეტენციების სიაში ჩართვით, CSWE-მა ადამიანის უფლებების, სოციალური მუშაობის პროფესიული ვალდებულებების დამტკიცებისა და წინსვლის საქმეში მნიშვნელოვანი ნაბიჯი გადადგა. მიუხედავად ამისა, მათ, ადამიანის უფლებების დაცვის სპეციფიკის შესახებ მითითებები ან ინფორმაცია არ მისცეს იმის შესახებ, თუ როგორ შეიძლება ადვოკატირების ეს ახალი ფორმა იმისგან განსხვავდებოდეს, რასაც აშშ-ის სოციალური მუშაკები მთელი ამ ხნის განმავლობაში აკეთებდნენ (Council on Social Work Education, 2012).

გარდა ამისა, EPAS აცხადებს, რომ სოციალური მუშაკები „ადამიანის და სამოქალაქო უფლებების ხელშეწყობის სტრატეგიების შესახებ“ საკითხებში განსწავლულები არიან (Council on Social Work Education, 2012). მიუხედავად იმისა, რომ CSWE ამ „სტრატეგიებს“ არ შეიმუშავებს, განვითარებასა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის უფლებებზე დაფუძნებული მიდგომები გვთავაზობს, რომ სოციალური მუშაობის პრაქტიკაში ადამიანის უფლებათა პრინციპების გამოყენება კარგი დასაწყისი იქნება (United Nations Development Program, 2003) (United Nations Population Fund (UNFPA) & Harvard School of Public Health, 2010).

CSWE სტანდარტების განხილვა და განახლება 2015 წელს მოხდა. ამჟამინდელ ხელახალ განხილვაში, ადამიანის უფლებების კომპეტენცია გაფართოვდა და მკაფიოდ მოიცვა სოციალურ, ეკონომიკურ კულტურულ უფლებები. სოციალურ მუშაკებს ესმით, რომ თითოეულ ადამიანს, განურჩევლად პოზიციისა, რომელსაც საზოგადოებაში იკავებს, ადამიანის ფუნდამენტური უფლებები აქვს, როგორცაა თავისუფლება, უსაფრთხოება, კონფიდენციალურობა, ცხოვრების ადეკვატური დონე, ჯანდაცვა და განათლება. სოციალურ მუშაკებს ესმით ჩაგვრისა და ადამიანის უფლებების დარღვევის გლობალური ურთიერთკავშირი და გაცნობიერებულნი არიან სამართლის თეორიებში, სოციალური და ეკონომიკური სამართლიანობისა და ადამიანის უფლებების განვითარების სტრატეგიებში.

სოციალურ მუშაკებს ესმით სტრატეგიები, რომლებიც შექმნილია მჩაგვრელი სტრუქტურული ბარიერების აღმოსაფხვრელად, რათა უზრუნველყოს სოციალური საქონლისა და პასუხისმგებლობის თანაბრად განაწილება და ადამიანის სამოქალაქო, პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების დაცვა (Council on Social Work Education, 2012).

ადამიანის უფლებების ადვოკატირება, კვლავ რჩება ქცევის ერთადერთ პრაქტიკად, თუმცა ის, ამჟამად, სოციალური სამართლიანობის კონტექსტში ჯდება; ახალი პრაქტიკის ქცევა აცხადებს: "სოციალური მუშაკები სოციალური სამართლიანობის ცოდნას ადამიანის უფლებების ადვოკატირებისთვის იყენებენ" (CSWE, 2014). ადამიანის უფლებების სიღრმისა და სიგანის გათვალისწინებით, რომელიც ამჟამად საერთაშორისო სამართალს მოიცავს, სავარაუდოა, რომ ამ მრავალი უფლებების ადვოკატირება რთული და ყოვლისმომცველი საქმეა, რომელიც სოციალური მუშაკებისგან ახალი ცოდნის შეძენას მოითხოვს. ასევე, იმის გათვალისწინებით, რომ სოციალური მუშაობა "ძირითადად ადგილობრივი პროფესია" არის (Libal, K. & Healy, L., 2013), სოციალურ მუშაობაში

ადამიანის უფლებების ადვოკატირება, სხვადასხვა ადგილას, ასევე განსხვავებული უნდა იყოს, რადგან ადამიანის უფლებები განსხვავებულად არის დაცული და ადამიანის უფლებების განსხვავებული დარღვევები სხვადასხვა ქალაქებში, სახელმწიფოებსა და ქვეყნებში ხდება. ამრიგად, სოციალურ მუშაობაში, ადამიანის უფლებების ადვოკატირება წარმოჩინდება, როგორც განსხვავებული და კომპლექსური საქმიანობა. მიუხედავად ამისა, სოციალურ მუშაობაში უფლებებზე დაფუძნებული მეთოდების თვალსაზრისით, ადვოკატირება მხოლოდ აისბერგის წვერია. ადამიანის უფლებების პრაქტიკის ადვოკატირებით შეზღუდვა, ადამიანებთან პრაქტიკაში, სოციალური მუშაკების მონაწილეობის პოტენციალს მნიშვნელოვნად ამცირებს. სოციალურ მუშაობაში, უფლებებზე დაფუძნებული მიდგომის გამოყენება, შეიძლება სოციალურ მუშაკებს ადამიანის უფლებების კონტექსტში ადვოკატირების უკეთესად გაგებაში დაეხმაროს, ასევე შეიძლება, სოციალური მუშაკებს გარკვეული ბიძგი მისცენ და CSWE-ში უფლებებზე დაფუძნებული ქცევის ნუსხა გააფართოვონ.

სოციალურ მუშაობაში უფლებებზე დაფუძნებული პრაქტიკის ბარიერები და გამოწვევები.

მნიშვნელოვანია, ბარიერების და გამოწვევების მოგვარება, რამაც შეიძლება სოციალურ მუშაობაში უფლებებზე დაფუძნებული პრაქტიკის განხორციელებას ხელი შეუშალოს ან შეაფერხოს. არსებობს ორი სახის ბარიერი: ბარიერების პირველი ნაკრები სოციალური მუშაობის პროფესიაში არსებობს და გამოვლენილია მკვლევარების მიერ, რომლებიც სკეპტიკურად უყურებენ პროფესიონალურ სოციალურ მუშაობას, ადამიანის უფლებათა პრაქტიკის უფრო რადიკალური ელემენტების მიღებაში; ხოლო მეორე ბარიერები არის, შეერთებული შტატების კულტურისთვის დამახასიათებელი და აშშ-ში, პრაქტიკაში, უფლებებზე დაფუძნებული მიდგომის მიღების პრობლემებს ეხება.

ბარიერები პროფესიის შიგნით. სოციალური მუშაობის მომსახურების მიწოდების სტრუქტურა, ხშირად მოიხსენიება, როგორც ბარიერი, უფლებებზე დაფუძნებული პრაქტიკისათვის. ზოგიერთი მეცნიერი ამტკიცებს, რომ სოციალური მუშაობის ორმაგი მისია ინდივიდუალური კეთილდღეობისა და სოციალური კონტროლისთვის, მარტივად არ ემთხვევა ემანსიპატორულ ადამიანის უფლებების ფოკუსს (Murdach, 2011). ეს ბარიერი, სოციალური მუშაკებისთვის, დადგენილი წესების პირობებში განსაკუთრებით თვალსაჩინო შეიძლება იყოს, როგორცაა ბავშვის უსაფრთხოება და ფსიქოსოციალური კორექცია; ამ სოციალურ მუშაკებს შეიძლება სთხოვონ გამოიყენონ სახელმწიფო ძალაუფლება ისე, რაც პირდაპირ ეწინააღმდეგება ინდივიდუალურ უფლებებს. თუმცა, ამ გარემოებებშიც კი, ადვოკატირების პროფესიონალები ამტკიცებენ, რომ არსებობს სტრატეგიები, რომლებიც შეიძლება კლიენტების უფლებების პატივისცემის გათვალისწინებით მოიძებნოს (Buchanan, I. & Gunn, R., 2007).

სოციალური მუშაობის ბიუროკრატიული და მენეჯერული ხასიათი აღმოჩნდა, როგორც უფლებებზე დაფუძნებული პრაქტიკის კიდევ ერთი ბარიერი (Ife, J., 2008) (Cemlyn, 2011), როგორც „ჩვეულებრივი სოციალური მუშაკის თვითკმაყოფილება“ (Staub-Bernasconi, 2012). პირიქით, ნაკლებად თვითკმაყოფილმა სოციალურმა მუშაკებმა, რომლებიც მხარს უჭერენ კლიენტებს სააგენტოს პოლიტიკის წინააღმდეგ, შეიძლება სამსახურებრივ კონფლიქტს შეეჯახონ ან თუნდაც სამსახური დაკარგონ (Buchanan, I. & Gunn, R., 2007). უფრო მეტიც, განსხვავებული აზრის გამო, ადამიანის უფლებადამცველებს ხშირად იმეტებდნენ ძალადობისთვის, წამებისთვის, გაუჩინარებისა და სიკვდილისთვისაც კი.

არაკეთილსაიმედო შედეგები უფლებებზე დაფუძნებული პრაქტიკისათვის აშკარად არახელსაყრელია.

იმ დროს, როდესაც ვრონკა (2008) ამტკიცებს შემდეგს: სოციალური მუშაობის მომსახურების იდეალური მიზანი იქნებოდა ის, რომ "არ უნდა არსებობდნენ ღარიბები, რომელსაც დახმარება სჭირდება", სხვა მკვლევარები ირწმუნებიან, რომ სოციალური სამუშაო, უბრალოდ ზედმეტად ჩაფლულია უსამართლო სოციალურ წესრიგში, რათა აუცილებელ რეფორმას ადვოკატირება გაუწიოს. ბრიქერ-ჯენკინსი, იანგი და ჰონკალა (2007) ადასტურებენ, რომ სოციალური მუშაკები მხოლოდ სიღარიბის შემსუბუქებას ცდილობენ (სიღარიბე არის ადამიანის უფლებების დარღვევა, როგორც განსაზღვრულია ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციის 25-ე მუხლით) და არა მისი აღმოფხვრას, რადგან მეტის გაკეთებამ, შეიძლება სოციალური მომსახურების საჭიროება შეამციროს და ისინი სამსახურიდან დაითხოვონ. სტაუბ-ბერნასკონი (2012) მიიჩნევს, რომ სოციალური მუშაობის პროფესიამ საკუთარი განზრახვა უნდა გააძლიეროს, რომელიც უნდა მოიცავდეს „ადამიანის უფლებებს, როგორც ცენტრალურ, მარეგულირებელ იდეას სოციალური მუშაობის მთელ დისციპლინასა და პრაქტიკაში“ და შესაბამისად, სოციალური მუშაკები დაიცვას, რომელთაც სურთ უფლებებზე დაფუძნებული პრაქტიკა ამ სფეროში განახორციელონ. იგი სოციალურ მუშაკებს სთავაზობს, შეიტანონ ადამიანის უფლებების დარღვევები მათ შეფასების ოქმებში, როგორც დამატებითი „დიაგნოსტიკური კატეგორია“. გარდა ამისა, ის სოციალურ მუშაკებს მხარს უჭერს, იმოქმედონ თავიანთი პროფესიული ეთიკის შესაბამისად, მათ შორის ადამიანის უფლებების ადვოკატირების ჩათვლით. იგი იმედოვნებს, რომ წამყვანი პროფესიული ორგანიზაციების ადამიანის უფლებების მანდატს შეუძლია უზრუნველყოს სოციალური მუშაკების პროფესიული ლეგიტიმაცია, „ნაწილობრივ შეცვალოს ან თუნდაც უარყოს ეს მანდატები, როგორც სააგენტოდან, ასევე კლიენტებისაგან“ (Staub-Bernasconi, 2012).

შეერთებული შტატების სოციალური მუშაკების განსაკუთრებული გამოწვევები. აშშ-ს ექსკლუზიურობა, როგორც ზემოთ ავლინებთ, აშშ-ში სოციალური მუშაობის პროფესიას რამდენიმე გამოწვევას უქმნის, რადგან ის, სოციალური მუშაობის პრაქტიკაში, უფლებებზე დაფუძნებული მიდგომის გამოყენებას მოიაზრებს. ვიტკინი (1998) ამტკიცებს, რომ აშშ-ის სოციალურმა მუშაკებმა მეტწილად აშშ-ის ადამიანის უფლებების ხელმძღვანელობის დომინანტური დისკურსი მიიღეს. ამრიგად, მათ არ ესმით, რომ მათი ამერიკელი კლიენტები, რომლებიც სიღარიბეს, ოჯახში ძალადობას და უსახლკარობას განიცდიან, სინამდვილეში ადამიანის უფლებების დარღვევის მსხვერპლი არიან, რადგან მათ, ამ სოციალური მუშაობის ტიპური პრობლემები, ისევე როგორც ადამიანის უფლებების საკითხები, არ იციან. ამ წესის გამონაკლისს სოციალური მუშაკები იწარმოადგენენ, რომლებიც ყურადღებას ლტოლვილებზე ან ადამიანებით ვაჭრობას (ტრეფიკინგის) გადარჩენილ ადამიანებზე ამახვილებენ. ეს საერთაშორისო საკითხები ხშირად კონტექსტუალურია ადამიანის უფლებების თვალსაზრისით (McPherson, J., Chiarelli-Helminiak, C., Libal, K., & Harding, S., 2013).

რა თქმა უნდა, თუ, როგორც ვიტკინი ამტკიცებს, აშშ-ის სოციალური მუშაკები აშშ-ის დანარჩენ მოქალაქეებს ჰგვანან, მაშინ ნაკლებად სავარაუდოა, რომ მათ აქვთ ცოდნა ეკონომიკური და სოციალური უფლებების შესახებ. რა თქმა უნდა, ცოდნის გარეშე, ადვოკატირება არ შეიძლება იყოს ეფექტური, როგორც ამას მოითხოვს CSWE. ეს იმაზე მეტყველებს, რომ დიდი ალბათობით არსებობს „ადამიანის უფლებების ადვოკატირება“, ვიდრე ის, რასაც სოციალური მუშაკები უკვე აკეთებენ; დამატებითი განათლება, როგორც სოციალური მუშაკებისთვის, ასევე სოციალური მუშაობის განმანათლებლებისთვის,

შესაძლოა CSWE-ის ძირითადი უფლებამოსილების დასაკმაყოფილებლად და ადამიანის უფლებების განვითარებისათვის მნიშვნელოვანი ნაბიჯები იყოს.

სოციალური მუშაობის სტუდენტთა ერთ-ერთმა ბოლო კვლევამ მხარი დაუჭირა ჰიპოთეზას, რომ აშშ-ს სოციალური მუშაკებს დიდი სურვილი აქვთ დაიცვან ადამიანის უფლებები, მაგრამ შეიძლება არ იცოდნენ ამ უფლებების მოცულობის შესახებ. სტუდენტთა უმრავლესობამ (93.6%) დაადასტურა, რომ ისინი "თავდადებულად" გაუწევენ ადვოკატირებას თავიანთი კლიენტების უფლებებს და შეთანხმდნენ, რომ სოციალური მუშაკები კლიენტების ადვოკატირებას უნდა ეწეოდნენ "ყველა მათ უფლებისა და თავისუფლების" ხელმისაწვდომობაზე (96.8%). ანალოგიურად, გამოკითხულთა თითქმის 90% ეთანხმება, რომ მათი კლიენტების უფლებების დარღვევის იგნორირება არაეთიკური იქნება. თუმცა, ცოტამ (16.7%) თუ წაიკითხა ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია ან აღნიშნა, რომ მათი სოციალური მუშაობის სასწავლო გეგმა ადამიანის უფლებებს მოიცავს (McPherson, J., 2013).

უფლებებზე დაფუძნებული მიდგომა სოციალური მუშაობის პრაქტიკაში.

მიუხედავად იმისა, რასაც სოციალური მუშაობის მკვლევარები ამტკიცებდნენ, რომ სოციალური მუშაობა არის ადამიანის უფლებების პროფესია, სოციალური მუშაობის გავლენა ადამიანის უფლებების უფრო ფართო სფეროში ჯერჯერობით შეუმჩნეველი დარჩა (Androff, 2010). ადამიანის უფლებების ჩარჩო უზრუნველყოფს მექანიზმს, რათა მოხდეს „პრობლემების“ გადახედვა და გადარქმევა, მაგალითად, როგორცაა დაბინძურებული წყალი ან არასაკმარისი კვება - „დარღვევებად“ და როგორც ასეთი, ისეთ დარღვევებად, რომელიც შემწყნარებელი არ უნდა იყოს. ...უფლებები ცხადყოფს, რომ დარღვევები არც გარდაუვალია და არც ბუნებრივი, მაგრამ განზრახ გადაწყვეტილებებისა და პოლიტიკის შედეგად წარმოიქმნება. ახსნა-განმარტებისა და ანგარიშვალდებულების მოთხოვნით, ადამიანის უფლებები დარღვევების მიღმა დაფარულ პრიორიტეტებს და სტრუქტურებს ავლენს და სიღარიბის შემქმნელ და შემწყნარებელ პირობების შესახებ გამოწვევებს აყენებს (Jochnick, 1999).

თავი III - სოციალური პოლიტიკის ანალიზი და უფლებებზე დაფუძნებული მიდგომა.

სოციალურ პოლიტიკას პოტენციალი აქვს, ჩვენი დღევანდელი საზოგადოებების უფრო სამართლიან და თანაბარუფლებიან საზოგადოებად გარდაქმნაში გადამწყვეტი როლი შეასრულოს. სანამ ჩვენ ვცდილობთ, ასეთი სოციალური პოლიტიკის განხორციელებით ნაბიჯი უკან გადავდგათ, ეს, მით უფრო მეტად ემსგავსება ჩვენს პოლიტიკას, პოლიტიკას, რომელსაც ძალიან ხშირად არ გააჩნია მათი ეფექტურობის მტკიცებულება და ეს ეფექტურობა და განვითარება უფრო მეტად ფასდება, ვიდრე ადამიანის ღირსება, თავისუფლება, თანაბარუფლებიანობა და თანასწორობა, როგორც პროცესში, ასევე შედეგებში.

პოლიტიკის ანალიზი არის ის ძალისხმევა, სისტემატურად გააცნობიეროს საზოგადოების ქმედებებისა და განზრახვების შედეგები საზოგადოების სხვადასხვა სექტორზე

(განათლება, კომუნიკაცია, ურთიერთობები, ჯანდაცვა, მართლმსაჯულება, ეკონომიკა და სხვა). როგორც წესი, მიჩნეულია, რომ ეს სფერო მეორე მსოფლიო ომის შემდგომი სამხედრო დაგეგმვის შედეგად წარმოიშვა, რომელსაც ახორციელებდნენ RAND კორპორაცია¹¹ და სხვა კვლევითი ცენტრები. მისი ინტელექტუალური ფესვები ხშირად მოიხსენიება, როგორც ჰაროლდ ლასველის პოლიტიკური ანალიზის ნაშრომი, რომელიც 1940-იანი წლების ბოლოს დაიწყო და 1950-იან წლებში ხარჯების სარგებლის ანალიზის ფორმალური განვითარების კუთხით თვალსაჩინო გახდა. პოლიტიკის ანალიზი არის ინტერდისციპლინარული, რომელიც ეკონომიკის, პოლიტოლოგიის, სოციოლოგიის, საჯარო მმართველობისა და ისტორიის ცნებებს ემყარება.

თავდაპირველად, პოლიტიკის ანალიზი სამხედრო და წყლის რესურსების საკითხებში, პოლიტიკის არჩევანის სიძლიერის და შეზღუდვების უკეთ გასაგებად გამოიყენებოდა და დროთა განმავლობაში სხვა სფეროებზე ვრცელდებოდა. 1960-იანი წლების ბოლოს, იგი ლინდონ ჯონსონის მიერ დადგენილი შიდა პროგრამების „დიდი საზოგადოების“, ჯანმრთელობის, განათლებისა და სიღარიბის საწინააღმდეგო პოლიტიკის შედეგების გასაგებად გამოიყენებოდა და ამ ტიპის კვლევა საყოველთაოდ ცნობილი, სოციალური პოლიტიკის სახელით გახდა.

მიუხედავად იმისა, რომ სოციალური პოლიტიკის ანალიზი როგორც დისციპლინა ათწლეულების განმავლობაში გამოიყენება,, მისი წინასწარგანზრახული შედეგების მიღების უნარის გამო, პოლიტიკოსები და ანალიტიკოსები ცდილობენ თავი აარიდონ. რიჩარდ ნელსონმა ეს იმედგაცრუება 1977 წელს ენამწარედ შეაჯამა: ”თუ ჩვენ შეგვიძლია ადამიანი მთვარეზე დავსვათ, რატომ არ შეგვიძლია გადავწყვიტოთ გეტოს პრობლემები? ეს კითხვა წარმოადგენილია, როგორც მეტაფორას სხვადასხვა სახის პრეტენზიების შესახებ, ამერიკის პოლიტიკური ეკონომიკის არათანაბრობის წარმოსაჩენად. ეკონომიკაში, ასეთი უზარმაზარი რესურსებითა და მძლავრი ტექნოლოგიებით, რატომ არ შეგვიძლია მივაწოდოთ სამედიცინო მომსახურება გონივრულ ფასად ყველას, ვისაც ეს სჭირდება, შევინარჩუნოთ ქუჩები, ჰაერი და სუფთა წყალი, დავწიოთ დანაშაულის დონე, განვანათლოთ გეტოს ბავშვები, უზრუნველვყოთ ღირსეული და დაბალბიუჯეტური მასობრივი ტრანსპორტი ... ” (Nelson, 1977).

სოციალური პოლიტიკის ანალიზის სხვადასხვა ჩარჩოები სოციალური მუშაკებისა და მკვლევარების მიერ არის შემუშავებული (Bardach, 1986) (Chambers, 2000) (DiNitto, 1995) (Dobelstein, 1996) (Gilbert, N., & Terrell, P., 1986), რომელთაგან თითოეული მათგანი რაციონალისტურ მიდგომის იმ ფესვებს ეყრდნობოდა, რომელიც აღიარებული იყო სოციალური დამგეგმავების მიერ, სადაც თითოეული ხაზს უსვამს სოციალური პოლიტიკის ანალიზისა და განზრახვის განსხვავებულ ასპექტს და ზოგჯერ პოლიტიკის პროცესი პოლიტიკის ანალიზში ერევათ. პოლიტიკის ანალიზი მიზნად ისახავს პოლიტიკის არჩევანის გათვალისწინებას, პოლიტიკის მიზნის მიღწევის შეფასებას და ზოგჯერ პოლიტიკის შემუშავების პოლიტიკურ, სოციალურ და ტექნიკურ პროცესებს (Stone, 2002). პოლიტიკის არჩევანისთვის გაკეთებული სხვადასხვა ანალიზი, შერჩეული მიზნების შეფასებას და ერთდროულად ჩართულ პროცესებს, სოციალური მუშაობის პრაქტიკის ზოგადად, უფრო ყოვლისმომცველი მიდგომებიდან გადახვევას იშვიათად, თუმცა, ითვალისწინებს. სოციალური პოლიტიკის მიზნები განიხილება, როგორც საბოლოო მიზნები, რომელიც ყველაზე ხშირად დაკავშირებულია მოსახლეობის

¹¹ RAND Corporation არის არაკომერციული ინსტიტუტი, რომელიც ეხმარება გააუმჯობესოს პოლიტიკა და გადაწყვეტილებების მიღება კვლევისა და ანალიზის საშუალებით.

დაუკმაყოფილებელი მოთხოვნები დაკმაყოფილებასთან. პოლიტიკის ანალიზი, რომელიც ხშირად დომინირებულია ეკონომიკით, სხვა ფასეულობებთან მიმართებაში, უპირატესობას ეფექტურობას ანიჭებს, მოქმედებაში მოჰყავს ეს სხვა „დაფარული ღირებულებები, რათა ანალიზი უფრო მეცნიერულად გამოაჩინოს, დისკუსიის ზოგიერთი ძირითადი ვარაუდის გამოტოვებით“ (Myrdal, 1968) და ამით შემოიფარგლება სოციალური პოლიტიკით გადაწყვეტილების მიღების რაციონალურობა და მისი შემდგომი შეფასება. გილბერტი და ტერელი (2005) ამტკიცებენ, მიუხედავად იმისა, რომ ნაკლებად აღიარებულია, სოციალური ღირებულებები ემყარება პოლიტიკის ანალიზს და როგორც წესი, განსაზღვრავს ალტერნატივების დიაპაზონს და არჩევანის გამამართლებელ თეორიებში ან ვარაუდებშია ჩაშენებული.

ამ ღირებულებების დანერგვის პროცესი, მკვლევარებს შორის ყველაზე ნაკლებად არის შესწავლილი. პოლიტიკა ხშირად ფორმულირდება და ხორციელდება მთავრობის სხვადასხვა დონეზე, ზოგჯერ, კონფლიქტებს და განსხვავებებს პრიორიტეტებსა და ღირებულებებში, საზოგადოების სხვადასხვა ჯგუფში ასახავს. მაგალითად, ფედერალური პოლიტიკა შეიძლება მთავრობის მეშვეობით გატარდეს და ადგილობრივ დონეზე განხორციელდეს. თითოეულ დონეზე, პრიორიტეტების უკეთ გააზრების, მის, პოლიტიკის შემუშავებაზე გავლენის და შედეგებზე ორიენტირების ნაცვლად, სოციალური პოლიტიკის ანალიზის სტუდენტების უმეტესობას, პოლიტიკის შემქმნელთა პოლიტიკის მიზნების მისაღწევად განხორციელების ეფექტურობისა და ეფექტიანობის გაანალიზებას ასწავლიან, ამასთანავე, პრიორიტეტებში განსხვავებებს უგულვებელყოფენ.

ეს საინტერესოა, ვინაიდან, როგორც ჩანს, კონკრეტული ღირებულების ორიენტაციასთან კავშირი პოლიტიკის ანალიზის საფუძველი იყო. ლასველმა მოითხოვა დემოკრატიის პოლიტიკის მეცნიერების განვითარება, სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, პოლიტიკის ანალიზი დემოკრატიული ღირებულებების შემდგომი განვითარებისათვის იქნება გამოყენებული. როგორც გამოყენებითი სოციალური მეცნიერება, ლასველი მიზნად ისახავდა პოლიტიკის ანალიზს, რათა საზოგადოების არასწორი ნაბიჯები გამოეყენებინა და რეკომენდაცია გაეწია დასაბრუნებელ, მინიმალური დანახარჯებით მაქსიმალური სოციალური სარგებლის მისაღებ გზაზე (Smith, K. B., & Larimer, C. W., 2009). თუმცა, როგორც ინგრამ და სმიტმა (1998) აღნიშნეს, პოლიტიკის ანალიზის მეთოდი მოქალაქეობისა და დემოკრატიის განვითარების გზების გასაზომად იშვიათად იქმნება. „მოქალაქეობისა და დემოკრატიის შესახებ სასარგებლო კვლევითი კითხვების ნაცვლად, არსებული ჩარჩოები და მეთოდები მოქალაქეობისა და დემოკრატიის ნორმატიულ კითხვებს იგნორირებას უკეთებენ, რომლის მეშვეობითაც საჯარო პოლიტიკის მკვლევარებს შეუძლიათ თანამედროვე ინსტიტუციური და პოლიტიკური ცვლილებები“ შეაფასონ (Ingram, H., & Smith, S., 1998). მის შემდგომ ნაშრომში, ლასველი აცხადებს, რომ პოლიტიკის პროცესი არ უნდა დაიყოს პოლიტიკის ანალიტიკოსებსა და ადმინისტრაციულ სახელმწიფოს შორის; უფრო მეტიც, ის უნდა იყოს „უწყვეტი საერთო მონაწილეობის მხარდაჭერის“ მომხრე (Lasswell, 1971) და პოლიტიკის ანალიტიკოსების მიზანი „პროფესიის განსაკუთრებული ინტერესების დაქვემდებარება საზოგადოებრივი ინტერესის აღმოჩენისა და წახალისებისკენ უნდა იყოს მიმართული. ეს გულისხმობს თემის უშუალო მონაწილეობას, ასევე კლიენტთა მომსახურებას (Lasswell, 1971)“.

უფლებებზე და საჭიროებებზე დაფუძნებული მიდგომები სოციალური პოლიტიკის ანალიზის ჭრილში

უფლებებზე დაფუძნებული მიდგომა ხელმძღვანელობს სოციალურ მუშაკებს, თუ როგორ უნდა მოახდინონ ადამიანის უფლებების პრინციპების ინტეგრირება სოციალურ სამუშაო პრაქტიკაში, რათა მოხდეს გრძელვადიანი და მოკლევადიანი რეაგირება თანამედროვე სოციალურ საკითხებზე, რაც ადამიანის უფლებებით სარგებლობას შეუწყობს ხელს. ადამიანის უფლებები განუყოფელია ადამიანის ცხოვრების და უსაფრთხოების, ადამიანის პროგრესის მიღწევის, ადამიანის ღირსების დაცვისა და ადამიანის უსაფრთხოების წინსვლისათვის.

საზოგადოებების უმეტესობა, დიდი ხანია მიჰყვება "ძირითადი საჭიროებების" მიდგომას, ანუ მიდგომას, რომელიც ადამიანის განვითარების ძირითადი მოთხოვნების იდენტიფიცირებას და საზოგადოების შიგნით ადვოკატირებას ემყარება, მათი შესრულების სასარგებლოდ. მიუხედავად იმისა, რომ ადამიანის უფლებები საჭიროებებზეა დაფუძნებული, ადამიანის უფლებებზე დაფუძნებული მიდგომა, ძირითადი საჭიროებებზე დაფუძნებული მიდგომისაგან რადიკალურად განსხვავდება. მთავარი განსხვავება ისაა, რომ ძირითად საჭიროებებზე დაფუძნებული მიდგომა სულაც არ განსაზღვრავს ან გულისხმობს პასუხისმგებლობის მოთხოვნილების დაკმაყოფილებას, მაშინ როდესაც ადამიანის უფლებებზე დაფუძნებული მიდგომისას უფლება უფლებების მფლობელებს ენიჭება, რომლებიც საკუთარ უფლებებს მოვალეობის შემსრულებლებისგან მოითხოვენ.

უფლებები ვალდებულებებს გულისხმობს, ხოლო საჭიროებები - არა. მოვალეობის შემსრულებლებს აქვთ მკაფიო მოვალეობა, დააკმაყოფილონ საჭიროებები და თუ არა, გამოდის, რომ უფლებების მფლობელთა უფლებებს არღვევენ. საჭიროებებზე დაფუძნებული მიდგომით, საჭიროებების დაკმაყოფილება, ხშირად კეთილიმოსურნეთა ან საქველმოქმედო ქმედებებით ხდება. ადამიანის უფლებებზე დაფუძნებულ მიდგომასთან დაკავშირებული ქმედებები *სამართლებრივ და მორალურ ვალდებულებებს* ემყარება, შეასრულოს მოვალეობა, რომელიც ადამიანის უფლებების რეალიზებას შეუწყობს ხელს. საჭიროებებზე დაფუძნებული მიდგომისას ვარაუდობენ, რომ რესურსების გამოყოფის ძალაუფლების/უფლებამოსილების მქონე პირ(ებ)მა იცის რა არის „საჭირო“ და როგორ მიაწოდოს ის საუკეთესოდ, რაც საჭიროდ იქნა მიჩნეული. ეს სრულიად განსხვავდება უფლებებზე დაფუძნებული მიდგომისაგან, რომლის დროსაც უფლებების მფლობელები და მოვალეობის შემსრულებლები, გადაწყვეტილების მიღების პროცესსა და მის განხორციელებას იდეალურ შეუწყობენ ხელს.

უფლებების მფლობელებმა ან მათმა წარმომადგენლებმა, პოლიტიკისა და პროგრამების შემუშავებაში, განხორციელებასა და მონიტორინგში მონაწილეობა უნდა მიიღონ კარგად ინფორმირებული გზებით და სახელმწიფოს მიერ სხვა ქმედებების შემუშავებისას სრულად უნდა იყვნენ კონსულტირებული. ეს მონაწილეობითი პროცესი უფლებების მფლობელთა მიერ შესაბამისი საკითხებისა და მათი თვითგამორკვევის შესაძლებლობების გაგებას ხელს უწყობს და აძლიერებს. ამ გზით, უფლებებზე დაფუძნებული მიდგომები, ძალაუფლების გადანაწილებით და გადაწყვეტილების მიღების გზით ცდილობენ საზოგადოების გარდაქმნას. ეს არის შედეგი, რომელიც საჭიროებებზე დაფუძნებული მიდგომებისთვის დამახასიათებელი არ არის.

მიდგომების კიდევ ერთი მთავარი განსხვავება ის არის, რომ ძირითად საჭიროებებზე დაფუძნებული მიდგომა, შეიძლება აღიარებდეს ან არ აღიარებდეს ისტორიულ მარგინალიზაციას, ხოლო უფლებებზე დაფუძნებული მიდგომა, რესურსებისა და ძალაუფლების უფრო სამართლიანი განაწილების გზით, მიზნად ისახავს მარგინალიზაციის პირდაპირ გადალახვას.

საჭიროებებზე დაფუძნებული მიდგომა, როგორც წესი, პროგრამულ მიზნებს ადგენს და პოლიტიკის ინტერვენციის შედარება ხშირად ამ მიზნების მიღწევით ხდება. უფლებებზე დაფუძნებული მიდგომის მიხედვით, პოლიტიკის ან პროგრამის ჩარევის წარმატების შედარება კეთდება ადამიანის თანდათანობითი უფლებების რეალიზაციასთან. პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური და ინსტიტუციური სისტემების და აქტორების გადაწყვეტილებები, მოქმედებები და ქცევა, მათი წვლილი უფლებების რეალიზაციაშია შეფასებული. უფლებებზე დაფუძნებული სოციალური პოლიტიკის ანალიზი, ასევე განსხვავდება საჭიროებებზე დაფუძნებული მიდგომებისაგან იმით, რომ უფლებებზე დაფუძნებული მიდგომა შეიძლება უფლებების კონკრეტულ ერთობლიობაზე ფოკუსირდეს, მაგრამ ის აღიარებს, რომ უფლებების ფართო სპექტრს უფლებასთან ან უფლების ერთობლიობასთან ტანდემში მუშაობა დასჭირდება, რათა რეალიზდეს. მიუხედავად იმისა, რომ არ არსებობს უფლებების იერარქია (განუყოფლობა), ზოგიერთი ადამიანის უფლება თანდათანობითია, ზოგი კი მყისიერი. მაგალითად, სიცოცხლის უფლება, კანონის წინაშე თანასწორი გამოხატვის უფლება და საკუთარი თავის გამოხატვის თავისუფლება - მყისიერია. ბევრი სოციალური და ეკონომიკური უფლება, სახელმწიფო რესურსების გამოყენებას მოითხოვს და არსებული რესურსების საფუძველზე თანდათანობით ხორციელდება. მთავრობას, ვალდებულება აქვს გააუმჯობესოს სოციალური, ეკონომიკური და კულტურული უფლებების რეალიზება, როგორცაა ყველა ბავშვისთვის ხარისხიანი განათლების მიღწევა ან ყველასთვის ჯანმრთელობის უმაღლესი სტანდარტი და მინიმუმ, თითოეული უფლების აუცილებელი დონის დაკმაყოფილება. თავისი არსით, უფლებებზე დაფუძნებული მიდგომა შედეგების გაზომვას დროთა განმავლობაში მოითხოვს, არა მხოლოდ დროის ერთ, კონკრეტულ მომენტში და მრავალჯერადი ძალისხმევის ურთიერთდაკავშირებას აღიარებს (ცხრილი 3).

ცხრილი 3. სოციალურ პოლიტიკაში, საჭიროებებზე დაფუძნებული და უფლებებზე დაფუძნებული მიდგომების შედარება

	საჭიროებებზე დაფუძნებული მიდგომა	უფლებებზე დაფუძნებული მიდგომა
ეხმარება ინდივიდებს რომლებიც განიხილებიან:	დამსახურებული დახმარება და გაჭირვებაში ყოფნა	როგორც დახმარების უფლება
მოქმედება ეფუძნება:	ქველმოქმედება ან საჭიროების მტკიცებულება	სამართლებრივი და მორალური ვალდებულებები, უფლებების მოთხოვნა
პოლიტიკის გადაწყვეტილებები მზადდება:	პოლიტიკური ელიტის და ექსპერტების მიერ	უფლებების მფლობელ და მოვალეობის მქონეთა, მათ შორის ბენეფიციარების, ექსპერტების და წარმომადგენლების ფართო მონაწილეობა
მონიტორინგი	საჭიროებები და შედეგები	პროცესი და შედეგები, ტრანსფორმაციული ცვლილებები
შეფასებები	პროგრამულ მიზნებთან შედარება	ადამიანის უფლებების თანდათანობითი რეალიზაცია იმ საკითხებზე ფოკუსირებით, რომელზეც პოლიტიკა ცდილობს გავლენის მოხდენას, მათ შორისაა მიღებული გადაწყვეტილებები და ქმედებები
განხორციელების ვალდებულება:	მთავრობის ნებაა	კანონიერი მოთხოვნაა
შედეგები:	გამოიყენება პოლიტიკოსებისა და ექსპერტების მიერ, თუ ისინი, რელევანტურად მიიჩნევენ	საჭიროა უფლებების მფლობელებთან და მოვალეობის შემსრულებლებთან გაზიარდეს
პოლიტიკის მიზნებია:	სტაგნაცია და განსაკუთრებით კონკრეტული პოლიტიკა	დროებითი და ცოდნისა და უფლებების განვითარების გააზრების ცვლილებას ექვემდებარება

პოლიტიკის ანალიზისადმი უფლებებზე დაფუძნებული მიდგომების მიზანია, პოლიტიკამ უფლებების რეალიზაციის უფრო მაღალ დონეს შეუწყოს ხელი. პოლიტიკის მიზნები დროებითია და შეიძლება შეიცვალოს, რადგან როგორც ჩვენ გვესმის საკითხებისა და უფლებების სისრულე, უფლებების რეალიზაციის ჩვენი ინტერპრეტაცია იცვლება და შესაბამისად, ჩვენი პრაქტიკაც უნდა შეიცვალოს.

ტრადიციული ინდიკატორები უნდა გადაიხედოს, რადგან არსებობს განსხვავებული აქცენტი, რომელიც ადამიანის უფლებებზე დაფუძნებული მიდგომას პოლიტიკასა და პროგრამებში შემოაქვს. უფლებებზე დაფუძნებული მიდგომის კრიტერიუმები მონიტორინგს სოციალური მუშაობის ძალისხმევის პროცესს და შედეგს უწევს, ის უკავშირდება ადამიანის უფლებების პრინციპებს, მათ შორის არადისკრიმინაციას, თანასწორობას, მონაწილეობას და ანგარიშვალდებულებას და ცდილობს შეაფასოს გარდამტეხი ცვლილება უფლებების მფლობელებსა და მოვალეობის შემსრულებლებს შორის.

უფრო მეტიც, ბოლო დრომდე, სოციალური პოლიტიკის ანალიზში, უფლებებზე დაფუძნებული მიდგომის გამოყენების ძალისხმევა შეზღუდული იყო (Ife, J., 2008) (Reichert, E., 2011) (Wronka, 2008) და გაეროს სააგენტოების ძალისხმევა ორიენტირებულია სტანდარტების შემუშავებაზე, განხორციელებაზე და მონიტორინგზე. საერთაშორისო სააგენტოები ბევრს მუშაობენ სტანდარტების დამკვიდრებაზე, რომლებმაც ადამიანის უფლებების, მათ შორის სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების, დასავლურ ინტერპრეტაციებზე გადაჭარბებული აქცენტი გააკეთეს. სამოქალაქო და პოლიტიკურ უფლებებზე გადაჭარბებული აქცენტი, ხშირად ამცირებს ადამიანის უფლებამოსილებას და ზღუდავს ადამიანის უფლებათა ზუსტ დიაგნოზს, რაც ინდივიდუალურ და არა კოლექტიურ უფლებებზე ფოკუსირებას იწვევს, ასევე სოციალური ინკლუზიის გაზრდას და უთანასწორობის შემცირებას უგულვებელყოფს. მაშინ, სახელმწიფოებმა მიიღეს უფლებამოსილება, ეს საერთაშორისო სტანდარტები განხორციელონ, რაც შეიძლება ქვეყნის კულტურულ, სოციალურ, ეკონომიკურ და პოლიტიკურ კონტექსტს ეწინააღმდეგებოდეს და შეიძლება შექმნან თავდაცვითი პოზიციები სახელმწიფოებისთვის საერთაშორისო შემფასებლების მიერ მონიტორინგის შედეგად, რომლებიც არაპროპორციულ აქცენტს აკეთებენ უფლებების დარღვევაზე, უფლებებზე დაფუძნებული გადაწყვეტილებების მაგივრად.

სოციალური პოლიტიკა და ადამიანთა უფლებები

მიუხედავად იმისა, რომ ათწლეულების განმავლობაში სოციალურმა უსაფრთხოებამ მრავალ სახელმწიფოში განუყოფელი როლი შეასრულა, ბოლო ორი ათწლეულის განმავლობაში სოციალურმა პოლიტიკამ და პროგრამებმა იმ როლისთვის მოიპოვა აღიარება, რაც მათ ქვეყნების, განსაკუთრებით განვითარებადი ქვეყნების პოლიტიკურ და ეკონომიკურ სტაბილიზაციასა და განვითარების ხელშეწყობაში გააჩნიათ. სულ უფრო მეტად, სოციალური პოლიტიკა და პროგრამები, ხშირად მოხსენიებულია, როგორც სოციალური დაცვის სისტემები, განიხილება, როგორც სიღარიბესა და მოწყვლადობაზე ეფექტური პასუხი, განვითარებად ქვეყნებში და როგორც ეკონომიკური და სოციალური განვითარების სტრატეგიების უმნიშვნელოვანესი კომპონენტი (Devereux, S., & Sabates-Wheeler, R., 2004). გასული ათწლეულის განმავლობაში, სულ უფრო მეტმა ორგანიზაციამ მიიღო უფლებებზე დაფუძნებული მიდგომა, ხოლო გაეროს სააგენტოებს შორის ამას დიდი ხანია შრომის საერთაშორისო ორგანიზაცია ხელმძღვანელობს. უფლებებზე დაფუძნებული მიდგომა სოციალურ უსაფრთხოებას პოლიტიკიდან გადააქვს

სახელმწიფოს და საერთაშორისო მმართველობის სტრუქტურების ვალდებულებად (Van Ginneken, 2003). ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციის 22-ე მუხლი ასახავს სოციალური დაცვის უფლებას, როგორც ადამიანის ერთ-ერთ ფუნდამენტურ უფლებას: „ყველას, როგორც საზოგადოების წევრს, აქვს სოციალური დაცვის უფლება და აქვს უფლება განახორციელოს, ეროვნული ძალისხმევით და საერთაშორისო თანამშრომლობით და თითოეული სახელმწიფოს ორგანიზაციისა და რესურსების შესაბამისად, ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებები, რომლებიც აუცილებელია მისი ღირსების შენარჩუნებისა და პიროვნების თავისუფალი განვითარებისათვის.“ ეს უფლება გაჟღერებულია ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების საერთაშორისო პაქტის მე-11 მუხლში და გაეროს ადამიანის უფლებათა სხვა ძირითად დოკუმენტებში.

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მთავარი აღმასრულებელი საბჭოს, 2009 წლიდან დაწყებული მინიმალური ზღვრების ინიციატივების რეკომენდაციებზე დაყრდნობით, უფლებებზე დაფუძნებულმა მიდგომამ სოციალური უსაფრთხოების კუთხით შემდგომი განვითარება მიიღო, მთავრობები დაავალდებულა, უზრუნველყოთ ყველა პირის ხელმისაწვდომობა, უწყვეტობა, გეოგრაფიული და ფინანსური ხელმისაწვდომობა, არსებითი მომსახურება, მაგალითად: წყალი და სანიტარია, საკვები და ადექვატური კვება, ჯანმრთელობა, განათლება, საცხოვრებელი და სხვა სოციალური მომსახურება, როგორცაა თანხის დაზოგვის შესახებ ინფორმაცია. იგი სახელმწიფოებს ავალდებულებს უზრუნველყონ მინიმალური შემოსავალი და საარსებო წყარო ღარიბი და დაუცველი მოსახლეობისთვის, როგორცაა ბავშვები, არასაკმარისი შემოსავლის მქონე აქტიური ასაკობრივი ჯგუფები და ხანდაზმული ადამიანები. 2012 წლის ივნისისთვის, 184-ე ეროვნულმა დელეგაციამ, რომელიც მთავრობების, მუშაკებისა და დამსაქმებლების წარმომადგენლებისგან შედგებოდა, შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის 202-ე სოციალური დაცვის ზღვრების რეკომენდაცია ერთხმად მიიღო. 202-ე რეკომენდაცია მოკლე დოკუმენტია ფართო მნიშვნელობით, რომელიც თანდათანობით, რაც შეიძლება მეტი ადამიანის სოციალური უსაფრთხოების მაღალ დონეს უზრუნველყოფს. 202-ე რეკომენდაციის თანახმად, სოციალური დაცვის ეროვნული დონე უნდა შეიცავდეს მინიმუმ ოთხი სოციალური უსაფრთხოების გარანტიას:

- ხელმისაწვდომობა ეროვნულ დონეზე განსაზღვრულ საქონელზე და მომსახურებაზე, რომელიც წარმოადგენს ჯანმრთელობისთვის აუცილებელ ზრუნვას, მათ შორის ორსულთა ზრუნვას, რომელიც აკმაყოფილებს არსებობის, ხელმისაწვდომობის, მიმდებლობისა და ხარისხის კრიტერიუმებს;
- ბავშვების ძირითადი შემოსავლის უსაფრთხოება, სულ მცირე ეროვნულ დონეზე, რაც უზრუნველყოფს კვებაზე, განათლებაზე, ზრუნვაზე და ნებისმიერ სხვა საჭირო საქონელსა და მომსახურებაზე წვდომას;
- ძირითადი შემოსავლის უზრუნველყოფა, სულ მცირე სახელმწიფოს მიერ განსაზღვრულ მინიმალურ დონეზე, აქტიური ასაკის პირებისთვის, რომლებსაც არ შეუძლიათ მიიღონ საკმარისი შემოსავალი, განსაკუთრებით ჯანმრთელობის პრობლემების, უმუშევრობის, ორსულობისა და შეზღუდული შესაძლებლობის შემთხვევებში;
- ძირითადი შემოსავლის უსაფრთხოება ხანდაზმულ პირებისთვის, სულ მცირე სახელმწიფოს მიერ განსაზღვრულ მინიმალურ დონეზე.

202-ე რეკომენდაცია 18 პრინციპს აღიარებს, რომელიც უნდა ხელმძღვანელობდეს სოციალური დაცვის ეროვნულ სისტემებს, მათ შორის: დაცვის უნივერსალურობის

უფლებებზე დაფუძნებულ პრინციპებს, დაცვის ადეკვატურობას, კანონით სარგებლის განსაზღვრის ვალდებულებას, არადისკრიმინაციას, განხორციელების პროგრესულობას, მეთოდებისა და მიდგომების მრავალფეროვნების აღიარებას, სამმხრივი მონაწილეობის საჭიროებას და საზოგადოების კონსულტაციას სარგებლის დონესა და პირობებზე, დაზარალებული ადამიანების ღირსების პატივისცემის მოთხოვნას, საჩივრების ეფექტური პროცედურებს, გამჭვირვალობას და ფინანსურ, ფისკალურ და ეკონომიკურ მდგრადობას.

შოტლანდიის ადამიანის უფლებათა კომისიამ განავითარა PANEL-ის პრინციპები. ადამიანის უფლებებზე დაფუძნებული მიდგომა უზრუნველყოფს, რომ ადამიანის უფლებათა სტანდარტები და პრინციპები ინტეგრირებული იყოს, როგორც პოლიტიკის შემუშავებაში, ასევე ორგანიზაციების ყოველდღიურ მუშაობაში. არსებობს რამდენიმე ძირითადი პრინციპი, რომელსაც ადამიანის უფლებებზე დაფუძნებული მიდგომის პრაქტიკაში გამოყენებისას ფუნდამენტური მნიშვნელობა აქვს. ესენი არის:

- **მონაწილეობა** - მომსახურების მიმღებები უნდა მონაწილეობდნენ ყველა იმ გადაწყვეტილების მიღებაში, რაც მოსამხურებასა თუ ინტერვენციას ეხება.
- **ანგარიშვალდებულება** - ადამიანის უფლებათა სტანდარტების ეფექტური მონიტორინგი და მათი დარღვევის შემთხვევაში აღმოფხვრის ეფექტური გზების ძიება.
- **არადისკრიმინაციული მიდგომა და თანასწორობა** - უფლებების სრულად რეალიზება დისკრიმინაციის ყველა ფორმის აკრძალვასა და აღმოფხვრას გულისხმობს. ასევე, უნდა გატარდეს პრევენციისთვის საჭირო ღონისძიებები, განსაკუთრებული ფოკუსი უნდა გაკეთდეს მათზე, ვინც ყველაზე მეტად არის მარგინალიზებული და უფლებების განხორციელების გზაზე ყველაზე მეტად ხვდებათ ბარიერები.
- **გამდიერება** - ყველამ კარგად უნდა იცოდეს საკუთარი უფლებები და როგორ მოითხოვოს ამ უფლებების დაცვა.
- **კანონიერება** - სოციალური მომსახურების მიმწოდებლები დარწმუნებულები უნდა იყვნენ, რომ მათ მიერ განხორციელებული ყველა მომსახურება და მიღებული პროცედურა შესაბამისობაშია ადამიანის უფლებათა კანონმდებლობასთან. (მახარაძე, თ., 2020)

უფლებებზე დაფუძნებული მიდგომა და სოციალური პოლიტიკის ანალიზი

აქ შემოთავაზებული უფლებებზე დაფუძნებული მიდგომა ტრადიციული სოციალური პოლიტიკის ანალიზის რამდენიმე საფეხურს მოიცავს, მაგრამ ამას სცილდება სოციალური პოლიტიკის გაანალიზების თვალსაზრისით, პოლიტიკა და პროგრამები უფლებების განხორციელებაზე როგორ იმოქმედებს ან რა მოსალოდნელ გავლენას მოახდენს. ანალიზი უნდა დაიწყოს სოციალური საკითხების/პრობლემის განსაზღვრით უფლებების თვალსაზრისით, მათ შორის საერთაშორისო, რეგიონული და ქვეყნის სპეციფიკური კანონების და ინსტრუმენტების გამოყენებით, რომლებიც გამოხატავს უფლებებს დარღვევების გამოვლენის მიზნით; და ქვეყნის სპეციფიკური ძალისხმევა და განცხადებები იმ პოლიტიკისა და პროგრამების შესახებ, რომლებიც შემუშავებულია დასახული სოციალური საკითხების/პრობლემის გადასაჭრელად.

უფლებებზე დაფუძნებული მიდგომა სოციალური დაცვის სპეციფიკურ პროგრამებს არ განსაზღვრავს; უფრო სწორად, იგი, პოლიტიკას და პროგრამებს ადამიანის მიერ

მიღებული ადამიანის უფლებების შესახებ კანონებითა და ინსტრუმენტებით განსაზღვრული სტანდარტების შესაბამისად აფასებს. სოციალური დაცვის პროგრამების განხორციელებაზე პასუხისმგებლობა საბოლოოდ სუვერენულ ქვეყანას ეკისრება. აქ წარმოდგენილი ჩარჩო გვთავაზობს, სოციალური პოლიტიკის და პროგრამების გაანალიზებას ადამიანის უფლებების ჯვარედინი პრინციპების შესაბამისად, ხოლო მხედველობაში მიღებულ უნდა იქნეს სახელმწიფოების ვალდებულება, სოციალურ, ეკონომიკურ და კულტურულ უფლებებთან დაკავშირებით, ყველაზე მარგინალიზებულ და მოწყვლად (დაუცველ) ჯგუფებს მიანიჭონ უპირატესობა. გაეროს სოციალური განვითარების კვლევის ინსტიტუტი (UNRISD)-ის თანახმად, ადამიანის უფლებებზე დაფუძნებულ მიდგომას შემდეგი ძირითადი მახასიათებლები აქვს:

- პოლიტიკისა და პროგრამების მთავარი მიზანი ადამიანის უფლებების შესრულება უნდა იყოს.
- ადამიანის უფლებებზე დაფუძნებული მიდგომა, უფლებების მფლობელებს და მათ უფლებებს და შესაბამისი მოვალეობის შემსრულებლებს და მათ ვალდებულებებს განსაზღვრავს და უფლებების მფლობელთა შესაძლებლობების გაძლიერებაზე მუშაობს, რათა მათი მოთხოვნები შესრულდეს და მოვალეობის შემსრულებლებმა შეასრულონ თავიანთი ვალდებულებები.

ადამიანის უფლებათა საერთაშორისო ხელშეკრულებებიდან მიღებული პრინციპები და სტანდარტები ყველა პოლიტიკას და პროგრამის ყველა სექტორში და პროცესის ყველა ფაზაში განხორციელებას უნდა ხელმძღვანელობდეს (United Nations Research Institute for Social Development (UNRISD), 2015).

ადამიანთა უფლებების და სოციალური პოლიტიკის გააზრება

შეერთებულ შტატებში, აივ ინფექცია/შიდსის ადრეული იდენტიფიკაცია, როგორც გეი დაავადება, "გეი კიბო" ან "გეი ჭირი" საზოგადოების აღქმაში განაგრძობდა დომინირებას და ოფიციალურ პასუხებს კიდევ დიდი ხნის განმავლობაში აყალიბებდა, მას შემდეგაც კი, რაც "გეებთან დაკავშირებული იმუნოდეფიციტის დაავადების" სანაცვლოდ, ტერმინი "შემენილი იმუნური დეფიციტის სინდრომი" იქნა მიღებული. ჰეტეროსექსუალური (მამაკაციდან ქალზე და პირიქით) გზით გადაცემის მრავალმხრივი მტკიცებულების მიუხედავად, ზოგიერთმა რელიგიურმა ლიდერმა გეი თემის აივ ინფექცია/შიდსის იდენტიფიცირების შანსი გამოიყენა, ამტკიცებდა, რომ ეს დაავადება იყო ღმერთის სასჯელი ცოდვისთვის და იმ ჰომოსექსუალების ტატუირება ან კარანტინი უნდა მომხდარიყო. 1985 წლის სექტემბერში, დაავადების გაჩენიდან 4 წლის შემდეგ, პრეზიდენტმა რეიგანმა პრესკონფერენციაზე, საჯაროდ პირველად ახსენა შიდსი და განცხადებით კიდევ უფრო მეტი დაბნეულობა შემოიტანა, რომლითაც გულისხმობდა იმას, რომ ყოველდღიური კონტაქტებით აივ ინფექცია გადაცემა შესაძლებელია. კითხვაზე, გაუშვებს თუ არა საკუთარ შვილებს სკოლაში შიდსით დაავადებულ ბავშვთან ერთად, რეიგანმა აღნიშნა: „მიუხედავად სამედიცინო მტკიცებულებისა, რომ ეს მათ საფრთხეს არ შეუქმნის, ეს არ არის საბოლოო მტკიცებულება.“

უარყოფისა და პანიკის ერთობლიობა, რომელიც შეერთებულ შტატებში რეაქციას მოჰყვა, მოიცვა მთელი მსოფლიო. აფრიკის ბევრმა ქვეყანამ უარი თქვა აივ ინფექცია/შიდსზე ყურადღების მიქცევაზე და ძალიან აღშფოთდა იმ ფაქტით, რომ დასავლელი მეცნიერები აფრიკას განიხილავდნენ, დაავადების წარმოშობის ადგილად. ჩინელი ჩინოვნიკები ამტკიცებდნენ, რომ სახალხო რესპუბლიკის შიგნით არ არსებობდნენ ჰომოსექსუალები,

ნარკოტიკების მომხმარებლები და სექს-მუშაკები, შესაბამისად, არ არსებობდა შიდა. გერმანიაში ფედერალურმა მოსამართლემ განაცხადა, რომ შესაძლოა საჭირო გახდეს ვირუსის მტარებელი ადამიანების ტატუირება და კარანტინი. აივ ინფექცია/შიდსის გავრცელების პირველ ათწლეულში 104 ქვეყანამ მიიღო აივ ინფექცია/შიდსთან დაკავშირებული შეზღუდვები. როდესაც აივ ტესტის შემუშავებამ ინფექციის მტარებლების იდენტიფიცირება შესაძლებელი გახადა, ასეთი კანონების რიცხვი მკვეთრად გაიზარდა. ეპიდემიამ, ასევე წარმოშვა სიმულვილის დანაშაულის კონკრეტული ტიპი, რომლის დროსაც მათ, ვინც პოტენციურ დაავადებულებად მოიაზრებოდნენ და მათ, ვინც აივ დადებითი იყო, სიტყვიერ და ფიზიკურ შეურაცხყოფას აყენებდნენ (Fee, E., & Parry, M., 2008).

შიდსის ეპიდემიის დაწყებიდან პირველი რამდენიმე წლის განმავლობაში, დაავადების ასოცირდა მოხდა აშშ-ს გეი მამაკაცებთან, მალევე ნარკოტიკების ინტრავენურ მომხმარებლებთან. ამ დაავადებაზე საპასუხო რეაგირება აივ დადებით პირთა მარგინალიზაცია და იზოლაცია, ეპიდემიის არსებობის უარყოფა და თითის გაშვება იყო. ნაკლებად სავარაუდოა, რომ აივ ინფექციის გავრცელებასა და მკურნალობასთან ბრძოლაში ჩვენ მნიშვნელოვანი წინსვლა გვქონოდა, თუ დაავადების ადრეულ პერსპექტივებს ჩავებლაუჭებოდით, რომელიც აივ დადებითი პირების იზოლაციას და გარიყვას მოითხოვდა (Fee, E., & Parry, M., 2008). აივ ინფექცია/შიდსის ეპიდემიის შესახებ UNAIDS-ის გლობალური ანგარიშის ადრეული გამოცემები სავსე იყო შემზარავი და ავის მომასწავებელი შინაარსით, სანამ გზა დაუთმო უფრო დამაიმედებელ, მათ შორის შიდსის სიკვდილიანობისა და აივ ინფექციის ახალ შემთხვევათა ისტორიულ შემცირებას, ასევე აივ ინფექციის პროფილაქტიკასა და პრევენციაზე მიმართულ უპრეცედენტო ძალისხმევას, დაბალი და საშუალო შემოსავლის მქონე ქვეყნებში. აივ ინფექცია/შიდსის სხვა სოციალური საკითხების კონტექსტში განთავსებით, მოწყვლადობასთან დაკავშირებული ფაქტორების გაგება გაფართოვდა და ბოლო პერიოდში შესაძლებელი შიდსის ეპიდემიის, არა მხოლოდ შეჩერება, არამედ უკუგდება გახდა. ამჟამად, მსოფლიოს ყველა ქვეყანა იზიარებს გლობალურ ხედვას, ნულოვან აივ ინფექციის ახალი შემთხვევებისა და შიდსით გამოწვეული სიკვდილიანობის შესახებ, სადაც აივ დადებითი პირები დისკრიმინაციას აღარ განიცდიან (UNAIDS, 2013). აივ ინფექცია/შიდსის, ადრეული დღეებიდან სხვა თვალთ დახახვა, როგორც მოსახლეობის სპეციფიკური დაავადება, დიდწილად, ჯონათან მანნის დაუღალავი ძალისხმევით იყო განპირობებული.

ჯონათან მანნი, ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის, შიდსის გლობალური პროგრამისპირველი დირექტორი 1986 წლიდან 1990 წლამდე იყო. მანნი დაეხმარა მსოფლიოს და გააცნობიერებინა, რომ შიდსის ბიოლოგიური და ქვევითი წარმოშობა მხოლოდ ისტორიის ნაწილია და დაავადების სრულად გადასაჭრელად და მისი გავრცელების შესაჩერებლად, ჩვენ უნდა გვესმოდეს, თუ როგორ უწყობს ხელს სოციოპოლიტიკური, ეკონომიკური და კულტურული ფაქტორები ამ დაავადების გავრცელებას და გამწვავებას. ეს იმდროინდელ ჩვეულებრივ აზროვნება სეწინააღმდეგებოდა, რომელიც იშვიათად უკავშირებდა დაავადების აღმოფხვრის სოციოეკონომიკურ და პოლიტიკურ ფაქტორებს.

მანნის ერთ-ერთი პირველი ქმედება, რომელიც მან გადადგა, იყო აივ დადებითი პირების კარანტინისა და გარიყვის კარანტინისა და იზოლაციის წინააღმდეგ ბრძოლა. 1987 წლისთვის, ქვეყნების 80%-ზე მეტს გააჩნდა კანონები აივ დადებითი პირების ან ადამიანების, რომლებიც მოიაზრებოდნენ, რომ დაინფიცირების მაღალის რისკ-ქვეყნას ახორციელებდნენ, გასაკონტროლებლად გამოიყენებოდა. მაგალითად: მამაკაცებისთვის,

რომლებსაც აქვთ სექსი მამაკაცებთან და სექს-მუშაკებისთვის, დისკრიმინაცია ყოველდღიური მოვლენა გახდა: საცხოვრებლის მოძიების და მოგზაურობის დროს, ჯანდაცვის და დასაქმების სფეროში (Patterson, 2009). მანის სჯეროდა, რომ დისკრიმინაცია მხოლოდ აივ დადებითების მიწისქვეშეთში გადასვლას გამოიწვევდა, რაც ეპიდემიის თვალყურის დევნას და დაავადების მქონე ადამიანების მკურნალობას გაართულებდა (Fee, E., & Parry, M., 2008). მანმა გააცნობიერა, რომ სოციალური გარიყულობა აივ ინფექციისადმი მოწყვლადობას მატებს და ხაზგასმით აღნიშნა, რომ ადამიანის რასის, სქესის, სექსუალური ორიენტაციის, განათლების დონის, ეროვნების და/ან შემოსავლების გამო უფლებების დარღვევები, პოლიტიკურ რეპრესიებს, უმუშევრობას, მიგრაციას, კულტურულ პრაქტიკას უკავშირდება, რომლებიც ამცირებს ადამიანებს და ზღუდავს მათ შესაძლებლობებს იცხოვრონ და სრული პოტენციალი გამოავლინონ (Patterson, 2009). მან პრევენციის შესახებ ინფორმაცია განიხილა, როგორც დაავადების გავრცელების შემცირების მნიშვნელოვანი კომპონენტი.

1990-იან წლებში, სხვა აქტივისტებთან და მკვლევარებთან თანამშრომლობით, მანიმ აივ აინფექცია/შიდსს უფლებებზე დაფუძნებული მიდგომა მოარგო და ამტკიცებდა, რომ ჯანმრთელობა ადამიანის უფლებაა. როგორც ადამიანის უფლება, მან აღნიშნა ჯანმრთელობის სხვა ადამიანის უფლებებზე ურთიერთდამოკიდებულება (სამოქალაქო, სოციოეკონომიკური და კულტურული) და ძირითადი პრინციპები, რომლებიც ემყარება ყველა ადამიანის უფლებებს: ხელშეუხებლობა, უნივერსალურობა, ერთიანობა, ურთიერთდამოკიდებულება და არადისკრიმინაცია (Mann, J. M., Gruskin, S., Grodin, M. A., & Annas, G. J., 1999). მან თავისი არგუმენტი ადამიანის უფლებათა საერთაშორისო კანონპროექტზე დააფუძნა, რომელსაც ხელს გაეროს წევრი ქვეყნების ორი მესამედი აწერს. უფლებების საერთაშორისო დოკუმენტი სამ დოკუმენტს მოიცავს: ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია, ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების საერთაშორისო პაქტი (ICESCR) და პოლიტიკური და სამოქალაქო უფლებების საერთაშორისო პაქტი (ICPCR). ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციის 25-ე მუხლში ნათქვამია: „ყველას აქვს უფლება ჰქონდეს ცხოვრების ის დონე, რომელიც ადექვატურია საკუთარი და მისი ოჯახის ჯანმრთელობისა და კეთილდღეობისათვის, მათ შორის საკვები, ტანსაცმელი, საცხოვრებელი, სამედიცინო ზრუნვა და აუცილებელი სოციალური მომსახურება, უსაფრთხოების უფლება... ავადმყოფობის, შეზღუდული შესაძლებლობის... ხანდაზმულობის...“ ICESCR-ის მე-12 მუხლში ნათქვამია: „ყველას აქვს უფლება ისარგებლოს ფიზიკური და ფსიქიკური ჯანმრთელობის უმაღლესი სტანდარტის გათვალისწინებით“ და განსაზღვრავს ზოგიერთ ზომას, რომელიც სახელმწიფომ უნდა მიიღოს „ამ უფლების სრულად რეალიზაციისათვის“.

ICCPR ეხება პოლიტიკურ და სამოქალაქო უფლებებს, რომლებიც გავლენას ახდენენ საზოგადოებრივ ჯანმრთელობაზე და ICCPR 26-ე მუხლი ნათლად აცხადებს, რომ „ყველა ადამიანი თანასწორია კანონის წინაშე და უფლებამოსილია, ყოველგვარი დისკრიმინაციის გარეშე ისარგებლოს კანონის თანაბარი დაცვით“, რაც აძლიერებს ყველა სახის სამედიცინო მომსახურების, საქონლისა და მომსახურების ყოველგვარი დისკრიმინაციის გარეშე უზრუნველყოფით აუცილებლობას. პირთა უფლება, საზოგადოებრივ საქმეებში მიიღონ მონაწილეობა და საჯარო სამსახურებში თანაბარი ხელმისაწვდომობა ჰქონდეთ, აღწერილია ICPCR-ის 25-ე მუხლში. სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების გაერთიანება სოციოეკონომიკურ უფლებებთან ერთად, უფლებებზე დაფუძნებული მიდგომის აუცილებელ კომპონენტს წარმოადგენს. როგორც სტეინტონმა აღნიშნა (2005), უფლებებზე დაფუძნებული მიდგომაზე გადასვლის ძირითადი ელემენტებია, ხალხისთვის, თავიანთი მოთხოვნების გამოხატვის შესაძლებლობების უზრუნველყოფა,

რათა, განსაზღვრონ, მოიპოვონ და მართონ მხარდაჭერა, რომელიც აუცილებელია მათი მოთხოვნების აქტუალიზაციისათვის ასევე, შიდა გადაწყვეტილების მიღებისათვის, რესურსებზე და ხელისუფლებაზე ან შესაბამის სტრუქტურებზე კონტროლის მოპოვებისთვის.

უფლებებზე დაფუძნებული ჩარჩოს გამოყენებით, აივ ინფექცია/შიდსის გამომწვევ მიზეზებს ბიოლოგიური, ქცევითი, სოციალური, პოლიტიკური და ეკონომიკური ფესვები გააჩნდა, ხოლო საზოგადოების რეაქციები, მარგინალიზაციიდან განხორციელებად, კანონიერ უფლებებზე გადავიდა. ადამიანის აივ ინფექცია/შიდსის ადამიანის უფლებების ჩარჩოში მოთავსებით, მანმა შეძლო სხვადასხვა საზოგადოებას შორის ჯანდაცვის სისტემების უთანასწორობა და სოციალურ უთანასწორობებსა და აივ ინფექცია/შიდსის ქონას შორის ურთიერთობა გამოეკვლინა, როგორც ქვეყნებს შიგნით, ასევე ქვეყნებს შორისაც (Fee, E., & Parry, M., 2008). მართლაც, მან და მისმა კოლეგებმა შეძლეს, ადამიანის უფლებებისა და ჯანმრთელობის/კეთილდღეობის ორმხრივი ურთიერთდამოკიდებულება ეჩვენებინათ (Mann, J. M., Gruskin, S., Grodin, M. A., & Annas, G. J., 1999). ქვეყნებს პასუხისმგებლობა ეკისრებათ იმუშაონ მოქალაქეებთან უფლებების რეალიზაციის მიზნით (უფლებების უფლების მინიჭების სახით) და ანგარიშვალდებულნი არიან თავისი მოქალაქეების და მსოფლიო პარტნიორების წინაშე. აივ დადებით პირებს, როგორც უფლებების მფლობელებად წინ წამოწევამ, ასევე გაუმყარა აივ ინფექცია/შიდსის პოლიტიკის შემუშავებაში მათი მონაწილეობის უფლება. ამერიკის შეერთებულ შტატებში, გეი მამაკაცის ჯანმრთელობის კრიზისის (GMHC) და შიდსის კოალიციის გათავისუფლების ძალისხმევის (ACTUP) წარმატების გათვალისწინებით, რომლებმაც განათლება აივ ინფექციის პრევენციის კუთხით გამოიყენეს, აივ ინფექცია/შიდსის თემაზე მედიის ყურადღების მიპყრობა და აივ დადებითი პირთა აქტიური ჩართულობა, მთავრობის პოლიტიკაზე გავლენის მოხდენის მიზნით, მანმა ეს სტრატეგიები, ჯანმო-ს გლობალურ პარტნიორობაში ორმხრივ დონორებთან, მთავრობებთან და სამოქალაქო საზოგადოებებთან ეფექტური მუშაობის მიზნით შეიტანა.

უფლებებზე დაფუძნებული ჩარჩოდან სოციალური საკითხების კონცეპტუალიზაციაზე გადასვლა შეიძლება შემამოფოთებელი იყოს, რადგან ჩვენ გვაქვს ტენდენცია, კონკრეტულ პერსპექტივაში ფესვი იმდენად ღრმად გავიდვით, რომ შეგვიძლია ადვილად და გაუცნობიერებლად ჩვენი პერსპექტივა მიუკერძოებლად მივიჩნიოთ, მაშინაც კი, როდესაც ის კულტურული ნორმებითა და ცრურწმენებით არის შენიღბული. უფლებებზე დაფუძნებული პერსპექტივიდან სოციალური საკითხებზე ხელახალი გადახედვით, ჩვენ კულტურულ ნორმების მიღმა გავდივართ და გლობალურ ნორმატიულ სტანდარტებს ვიღებთ. უფლებებზე დაფუძნებული მიდგომა ხშირად სხვადასხვა დაინტერესებული მხარეების ფართო სპექტრს და სინერგიულ ძალისხმევას მოიცავს, მათ შორის მთავრობებს, საერთაშორისო თანამეგობრობას შორის სოლიდარობას, სამოქალაქო საზოგადოებას და მეცნიერულ ინოვაციებს, რადგან სოციალური საკითხების ფესვები ურთიერთდამოკიდებულებაშია და საზოგადოებებში უთანასწორობას ავლენს.

დანართი #1

მაგალითები განხილვისთვის:

მაგალითი - 1: წარმოადგენს თუ არა ჯანმრთელობა ადამიანის უფლებას?

ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის მიხედვით, ჯანმრთელობა განიმარტება შემდეგნაირად: „ჯანმრთელობა არის სრული ფიზიკური, ფსიქიკური და სოციალური კეთილდღეობის მდგომარეობა და არა მხოლოდ დაავადების არარსებობა“

განხილეთ: რას ნიშნავს იყო "სრული ფიზიკური, გონებრივი და სოციალური კეთილდღეობის მდგომარეობის უფლება და არა მხოლოდ დაავადების არარსებობა" საქართველოში ან სხვა ქვეყანაში?

უფლებების ურთიერთდამოკიდებულება.

- რა სახის ჯანმრთელობის დაზიანებები და შედეგები შეიძლება გამოიწვიოს ადამიანის უფლებების დარღვევამ ან უყურადღებობამ (როგორცაა მავნე ტრადიციული პრაქტიკები, არაადამიანური და დამამცირებელი მოპყრობა და სხვა)?
- რამ შემთხვევებმა შეიძლება განაპირობოს ადამიანის სუსტი ჯანმრთელობისადმი მოწყვლადობა (მაგალითად, ეთნიკურობა, სქესი და სოციალური სტატუსი, საკვები და კვება, განათლება, ადეკვატური საცხოვრებელი და სხვა)?

პოლიტიკის ანალიზი უფლებებზე დაფუძნებული მიდგომის პრინციპებიდან.

გაანალიზეთ ჯანდაცვის პოლიტიკის განხორციელება, როგორც ადამიანის უფლება, რომელიც შეესაბამება ადამიანის უფლებების ერთ-ერთ ძირითად P.A.N.E.L.-ის პრინციპს.

მონაწილეობა

- ვინ იყო ჩართული ჯანდაცვის პოლიტიკის შემუშავებაში?
- რა გზებით არის ჩართული ან არ არის ჩართული უფლებების მფლობელთა ხმა პოლიტიკის შემუშავების პროცესში?
- რა მექანიზმები არსებობს მოქალაქეებისთვის, რომ გამოხატონ თავიანთი აზრი ან შეცვალონ ჯანდაცვის პოლიტიკა?
- ეს მეთოდები გავლენიანია?
- რატომ ან რატომ არა?

ანგარიშვალდებულება

- შეასრულა თუ არა მთავრობამ დანაპირები ჯანდაცვის პოლიტიკასთან დაკავშირებით?
- არის ის ფართოდ გამოქვეყნებული და ხელმისაწვდომი?
- აფასებს თუ არა მთავრობა თავის პროგრესს ჯანდაცვის პოლიტიკაში?
- თუ ვინმე ფიქრობს, რომ მისი ჯანმრთელობის უფლება დაირღვა, არის თუ არა გადაწყვეტილების გასაჩივრების პროცესი?
- როგორ კეთდება ეს?
- არის თუ არა რეაგირება?

არადისკრიმინაციული მიდგომა და თანასწორობა

- მოქმედებს თუ არა ქვეყანაში არსებული ჯანდაცვის პოლიტიკა ყველასთვის თუ გამოორიციხავს გარკვეულ ჯგუფებს?
- ეს იყო მიზანმიმართული თუ უნებლიე?
- რა გზებით არის დისკრიმინაციული ჯანდაცვის პოლიტიკა, მაგ. სარგებელი ყველა ადამიანისთვის ხელმისაწვდომი და ადეკვატურია?

მაგალითი - 2: ლოურენს სმიტის ისტორია

სმიტი უსახლკაროდ დარჩა მას შემდეგ, რაც სახსრების დეგენერაციულმა დაავადებით იყო ამოწვეული და მას აღარ შეეძლო მშენებლობაზე მუშაობა. ის, წლების განმავლობაში ცხოვრობდა კამპერის ფურგონში, სანამ არ ჩახსნეს. გამომდინარე იქიდან, რომ მას ფურგონის დასაბრუნებლად საკმარისი შესაძლებლობი არ ჰქონდა, საცხოვრებელი ადგილის გარეშე დარჩა. ერთდაერთი გამოსავალი, აიდაპოს ქალაქ ბოისის უსახლკაროთა თავშესაფრები წარმოადგენდა, თუმცა ხშირი გადატვირთულობის გამო, რთული იყო იქ მოხვედრა. სმიტი, უკანონოდ ღია ცის ქვეშ ღამის თევისთვის 100 დღით დააპატიმრეს. დაპატიმრების გამო მან დაკარგა კარავი, ღუმელი და სათევზაო მოწყობილობები, რომლებსაც ცხოვრებისთვის იყენებდა.

უსახლკარობის კრიმინალიზაცია უსახლკარობის გამომწვევი მიზეზების აღმოფხვრაში არაფრით ეხმარება, პირიქით, მხოლოდ პრობლემას ამძაფრებს. უსახლკარო ადამიანების დაპატიმრება მხოლოდ დროებითი ინტერვენციაა, რადგან უმეტესობა დაკავებულია და მცირე ხნით ციხეში რჩება, რის შემდეგაც ისინი ბრუნდებიან თავიანთ თემებში, სადაც ჯერ კიდევ არ აქვთ საცხოვრებელი. უფრო მეტიც, ეკისრებათ დამატებითი ფინანსური ტვირთი, როგორცაა სასამართლო ხარჯები, რომლის გადახდასაც ისინი ვერ ახერხებენ. მათი პატიმრობა დამატებით ბარიერებს ქმნის აუცილებელ საზოგადოებრივი სარგებლის, დასაქმების ან საცხოვრებელის წვდომაზე.

უსახლკარობის პოლიტიკის უფლებებზე დაფუძნებული მიდგომის ჭრილში ანალიზის წარმართვისათვის განიხილეთ შემდეგი საკითხები:

- რა სხვა უფლებები შეიძლება დაირღვეს ადამიანების უსახლკაროდ დარჩენის უფლებით?
- არსებობს თუ არა კანონები ქვეყანაში, რომლებიც პირდაპირ ან არაპირდაპირ კრძალავს უსახლკარობას?
- უსახლკარო ადამიანებს შეუძლიათ უფრო დიდ ხანს ისხდნენ გარე სკამებზე ეძინოთ, ვიდრე სხვა, ნებისმიერი მოქალაქეები, უნდა ჩაითვალოს თუ არა ეს ქმედება დანაშაულებრივად?
- რა არის უსახლკარობის ძირითადი მიზეზი?
- რა გზებით უწყობს ხელს საზოგადოებრივი სივრცეების შესახებ არსებული კანონები ადამიანის უფლებების რეალიზებას ან დარღვევას?

პოლიტიკის ანალიზი უფლებებზე დაფუძნებული მიდგომის პრინციპებიდან.

გაანალიზეთ კანონი და უსახლკარობის დროს საზოგადოებრივი ადგილის გამოყენება, როგორც ადამიანის უფლება, რომელიც შეესაბამება ადამიანის უფლებების ერთ-ერთ ძირითად P.A.N.E.L.-ის პრინციპს.

მონაწილეობა

- არსებობენ თუ არა ჯგუფები, რომლებიც ისტორიულად მარგინალიზებულნი არიან ეთნიკურობის, სქესის, ენის ან უნარის გამო?
- როგორ მონაწილეობენ უფლებების მფლობელები პოლიტიკის შემუშავების პროცესში?

ანგარიშვალდებულება

- ქვეყანაში ხელმისაწვდომია თუ არა უსახლკარობის და საზოგადოებრივი სივრცით სარგებლობის შესახებ ინფორმაცია?
- თუ უფლებების მფლობელები თვლიან, რომ მათი უფლებები ირღვევა, არის თუ არა გადაწყვეტილების გასაჩივრების პროცესი დოკუმენტირებული?

არადისკრიმინაციული მიდგომა და თანასწორობა

სახელმწიფოს ამოცანაა უზრუნველყოს ყველა პოლიტიკა და პრაქტიკა, რომელიც ეხება უსახლკარობას და საზოგადოებრივი სივრცეების გამოყენებას, არადისკრიმინაციულად და ყველაზე მოწყვლადი ჯგუფის დაცვისთვის პრიორიტეტის მინიჭებით. რა ფორმით არის ეს პოლიტიკა დისკრიმინაციული? სოციალურად უსამართლო? მაგალითად, გაითვალისწინეთ, რომ არა თეთრკანიან უსახლკარო პირებს თეთრკანიანებთან შედარებით დაკავებისა და დაპატიმრების უფრო მაღალი მაჩვენებელი აქვთ.

დანართი #2

ცხრილი #1 სოციალური პრობლემათა შედარება, ქველმოქმედებაზე, საჭიროებებსა და უფლებებზე დაფუძნებულ მიდგომების მიხედვით

	ქველმოქმედებაზე დაფუძნებული	საჭიროებებზე დაფუძნებული	უფლებებზე დაფუძნებული
მიზნები	დამსახურებული და დაუცველი პირების ან მოსახლეობის დახმარება ტანჯვის შემსუბუქებაში	ინდივიდებში ან თემში გამოვლენილი დეფიციტის შევსება, მარგინალიზებული და დაუცველი ჯგუფებისათვის გამოყოფილი დამატებითი რესურსების საშუალებით	ადამიანის უფლებების რეალიზაცია, რაც რესურსებისა და ძალაუფლების თანაბრად განაწილებას გამოიწვევს
მოტივაციები	მდიდარი ადამიანების რელიგიური ან მორალური აუცილებლობა, დაეხმარონ ნაკლებად იღბლიანებს, რომლებიც დახმარებას იმსახურებენ	დაეხმაროს მათ, ვისაც ესაჭიროება დახმარება, რათა საზოგადოების წევრების კეთილდღეობას შეუწყოს ხელი	უფლებების სამართლებრივი ვალდებულება
ანგარიშვალდებულება	შეიძლება ანგარიშვალდებული იყოს კერძო ორგანიზაციის წინაშე	ზოგადად ანგარიშვალდებულია მათ წინაშე, ვინც გამოავლინა საჭიროება და მოახდინა ინტერვენცია	მთავრობები და გლობალური ორგანოები, როგორცაა დონორთა საზოგადოება, მთავრობათაშორის ორგანიზაციები, საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაციები და ტრანსნაციონალური კორპორაციები
პროცესი	ფილანტროპიაზე ორიენტირებული დონორობა	საჭიროებების ექსპერტული განსაზღვრა, მათი მასშტაბი და სტრატეგიები საჭიროებების დასაკმაყოფილებლად პოლიტიკური მოლაპარაკებების ფარგლებში. დაზარალებული მოსახლეობა არის ინტერვენციის სამიზნე	პოლიტიკური, მონაწილეობით პროცესზე ორიენტირებული, რომლის დროსაც პირები და ჯგუფები უფლებამოსილნი არიან მოითხოვონ თავიანთი უფლებები
უფლებათა გადანაწილება	ინარჩუნებს სტატუს-კვოს	არსებითად ინარჩუნებს არსებული სტრუქტურას, ცვლილებები შეიძლება იყოს თანდათანობითი	უნდა შეიცვალოს
სამიზნე პოპულაციის ძალისხმევა	ინდივიდუალური და მოსახლეობა, რომელიც დახმარების ღირსია	სოციალურად დაუცველი პირები ან მოსახლეობის ჯგუფები	საზოგადოების ყველა წევრი, ორიენტირებული მარგინალიზებულ მოსახლეობაზე
ხაზგასმა	დონორის კეთილგანწყობილ ქმედებებზე	საჭიროებების დაკმაყოფილებაზე	ადამიანის უფლებების რეალიზაციაზე
მიმართული საპასუხო ინტერვენციები	პრობლემების მყისიერ გამოვლენაზე	სიმპტომურ დეფიციტი და შეიძლება აღმოფხვრას სტრუქტურული მიზეზები	ფუნდამენტური სტრუქტურულ მიზეზებზე, რათა უზრუნველყოს სიმპტომური გამოვლინებების შემსუბუქება

გამოყენებული ლიტერატურა

- მახარაძე, თ. (2020). *უფლებებზე დაფუძნებული სოციალური მომსახურება ხანდაზმულებისა და შშმ პირებისთვის*. თბილისი: საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრი.
- Abramovitz, M. (1998). Social work and social reform: An arena of struggle. *Social Work, 43* (6), 512–526.
- Anderson, C. (2003). *Eyes off the prize: The United Nations and the African American struggle for human rights, 1944-1955*. New York, NY: Cambridge University Press.
- Androff, D. & McPherson, J. (2014). Can human rights-based social work practice bridge the micro/macro divide? *Advancing Human Rights in Social Work Education*.
- Androff, D. K. (2010). Truth and reconciliation commissions (TRCs): An international human rights intervention and its connection to social work. *British Journal of Social Work, 40*.
- Bardach, E. (1986). *The eight-step path of policy analysis (A handbook for practice)*. Berkley, CA: Berkeley Academic Press/Odin Readers.
- Barrett, J. (2011). Multicultural social justice and human rights: Strategic professional development for social work and counseling practitioners. *Journal for Social Action in Counseling and Psychology, 3*, 116-122.
- Buchanan, I. & Gunn, R. (2007). The interpretation of human rights in English social work: An exploration in the context of services for children and for parents with learning difficulties. *Ethics and Social Welfare, 1*, 147-162.
- Bumiller, K. (2008). *In an abusive state: How neoliberalism appropriated the feminist movement against sexual violence*. Durham: Duke University Press.
- Calma, T. & Priday, E. (2011). Putting indigenous human rights into social work practice. *Australian Social Work, 64*, 147-155.
- Cemlyn, S. (2011). Human Rights Practice: Possibilities and Pitfalls for Developing Emancipatory Social Work. *Ethics and Social Welfare, 2*, 222-242.
- Chambers, D. E. (2000). Social policy and social programs: A method for the practical public policy analyst. In D. E. Chambers (Ed.), *The analysis of policy goals and objectives in social programs and policies* (pp. 79–109). Boston: Allyn & Bacon.
- Chapin, R. (1995). Social policy development: The strengths perspective. *Social Work, 40* (4), pp. 506–514.
- Council on Social Work Education. (2012). *Education Policy and Accreditation Standards*.
- Depoy, E. & Gilson, S. (2008). Social work practice with disability: Moving from the perpetuation of a client category to human rights and social justice. *Journal of Social Work Values and Ethics, 5*.

- Devereux, S., & Sabates-Wheeler, R. (2004). Transformative social protection. IDS Working Paper 232: IDS.
- DiNitto, D. M. (1995). *Social welfare: Politics and public policy*. Boston: Allyn & Bacon.
- Dobelstein, A. W. (1996). *Social welfare: Policy and analysis*. Lanham, MD: Rowman & Littlefield Publishers.
- Early, T., & GlenMaye, L. (2000). Valuing families: Social work practice with families from a strengths perspective. *Social Work, 45* (2), pp. 118–130.
- Engstrom, D. & Okamura, A. (2005). A plague of our time: Torture, human rights, and social work. *Families in Society, 85*, 291-300.
- Fee, E., & Parry, M. (2008). Jonathan Mann, HIV/AIDS, and human rights. *Journal of Public Health Policy, 29*(1), 54–71.
- Gabel, S. G. (2016). *Rights-Based Approaches to Social Work*. New York: Springer.
- Gilbert, N., & Terrell, P. (1986). *Dimensions of social welfare policy*. Englewood Cliffs, NJ: Prentice-Hall.
- Hancock, T. U. (2007). Come the revolution: Human rights, the far right, and new directions for social work education. *The Journal of Baccalaureate Social Work, 12*(2), 1-12.
- Hauss, G., & Schulte, D. (2009). *Amid Social Contradictions: Towards a history of Social Work in Europe*. Opladen, Farmington Hills, MI: Barbara Budrich Publishers.
- Healy, L. (2007). Universalism and cultural relativism in social work ethics. *International Social Work, 50*, 11-26.
- Healy, L. M. (2008). Exploring the history of social work as a human rights profession. *International Social Work, 51* (6), 735–746.
- Hertel, S. & Libal, K. (2011). *Human Rights in the United States: Beyond Exceptionalism*. Cambridge.
- Iarskaia-Smirnova, E., & Romanov, P. (2009). Rhetoric and practice of modernisation: Soviet social policy (1917–1930). In I. G. (Eds.), *Amid social contradictions: Towards a history of social work in Europe*. MI: Barbara Budrich Publishers.
- Ife, J. (2008). *Human rights and social work: Towards rights-based practice*. Cambridge, UK: Cambridge University Press.
- Ife, J. (2010). *Human rights from below: Achieving rights through community development*. Cambridge, UK: Cambridge University Press.
- Ife, J. (2012). *Human rights and social work: Towards rights-based practice*. Cambridge, UK: Cambridge University Press.
- Ingram, H., & Smith, S. (1998). Institutions and policies for democracy: A discussion paper and comments. *Policy Currents, 8*, 1–13.

- International Association of Schools of Social Work. (2018). *Human rights*.
- International Federation of Social Workers. (2014). *Definition of social work*. Retrieved from <http://ifsw.org/policies/definition-of-social-work/>
- Jochnick, C. (1999). Confronting the impunity of non-state actors: New fields for the promotion of human rights. *Human Rights Quarterly*, 21(1), 56-79.
- Johnson, S., & Moorhead, B. (2011). Social eugenics practices with children in Hitler's Nazi Germany and the role of social work: Lessons for current practice. *Journal of Social Work Values and Ethics*, 8 (1).
- Kisthardt, W. (1992). A strengths model of case management: The principles and functions of a helping partnership with persons with persistent mental illness. In D. S. (Ed.), *The strengths perspective in social work practice* (pp. 60–61). New York: Longman.
- Kruse, E. (2009). Toward a history of social work training Germany—discourses and struggle for power at the turning points. In G. H. Schulte, *Amid social contradictions: Towards a history of social work in Europe*. MI: Barbara Budrich Publishers.
- Lasswell, H. D. (1971). *A pre-view of policy sciences*. New York: American Elsevier Publishing Co.
- Libal, K. & Healy, L. (2013). *Bringing human rights home in social work education. Paper presented at Advancing Human Rights in Social Work Education at the University of Connecticut*. Hartford: Connecticut, USA.
- Lundy, C. (2011). *Social work, social justice, and human rights: A structural approach to practice (2nd ed.)*. Toronto, CA: University of Toronto Press.
- Mann, J. M., Gruskin, S., Grodin, M. A., & Annas, G. J. (1999). *Health and human rights: A reader*. New York: Routledge.
- Mapp, S. (2008). *Human rights and social justice in a global perspective: An introduction to international social work*. New York, NY: Oxford University Press.
- McPherson, J. (2013). Human rights exposure, knowledge, and engagement: What do US social work students really understand? Paper presented at the National Association of Deans and Directors (NADD)'s Annual Conference: Global Health & Well-Being: The Social Work Response. New York, NY.
- McPherson, J. (2014). Human rights practice in social work: A U.S. social worker looks to Brazil for leadership. *European Journal of Social Work*, 1-14.
- McPherson, J., Chiarelli-Helminiak, C., Libal, K., & Harding, S. (2013). *Applying human rights principles to U.S. social work practice through interdisciplinary collaboration*. Panel presented at Council on Social Work Education Annual Program Meeting, Dallas, TX.
- Melinz, G. (2009). In the interest of children: Modes of intervention in family privacy in Austria (1914–1945). In I. G. (Eds.), *Amid social contradictions: Towards a history of social work in Europe*. MI: Barbara Budrich Publishers.

- Midgley, J. (2007). Development, social development, and human rights. *Challenges in human rights: A social work perspective*.
- Morris, P. M. (2008). Reinterpreting Abraham Flexner's speech, "Is social work a profession?" Its meaning and influence on the Field's early professional development. *Social Service Review, 82(1)*, pp. 29-60.
- Murdach, A. (2011). Is social work a human rights profession? *Social work, 281-283*.
- Myrdal, A. (1968). *Nation and family: The Swedish experiment in democratic family and population policy*. Cambridge: MIT Press. .
- National Association of Social Workers. (1999). *Code of ethics of the National Association of Social Workers*. Washington, DC.
- National Association of Social Workers. (2012). International policy on human rights. In *Social Work Speaks: National Association of Social Workers Policy Statements, 2012-2014* (9th ed.). Washington, DC.
- Nelson, R. (1977). *The moon and the ghetto*. New York, NY: W. W. Norton & Company.
- Patterson, A. S. (2009). AIDS/HIV. In D. P. (Ed.), *Encyclopedia of human rights*. Oxford, UK: Oxford University Press.
- Platt, A. M. (1965). *The child savers: The invention of delinquency*. Chicago, IL: University of Chicago Press.
- Pyles, L. (2006). Toward a post-Katrina framework: Social work as human rights and capabilities. *Journal of Comparative Social Welfare, 22*, 79-88.
- Reichert, E. (2003). Viewing human rights and social work through an international perspective. *Journal of Intergroup Relations, 30*, 76-83.
- Reichert, E. (2011). *Social work and human rights: A foundation for policy and practice*. New York, NY: Columbia University Press.
- Reichert, E. (2011a). *Social work and human rights: A foundation for policy and practice*. New York, NY: Columbia University.
- Reichert, E. (2011b). Human rights in social work: An essential basis. *Journal of Comparative Social Welfare, 27*, 207-220.
- Saleebey, D. (1992). *The strengths perspective in social work practice*. New York: Longman.
- Smith, K. B., & Larimer, C. W. (2009). *The public policy theory primer*. Boulder, CO: Westview Press.
- Staub-Bernasconi, S. (2012). Human rights and their relevance for social work as theory and practice. In L. M. Healy, & R. J. Link (Eds.), *Handbook of international social work: Human rights, development and the global profession*. New York, NY: Oxford University Press.

- Stone, D. (2002). *Policy paradox: The art of political decision making*. New York, NY: W.W. Norton & Company.
- Szikra, D. (2009). Social policy and anti-semitic exclusion before and during WW II in Hungary: The case of productive social policy. In I. G. (Eds.), *Amid social contradictions contradictions: Towards a history of social work in Europe*. MI: Barbara Budrich Publishers.
- UN OHCHR. (2002). Draft Guidelines for a Human Rights Approach to Poverty Reduction Strategies 2002. United Nations.
- UNAIDS. (2013). Global report: UNAIDS report on the global AIDS epidemic 2013. Joint United Nations Programme on HIV/AIDS.
- United Nations. (1948, December 9). *Convention on the prevention and punishment of genocide*. Retrieved from <http://www.ohchr.org/EN/ProfessionalInterest/Pages/CrimeOfGenocide.aspx>.
- United Nations. (1994). *Human rights and social work: A manual for schools of social work and the social work profession (Professional Training Series No. 4)*. New York and Geneva.
- United Nations Development Program. (2003). *The Human Rights-Based Approach to Development Cooperation: Towards a Common Understanding Among the UN Agencies*.
- United Nations Population Fund (UNFPA) & Harvard School of Public Health. (2010). *A Human Rights-Based Approach to Programming: Practical Implementation Manual and Training Materials*.
- United Nations Research Institute for Social Development (UNRISD). (2015). *Framework for a human rights-based approach to social protection*. UNRISD.
- Uvin, P. (2004). *Human rights and development*. Bloomfield, Connecticut: Kumarian Press, Inc.
- Van Ginneken, W. (2003). Extending social security: Policies for developing countries. *International Labour Review*, 142, 277–294.
- Wronka, J. & Staub Bernasconi, S. (2012). Human rights. *The Sage handbook of international social work*, 70–84.
- Wronka, J. (2008). *Human rights and social justice: Social action and service for the helping and health professions*. Thousand Oaks: CA: Sage.
- Zavirsek, D. & Herath, S. M. K. (2010). 'I want to have my Future, I have a dialogue': Social work in Sri Lanka between neo-capitalism and human rights. *Social Work Education*, 29, 831–842.

ადამიანის უფლებებზე დაფუძნებული მიდგომა
ფსიქო-სოციალური საჭიროების მქონე პირების
მომსახურებებში - ავტორი: ქეთევან გიგინეიშვილი

საკითხავი მასალა მომზადებულია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის,
სოციალური მუშაობის სამაგისტრო პროგრამის არჩევითი კურსისთვის
„სოციალური მუშაობის პრაქტიკა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებთან
(ზოგადი)“

ადამიანის უფლებებზე დაფუძნებული მიდგომის სტანდარტების მიხედვით ფსიქო-სოციალური საჭიროების მქონე პირებსა და მათ ოჯახებთან მუშაობა

ვინ არიან ფსიქოსოციალური საჭიროების მქონე პირები და გონებრივი განვითარების შეფერხების მქონე პირები

გონებრივი განვითარების შეფერხების მქონე პირები მსოფლიოს მოსახლეობის დაახლოებით 2%-ს შეადგენენ (მეზვრიშვილი, 2021). გონებრივი განვითარების შეფერხება ხასიათდება ინტელექტუალური უნარების დაქვეითებით და ადაპტაციური უნარების ორ ან მეტ სფეროში დარღვევით, ისეთი, როგორცაა კომუნიკაცია, თვითმომსახურება, სოციალური ჩვევები, სწავლა, მუშაობა, დასვენება, საოჯახო საქმიანობა. გონებრივი განვითარების დიაგნოზი დამოკიდებულია როგორც პიროვნების ინტელექტის, ასევე მისი სოციალური უნარების და დამოუკიდებლად ფუნქციონირების შეფასებაზე - მისივე ასაკისა და კულტურის სხვა ადამიანებთან მიმართებაში.

გონებრივი განვითარების შეფერხება ქრონიკული მდგომარეობაა და ადამიანს მთელი ცხოვრების განმავლობაში მიჰყვება, თუმცა ეს არ ნიშნავს იმას, რომ პირს არ აქვს განვითარების, განათლების მიღების, დასაქმების, გადაწყვეტილებების მიღების შესაძლებლობა და პოტენციალი.

გონებრივი განვითარების შეფერხების მქონე პირებთან მუშაობა ძირითადად 5 მიმართულებით ხორციელდება:

- ✓ ფსიქოლოგიური განათლება;
- ✓ ადეკვატური მხარდაჭერისა და პერიოდული შეფასების ორგანიზება; ბავშვის ყოველდღიური ჩვევების ტრენინგის უზრუნველყოფა;
- ✓ კონსულტაციები მძიმე ქვევითი დარღვევების დამლევის მიზნით;
- ✓ კონსულტაციები პიროვნების ცხოვრებაში ცვლილებებთან დაკავშირებით,
- ✓ ოჯახის მხარდაჭერა (მეზვრიშვილი, 2021).

ფსიქოსოციალური საჭიროების მქონე პირებთან მიმართებაში საქართველოში რამდენიმე მიმართულებით მუშაობენ სპეციალისტები. ერთის მხრივ ხდება პირის ფსიქოსოციალური საჭიროების შეფასება და დგება დასკვნა, რომ პირს, ცხოვრების გარკვეულ ასპექტებში ან სრულად, ესაჭიროება მხარდაჭერა გადაწყვეტილების მიღების პროცესში და ხდება სხვა კონკრეტულ სფეროებთან მიმართებით მხარდაჭერის საჭიროების იდენტიფიცირება. ფსიქოსოციალური საჭიროების შესაძლოა გახდეს პირი გონებრივი განვითარების შეფერხებით, სხვა საჭიროების გამო. (ქმედუნარიანობის რეფორმის შეფასება - კანონმდებლობა და პრაქტიკა, 2020)

ამ ორ ჯგუფს განსხვავებული საჭიროებები და განსხვავებული დინამიკა აქვთ, თუმცა ორივე შემთხვევაში ადრეული მხარდაჭერა და უფლებების დაცვაზე ზრუნვა სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია. როგორც ბავშვთან, ისე ოჯახთან/მშობლებთან, მზრუნველთან სპეციალისტების ადრეული ჩართულობა და მუშაობა ბავშვის განვითარებას უწყობს ხელს. თუმცა, განვითარებაზე ზრუნვა არ შემოიფარგლება მხოლოდ

18 წლამდე პერიოდით, არამედ განვითარებაზე ზრუნვა და მხარდაჭერა ზრდასრულობის პერიოდის ჩათვლით, რიგ შემთხვევებში კი ცხოვრების ბოლომდეც გრძელდება.

ფსიქოსოციალური საჭიროების მქონე პირებისთვის მხარდაჭერა და მომზადება ცხოვრების სხვადასხვა ეტაპზე გადასვლის პროცესში განსაკუთრებით მნიშვნელოვანია. ზრდასრულ პირებთან მიმართებაში, განსაკუთრებით საყურადღებოა დამოუკიდებელი ცხოვრებისთვის უნარების გაძლიერების საჭიროება, მშობლების ნაკლები ცოდნა იმუშავონ ამ მიმართულებით, მომსახურებების სიმწირე, რომელიც დაეხმარება პირს და მის ოჯახს სოციალური ფუნქციონირების გაუმჯობესებაში, დამოუკიდებელი ცხოვრების ხელშეწყობაში, გადაწყვეტილებების მიღების პროცესში და სხვა. ოჯახის წევრები შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვებისა და პირების ძირითადი მხარდამჭერები და მზრუნველები არიან, შემთხვევათა ნაწილში მთელი ცხოვრების მანძილზე (სოციალური მუშაობა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვებთან, 2018).

გონებრივი განვითარების შეფერხების მქონე პირებისთვის ქვეყანაში რეაბილიტაცია-აბილიტაციის ქვეპროგრამის ქვეშ ფუნქციონირებს დღის ცენტრების პროგრამა, სადაც პირებს შეუძლიათ მიიღონ დღის ცენტრის მომსახურება. დღის ცენტრების მიზანია სამიზნე ჯგუფის განვითარებაზე ზრუნვა, ოჯახების მხარდაჭერა და ა.შ; თუმცა, როგორც პრაქტიკა აჩვენებს საქართველოში ზრდასრული გონებრივი განვითარების შეფერხების მქონე პირებისთვის დღის ცენტრი განვითარებაზე ზრუნვის ერთადერთი გამოსავალია. საქართველოში მომსახურებათა უმეტესი ნაწილი ბავშვებისთვისაა, შედარებით მცირეა და ნაკლები მრავალფეროვნება გვაქვს ზრდასრულთა მომსახურებების მხრივ (უფლებებზე დაფუძნებული სოციალური მომსახურება ხანდაზმულების და შშმ პირებისთვის, 2020). მაშინ როდესაც, როგორც ბავშვობის, ისე მოზარდობის და ზრდასრულობის ასაკში მნიშვნელოვანია გავითვალისწინოთ, რომ ინდივიდებს მხარდაჭერა შესაძლოა სჭირდებოდეთ ცხოვრების მანძილზე, ან ცხოვრების გარკვეულ ეტაპზე; ეს თავის მხრივ გულისხმობს იმას, რომ მხარდამჭერი მომსახურებები უნდა იყოს მრავალფეროვანი, საჭიროებაზე მორგებული და განიხილავდეს ინდივიდებს life span პერსპექტივით. ამასთან, უმნიშვნელოვანესია, მომსახურებები პირის განვითარებასა და მისი უფლებების დაცვაზე იყოს ორიენტირებული, ითვალისწინებდეს ადამიანის ღირსებას, იყოს საჭიროებაზე მორგებული და პირის გაძლიერებაზე ორიენტირებული.

შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებები მომსახურების მისაწვდომობის მხრივ

ადამიანის უფლებების დაცვის მიმართულებით, განსაკუთრებით კი მომსახურების მიწოდების სტანდარტების გაუმჯობესების პროცესში, ადამიანის უფლებებზე დაფუძნებული მიდგომის დანერგვა მრავალი ქვეყნისთვის გახდა პრიორიტეტული. ევროპის სხვადასხვა ქვეყანაში უფლებებზე დაფუძნებული მიდგომის დანერგვა უკვე მიმდინარეობს და მომსახურების მიწოდების პროცესიც შემთხვევის მართვის ყველა ეტაპზე აღნიშნულ მიდგომას ეყრდნობა. უფლებებზე დაფუძნებული მიდგომის არსებობა მომსახურებებში ნიშნავს, რომ მომსახურების მიმღების ინტერესია ცენტრში და სხვადასხვა კონვენციითა და საერთაშორისო დოკუმენტებით აღიარებული უფლებები დაცულია მომსახურების მიღების ყველა ეტაპზე.

მომსახურების მიწოდების პროცესი ადამიანის ღირსების დაცვისა და თანასწორობის პრინციპს ეყრდნობა და უზრუნველყოფს ადამიანის თვით-განსაზღვრისა და დამოუკიდებლად გადაწყვეტილების მიღებას, ისე რომ პირი თავად განაგებს მის

ცხოვრებას და აქტიურადაა ჩართული საზოგადოებრივ საქმიანობაშიც (უფლებებზე დაფუძნებული სოციალური მომსახურება ხანდაზმულების და შშმ პირებისთვის, 2020). გაეროს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების კონვენციის ზოგადი კომენტარი #7 მიუთითებს, რომ ორგანიზაციები უნდა უზრუნველყოფდნენ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა მაქსიმალურ ჩართულობას გადაწყვეტილებების მიღების პროცესში (გაეროს კონვენცია შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების შესახებ), რომელიც ამ ადამიანს უკავშირდება და კიდევ ერთხელ უსვამს ხაზს „არაფერი ჩვენს შესახებ ჩვენს გარეშე“ დევიზის მნიშვნელობას. შესაბამისად, პირთა ჩართულობის უზრუნველყოფა ის უფლებაა, რომელიც უნდა იქნას დაცული გადაწყვეტილებების მიღებისას და სახელმწიფოსა და მომსახურების მიმწოდებელი ორგანიზაციების ვალდებულებაა უზრუნველყონ ეს უკანასკნელი.

იმისთვის რომ მომსახურების მიწოდების პროცესი ითვალისწინებდეს ყველა ზემოხსენებულს, მნიშვნელოვანია, მომსახურების მიმწოდებელი ერთის მხრივ იცნობდეს და აღიარებდეს ადამიანის უფლებებს, იაზრებდეს მომსახურების მიწოდების უფლებებზე დაფუძნებულ სტანდარტებს და მეორეს მხრივ, მზად იყოს ცვლილებებისთვის. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ მითითებული სტანდარტებითა და ხარისხით მომსახურების მიწოდება წარმოუდგენელია მულტიდისციპლინური მიდგომისა და კარგად მომზადებული კადრის გარეშე.

დღესდღეობით საქართველოში არსებობს მომსახურების მიწოდების ადგილობრივი მინიმალური სტანდარტები, რომელიც მომსახურების მიმწოდებელ ორგანიზაციებს ავალდებულებს აღნიშნული სტანდარტით დადგენილი ნორმების დაცვას და აღწერს მომსახურების მიზანის, ამოცანებს და მოსალოდნელ შედეგებს. მინიმალური სტანდარტის საშუალებით სახელმწიფო ასევე ახორციელებს გაწეულ მომსახურებაზე ზედამხედველობას. CSRDG – ის მიერ 2020 წელს ჩატარებული კვლევის მიხედვით, რომელიც მიზნად ისახავდა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა და ხანდაზმულთა მომსახურებებში უფლებებზე დაფუძნებული მომსახურების კომპონენტებისა და მომსახურების მიმწოდებელთა შესაძლებლობების კვლევას/შეფასებას, დადგინდა, რომ მომსახურებები ცდილობენ მინიმალური სტანდარტით დადგენილი ნორმები აღასრულონ, თუმცა, აქაც ვხვდებით გამოწვევებს სხვადასხვა უფლების აღსრულების ნაწილში, განსაკუთრებით კი შესამჩნევია შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების პროგრამის განვითარებასა და ხარისხის გაუმჯობესების პროცესში ჩართულობის მიმართულებით, ასევე, გადაწყვეტილებების მიღებისა და უკუკავშირის გათვალისწინების ნაწილში. ეს განსაკუთრებით რთულდება ზრდასრული გონებრივი განვითარების შეფერხების და/ან ფსიქოსოციალური საჭიროების მქონე პირებთან მომსახურებებში (უფლებებზე დაფუძნებული სოციალური მომსახურება ხანდაზმულების და შშმ პირებისთვის, 2020).

შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები, განსაკუთრებით კი ფსიქოსოციალური საჭიროების მქონე პირები, მრავალი გამოწვევის წინაშე დგანან ქვეყანაში. სახალხო დამცველი ანგარიშებში განსაკუთრებულად უსვამს ხაზს, რომ ქვეყანა მრავალი წელია დგას ერთი და იგივე გამოწვევების წინაშე, კერძოდ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებს არ აქვთ წვდომა საჭიროებაზე მორგებულ მომსახურებებზე, არ არის უზრუნველყოფილი არჩევანი მომსახურებების მხრივ და თითქმის არ გვაქვს ფუნქციონირებაზე დაფუძნებული მომსახურებები (საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ , 2019).

ასევე, დაბალია მათი დასაქმების მაჩვენებელიც, ნაკლებია განათლებაზე ხელმისაწვდომობაც და ხშირია შემთხვევები, როდესაც პირები ტოვებენ სასწავლებელ გარემოს (პროფესიული კოლეჯები). სახალხო დამცველის ანგარიშის მიხედვით დასაქმებული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების დაახლოებით 50% დასაქმების ადგილს ტოვებს არასათანადო და მათზე მორგებული სამუშაო გარემოს არქონის გამო (შშმ პირთა დასაქმების ხელშემწყობი სახელმწიფო პროგრამების მონიტორინგის ანგარიში, 2018).

ეს ყოველივე კი ხელს უშლის პირებს იყვნენ ჩართულნი საზოგადოებრივ საქმიანობაში, განივითარონ უნარები, გაიზარდოს მათი დამოუკიდებლობის ხარისხი, რაც მათ ფუნდამენტური უფლებების გარეშე ტოვებს. მნიშვნელოვანია, პროგრამირების და სახელმწიფო პოლიტიკის დანერგვის პორცესში გათვალისწინებული იყოს პირთა რეალური საჭიროებები, ერგებოდეს არა მინიმალურ არამედ უფლებებზე დაფუძნებულ სტანდარტს, ითვალისწინებდეს პირის მოსაზრებებს მათთან დაკავშირებული გადაწყვეტილებების მიღების პროცესში. არსებული პროგრამები კი, მათ შორის დღის ცენტრის მომსახურება უნდა ზრუნავდეს ისე შეცვალოს შიდა პოლიტიკა, რომ მოერგოს ადამიანის უფლებებით გათვალისწინებულ სტანდარტებს.

როგორც წესი მომსახურება თავად ნერგავს და ანვითარებს სერვისებს და ამ პროცესებში სამიზნე ჯგუფების მონაწილეობა ან ფორმალურ ხასიათს ატარებს, ან კი ნაკლებად ან საერთოდ არ არიან ჩართულნი. მიუხედავად იმისა, რომ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა და ხანდაზმულთა მომსახურებებს სახელმწიფო სტანდარტებით პირდაპირ ევალებათ, მომსახურების იმგვარად დაგეგმვა, რომ მომსახურების მიმღებთა და მათი ოჯახის წევრების/მზრუნველების მოსაზრება გათვალისწინებული იყოს მომსახურების მიწოდების პროცესში, კერძოდ, გამოთქვან მოსაზრებები, მისცენ უკუკავშირი. კვლევის მიხედვით ხშირად მომსახურება მაინც არაა ღია ამ უკუკავშირის მიღებისთვის. ბენეფიციარები და/ან მათი ოჯახის წევრებიც თავის მხრივ აზიარებდნენ გამოცდილებას, რომ ხშირად ერიდებიან კიდევ მოსაზრების დაფიქსირებას, რადგან ეშინიათ არ დადგეს მათი მომსახურებიდან გათიშვის რისკი. ეს კი მომსახურებების სიმწირის პირობებში, არჩევანის გარეშე ტოვებს ჯგუფებს. რა თქმა უნდა არის გამონაკლისი შემთხვევებიც (უფლებებზე დაფუძნებული სოციალური მომსახურება ხანდაზმულების და შშმ პირებისთვის, 2020). შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების კონვენციის მეცხრამეტე მუხლიც სახელმწიფოს ავალებს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთათვის ისეთი გარემოს შექმნას, რომ ხელი შეეწყოს მათ ჩაერთონ საზოგადოებრივ ცხოვრებაში და ჰქონდეთ დამოუკიდებელი ცხოვრებისთვის ხელშემწყობა.

აქვე გასათვალისწინებელია, რომ მომსახურების განვითარებაში, თუ გადაწყვეტილებების მიღებაში პირის და ან ოჯახის ჩართულობა არ არის ტექნიკური პროცესი, მის მისაღწევად რიგ შემთხვევებში ხანგრძლივი სამუშაოა გასაწევი. პირებს და ოჯახებს, სტიგმატიზირებულ საზოგადოებაში და ბარიერებით აღსავსე გარემოში მრავალი გამოწვევა აქვთ და დგანან ფსიქოლოგიური და სოციალური გამოწვევების წინაშე, შესაძლოა თავს არ გრძნობდნენ დარწმუნებულად, რომ ცხოვრების მოცემულ ეტაპზე სურთ იყვნენ აქტიურები, ან შესწევთ ძალა გამოთქვან აზრი, ჩაერთონ პროცესებში. შესაბამისად, მათი მხარდაჭერა ამ გზის გავლაში მნიშვნელოვანია. მომსახურებები და სპეციალისტები უნდა ითვალისწინებდნენ ყოველივეს და მაქსიმალური მხარდაჭერით უზრუნველყონ მათი გაძლიერება. შესაბამისად, აღნიშნულ თავში ვისაუბრებთ იმაზე, თუ რა გზას გადიან მშობლები შეზღუდული შესაძლებლობის მქონე შვილზე ზრუნვისას, ეს მნიშვნელოვანია რათა გავიაზროთ ჩართულობის უზრუნველყოფის დროს მათი

მდგომარეობა და გავაძლიეროთ ისინი, მივანიჭოთ ძალაუფლება საკუთარი და შვილის უფლებების დაცვისთვის. განვიხილავთ თავად შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების ცხოვრებისეულ ეტაპებს life course perspective - ის ჭრილში და ვიმსჯელებთ იმაზე, თუ რა საჭიროებები დგება თითოეულ ეტაპზე, რა გამოწვევების წინაშე არიან ინდივიდები და როგორ გავაძლიეროთ, რომ მივცეთ გადაწყვეტილების მიღებაში თანამონაწილეობის საშუალება, რა გზით ჩავრთოთ ისინი მომსახურებების განვითარების პროცესში, როგორ ვიმუშავოთ ისე რომ გაიზარდოს მათი დამოუკიდებლობის ხარისხი, როგორ გავაძლიეროთ მათი ოჯახის წევრები და დავეხმაროთ როგორც მომსახურების, ისე თემში ჩართულობის მხრივ, მოერგოს მომსახურება აღნიშნულ სტანდარტს; ასევე ვისაუბრებთ იმაზე, თუ თავად პირთან, მის ოჯახთან/მზრუნველთან თუ ორგანიზაციასთან მიმართებაში, მუშაობის პროცესში რა როლი შეიძლება ჰქონდეს სოციალურ მუშაკს, როგორც ინდივიდის, ჯგუფისა და საზოგადოების გაძლიერებაზე ორიენტირებულ პროფესიონალს.

აქვე განვიხილოთ ქვეყანაში არსებული მიდგომა, რომელიც ზემოხსენებულ პრობლემებს იწვევს და ტოვებს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებს შესაბამისი მხარდაჭერის გარეშე.

შეზღუდული შესაძლებლობის მოდელები: სამედიცინო და სოციალური

სხვადასხვა დროს ჯანმრთელობის მდგომარეობის ან სხვა მიზეზით მხარდაჭერის საჭიროება შესაძლოა ნებისმიერ ადამიანს დაუდგეს. თუმცა, როდესაც ეს ხანგრძლივად ახდენს პირის ყოველდღიურ ფუნქციონირებაზე გავლენას და ამაში გარემო ბარიერებიც უშლის ხელს, პირს როგორც წესი აქვს შეზღუდული შესაძლებლობა. დღეს ქვეყანა პირის სტატუსის განსაზღვრისა და მისთვის მომსახურებების დაგეგმვისას იყენებს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირის სტატუსის დადგენის სამედიცინო მოდელს. სამედიცინო მოდელი თავის მხრივ, დეფინიციებზე აკეთებს აქცენტს. სამედიცინო მოდელის მიხედვით შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირის სტატუსის განსაზღვრა ხდება მისი სამედიცინო მდგომარეობის შესაბამისად და არაა გათვალისწინებული პირის ფსიქო-სოციალური ფაქტორები და გარემო ფაქტორების გავლენა მის ფუნქციონირებაზე. თუმცა 2020 წელს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა კანონის მიხედვით ქვეყანა უნდა გადავიდეს სტატუსის განსაზღვრის სოციალურ მოდელზე. სოციალური მოდელი, რომელიც სამედიცინო მოდელის შემდეგ ყველაზე პროგრესულ მიდგომად აღიქმება პირის სტატუსის განსაზღვრისა და პოლიტიკის წარმოების მხრივ, ეყრდნობა პირის ბიოფსიქოსოციალურ შეფასებას და ითვალისწინებს პირის მოსაზრებას საკუთარ მდგომარეობასთან მიმართებით და აფასებს პირს გარემო ბარიერების გათვალისწინებით და სხვა მსგავსი ასაკის პირებთან შედარებით. იქიდან გამომდინარე, რომ ქვეყანა სტატუსის განსაზღვრისა და პოლიტიკის ფორმირების მიმართულებით მუშაობს სამედიცინო მიდგომის გათვალისწინებით, ალბათ ნაკლებად გასაკვირია, რომ მომსახურებებში დანერგილი მიდგომები ვერ პასუხობს ადამიანის უფლებებზე დაფუძნებულ სტანდარტებს.

უფლებებზე დაფუძნებული მიდგომა

ადამიანის უფლებებზე დაფუძნებული მიდგომის გათვალისწინება ძალზედ მნიშვნელოვანია შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებთან დაკავშირებული პროგრამების დაგეგმვისა და განვითარებისთვის. RBA არ არის პანაცეა, არამედ ეს არის საშუალება უზრუნველყო მომსახურების განვითარება სტანდარტების შესაბამისად. RBA

მიდგომა უზრუნველყოფს ყველა პირს თანაბრად ჰქონდეს განვითარების შესაძლებლობა. შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები და ხანდაზმულები უფლებების დარღვევის მხრივ ბავშვების შემდეგ ერთ-ერთ დიდ მოწყვლად ჯგუფს წარმოადგენენ, რადგან ბევრ მათგანს არ აქვს საშუალება დაიცვას საკუთარი უფლება, მოითხოვოს ღირსების შესაბამისი მოპყრობა. მათ ხშირად უწევთ ცხოვრება ისეთ სიტუაციებში, როდესაც უჭირთ საკუთარი უფლების რეალიზება: ხდებიან ექსპლუატაციის, დისკრიმინაციის, არასათანადო მოპყრობის მსხვერპლნი, შესაძლოა მათთან დაკავშირებული გადაწყვეტილებების მიღების პროცესში არ იყვნენ ჩართულნი, არ ჰქონდეთ წვდომა იმ ძირითად მომსახურებებზე, რომელიც უზრუნველყოფს ფუნდამენტური უფლებების დაცვას და აღსრულებას. მაშინ როდესაც შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების კონვენციის მიხედვით ადამიანის უფლებათა პრინციპებია:


- „თანდაყოლილი ღირსების, პირთა დამოუკიდებლობისა და ინდივიდუალური ავტონომიის პატივისცემა, მათ შორის საკუთარი არჩევანის გაკეთების თავისუფლება;
- დისკრიმინაციის აცილება;
- საზოგადოებაში სრული და ეფექტური მონაწილეობა და ჩართულობა;
- შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა განსხვავებულობის პატივისცემა და მიღება ადამიანთა მრავალფეროვნებისა და ადამიანობის ნაწილად;
- შესაძლებლობების თანასწორობა;
- ხელმისაწვდომობა;
- ქალთა და მამაკაცთა თანასწორობა;
- შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ბავშვების განვითარებადი შესაძლებლობების პატივისცემა და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვების უფლების პატივისცემა მათი იდენტობის შენარჩუნებისათვის; და
- აქტიური პარტნიორობა სერვისებსა და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებს შორის და, საჭიროების შემთხვევაში, მათ ოჯახებს, მეგობრებს, აღმზრდელებს და/ან ადვოკატებს შორის“ (უფლებებზე დაფუძნებული სოციალური მომსახურება ხანდაზმულების და შშმ პირებისთვის, 2020).

უფლებებზე დაფუძნებულ მიდგომაზე დაფუძნებული მომსახურებები ითვლება როგორც საუკეთესო პრაქტიკის მქონე, რადგან:

- მხარს უჭერს ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის პერსონალს პროფესიული ეთიკური ვალდებულებების შესრულებაში;
- აუმჯობესებს ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის ხარისხსა და ეფექტურობას, აუმჯობესებს გადაწყვეტილების მიღების პროცესს და აძლიერებს მომსახურების ყველა მომხმარებლის კეთილდღეობას;
- უზრუნველყოფს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები, უპირველეს ყოვლისა, არიან სხვებთან თანაბარი უფლებების მქონე პირები;
- უზრუნველყოფს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფრო მნიშვნელოვან მონაწილეობას და ჩართვას ჯანმრთელობისა და სოციალური მომსახურების დიზაინის შემუშავებაში და მიწოდებაში.
- ეხმარება ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის პერსონალს უკეთ გააცნობიერონ სოციალური და კულტურული ფაქტორების სპექტრი, რომლებიც გავლენას ახდენს ინდივიდის ჯანმრთელობასა და კეთილდღეობაზე; ამცირებს საჩივრებსა და სასამართლო პროცესებს (<http://rightsni.org/>, 2011).

შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა ოჯახების მახასიათებლები Life Course perspective-ის ჭრილში.

Life Course perspective- ის მიხედვით ცხოვრება ოთხ ეტაპად იყოფა: (1) ჩვილობა და ადრეული ბავშვობა, (2) მოზარდობა და ადრეული ახალგაზრდობა, (3) შუა ხნის ზრდასრულობა და (4) ხანდაზმულობა. შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებთან დაკავშირებით life course perspective-მიდგომას ავტორები ეკოლოგიური პერსპექტივითაც გვაჩვენებენ. კერძოდ, ეკოლოგიური მიდგომის მიხედვით ადამიანის ცხოვრების ყველა ეტაპზე სხვადასხვა დონის სისტემა ახდენენ გავლენას და ხსნის ადამიანისა და ამ სისტემის ურთიერთქმედებას. ხოლო, ავტორების მიხედვით ამ ორი სისტემის შეერთებით ჩვენ ვიღებთ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთან დაკავშირებულ 4 სისტემას: თავად შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირი და მისი ოჯახი/მზრუნველი, თემი და სახელმწიფო პოლიტიკა. ამ მიდგომის მიხედვით, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირისა და მისი ცხოვრების ხარისხის გაუმჯობესება შესაძლებელია ცვლილებები შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირსა და მის ოჯახზე უშუალო ჩარევით განხორციელდეს, სათემო დონის პროგრამებზე მიმართული ჩარევებით ან პოლიტიკის პროგრამების ცვლილებებით. ავტორები განსაკუთრებით უსვამენ ხაზს პროცესებში თავად შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისა და მათი ოჯახების უშუალო მონაწილეობას და გადაწყვეტილებების მიღებაში ჩართულობის მნიშვნელობას. აქვე ხაზია გასმული იმაზეც, თუ რაოდენ დიდი სტრესის ქვეშ არიან ოჯახები. ეს ფაქტორიც გასათვალისწინებელია მათთან მუშაობის პროცესში (Magaña, 2016)



1. ჩვილობა და ადრეული ბავშვობა
2. მოზარდობა და ადრეული ახალგაზრდობა
3. შუა ხნის ზრდასრულობა
4. ხანდაზმულობა

(1) ჩვილობა და ადრეული ბავშვობა

შეზღუდული შესაძლებლობის ბავშვის აღზრდას ოჯახზე დიდი გავლენა აქვს და შესაძლოა როგორც მშობელზე, ისე მთლიანად ოჯახზე მოახდინოს ძლიერი ემოციური გავლენა. ქრონიკული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვზე ზრუნვა კი მშობლის ცხოვრების მრავალ ასპექტზე ახდენს გავლენას (მაგ: ქორწინება, კარიერა, ურთიერთობები, სწავლა ა.შ). ეს კი საბოლოო ჯამში ხშირ შემთხვევაში იწვევს სტრესს და ოჯახის ფუნქციონირებაზე ახდენს დიდ გავლენას. კვლევების მიხედვით ოჯახები შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვებით უფრო დიდ ემოციურ სტრესს განიცდიან, ვიდრე ოჯახები ტიპური განვითარების ბავშვებით (Khan & Alam, 2016). თუმცა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვის დაბადება აპრიორი უარყოფით გამოცდილებებს არ უკავშირდება, ხშირად მშობლები მიუთითებენ იმაზე, თუ როგორ შეკრა მათი ურთიერთობები ბავშვის დაბადებამ, აღმოაჩინა ახალი შესაძლებლობები და უფრო გააძლიერა როგორც მშობელი. იგივე ითქმის დედ-მამიშვილებთან ურთიერთობაზეც (Magaña, 2016).

როდესაც ოჯახში შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვი იბადება, მისი განვითარება მეტწილად იმაზეა დამოკიდებული თუ როგორია თავად ოჯახის აღქმა და დამოკიდებულება ბავშვის მდგომარეობასთან მიმართებით. ბავშვის განვითარების პროცესში მშობლის დამოკიდებულებას, ბავშვის მშობელთან მიჯაჭვულობას და კავშირს უდიდესი როლი აქვს ბავშვის როგორც ფიზიკურ, ასევე ფსიქო-სოციალურ განვითარებაზე. ბავშვობის ასაკში ოჯახში არსებული ურთიერთობის პატერნები, პრობლემებთან გამკლავების მექანიზმები, დამოკიდებულებები ეხმარება ბავშვს თავადაც განვიითაროს შესაბამისი უნარები. პერსონალური და ოჯახური ფაქტორები როგორცაა, უსაფრთო მიჯაჭვულობა, დამოუკიდებლობის შეგრძნება, საკუთარი მეს აღქმა, მხარდამჭერი ურთიერთობები, წახალისება, ემოციური მხარდაჭერა, პოზიტიური როლური მოდელების არსებობა, საუბარი, ბავშვს ეხმარება განვიითაროს მედეგობა და გაუმკლავდეს მომავალში მის წინაშე არსებულ რისკებს (HOTHERSALL, 2008). თუმცა, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვის დაბადებისას ოჯახები თავადაც მრავალი გამოწვევების წინაშე დგანან. გაეროს ბავშვთა ფონდის კვლევის მიხედვით პრობლემები ძირითადად იწყება მშობლების დაბალი ინფორმირებულობის გამო, მათ არ იციან რა მოიქმედონ, როგორ იზრუნონ ბავშვზე, უჭირთ ახალ მდგომარეობასთან შეგუება, ამას ემატება გარემოში არსებული სტიგმა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვებთან მიმართებაში. ბავშვის დაბადებასთან ერთად იცვლება მშობლების როლები, ხდება ოჯახში როლების ხელახალი გადანაწილება. მშობლებს მრავალი უცნობი და ახალი გამოწვევასთან უწევთ გამკლავება, რომელიც საზოგადოებაში და მათ წარმოსახვაში ჩამოყალიბებულ მშობლის მოდელს შესაძლოა არ შეესაბამებოდეს. ხშირად მათ უწევთ მორიგონ ადვოკატის, სამედიცინო პერსონალის, მომვლელის და სხვა როლები (ბავშვის მდგომარეობის გათვალისწინებით). ამას ემატება გარე სტრესული ფაქტორები, როგორცაა ფინანსური სირთულეები, სტიგმა, სოციალური იზოლაცია, გაუცხოება და ქორწინების პრობლემები.

კვლევების მიხედვით ოჯახის წევრები ბავშვის მდგომარეობასთან შეგუების რამდენიმე ეტაპს გადიან შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვის დაბადებიან მისი ზრდასრულობის ჩათვლით. ხშირად მშობლებს ენგრევათ ის ხატი რაც ცხრა თვის განმავლობაში ბავშვთან დაკავშირებით ჰქონდათ შექმნილი, ვერ ხვდებიან როგორ იზრუნონ ბავშვზე, არ იციან რა მომავალი შეიძლება ჰქონდეს მას. შესაბამისად მათთვის ბავშვის დიაგნოზთან შეგუება ხშირად ხანგრძლივი პროცესია და შესაძლოა მცდარი მოლოდინებით იყოს აღსავსე ზრდასრულობის ასაკის მიღწევის ჩათვლით. ოჯახებს

სწორად ინფორმირება და სპეციალისტების დროული მხარდაჭერა სჭირდებათ, რათა ადრეული ჩარევით ბავშვის სწორ განვითარებას და მშობლობის უნარების ჩამოყალიბებას შეეწყოს ხელი.

მშობლების შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვის დაბადებისას დიაგნოზთან და მდგომარეობასთან შეგუების სხვადასხვა გზას ირჩევენ. ეს მიდგომა კი შესაძლოა ზრდასრულობის ასაკამდე გამოიყენონ.

- 1. პრობლემაზე ფოკუსირებული vs ემოციაზე ფოკუსირებული შეგუების მექანიზმები**
თუ ადამიანი მის ქცევას მიმართავს პრობლემის მოგვარებაზე და სტრესული სიტუაციის გამომწვევი ელემენტების შემცირებაზე, მაშინ მას პრობლემაზე ფოკუსირებული შეგუების მექანიზმები აქვს. მეორეს მხრივ, თუ პირი მიმართავს ისეთ ქმედებებს, რომლითაც ცდილობს შეამციროს მისი ემოციური რეაქცია პრობლემის მიმართ (მაგალითად: ტირილი, საკუთარი თავის დამშვიდება, პრობლემის უარყოფა, სხვების დადანაშაულება პრობლემის გამოწვევაში ეს ნიშნავს რომ პირი იყენებს ემოციებზე ფოკუსირებულ შეგუების მექანიზმებს.
- 2. აქტიური (Engaged) vs პასიური (Disengaged) შეგუების მექანიზმები**
სტრესთან პირდაპირ გამკლავებაზე მუშაობა გულისხმობს, რომ პირი იყენებს engaged შეგუების მექანიზმს. ამის მაგალითია, პრობლემის მიღება, თვალის გასწორება, მხარდაჭერის ძიება, კოგნიტური გადაფასება. მეორეს მხრივ, კი პირი რომელიც უარყოფს მის წინ არსებულ პრობლემას და მეტწილად არასათანადო მოლოდინებით, ფიქრებით, ოცნებებითაა პრობლემასთან მიმართებაში ის disengaged შეგუების მექანიზმს იყენებს. ეს კი როგორც წესი შეგუების მცდარი მექანიზმია
- 3. პროაქტიური vs რეაქტიული შეგუების მექანიზმები**
რეაქტიული მექანიზმები ძირითადად მხოლოდ სტრესის შემდეგ გამოიყენება. მისი მიზანია შეამციროს ზიანი, რომელიც სტრესმა გამოიწვია და კომპენსირება გაუწიოს მას. მეორეს მხრივ პროაქტიულია შეგუების მექანიზმი, როდესაც პირი ცდილობს შეამციროს სტრესის გამომწვევი რისკები (Khan & Alam, 2016).

აღნიშნულ მექანიზმებს მშობლები დიაგნოზთან ადაპტაციისას სხვადასხვა დროს მიმართავენ. სხვადასხვა ავტორი შეგუების სხვადასხვა ეტაპს გამოყოფს, მაგალითად გამოიყოფა შეგუების 3 სტადია: ემოციური დეზორგანიზება -უფრო მეტად გულისხმობს შოკურ რეაქციას, როდესაც მშობელს უჭირს გაიაზროს რეალობა. მეორე ეტაპია რეინტეგრაცია, როცა მშობელს შედარებით რეალისტურად აღიქვამს რეალობას და სრულად ადაპტაციის სტადია -როცა მშობლები რეალისტურად აღიქვამენ სიტუაციას (სატრენინგო მასალა სოციალური მუშაკებისთვის, 2016)

ეს პროცესი მშობლებს შესაძლოა დიდ ხანსაც გაუგრძელდეთ, შეგუების ამ მექანიზმებს იყენებდნენ შვილის ცხოვრების ნებისმიერ ეტაპზე, სირთულის გამკლავებისას, რაც საბოლოოდ მათ ქმედებას განსაზღვრავს და აისახება პირის ცხოვრებაზე. მნიშვნელოვანია მშობლებთან მუშაობისას გავითვალისწინოთ თუ როგორ აღიქვამს ის საკუთარი შვილის მდგომარეობას, რას უკავშირებს მას, როგორ წარმოუდგენია საკუთარი შვილის მომავალი, როგორია მის შვილთან ურთიერთობა.

ასეთ დროს მომსახურება ორიენტირებული უნდა იყოს როგორც ბავშვის განვითარების მიმართულებით მხარდაჭერაზე, ასევე აქტიურად იმუშავოს ოჯახთან შემთხვევის მართვის ყველა ეტაპზე. ძლიერ მხარეებზე მიმართული მუშაობა, სწორედ ბავშვისა და მისი ოჯახის აქტიურ ჩართულობას გულისხმობს და ითვალისწინებს. იმისთვის რომ ოჯახი აქტიურად იყოს პროცესებში ჩართული, გაძლიერდეს მნიშვნელოვანია შემთხვევის

მმართველი (კოორდინატორი) ითვალისწინებდეს მშობლის მდგომარეობას და მისი ჩართვის სწორი სტრატეგიები გამოიყენოს. თუ გავითვალისწინებთ ზემოხსენებულ სტრესულ გამოცდილებას და/ან ეტაპებს და მექანიზმებს, რასაც მშობელი იყენებს შვილის მდგომარეობასთან შეგუებისას, ადვილი წარმოსადგენია, თუ რაოდენ დიდი სიფრთხილე სჭირდება პროფესიონალს მუშაობის პროცესში. მშობლებთან მუშაობისას სხვადასხვა მოდელის გამოყენება შეიძლება, განსაკუთრებით აღსანიშნია ოჯახზე ცენტრირებული მიდგომა, რომელიც ოჯახთან, მის თანადგომის ქსელთან და თემთან მუშაობას გულისხმობს. ოჯახების გაძლიერებისას მიკრო დონეზე მომსახურებას შეუძლია ოჯახებს შესთავაზოს:

ა) საგანმანათლებლო პროგრამები, რომელიც მშობლის უნარების გაძლიერებას შეუწყობს ხელს

ბ) სტრესის დაძლევის პროგრამები, რომელიც მშობელს ხელს შეუწყობს თავი დააღწიოს სტრესულ მდგომარეობას და გაუმკლავდეს მომავალ სტრესულ სიტუაციებს

დ) გაძლიერებაზე ორიენტირებული პროგრამები, რომელიც მშობელს დაეხმარება, გააძლიერებს და დაეხმარება თავად შეძლოს საკუთარი და შვილის უფლებების დაცვა

ე) მშობლის მზრუნველის სწავლებაზე დაფუძნებული პროგრამები, რომელიც ძირითადად მცირე ასაკის ბავშვების მშობლებთან გამოიყენება (განსაკუთრებით აუტისტური სპექტრის აშლილობის მქონე და განვითარების დარღვევების მქონე ბავშვებთან) და მშობლებს ეხმარება შეისწავლონ როგორ შეუწყონ მათი შვილების უნარების გაძლიერებას როგორცაა მეტყველება, სოციალური უნარები, თამაში და ა.შ (სოციალური მუშაობა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვებთან, 2018)

ვ) ასევე ხშირად გამოიყენება სოციალური მუშაკების მიერ ოჯახების კონსულტირება, რომელიც ეხმარება მშობელს არა მარტო მომსახურების მიღებაში, არამედ პასუხისმგებლობების გააზრებაში, ეხმარება პიროვნების განვითარებას, სტრესის დაძლევის, საკუთარი როლის გააზრებას, საკუთარი პრობლემებისა და მათი გადაჭრის გზების დადგენაში (სოციალური მუშაობა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვებთან, 2018).

მომსახურებას შეუძლია მშობლების გაძლიერების მხრივ მიკრო დონეზე სხვადასხვა მიდგომა გამოიყენოს. თუმცა მნიშვნელოვანია, რომ ყველა მათგანი მშობლის და ბავშვის ძლიერ მხარეებს ითვალისწინებდეს და მათი ფუნდამენტური უფლებების დაცვაზე იყოს ორიენტირებული. თანამედროვე მიდგომებით, ოჯახისა და სპეციალისტების მუშაობა არ განიხილება როგორც ექსპერტისა და დახმარების საჭიროების მქონე პირის მუშაობა, არამედ ესაა თანამშრომლობა, სადაც ორივე მხარე თანაბარია და ქმნის ალიანსს. მულტიგუნდის ნებისმიერი წევრი, განსაკუთრებით, კი შემთხვევის მმართველი უნდა ზრუნავდეს ამ ალიანსის ჩამოყალიბებაზე, ნდობის გაძლიერებაზე და უფლებების მინიჭებაზე.

ამ პროცესებში, არ უნდა გამოგვრჩეს ბავშვის მონაწილეობა. ბავშვის უფლებათა კოდექსის მერვე მუხლი მიუთითებს, რომ ბავშვის აზრი უნდა იქნას მოსმენილი და გათვალისწინებული, მასთან დაკავშირებული გადაწყვეტილებების მიღებისას და დაუშვებელია ბავშვის შეზღუდული შესაძლებლობის ან სხვა ნიშნით დისკრიმინაცია და ამ უფლებით სარგებლობის შეზღუდვა (ბავშვის უფლებათა კოდექსი, 2019). შესაბამისად, მომსახურების მიწოდებისას, შემთხვევის მართვის პროცესში მნიშვნელოვანია ბავშვის

მოსაზრება, მისი ასაკის და გარემოებების გათვალისწინებით იქნას მოსმენილი, განხილული იქნას მასთან დაკავშირებული გეგმები და მონაწილეობა მიიღოს გადაწყვეტილების მიღებისას (Khan & Alam, 2016).

(2) მოზარდობა და ადრეული ახალგაზრდობა,

მოზარდობა/ახალგაზრდობის ტერმინი მოიაზრებს ტრანზიციის პერიოდს ბავშვობიდან ზრდასრულობის ასაკში (16-25 წ პერიოდი). Brian R. Grossman & Sandy Magaña-ს შენიშვნით, ასაკობრივი კატეგორიები და დაყოფა, შესაძლოა განსხვავდებოდეს ქვეყნის კონტექსტის, კულტურული და სხვა მახასიათებლების მიხედვით და დოგმას არ წარმოადგენს, აქ მითითებულია დასავლური პერსპექტივა. (Magaña, 2016) ზოგადად, ეს ასაკი მნიშვნელოვან ცხოვრებისეულ მოვლენებთანაა დაკავშირებული, მაგ. განათლება, დასაქმება, ოჯახის შექმნა, ბავშვის გაჩენა და ა.შ. თუმცა, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისთვის (განსაკუთრებით გონ. განვითარების შეფერხების და ფსიქოსოციალური საჭიროების მქონე პირების შემთხვევაში) შესაძლოა ეს პერიოდი მეტი გამოწვევით იყოს სავსე და უფრო გახანგრძლივდეს, რადგან ეს პერიოდი უკავშირდება ავტონომიურობას და დამოუკიდებლობის ხარისხს და ამ მხრივ მათ მეტი მხარდაჭერა სჭირდებათ (Decision making support for people with cognitive disability, 2015).

მოზარდობის ასაკში მნიშვნელოვანია მშობელმა იზრუნოს შვილის დამოუკიდებელი ხარისხის გაზრდაზე, რათა ზრდასრულობის ასაკში პირს ჰქონდეს უნარები დამოუკიდებლად ან დახმარებით შეასრულოს ყოველდღიურ საქმიანობები, მიიღოს გადაწყვეტილებები, მისი ფუნქციონირება არ შეიზღუდოს უნარების ნაკლებობით. მნიშვნელოვანია, მშობელმა დამოუკიდებლობის უნარებზე ზრუნვა არა მხოლოდ მოზარდობის ასაკში, არამედ მცირე ასაკიდანვე დაიწყოს, რათა უნარების გაძლიერებით გაიზარდოს მოზარდის, პირის კომპეტენცია.

(3) შუა ხნის ზრდასრულობა

ზრდასრულობა უკავშირდება ცხოვრების ისეთ პერიოდს, რომლის დროსაც აქტუალურია მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებების მიღება. კვლავ აქტუალური საკითხებია ცხოვრებისეული პარტნიორის ყოლა, დასაქმება, სტაბილურობა, განათლების გაღრმავება, აქტიური სოციალური ურთიერთობები, საზოგადოებრივ საქმიანობაში აქტიური ჩართულობა და ა.შ. როგორც ზემოთაც აღინიშნა, ცხოვრების ამ ეტაპზე შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები ბევრ ბარიერს აწყდებიან. ბევრი მათგანი ვერც ახერხებს ცხოვრებისეული მიზნების მიღწევას. შესაძლებლობების შეზღუდვის ხარისხი, გარემო პირობები, მისაწვდომობა მომსახურებებზე, ზოგადი კონტექსტი, სტიგმა ეს ის ხელისშემშლელი პირობებია, რომელმაც შესაძლოა ზემოთ ხსენებული ბარიერები განაპირობოს. კვლევების მიხედვით ზრდასრულ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა 60-70% ოჯახთან ერთად ცხოვრობს. აღნიშნული არ გულისხმობს ერთმნიშვნელოვნად უარყოფით ფაქტორს, თუმცა გასათვალისწინებელია, რომ მხოლოდ სახლში ოჯახში როლის მორგება არაა საკმარისი (Magaña, 2016).

Life course approach-ის მიხედვით, მნიშვნელოვანია ცხოვრებისეული ეტაპებში გადასვლის ტრანზიციის პერიოდები, რომელიც ხშირად შესაძლოა ბარიერების გამო შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვებს, პირებს უფრო მეტად გაუჭირდეთ. თუმცა ნებისმიერ შემთხვევაში ტრანზიციის პერიოდისთვის როგორც მშობლებს, ისე პირებს სჭირდებათ მომსახურების და/ან სპეციალისტის/ების მიერ წინასწარ მომზადება და ტრანზიციის პერიოდის გავლაში ხელშეწყობა.

ფსიქოსოციალური საჭიროების და გონებრივი განვითარების შეფერხების მქონე პირებისთვის ზრდასრულობის პერიოდში გადასვლა იმითიცაა გართულებული, რომ ხშირ შემთხვევაში მრავალფეროვანი მომსახურებები არ არსებობს, ან მცირე ოდენობითაა და მისაწვდომობაც ნაკლებია. შესაბამისად, დიდი წილი ზრუნვისა კი ოჯახებზე მოდის (სოციალური მუშაობა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვებთან, 2018). ოჯახები ხშირად თავს არ მიიჩნევენ კომპეტენტურებად იზრუნონ მათი შვილების განვითარებაზე ისე, რომ უზრუნველყონ საუკეთესო შედეგები. მეორეს მხრივ, მშობლების ნაწილი ფიქრობს, რომ პირიქით, ეს ახალი მშობლობის ახალი უნარების დასწავლის საშუალება (Heller, 2012)

ასაკის მატებასთან ერთად იცვლება ადამიანის საჭიროებები, ყალიბდება ინდივიდი როგორც პიროვნება და უჩნდება დამოუკიდებლობის მოთხოვნილება. სწორედ ამ პერიოდში ოჯახები/მზრუნველებს უწევთ იპოვნონ ბალანსი მათი შვილისთვის ავტონომიურობის/დამოუკიდებლობის ხარისხის ზრდაზე ზრუნვას და საკუთარ გრძნობებს შორის, რომელიც შვილის დაცვას უკავშირდება (Heller, 2012). მომსახურება უნდა იყოს სენსიტიური ამ პროცესის მიმართ და შეძლოს პირების მიმართ ინდივიდუალური მიდგომის უზრუნველყოფა. კვლევების მიხედვით, ინდივიდზე ორიენტირებული ზრუნვა ზრდასრულთა მომსახურებებში ერთ-ერთი ეფექტური მიდგომაა (Heller, 2012).

(4) ხანდაზმულობა

ცხოვრების ამ ეტაპზეც კვლავ დგას თვით დეტერმინაციის, არჩევანის თავისუფლების, მონაწილეობის და კეთილდღეობის მიღწევის მნიშვნელობა. ფსიქოსოციალური საჭიროების და გონებრივი განვითარების შეფერხების მქონე პირებისთვის ცხოვრების ხარისხის გაუმჯობესება ზემოხსენებულ ასპექტებზეა დამოკიდებული.

ხანდაზმულობასთან ერთად იზრდება შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების საჭიროებები. ოჯახების როლი აქ კვლავ აქტუალურია, უწევთ რა გაითვალისწინონ გაზრდილი საჭიროებები. თუმცა, ნიშანდობლივია რომ ოჯახის წევრები თავადაც ხანდაზმულები არიან და თავად ხდებიან მოვლის საჭიროების მქონე. ასეთ დროს როგორც წესი თუ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირს არ ჰყავს მეუღლე ან პარტიორი მასზე ზრუნვას ოჯახის სხვა წევრები, უფრო მეტად, დედმამის შვილები აგრძელებენ. თუმცა, ზოგადად ხანდაზმულობას ახლავს სოციალური იზოლაციის რისკი, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე, განსაკუთრებით კი გონებრივი განვითარების ან ფსიქოსოციალური საჭიროების მქონე პირებთან მიმართებაში, ძირითადი მზრუნველის გამოკლებამ ეს რისკი შესაძლოა გაზარდოს, კვლავ დგება არასათანადო მოპყრობის რისკიც, შესაძლოა ექსპლუატაციის და ძალადობისაც კი. აუტიზმის შემთხვევაში, ისევე როგორც ფსიქოსოციალური საჭიროების მქონე პირებთან მიმართებაში კვლევის მიხედვით ქალები უფრო ერთვებიან ზრუნვის პროცესში, იმის შემდეგ რაც ძირითადი მზრუნველი გამოაკლდებათ. თუმცა ხშირ შემთხვევაში განვითარების დარღვევების და ფსიქოსოციალური საჭიროების მქონე პირებთან მიმართებაში დიდია რისკი ზრუნვის გარეშე ან არასათანადო ზრუნვის პირობებში დარჩენის (Magaña, 2016).

Life course approach-ის მიხედვით თითოეული ცხოვრებისეული პერიოდი ეკოსისტემების თეორიის ჭრილში უნდა განვიხილოთ, ანუ დავინახოთ თუ რა დონეზეა საჭირო ცვლილებები, იმისთვის რომ დაკმაყოფილებული იყოს პირების და მათი ოჯახების საჭიროებები (Magaña, 2016).

რადგან, პირველ ნაწილში მეტნაკლებად მიმოვიხილეთ ბავშვებთან მუშაობა, აქ შევეხებით ახლაგაზრდობის, ზრდასრულობისა და ხანდაზმულობის ხანას.

განვიხილოთ მიკრო დონეზე ჩართულობის გზები. შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებს შესაძლოა არ ჰქონდეთ მხარდაჭერა განათლების მიღების, უნარების განვითარების, საზოგადოებრივ საქმიანობაში ჩართულობის მხრივ და შესაბამისად არ გრძნობდეს თავს კომპეტენტურად ჩაერთოს ყველა სახის განხილვაში, მიიღოს აქტიური მონაწილეობა, გამოთქვას აზრი, ან შესაძლოა მათი ამჟამინდელი ინტერესი ეწინააღმდეგებოდეს მის საჭიროებას. ყველაზე მნიშვნელოვანი სწორედ ამ ბალანსის დაცვაა. ამისთვის ფსიქო-სოციალური საჭიროების მქონე პირებისთვის ეფექტურია მიანიჭო კომპეტენცია, გააძლიერო ისწავლოს გადაწყვეტილებების მიღება. ამ მხრივ მძიმე და ღრმა გონებრივი განვითარების შეფერხების მქონე პირებთან მიმართებაში შესაძლოა ჩავრთოთ ის პროცესში მისთვის მისაღები გზით. (ქვემოთ მიმოხილულია ჩართულობის შესაძლო გზები). კომპეტენციის განვითარებისთვის მნიშვნელოვანია: თვითდეტერმინაცია, არჩევანის გაკეთების უნარი, საკუთარი კეთილდღეობის შესახებ ცოდნა, თავდაჯერებულობის გამომუშავება (Schulmann, Ilinca, Rodrigues, & Pateisky, 2017).

თვით დეტერმინაცია

თვით დეტერმინაცია ჩვენი შესაძლებლობაა მივიღოთ გადაწყვეტილებები ჩვენსავე ცხოვრებასთან დაკავშირებით. გაძლიერებაზე ორიენტირებული მუშაობა ეხმარება ადამიანებს ვისაც გარკვეული გარემოებებით ეს უფლება ეზღუდებათ, დაუბრუნოს მათ გადაწყვეტილებების მიღების შესაძლებლობა - მისცეს ძალაუფლება (helensandersonassociates.co.uk, თ. გ.). ფსიქოსოციალური საჭიროების მქონე პირებისთვის გადაწყვეტილების მიღების პროცესში მხარდაჭერა მნიშვნელოვანი ასპექტია. შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების უფლებაა იყვნენ საკუთარი ცხოვრების მფლობელები, ჰქონდეთ კონტროლი საკუთარ ყოველდღიურ წვრილმან თუ მნიშვნელოვან გადაწყვეტილებებზე (გაეროს კონვენცია შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების შესახებ). აღნიშნული გასათვალისწინებელია, როგორც თავად შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების ოჯახის წევრების მიერ, ასევე, იმ მომსახურებების/პროფესიონალების მიერაც, ვინც შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებთან მუშაობენ. თვით-დეტერმინაცია, საკუთარ სურვილებზე, გადაწყვეტილებებზე, ცხოვრებაზე კონტროლის ქონა ადამიანისთვის დამოუკიდებლობის და ბედნიერების მომტანია (SUPPORTING INDIVIDUALS TO LIVE FULL LIVES Guardianship Alternatives, 2018).

გადაწყვეტილებების მიღების უნარის განვითარება ყველასთვის მნიშვნელოვანია, როგორც შეზღუდული შესაძლებლობის მქონე, ისე ტიპური განვითარების პირისთვის. როგორც ტიპური განვითარების ადამიანები, ისე შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებიც უნარებს ცხოვრების განმავლობაში ივითარებენ, სწავლისა და გამოცდილებების მიღების საფუძველზე. განსხვავება კი ის არის, რომ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებს ნაკლებად ეძლევათ საშუალება დააგროვონ აღნიშნული გამოცდილებები, ხშირად გადაწყვეტილებები მათ ნაცვლად მიიღება სხვადასხვა მიზნით: ექსპლოატაცია, ზრუნვა-უსაფრთხოება, არაკომპეტენტურად მიჩნევა და სხვა. სახალხო დამცველის ანგარიშის მიხედვით შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები ხშირად ხდებიან სხვადასხვა ტიპის ძალადობის მსხვერპლნი (ეკონომიკური ძალადობა, ფიზიკური ძალადობა, იძულება და ა.შ), რაც ხშირად უკავშირდება სწორედ დამოუკიდებლობის შეზღუდვასაც (საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის

შესახებ , 2019), თუმცა ხშირად ამას ოჯახის წევრები და ახლობლები გადამეტებული ზრუნვის და ერთგვარი უსაფრთხოების მიზნითაც მიმართავენ. მათი აზრით, თუ გადაწყვეტილებებს მათი ოჯახის წევრების ნაცვლად მიიღებენ, დაიცავენ მათ შეცდომებისგან და საბოლოოდ კი თავიდან აარიდებენ საფრთხეებს, მაგალითად, გადაწყვეტილებები რომლებიც უკავშირდება ყოველდღიურ საქმიანობას (გასეირნება, დასვენება, სახლის დალაგება, საჭმლის მომზადება, დამოუკიდებლად ჩაცმა), მომსახურების შერჩევას, პირადი ცხოვრების არჩევანში ჩარევას, ფინანსური გადაწყვეტილებების მიღებას, ურთიერთობებს მეგობრებთან და ა.შ. (SUPPORTING INDIVIDUALS TO LIVE FULL LIVES Guardianship Alternatives, 2018). გადამეტებული უსაფრთხოების გარდა, ხშირად მშობლები/ოჯახის წევრები/მზრუნველები და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებთან მომუშავე პროფესიონალები მათ არაკომპეტენტურადაც მიიჩნევენ საიმისოდ, რომ გათვალისწინებული იყოს მათი აზრი გადაწყვეტილებების მიღების პროცესში. შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები, რომლებიც არ არიან ჩართულნი გადაწყვეტილებების მიღების პროცესში, უფრო მეტად ხდებიან პასიურნი, დამოკიდებულნი და მეტად მოწყვლადები არიან ძალადობის მიმართ. ხშირად უჭირთ კიდევ გაარჩიონ მათ სასარგებლოდ მიღებული გადაწყვეტილებები, ექსპლოატაციისგან. ისინი კი, ვინც უფრო მეტად ჩართულები არიან გადაწყვეტილების მიღების პროცესში, უფრო მეტად გამოირჩევიან დამოუკიდებლობის ხარისხით, მათი ფსიქოსოციალური უნარებიც უკეთესია, მეტი შანსი აქვთ დასაქმდნენ და მიიღონ განათლება, უკეთ შეუძლიათ ძალადობრივი ქცევის იდენტიფიცირებაც.

იმისთვის რომ პირებს დავებმართოთ კონკრეტული უნარების დასწავლისთვის, არსებობს დასწავლის რამდენიმე საფეხური:

დაუფლება: პიროვნების მხარდაჭერა, მიიღოს ძირითადი ცოდნა და უნარები , ისე რომ მცირე ამოცანებად/პორციებად დაიყოს მისთვის დასასწავლი მასალა, ისე როგორც ეს მის შესაძლებლობებს შეესაბამება.

დასწავლილის პრაქტიკაში გამოყენების ჩვენება. ესეც მნიშვნელოვანია მცირე ამოცანებად იყოს დაყოფილი და დროში გაწერილი საჭიროების შემთხვევაში, დამატებითი დახმარებით უზრუნველყოფა, მაგალითად, სურათების ან ვიზუალური მასალის გამოყენებით. უკუკავშირის მიწოდება შესრულებულ დავალებებზე, მითითებების მიცემა და საჭიროების შემთხვევაში სხვადასხვა გზის ჩვენება

სრულყოფილად ცოდნის ფაზა: როდესაც ადამიანი უკვე ფლობს უნარებს და შეუძლია მათი გამოყენება პრაქტიკაში (ეს არ გულისხმობს აუცილებლად დიდ სამუშაოს, შესაძლოა ეს იყოს ელემენტარული მაგ: სახლთან ახლოს მაღაზიაში წასვლა ა.შ)

შენარჩუნება: პირისთვის შეხსენება, გადამეორება ნასწავლი მასალის, დასწავლილი უნარების გავარჯიშება. მნიშვნელოვანია ნასწავლის ხშირად მონიტორინგი (სულ მცირე კვირაში ერთხელ) მონიტორინგის სიხშირემ შესაძლოა დროთა განმავლობაში დაიკლოს

განზოგადება: როდესაც ადამიანს შეუძლია კონკრეტული უნარის გამოყენება სხვა სიტუაციურ კონტექსტში. მაგ: სხვა მაღაზიაში წასვლა და ყიდვა ა.შ (შალამვილი, 2015)

არჩევანის თავისუფლება

შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებს რაც უფრო მეტად ექნებათ გადაწყვეტილების მიღების საშუალება, მით უკეთ შეძლებენ გადაწყვეტილებების მიღების სწავლას. ეს

საშუალებას მისცემს მათ ისწავლონ გადაწყვეტილების მიღების ყველა ეტაპის გააზრება, მაგ. პრობლემის გადაჭრის გზის ძიება, მიზნის დასახვა, პასუხისმგებლობის აღება. გქონდეს გადაწყვეტილების მიღების (დახმარებით თუ მის გარეშე), არჩევანის გაკეთების, წარუმატებლობის და წარმატების მიღწევის საშუალება ადამიანის ღირსების შემადგენელია. მნიშვნელოვანია გავითვალისწინოთ, რომ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებს გადაწყვეტილების მიღებაში, არჩევანის გაკეთებაში, არჩევანის იდენტიფიცირებაში დახმარება შესაძლოა დასჭირდეთ. დახმარებით გადაწყვეტილების მიღება, არჩევანის გაკეთება ეხმარება მათ გაითვალისწინონ სხვადასხვა ნიუანსი. დახმარებით გადაწყვეტილების მიღება არ ნიშნავს მათ ნაცვლად გადაწყვეტას, ეს ნიშნავს მხარდაჭერას, ინფორმირებას, პირის კომპეტენციის გაზრდას გადაწყვეტილების მიღების პროცესში (SUPPORTING INDIVIDUALS TO LIVE FULL LIVES Guardianship Alternatives, 2018). მხარდაჭერით გადაწყვეტილების მიღება გულისხმობს როგორც პირის შესაძლებლობების პატივისცემას და გათვალისწინებას, ასევე, ითვალისწინებს იმ ლიმიტებსაც, რაც პირს შესაძლოა ჰქონდეს და შესაბამისად, დაბალანსებულად ხდება გადაწყვეტილების მიღება. აქედან გამომდინარე, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებს სჭირდებათ სანდო პროფესიონალი, ოჯახის წევრი, მეგობარი, მომსახურება, რომელიც დაეხმარება გაერკვნენ სიტუაციაში, გააზრონ არჩევანი, რაც მათ აქვთ მოცემულ მომენტში, მიიღონ რჩევა და საბოლოოდ კი მიიღონ გადაწყვეტილება - გააკეთონ ინფორმირებული და გააზრებული არჩევანი. აღნიშნული სხვადასხვა სფეროს შესაძლოა უკავშირდებოდეს და სხვადასხვა სირთულისა და მნიშვნელობის გადაწყვეტილებას: ჯანმრთელობასთან დაკავშირებული, ლეგალური საკითხები, პირად ცხოვრებასთან დაკავშირებული საკითხები, ფინანსებთან დაკავშირებული საკითხები, მომსახურების მიღებისას არსებული გამოწვევები, მომსახურებაში ჩართვის გადაწყვეტილება და ასე შემდეგ (What Is Self-Determination and Why Is It Important?).

არჩევანი პირისთვის შეზღუდული არ უნდა იყოს მისი შესაძლებლობის შეზღუდვის სტატუსის გამო, ან იმის გამო რომ ფსიქოსოციალური საჭიროებისაა. არჩევანი ყველასთვის თანაბრად ხელმისაწვდომი უნდა იყოს. მნიშვნელოვანია პირს დავასწავლოთ არჩევანის გაკეთებაც, ან ვასწავლოთ ის თუ როგორ ითხოვოს და ვისგან ითხოვოს დახმარება არჩევანის გაკეთების პროცესში. მომსახურების ჭრილში კი, პროფესიონალები უნდა უწყობდნენ ხელს პირის ამ არჩევანის უზრუნველყოფას. უფლებაზე დაფუძნებული სტანდარტებით გეგმის ერთ-ერთი ეტაპი ყოველთვის გულისხმობს მომსახურების მიერ მიწოდებული სერვისის ყველა ასპექტის გააზრებას და ექვ ქვეშ დაყენებას - არის კი ის საკმარისად ხელმისაწვდომი ბენეფიციარებისთვის, ვაძლევთ თუ არა მათ მომსახურების შერჩევის საშუალებას, ვითვალისწინებთ მის უკუკავშირს? ვრთავთ მას განვითარების პროცესში?

თუმცა, მნიშვნელოვანია, გავითვალისწინოთ, რომ მძიმე და ღრმა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებთან მუშაობისას, ან დემენციის მქონე ხანდაზმულებთან, არჩევანის სიმრავლემ ისინი დააბნიოს, ააფორიაქოს, შფოთვა და ღელვა გამოიწვიოს. აქ ლიმიტირებულად ხდება არჩევანის გაკეთების შესაძლებლობის მიცემა (ეს შეიძლება იყოს ტანსაცმელი, რასაც ჩაიცვამს, ან ყოველდღიური აქტივობა, რას გააკეთებს ა.შ). თუმცა არჩევანის გარეშე დატოვება მიუღებელია.

იურიდიულად, დღესდღეობით შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებს ვისაც ფსიქოსოციალური საჭიროება აქვთ და ენიჭებათ შესაბამისი სტატუსი, ზემოაღნიშნულ პროცესებში სახელმწიფოს მიერ განსაზღვრული მხარდამჭერი პირი ეხმარება. ფსიქოსოციალური საჭიროების პირის სტატუსს შესაძლოა მიენიჭოს, როგორც

შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირს, ისე ხანდაზმულს, რომელსაც მანამდე არ ჰქონდა აღნიშნული სტატუსი და შესაძლოა ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესებას ზეგავლენა იქონია მის ფუნქციონირებაზე. თუმცა, ეს ასპექტები არ უნდა იქნას აღქმული მხოლოდ ბიუროკრატიულ ჭრილში, ის პირდაპირ კავშირშია პირის უფლებების დაცვასთან, სოციალური ფუნქციონირების გაუმჯობესებასთან, ყოველდღურ ცხოვრების ხარისხთან, კეთილდღეობის გაუმჯობესებასთან, თვით გამოხატვასა და ავტონომიურობასთან. 2019 წელს სოციალური სამართლიანობის ცენტრის მიერ ჩატარებული კვლევის მიხედვით, აღნიშნული სისტემა ვერ მუშაობს გამართულად და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები და მათი მხარდამჭერები პირდაპირ აცხადებენ, რომ ვერ ახერხებენ დამოუკიდებლად გადაწყვეტილების მიღებას და მხარდაჭერას პირისთვის დამოუკიდებელი გადაწყვეტილების მიღების პროცესში. რაც ტოვებს პირებს ამ უფლების გარეშე. აქვე უნდა აღვნიშნოთ CSRDG -ის მიერ ჩატარებული კვლევა, სადაც გადაწყვეტილებების მიღებასთან და ჩართულობასთან დაკავშირებით აღნიშნულია, რომ მომსახურებებში შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები იშვიათად არიან ბოლომდე ჩართულნი მათთან დაკავშირებული გადაწყვეტილებების პროცესში, რომელიც უშუალო მომსახურების მიწოდებას გულისხმობს, იგივე ეხება ოჯახის წევრებსაც. შესაბამისად, იშვიათი გამონაკლისების გარდა, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების ჩართვა მათთან დაკავშირებულ გადაწყვეტილებაში ნაკლებად ხდება.

თვითაღქმა და კეთილდღეობის აღქმა

კეთილდღეობის აღქმა ინდივიდუალურია და განსხვავდება პირის წარმოდგენების მიხედვით მის ცხოვრებაზე. თუმცა საერთო ჯამში, მაინც გულისხმობს მიმდინარე ცხოვრებით კმაყოფილებას, რომელიც თავის მხრივ უკავშირება რეალიზებულობის განცდას, დამოუკიდებლობის/თავისუფლების განცდას, იდენტურობის ქონის შესაძლებლობას, უსაფრთხოების განცდას, ურთიერთობების ქონის შესაძლებლობას, მიზნის/როლის ქონას, სიხარულის შეგრძნებას. ცხოვრების ხარისხის აღქმა საბოლოო ჯამში მაინც სუბიექტური აღქმის ნაწილია, თუმცა მასზე დიდ გავლენას ახდენს გარემო და კონტექსტი. მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციის მიხედვით, ცხოვრების ხარისხის აღქმა ასახავს: „ინდივიდის აზრს ცხოვრებაში მისი მდგომარეობის შესახებ, რომელიც ეყრდნობა კონკრეტული პიროვნების კულტურულ და ღირებულებით სისტემებს, რომელშიც ის ცხოვრობს და იმ მოლოდინებს, სტანდარტებსა და მიზნებს, რომლებსაც ის ისწრაფის“ (Partskhaladze, 2020)


შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებთან დაკავშირებით, ზემოთ როგორც არაერთხელ ვახსენეთ კეთილდღეობის განცდა, ან ამის მიღწევა ბოლომდე მათზე არაა დამოკიდებული და მისი მიღწევა ბევრ ბარიერთანაა დაკავშირებული. 2012 წელს საქართველოში ჩატარებული ჩატარებული კვლევის მიხედვით გონებრივი განვითარების შეფერხების მქონე პირები ასახელებდნენ, რომ მათთვის კეთილდღეობა დასაქმებას, გადაწყვეტილებების მიღებას, პირადი ცხოვრების შესაძლებლობას და დამოუკიდებელი ცხოვრების საშუალებას გულისხმობდა (გიგინეიშვილი, 2013). კეთილდღეობა რთული საკვლევაა, თუმცა კვლევებში მითითებულია, რომ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისთვის ამ ასპექტში გასათვალისწინებელია მომსახურების კონტექსტში ჩართულობის შეგრძნება, წარმოადგენს რა მომსახურება მათთვის ერთ-ერთ მნიშვნელოვან გარემოს შეიძინონ მეგობრები, ჰქონდეთ ურთიერთობები და ა.შ. ფსიქოსოციალური საჭიროების მქონე პირების შემთხვევაშიც ეს შესაძლოა ოჯახი იყოს, ან მომსახურება ან ორივე ერთად.

ამას გარდა, ინდივიდუალურ დონეზე გაძლიერების მიმართულებით მუშაობისას მნიშვნელოვანია გავითვალისწინოთ კომუნიკაციის სირთულებიც რომელიც შესაძლოა პირს ჰქონდეს. პირის კომუნიკაციის სირთულებზე სხვადასხვა ფაქტორი ახდენდეს გავლენას, ეს შესაძლოა იყოს ფიზიკური შეზღუდული შესაძლებლობა (კუნთების ტონუსი და ა.შ), კოგნიტური შეფერხება, ან იზოლაცია, რის გამოც ვერ განვიტარა მეტყველების უნარები, ან სხვა მიზეზი. მნიშვნელოვანია, მისი მხარდაჭერისას გავითვალისწინოთ:

- მიუხედავად იმისა აქვს თუ არა პირს აკადემიური უნარები განვითარებული, გაითვალისწინეთ, რომ ამან არ უნდა შეზღუდოს კომუნიკაციის პორცესი და მიეცეს პირს საშუალება მისთვის მისაღები გზით გამოხატოს აზრი
- უნდა მიეცეს ზუსტი და დეტალური ინსტრუქცია, პროცესში კი გადამოწმდეს სწორად თუ ესმით პირს და სპეციალისტს ერთმანეთის
- მივცეთ თავისუფლება გამოხატოს აზრი
- ვაგრძნობინოთ, რომ რასაც გვიზიარებს ღირებულია
- თუ არ გვესმის მისი ნათქვამი, ვთხოვოთ ხელახლა გაიმეოროს
- თუ პირს ძალიან აქვს გამოხატული? შეზღუდული შესაძლებლობა, მივმართოთ სხვა სპეციალისტს დახმარებისთვის და ა.შ (საქართველოს სოციალურ მუშაკთა, 2018).

კომუნიკაციის გარდა, გავითვალისწინოთ თუ რას გულისხმობს მათი ჩართულობა და როგორი ხარისხი შეიძლება ჰქონდეს ჩართულობას. პირს შესაძლოა ჰქონდეს უნარი გააზიაროს მისი მოსაზრება, ან სურდეს სხვა გზით გააზიაროს მოსაზრება. ზოგ შემთხვევაში, პირი შესაძლოა ვერ ერთვებოდეს (მაგ. მძიმე და ღრმა გონებრივი განვითარების შეფერხება), თუმცა, მოისმინოს მასთან დაკავშირებული გეგმა, ხელი შეეუწყოს მის ჩართულობას, თუნდაც ელემენტარული ამოცანის შესრულებაზე შეთანხმებით. ჩართულობისთვის მნიშვნელოვანია პირს დაეხმაროს მომსახურება განვითაროს უნარები როგორცაა: საკუთარი უფლებების ცოდნა, მომავალთან დაკავშირებით მათი ხედვის ჩამოყალიბება და ამაში დახმარება, ყოველდღური საქმიანობების აღსრულებისთვის საჭირო უნარების დასწავლა, მხარდაჭერა დასწავლილი უნარების გამოყენებაში, პრაქტიკაში, მხარდაჭერა არჩევნის გაკეთების პროცესში (შადაშვილი, 2015).

მაგალითი სურათი1. ტრანზიციის ბავშვობიდან ზრდასრულობის ასაკში. ამოღებულია: <https://www.semanticscholar.org/paper/Transition-to-adulthood-for-students-with-severe-Kim-Turnbull/048c5bc2794b1c4b9de4ce1e7e8744c8db67d8e8>



ზრდასრულობის პერიოდი, ასევე უკავშირდება ზრდასრულთა მომსახურებებში გადასვლას. 25 წლიანი კვლევის მიხედვით შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები ტიპური განვითარების პირებთან შედარებით დასაქმების, განათლების მომსახურებებთან

ნაკლები მისაწვდომობით გამოირჩეოდნენ და ისინი მათთან შედარებით გვიან ან საერთოდ ვერ საქმდებოდნენ და რჩებოდნენ ოჯახის ამარა. თუ გავითვალისწინებთ საქართველოში ზრდასრული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების ხელმისაწვდომობას მომსახურებებზე (უფლებებზე დაფუძნებული სოციალური მომსახურება ხანდაზმულების და შშმ პირებისთვის, 2020), ცხადია რომ ცხოვრების ყველა ეტაპზე მათთვის ოჯახის წევრები ხდებიან ძირითადი მზრუნველები. იმის გათვალისწინებით, რომ ნაკლებია სარეაბილიტაციო, სათემო მომსახურებები შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისთვის, სადაც განივითარებენ უნარებს, მოემზადებიან დამოუკიდებელი ცხოვრებისთვის, იცხოვრებენ დამოუკიდებლად (ან ნახევრად დამოუკიდებლად), განსაკუთრებით კი მძიმე და ღრმა გონებრივი განვითარების შეფერხების მქონე პირებთან მიმართებაში, ხშირად ოჯახი, სიცოცხლის ბოლომდე რჩება ერთადერთი მზრუნველ რგოლად (Magaña, 2016).

Life course approach-ის მიხედვით შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთან დაკავშირებით მუშაობის განხორციელება საშუალებას გვაძლევს კარგად გავიაზროთ, თუ ცხოვრების რა ეტაპებს გადიან პირები და როგორაა გადანაწილებული მათთვის მნიშვნელოვანი გარემო ფაქტორები ეკოსისტემების თეორიის მიხედვით სხვადასხვა შრეზე, სადაც პირველ ეტაპზე დგას პირი და მისი საჭიროება დამოუკიდებელი ცხოვრებისა და თემში ჩართულობისა. აქვე, ხაზგასმულია აღნიშნული მიდგომის მიხედვით, ადამიანის ცხოვრებაზე დადებითი ცვლილებისთვის შეგვიძლია ვიმუშავოთ ოჯახისა და მზრუნველების გაძლიერებისა და ოჯახური ინტერვენციების დაგეგმვის მიმართულებით. ცვლილების მოსახდენად ასევე შესაძლებელია, მუშაობა გავწიოთ თემის დონეზე, კერძოდ მომსახურებების და სხვა ღონისძიებების დონეზე, რომელიც მუშაობენ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა და მათი ოჯახების გაძლიერებისთვის. ასევე ეროვნულ პოლიტიკაზე მოვახდინოთ გავლენა და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისა და მათი ოჯახების საჭიროებები დავაყენოთ დღის წესრიგში.

კიდევ ერთი მნიშვნელოვანი მიდგომა, რომელიც ხელს უწყობს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა განვითარებას და გაძლიერებას და გამოიყენება როგორც მიკრო, ისე მეზო დონეზე სამუშაოდ, გახლავთ ინდივიდზე ორიენტირებული (ცენტრირებული) მიდგომა.

ინდივიდზე ორიენტირებული (ცენტრირებული) მიდგომის მიხედვით, პირველ რიგში უნდა მოხდეს იმ საკითხების იდენტიფიცირება, რომელიც გადაწყვეტი და მნიშვნელოვანია პირისთვის და მისი კეთილდღეობისთვის, ეს მოიცავს პირის ინტერესებს, მისწრაფებებს, ოცნებებს, გეგმებს, ამასთანავე მოიცავს იმ უნარებს და ღონისძიებებს, რომელიც მნიშვნელოვანია პირის პირის ჯანმრთელობისთვის, უსაფრთხოებისა და საზოგადოებაში ინკლუზიისთვისაა საჭირო (შადაშვილი, 2015).

ინდივიდზე ორიენტირებული (ცენტრირებული) მიდგომის გამოყენებისას ბოლომდე უზრუნველყოფილი პირის ჩართულობა მასთან მუშაობის პროცესში, მისი მოსაზრებების, სურვილების გათვალისწინება და გადაწყვეტილებების შეთანხმება. მომსახურებებში მომუშავე სპეციალისტები კეთილსინდისიერად და ერთგულად ცდილობენ მაქსიმალურად მხარი დაუჭირონ ბენეფიციარებს, მათ ოჯახებს, ცდილობენ ხელი შეუწყონ მიზნების მიღწევაში. პიროვნებაზე ცენტრირებული მიდგომით, უზრუნველყოფთ პირის ჩართულობას საზოგადოებრივ საქმიანობაში. ინდივიდზე ორიენტირებული (ცენტრირებული) მიდგომა მრავალი წელია გამოიყენება სხვადასხვა ქვეყანაში მომსახურებების მიერ. თუმცა მისი პრაქტიკაში გამოყენება მოითხოვს მომსახურების და

პროფესიონალების მიერ სიფრთხილეს, მოითხოვს რა მომსახურების განვითარების, დაგეგმვის თუ კონკრეტულ პირთან მიმართებაში გეგმის შედგენის პროცესში ყველა ასპექტის გათვალისწინებას (შალაშვილი, 2015).

პრაქტიკაში გამოყენებისას მნიშვნელოვანია ინდივიდზე ორიენტირებული (ცენტრირებული) ორიენტირებული ფიქრის და ინდივიდზე ორიენტირებული (ცენტრირებული) დაგეგმვის გამოყენება, რომელიც მომსახურებას დაეხმარება მხარდაჭერა გაუწიოს ბენეფიციარებს როგორც ასაკობრივი ტრანზიციის ისე ცხოვრებისეული და განვითარებისთვის საჭირო მიზნების დაგეგმვა განხორციელებაში (Jeanette Thompson, 2008).

ინდივიდზე ორიენტირებული (ცენტრირებული) დაგეგმვა:

შემთხვევის მმართველმა უნდა გაითვალისწინოს პიროვნებაზე ცენტრირებული დაგეგმვის 5 განზომილება:

განზომილება 1: პირი არის პროცესის ცენტრში

დაგეგმვის ჯგუფი შედგება პიროვნებისა და მისი მხარდამჭერი ქსელისგან (მაგალითად, ოჯახის წევრები, უფლება დამცველები, მეგობრები, მხარდამჭერები).

ადამიანი აკონტროლებს დაგეგმვის პროცესს - ჩართულია მსჯელობაში

ჯგუფის წევრებს საზღვრავს/ირჩევს/ასახელებს ადამიანი, მისი მხარდამჭერ ადამიანებთან ურთიერთობის საფუძველზე.

დაგეგმვის შეხვედრის ეთიკური მახასიათებელია ის, რომ პირს აქვს განცდა რომ ისაა შეხვედრის ცენტრში და არ არის როგორც დახმარების ობიექტი, არამედ არის ალიანსში და გრძნობს თავს ღირსეულად (Jeanette Thompson, 2008).

განზომილება 2: ოჯახის წევრები/მხარდამჭერები დაგეგმვის პროცესში მონაწილეობენ როგორც პარტნიორები

ოჯახის წევრები, მხარდამჭერი ქსელი მონაწილეობს შეფასების და გეგმის დასახვა/აღსრულების პროცესში. ცენტრში კვლავ პიროვნებაა.

დამატებითი სპეციალისტების მოწვევა ხდება საჭიროების მიხედვით (Jeanette Thompson, 2008).

განზომილება 3: პიროვნების ძლიერი მხარეების, ნიჭის, შესაძლებლობების, მისწრაფებების გათვალისწინება და ამის გათვალისწინებით საჭიროებების განსაზღვრა

დაგეგმვის პროცესი სენსიტიურია პირის მისწრაფებების, სურვილების, ოცნებების მიმართ.

განსაკუთრებული ყურადღება ექცევა პიროვნების მიერ საკუთარი პერსპექტივიდან დანახულს საკუთარ კეთილდღეობას, ცხოვრებას

ინფორმაცია შეფასება დაგეგმვის შესახებ მიეწოდება ადამიანს მისთვის გასაგებად, ინფორმაცია გაზიარებულია ყველა ჩართულ პირთან და პროფესიონალთან (Jeanette Thompson, 2008).

განზომილება 4: გეგმისთვის მომზადება

გეგმა ითვალისწინებს მიკრო, მეზო და მაკრო დონეზე შეთანხმებულ ქმედებებს და გაზიარებულ პასუხისმგებლობებს ოჯახის წევრებს, მომსახურების პროფესიონალებს და თავად პირს შორის.

აქცენტი კეთდება რესურსების მობილიზებაზე იმ პირების მიმართ, ვისაც აქვს ვალდებულება პროცესებისადმი, ანუ საზოგადოებების მიმართ

გეგმა მოიცავს გაზომვად მიზნებს და მოსალოდნელ შედეგებს როგორც მომსახურების მიმწოდებლისგან ასევე სხვა პასუხისმგებელი პირების მიერ (Jeanette Thompson, 2008).

განზომილება 5: დაგეგმვა

შეხვედრები: გეგმა არ არის შედეგი. მხარდამჭერთა წრე იკრიბება რამდენადაც შესაძლებელია ხშირად. პირის ზრდასთან ერთად მუდმივად ხდება მისი ინტერესები, საჭიროებების, ცვლილებების გათვალისწინება.

კოორდინაცია: შემთხვევის მმართველი მუდმივად წახალისებს მხარდამჭერთა წრის მონაწილეებს ქმედებისკენ (იმ როლის შესრულებისკენ რაც გეგმაში აქვთ).

მომსახურების ორიენტაცია: აღწერს/აკეთებს შესაძლებლობების რეფლექსიას. მომსახურება ყოველთვის ლიმიტირებულია, თუმცა ღია უნდა იყოს ცვლილებებისთვის. შემთხვევის მმართველი პროცესებზე დაფუძნებული მიდგომით მუშაობისას სწორედ მომსახურების საჭიროებებს გამოავლენს და აკეთებს იმ ასპექტების იდენტიფიცირებას, რომლების ხელს უშლიან მომსახურებების მიმდებ პირებს მიიღონ მათთვის საჭირო მომსახურება. მომსახურების გაწევისას გათვალისწინებულია ყველა შესაძლო მიდგომა, პირის წარსული გამოცდილებების და მიღწეული შედეგების გათვალისწინებით (Jeanette Thompson, 2008).

პირის თანამონაწილეობა მომსახურების განვითარების პროცესში და საერთაშორისო გამოცდილება უფლებებზე დაფუძნებული მომსახურების განვითარების პროცესში

გადლიერებაზე ორიენტირებული მიდგომის, ოჯახზე ცენტრირებული მიდგომის, life course approach-ის გარდა, რომლებიც ხელს უწყობენ ცვლილებების მოხდენას მიკრო მეზო და მაკრო დონეზე, როგორც აღინიშნა ეფექტურია ინდივიდზე ორიენტირებული (ცენტრირებული) მიდგომა.

როგორც ზემოთაც იქნა აღნიშნული, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა თემი ჰომოგენურ ჯგუფს არ წარმოადგენს და მათი საჭიროებები, მიუხედავად მსგავსი მდგომარეობისა შესაძლოა დრამატულად განსხვავდებოდეს. თითოეული ადამიანი

ინდივიდუალურია და მიუხედავად იმისა, რომ შესაძლოა ჰქონდეთ მსგავსი შეზღუდული შესაძლებლობა არ ნიშნავს, რომ მათ მსგავსი ინტერესები ან ცხოვრების სტილი აქვთ და მათ ერთნაირი მიდგომა და ერთნაირი მომსახურების სჭირდებათ. ისინიც ტიპური განვითარების ადამიანების მსგავსად განსხვავდებიან ერთმანეთისგან ასაკის, სქესის, კულტურული თუ ხასიათის, განათლების, გამოცდილების, სექსუალური ორიენტაციის და სხვა ფაქტორების მიხედვით და მათთან კომუნიკაციის და/ან მუშაობის პროცესშიც მნიშვნელოვანია ამ ინდივიდუალიზმის პატივისცემა, აღიარება და გათვალისწინება.

ინდივიდზე ორიენტირებული (ცენტრირებული) მიდგომის ამოსავალი სწორედ ადამიანი და მისი ინტერესებია. ინდივიდზე ორიენტირებული (ცენტრირებული) მიდგომის გამოყენებისთვის, მნიშვნელოვანია სპეციალისტები იცნობდნენ ადამიანის მახასიათებლებს, იცოდნენ პირის ხედვას საკუთარ ცხოვრებაზე, მისი სუბიექტურ წარმოდგენა და აღქმას საკუთარ ცხოვრებაზე, იცოდნენ და ითვალისწინებდნენ მის სურვილებს და მოსაზრებებს. მხოლოდ ამ ყველაფრის გათვალისწინებითაა შესაძლებელი სპეციალისტებმა დაიწყონ ინდივიდუალური გეგმის შედგენაზე მუშაობა.

შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა მომსახურების ავსტრალიის ეროვნული სტანდარტების მიხედვით ინდივიდზე ორიენტირებული (ცენტრირებული) მიდგომა ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მიდგომაა, რომელიც უზრუნველყოფს პიროვნების მაქსიმალურ ჩართულობას მომსახურების განვითარების, ოპტიმიზაციის პროცესში. (ავსტრალიის სტანდარტების დოკი), რაც თავის მხრივ ხელს უწყობს მომსახურებებს უპასუხონ უფლებებზე დაფუძნებულ მიდგომას და შესაბამის სტანდარტებს, საბოლოოდ მომსახურების პრაქტიკა პასუხობდეს კონვენციით გათვალისწინებულ ვალდებულებებს. მომსახურების ამოცანაა უზრუნველყოს თითოეული მომსახურების მიმღების პირადი შედეგი.

ინდივიდზე ორიენტირებული (ცენტრირებული) მიდგომა დღესდღეობით გამოიყენება არა მხოლოდ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებთან მიმართებით, არამედ ფსიქიკური ჯანმრთელობის სფეროში, ხანდაზმულებთან დაკავშირებით, ჯანდაცვის სექტორშიც. ინდივიდზე ორიენტირებული (ცენტრირებული) მიდგომის პრაქტიკა გამოყენებისას ორგანიზაციებში სპეციალისტები ინდივიდუალურ მიდგომას უზრუნველყოფენ, მომსახურების მიწოდების ფოკუსი მთლიანად პირზეა გადატანილი, მის ოჯახზე, მათ უფლებებსა და საჭიროებებზე და მომართულია მათ გაძლიერებაზე. ინდივიდზე ორიენტირებული (ცენტრირებული) მიდგომის გამოყენებისას ბოლომდეა უზრუნველყოფილი პირის ჩართულობა მასთან მუშაობის პროცესში, მისი მოსაზრებების, სურვილების გათვალისწინება და გადაწყვეტილებების შეთანხმება. მომსახურებებში მომუშავე სპეციალისტები კეთილსინდისიერად და ერთგულად ცდილობენ მაქსიმალურად მხარი დაუჭირონ ბენეფიციარებს, მათ ოჯახებს, ცდილობენ ხელი შეუწყონ მიზნების მიღწევაში. თუმცა კვლევებიც ცხადყოფს, რომ მომსახურებები ხშირად ხდებიან სისტემაზე ორიენტირებულნი და არა ინდივიდზე ორიენტირებული (ცენტრირებული). ისინი ცდილობენ უკვე არსებულ სისტემაში გაითვალისწინონ პირი და მოარგონ მას და არა პირიქით (www.ndp.org.au, 2016).

განსხვავება ინდივიდზე ორიენტირებულ (ცენტრირებული) მიდგომასა და სისტემურ მომსახურებას შორის:

ცხრილი 1.

ინდივიდზე (ცენტრირებული) მიდგომით	ორიენტირებული მომსახურება	სისტემაზე მომსახურება	ცენტრირებული მიდგომით
ესაუბრება ადამიანს		საუბრობს ადამიანის შესახებ	
გეგმავს პიროვნებასთან ერთად		გეგმავს პიროვნებისთვის	
ფოკუსირებულია უნარებსა და ძლიერ მხარეებზე	შესაძლებლობებზე,	ფოკუსირებულია დიაგნოზსა და უნარების ნაკლებობაზე (დეფიციტები/deficits)	
ემბს გამოსავალს, რომელიც ყველასათვის, უპირატესაც დაფუძნებული მომსახურებები	ხელსაყრელია თემზე განიხილება	მეტად ორიენტირებულია მომსახურების განვითარებაზე, იმუშავებს „ასეთ დიაგნოზებზე“	ისეთი
გეგმის შედგენა ცენტრირებულად	ხდება პიროვნებაზე	გეგმის შედგენა ხდება მომსახურებიდან გამომდინარე	
ოჯახი და თემის წევრები როგორც პარტნიორები	განიხილებიან	ოჯახი და თემის წევრები არ განიხილებიან როგორც პირდაპირი პარტნიორები	

(www.ndp.org.au, 2016)

უფლებაზე დაფუძნებული მომსახურების მიწოდება ვერ მოხერდება, თუ არ იქნება უზრუნველყოფილი კომპლექსური შეფასება და პირის ძლიერი მხარეების და საჭიროებების ბიოფსიქოსოციალური გაანალიზება, შესაბამისად, მნიშვნელოვანია მომსახურებას ჰყავდეს მულტიდისციპლინური გუნდი. მომსახურების მულტიდისციპლინური გუნდი არის პროფესიონალთა ჯგუფი, რომლებიც საერთო მიზნისთვის კოორდინირებულად მუშაობს და განსაზღვრავს საკუთარ როლს მიზნის მიღწევის პროცესში. მულტიდისციპლინური მიდგომა უზრუნველყოფს პიროვნების კომპლექსური საჭიროებების დანახვას და მისი განვითარებისთვის მრავალგანზომილებიანი გეგმის შედგენას. როგორც წესი, ასეთ დროს უზრუნველყოფილია პირის ბიოფსიქოსოციალური შეფასება. მულტიგუნდის შემადგენლობა შესაძლოა განსხვავებული იყოს მომსახურების მიმწოდებელი ორგანიზაციის მიზნების შესაბამისად. თუმცა, ის შესაძლოა შეიცვალოს ბენეფიციარის საჭიროების მიხედვითაც კი. ზოგადად კი, მომსახურებების მულტიგუნდების შემადგენლობაში შედიან: ფსიქოლოგი, სოციალური მუშაკი, განვითარების სპეციალისტი, ოკუპაციური თერაპევტი, მეტყველების თერაპევტი, სოციალური თერაპევტი და ა.შ. საჭიროების შემთხვევაში შესაძლებელია დამატებითი სპეციალისტის მოწვევა (მაგ. ექიმი, ფსიქიატრი, ვიწრო სპეციალობის სპეციალისტი). თუმცა, მნიშვნელოვანია ყველა

სპეციალისტი იაზრებდეს და მუშაობდეს უფლებებზე დაფუძნებული მიდგომით (Ife J. , 2000).

მულტიდისციპლინურ გუნდში განსაკუთრებულად მნიშვნელოვანი ადგილი უკავია თითოეულ პროფესიონალს. თუმცა, გამოვყოფთ სოციალური მუშაკის როლს. სოციალური მუშაობა ინდივიდის გაძლიერებაზე მიმართული პროფესიაა. მისი ამოსავალია პირის ძლიერ მხარეებზე ორიენტირება და პირის, ოჯახის, თემის მხარდაჭერა მოიპოვოს კონტროლი საკუთარ ცხოვრებაზე. გაძლიერებაში იგულისხმება რესურსების, კომპეტენციის, შესაძლებლობის და არჩევანის განვითარება.

- თვითშეფასების დონეზე - სოციალური მუშაკი კლიენტს ხელს უწყობს საკუთარი თავისა და შესაძლებლობების რწმენა აღიდგინოს;
- პრობლემების გადაჭრის დონეზე - სოციალური მუშაკი ხელს უწყობს კლიენტის მიერ პრობლემის გადაჭრის უნარის გამომუშავებას;
- თემების პრობლემის ირგვლივ მობილიზაციის დონეზე - სოციალური მუშაკი თემის წევრებს პრობლემის ამოცნობასა და პრობლემის ირგვლივ მობილიზაციაში ეხმარება;
- სოციალური ცვლილების დონეზე - სოციალური მუშაკი კლიენტთა ჯგუფს, თემებს ან ზოგადად საზოგადოებას არსებული პრობლემებიდან გამომდინარე სოციალური ცვლილების დანახვის აუცილებლობასა და აუცილებელი ცვლილების მოთხოვნისათვის მობილიზაციაში ეხმარება (სოციალური მუშაობის საფუძვლები, 2013).

სოციალურ მუშაობაში გაძლიერების თეორიის თანახმად ინდივიდი და სოციალური მუშაკი ერთად აფასებენ ინდივიდის წინაშე არსებულ გამოწვევებს, ძლიერ მხარეებს და აღნიშნულს განიხილავენ სისტემურ ჭრილში (მეზო და მაკრო ფაქტორების გავლენა ინდივიდის წინაშე არსებულ პრობლემებზე). შესაბამისად ერთობლივად ხდება ჩარევისა და გეგმის აღსრულების პროცესიც. აღნიშნული პრაქტიკის მიზანია ინდივიდის მონაწილეობის უზრუნველყოფა მასთან დაკავშირებული გადაწყვეტილებების მიღების პროცესში და იმ მოვლენების ეპიცენტრში ყოფნა და კონტროლის ქონა რაც მის ცხოვრებაზე ახდენს ან მოახდენს გავლენას. ამისთვის სოციალური მუშაკი იყენებს შემდეგ ტექნიკებს: აფასებს ინდივიდთან ერთად პრობლემას, აფასებს მის ძლიერ მხარეებს, შემდეგ ხდება გეგმის ჩამოყალიბება, იმ შედეგების გათვალისწინებით, რისი მიღწევაც ინდივიდს და მას სურთ და გეგმის ერთობლივი აღსრულება. ამ მხრივ სოციალური მუშაობის მიდგომების გამოყენება მომსახურებებში, მეტად შეუწყობს ხელს უფლებებზე დაფუძნებული მიდგომების არსებობას მომსახურების გაწევის პროცესში. გასათვალისწინებელია რომ როგორც გაძლიერების თეორია ისე პიროვნებაზე ცენტრირებული მიდგომა განსაკუთრებით უსვამს ხაზს იმას რომ ნებისმიერი სპეციალისტი უნდა ითვალისწინებდეს ინდივიდთან ერთად ისეთი გეგმის შედგენას და ისეთი მიზნების დასახვას, რომელიც რეალური, გაზომვადი და აღსრულებადი იქნება და ორიენტირებული იქნება პირის გაძლიერებაზე (სოციალური მუშაობის საფუძვლები, 2013). ამას გარდა, მულტიგუნდში სოციალური მუშაკი უზრუნველყოფს ჰოლისტური შეფასების წარდგენას, რომელიც ასევე ადამიანი გარემოში შეფასებასაც მოიაზრებს, რაც ექსკლუზიურ ასპექტს წარმოადგენს გუნდში.

ავსტრალიის, ირლანდიის, სინგაპურის, შვედეთის მაგალითები, პრაქტიკა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებთან მუშაობისას ითვალისწინებს და ხაზგასმით აღნიშნავს სოციალური მუშაკის მნიშვნელოვან და გადამწყვეტ როლს მულტიდისციპლინურ

ჯგუფში. მეტიც ის ჯგუფში ერთ-ერთ მთავარ წევრად მიიჩნევა, უზრუნველყოფს რა ჰოლისტურ მიდგომას და ადამიანი გარემოში შეფასების პერსპექტივის შემოტანას მსჯელობისას. ჯანდაცვის სფეროშიც, შეზღუდული შესაძლებლობის განსაკუთრებით გონებრივი განვითარების შეფერხების მქონე პირებთან სოციალურ მუშაკს გადამწყვეტი როლი აქვს (სოციალური მუშაობა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვებთან, 2018).

სოციალური მოდელის, იგივე ბიოფსიქოსოციალური მოდელის მიხედვით კი მნიშვნელოვანია სამივე კომპონენტი იყოს წარმოდგენილი მულტიდისციპლინურ გუნდში პირთან დაკავშირებით მსჯელობის პროცესში, რათა უზრუნველყოფილი იყოს პირის შესახებ ყველა ასპექტის გათვალისწინება, მაგალითად მისთვის სტატუსის განსაზღვრის პროცესში. აქვე ხაზი ესმევა იმას, რომ სოციალური მოდელის მიხედვით, მნიშვნელოვანია პირის სუბიექტური აღქმის გაგება და გათვალისწინება მასთან მიმართებით გადაწყვეტილების მიღებისას.

მომსახურებაში ადამიანების უფლებები დაცულია, თუკი უზრუნველყოფილია:

- ინდივიდებისა და ოჯახის წევრების ღირსეულად და პატივისცემით მოპყრობა;
- ეხმარება ინდივიდებს და ოჯახებს, გახდნენ უფლებამოსილი დასახონ და მიაღწიონ თავიანთ პირად მიზნებს; ინდივიდების უფლების აღიარება არჩევანის გაკეთების შესახებ და პასუხისმგებლობის აღება ამ არჩევანზე და მასთან დაკავშირებულ რისკებზე;
- პიროვნების და მასზე მზრუნველი პირის ნიჭის, უნარების, ძლიერი მხარეების იდენტიფიცირება და მასზე ორიენტირება.
- საზოგადოებასთან კავშირების ხელშეწყობა, რომლის დროსაც ინდივიდებს შეუძლიათ განავითარონ ურთიერთობები, ისწავლონ, იმუშაონ და გამოიმუშაონ შემოსავალი, აქტიურად მიიღონ მონაწილეობა საზოგადოებრივ ცხოვრებაში და მიაღწიონ თავიანთ პოტენციალს;
- ინდივიდთან შეთანხმება რომ მას მოუსმენენ და იმოქმედებენ იმის მიხედვით, რა სურვილიც ინდივიდს აქვს;
- თანხმდება ინდივიდთან, რომ გულწრფელად შეძლებს დაიცვას ბალანსი გადაწყვეტილების მიღებისას პირის სურვილებსა და მის საჭიროებებს შორის;
- აღიარებს და მოქმედებს ინდივიდების ასაკის, სქესის, კულტურის, ეთნიკურობის, რწმენის სისტემის, სოციალური და შემოსავლის სტატუსის, განათლების, ოჯახის და სხვა ფაქტორების მიხედვით, რომლებიც მათ უნიკალურს ხდის;
- აღიარებს და აფასებს ოჯახს და მათი ძალისხმევას ოჯახის წევრის მხარდაჭერის პროცესში;
- ინდივიდების, მათ ოჯახების, თემების, პროვაიდერებისა და პროფესიონალების ურთიერთგაგების პატივისცემის აღიარება და მხარდაჭერა;
- კანონების, წესებისა და პროცედურების ადვოკატირება მომსახურების გაწევის, მკურნალობისა და მხარდაჭერისათვის, რომელიც აკმაყოფილებს ინდივიდის საჭიროებებს და პატივს სცემს პირად მიზნებს;
- საჯარო რესურსების პასუხისმგებელი გამოყენების დამტკიცება იმის უზრუნველსაყოფად, რომ კვალიფიციური პირები ემსახურებიან ინდივიდებს სამართლიანად და საჭიროებისამებრ (Lynn K. Jones).

ამას გარდა, მნიშვნელოვანი მიდგომაა შემთხვევის მართვის უფლებაზე დაფუძნებული მიდგომის გამოყენება, სადაც ყველა ეტაპზე პირი ჩართულია და უზრუნველყოფილია მისი აზრის გათვალისწინება.

მომსახურებების განვითარებაში პირის ჩართვის დამატებითი სტრატეგიები შემთხვევის მართვის საფეხურების შესაბამისად

CSRDG-ის კვლევის მიხედვით, ავსტრალიის გამოცდილება ერთ-ერთი საყურადღებო მაგალითია ადამიანის უფლებებზე დაფუძნებული მიდგომის დანერგვის პროცესში. მაგალითისთვის, სტანდარტი 1 - უფლებები მომსახურების მიმწოდებელი ხელს უწყობს ადამიანის უფლებების რეალიზებას, როგორცაა გამოხატვის თავისუფლება, თვითგანსაზღვრის და გადაწყვეტილების მიღების უფლება; ამასთან, აქტიურად ნერგავს და ახორციელებს ძალადობის, ზიანისა და უგულვებელყოფის პრევენციისაკენ მიმართულ ღონისძიებებს. აღნიშნული სტანდარტი ავალდებულებს ორგანიზაციას ჰქონდეს მომსახურების მიმღებთა მიმართ თანასწორი დამოკიდებულება, უზურნველყოფდეს მათი და მათი ოჯახის წევრების ჩართულობას გადაწყვეტილებების მიღების პროცესში (CSRDG, 2021)

სტანდარტი 3 - ინდივიდუალური შედეგები- მომსახურება და დახმარება ფასდება, იგეგმება, ხორციელდება და გადაიხდება ბენეფიციარის ძლიერი მხარეების გათვალისწინებით, მათი ცხოვრებისეული მიზნების მიღწევაში ხელშეწყობის მიზნით. აღნიშნული სტანდარტი კი სწორედ ძლიერი მხარეების იდენტიფიცირებაზეა ორიენტირებული და ბენეფიციარის დამოუკიდებელი ცხოვრებისკენ სწრაფვაში ხელშეწყობაზე აკეთებს აქცენტს. მომსახურების მიმწოდებელმა სტანდარტების აღსრულებისთვის, უნდა შექმნას შემთხვევის მართვის ისეთი გეგმა, რომელიც მის ყველა ეტაპზე გაითვალისწინებს პირის ჩართულობას (CSRDG, 2021).

ადამიანის უფლებებზე დაფუძნებული შემთხვევის მართვის გზამკვლევი, რომელიც შემუშავებულია CSRDG-ის მიერ, ითვალისწინებს შემდეგ საფეხურებს: მომსახურებაში ჩართვა, შეფასება/ანგარიშის წარმოება, მომსახურების დაგეგმვა, მომსახურების მიწოდება, შედეგების გადასინჯვა. შემთხვევის მართვის თითოეულ ეტაპზე მნიშვნელოვანია გათვალისწინებული იქნას შემდეგი:

ჩართვა: დარწმუნდით, რომ სწორად მიაწოდეთ ინფორმაცია პირს, დარწმუნდით რომ მოისმინეთ მისი მოსაზრება, ზუსტად იცით რა სჭირდება, რა სურვილები და მოლოდინი აქვს მომსახურების მიმართ. დარწმუნდით, რომ გაითვალისწინეთ მისი ყველა მახასიათებელი და სხვებთან თანაბარ პირობებში მოხდა მისი მომსახურებაში ჩართვა, გაითვალისწინეთ მისი კულტურული, პიროვნული, ეთნიკური, იდენტობის და სხვა მახასიათებლები.

ჩართვის მომენტში განსაკუთრებით საყურადღებოა პირველი კომუნიკაციის დამყარება. შესაძლოა პირველივე შეხვედრისას ვერ მოხდეს პირთან წარმატებულად კომუნიკაციის დამყარება, თუმცა მნიშვნელოვანია მოთმინება, დალოდება, რომ შეეჩვიოს ის ახალ ადამიანს და იგრძნოს თავი კომფორტულად, განვითარდეს ნდომა სპეციალისტის მიმართ (სოციალური მუშაობის შემთხვევის მართვის მოდელში ამ ეტაპს რაპოტის დამყარება ეწოდება). საუბრისას გაითვალისწინეთ, რომ ესაუბროთ თავად პირს, ვინც უნდა ჩაერთოს მომსახურებაში და არა მის ოჯახის წევრს. თუ პირთან კომუნიკაციის სირთულეებია, წინასწარ გაიარეთ კონსულტაცია სპეციალისებთან, ასევე ოჯახის წევრთანაც, რომ თავიდან აირიდოთ უხერხულობა. ამას გარდა, მნიშვნელოვანია მივცეთ განვითარების დარღვევების მქონე პირებს სივრცე, თუ საუბრისას დაიღლებიან, ან თავს არაკომფორტულად იგრძნობენ დავასვენოთ და აშ. ჩართვის ერთ-ერთი ეტაპია პირველადი შეფასების წარმოება შემთხვევის მმართველის მიერ, ამ ეტაპზეც

მნიშვნელოვანია პირველადი შეფასების ინფორმაცია ჰქონდეს პირსაც. ჩართვისას გაითვალისწინეთ, პირის კულტურული, რელიგიური, ინდივიდუალური, სხვა მახასიათებლები და აუცილებლად უზრუნველყავით მისი აღნიშვნა ჩართვისას დოკუმენტებში, პირთან კომუნიკაციაშიც.

ჩართვის მომენტში აუცილებელია, გავითვალისწინოთ პირის მოსაზრებაც, მომსახურების მიღების შესახებ, მისი თავის შესახებ, მისი სურვილების და მოსაზრებების შესახებ. იგივე, ოჯახებთან მიმართებაშიც.

ნაბიჯი 1. გავარკვიოთ რა სურთ მათ?

სანამ უშუალოდ მუშაობაზე გადავალთ მნიშვნელოვანია კარგად გავიგოთ თუ რა სურს ადამიანს, როგორია ის, რა სურს რომ მის შესახებ გითხრათ, ისე, რომ როგორც კი მათთან მუშაობას დავიწყებთ, კარგად გვეცოდინება, რომ ის რასაც ერთად გავაკეთებთ მისი სურვილიცაა და საბოლოო მიზანი რასაც დავისახავთ მის ინტერესსაც მოიცავს. ეს დაგვეხმარება უკეთ გავიცნოთ პიროვნება, გავიგოთ მისთვის მნიშვნელოვანი რა არის, მოვინიშნოთ ისეთი ასპექტები, რაც დაგვეხმარება მომავალში მუშაობის პროცესში, გავითვალისწინოთ მისი მოსაზრებები. ეს ასევე დამხმარეა, გრძელვადიან პერსპექტივაში რათა დავაკვირდეთ მის განვითარებას, ცვლილებებს. როდესაც პირი ერთი მომსახურებიდან მეორეში გადადის. (მაგალითისთვის სურათი 1 , პერსონალური პროფილი) (www.ndp.org.au, 2016).

ნაბიჯი 2. სად ვართ ახლა?

ძალიან მნიშვნელოვანია გავიგოთ პირის სპეციფიური სიტუაცია ახლა, დავაკვირდეთ რა გადმოგვცა მან საკუთარი თავის შესახებ და მათი პერსპექტივიდან გავიგოთ, თუ რა ასპექტზე ამახვილებენ ყურადღებას, რას ფიქრობენ რაში სჭირდებათ მხარდაჭერა, იმის ნაცვლად, რომ დასაწყისშივე გადავწყვიტოთ თუ რა ჯობია მისთვის. (მაგალითისთვის. თანდართული ფაილი #1. პერსონალური პროფილი) (www.ndp.org.au, 2016).

ნაბიჯი 3. პრიორიტიზირება

პიროვნების მიერ გამოკვეთილი საკითხები უკვე შეგვიძლია ერთად დავალაგოთ პრიორიტეტების მიხედვით

სურათი 1: (helensandersonassociates.co.uk, თ. გ.)

ჩემი ერთგვერდიანი პროფილი

Your Name Age: Occupation:

რას აფასებენ ადამიანები ჩემში?

რა არის ჩემთვის მნიშვნელოვანი?

როგორი მხარდაჭერა მჭირდება

ამას გარდა, დაუტოვეთ პირს სივრცე, გითხრათ საკუთარი მოსაზრება პირველივე ეტაპზევე, იგულისხმება, მისი მოსაზრება თქვენთან კომუნიკაციის, მომსახურებაში ჩართვის პროცესის შესახებ. ინფორმაცია შესაძლოა მიიღოთ, სიტყვიერად, ან წერილობით, ან ფარულად (www.ndp.org.au, 2016).

შეფასება/ანგარიშის წარმოება: ამ ეტაპზე უკვე ხდება პირის სრულად შეფასება და ძლიერი მხარეების და მისი საჭიროებების განსაზღვრა. შეფასებისას ხდება როგორც პირის, ისე ოჯახის შეფასება, რათა სრული სურათი იყოს მოცემული. მნიშვნელოვანია რომ შეფასებას აკეთებს სხვადასხვა სპეციალისტი, საჭიროებისამებრ. თუმცა, გასათვალისწინებელია, რომ შემთხვევის მმართველმა შეფასებისას აუციებლად ჩართოს სოციალური მუშაკი (თუ თავად არაა შემთხვევის მმართველი) რომ მოხდეს პირის გარემოში შეფასება. როგორც ზემოთაც იქნა აღნიშნული, მულტიგუნდური შეფასების, მსჯელობისას სოციალურ მუშაკს უმნიშვნელოვანესი როლი აქვს წარმოადგინოს ჰოლისტური შეფასება.

ნაბიჯი 4. ინდივიდზე ორიენტირებული (ცენტრირებული) შედეგების განსაზღვრა-როგორ ვხედავთ წარმატებას

პრიორიტიზირებული საკითხებიდან შედეგების დანახვა - როგორ გამოიყურება თითოეულ საკითხთან დაკავშირებით მიღწეული შედეგი თუ წარმატებით წარმართა მუშაობა. ეს დაგვეხმარება შედეგის რეალურად წარმოდგენაში (www.ndp.org.au, 2016).

ნაბიჯი 5. შემოწმება

მარტივი კითხვების საშუალებით იმის ამოცნობა, თუ რეალურად რა შედეგის მიღწევა სურს ადამიანს, რა არის მისი რეალური მოლოდინი. მაგალითად, შეგვიძლია ვკითხოთ თუ როგორ წარმოუდგენია, რას მისცემს მიღწეული შედეგი, რა შესაძლებლობას მოგცემთ თუ ამას მივალწევთ? ხშირად გაცემულ პასუხში შედეგის მიღწევის გზაც გამოჩნდება ხოლმე (www.ndp.org.au, 2016).

ნაბიჯი 6. რა გვიშლის ხელს ამის მიღწევაში?

მნიშვნელოვანია გამოვარკვიოთ თუ რა უშლის ხელს ადამიანს ამ შედეგის მიღწევაში, როგორ ხნის ის დაბრკოლებებს, რას მიიჩნევს დაბრკოლებად. თითოეულ საფეხურთან მიმართებაში (www.ndp.org.au, 2016).

შენიშვნა: გავითვალისწინოთ, რომ თუ პირი ვერ ახერხებს ყოველი კითხვის გააზრებას ან პასუხის გაცემას, არაა აუცილებელი ეს პირველივე შეხვედრისას მოხდეს, ან მეორე შეხვედრისას. ზოგიერთ შემთხვევაში, შეგვიძლია სხვა სპეციალისტის ან ოჯახის წევრის დახმარებაც გამოვიყენოთ.

მომსახურების დაგეგმვა: შესაბამისად მნიშვნელოვანია აქაც პირს ჰქონდეს ინფორმაცია მასთან დაკავშირებული შედეგების შესახებ. აქ იგულისხმება მისთვის გასაგებ ენაზე მიწოდებული ინფორმაცია, თუ რა მიმართულებით იმუშავებთ, სად იქნება მისი ძალისხმევა საჭირო, რა აქტივობები დაიგეგმება, სადაც ჩაერთვება თავადაც, რა მიზნები იქნება რასაც ერთად უნდა მიაღწიოთ, რა შესაძლო ბარიერები იქნება წინ, ვინ იქნება კიდევ გეგმის შესრულების მნიშვნელოვანი მონაწილე, რას ფიქრობს თავად მიზნებზე. ეს მძიმე და ღრმა გონებრივი განვითარების შეფერხების მქონე პირებთან მიმართებაში შესაძლოა გაკეთდეს ხატვის საშუალებით, დაიხატოს რუკა სადაც აღნიშნული იქნება ის ნაბიჯები რასაც გაივლით ერთად (იხ. სურათი 2).


მნიშვნელოვანია, მოცემული იყოს ოჯახის როლი, თითოეული მიზნის შესაბამისად. როგორც სამიზნე პირმა ისე მისმა ოჯახმა უნდა იცოდეს მათი როლების შესახებ. აქვე საყურადღებოა, რომ ოჯახს შესაძლოა სირთულე ჰქონდეს, რომ გაიაზროს შვილის რეალური საჭიროებები. როგორც ზემოთაც აღნიშნულია მშობლები შვილის დიაგნოზთან შეგუებისას რთულ პროცესს გადიან და ხშირად ვერც ახერხებენ მხარდაჭერის გარეშე ამ პროცესის გავლას, ეს კი მათში დეპრესიას, უიმედობას, აპათიას იწვევს. მშობლების მდგომარეობა კი პირდაპირ აისახება შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვების და/ან ზრდასრულის მდგომარეობაზე. განსაკუთრებით საყურადღებოა, რომ მშობლებმა მალევე დაძლიონ ფსიქოლოგიური სტრესი და დაინახონ მათი შვილის მომავალი. ამაში სპეციალისტები აქტიურად უნდა დაეხმარონ, მნიშვნელოვანია განსაკუთრებით

ტრანზიციის პერიოდში, როდესაც ბავშვი მოზარდობის ასაკში გადადის, მოზარდი ზრდასრულობის და ა.შ. როგორც life course approach იც გვიჩვენებს, თითოეული ეტაპი მნიშვნელოვან ცხოვრებისეულ ცვლილებებთანაა დაკავშირებული და თუ ინდივიდი ამისთვის არაა მზად მაშინ მას გაუჭირდება გაუმკლავდეს მის წინ არსებულ გამოწვევებს, გაძლიერდეს და იყოს საკუთარი ცხოვრებით კმაყოფილი (Jeanette Thompson, 2008). ისინი

ხშირად საკუთარ თავში დაურწმუნებლობით გამოირჩევიან, არ იციან როგორ მოიქცნენ და შესაძლოა ვერ გამოთქვან სურვილები, მნიშვნელოვანია აღნიშნულის გათვალისწინება (შაღაშვილი, 2015). ამიტომ, როდესაც ვსაუბრობთ ზრდასრულთათვის გაძლიერებაზე, უნდა დავფიქრდეთ თუ როგორ შეგიძლია გავაძლიეროთ მშობლებიც, ჩავრთოთ ისინი შვილის ცხოვრებაში ეფექტურად. მნიშვნელოვანია მშობლებმა გაითვალისწინონ თავისი პასუხისმგებლობები და ირწმუნონ საკუთარი შვილის, იქონიონ გონივრული მოლოდინები მის მიმართ.

ამაში განსაკუთრებით ეფექტურია ერთის მხრივ ტრანზიციის გეგმის ქონა, რომელიც ოჯახს და თავად ინდივიდს საკუთარ მომავალს დაანახებს.

სურათი 2 (<https://www.enablingguide.sg>, თ. გ.)



ნაბიჯი 7. ცხადი/ნათელი მიზნების დასახვა

გაიაზრებს რა პირი თუ რას სურს მიაღწიოს, რა შედეგი უნდა რომ ჰქონდეს, რა უშლის ხელს ამ ყველაფერში, მას ასევე შეუძლია თავად დაიწყოს ცხადი მიზნების დასახვა, ან დაეხმაროს პერსონალიც. მიზნები კი, რა თქმა უნდა იყოს SMART გაზომვადი, მიღწევადი, დროში გაწერილი (www.ndp.org.au, 2016).



ნაბიჯი 8. გეგმის დასახვა

მნიშვნელოვანია გეგმამ მიიღოს ოფიციალური სახე, ისე რომ თავად პირსაც აქვს წვდომა გეგმასთან. გააზრებული აქვს რომ თავადაა გარკვეულ საკითხების განმახორციელებელი და პასუხისმგებელი. მნიშვნელოვანია გეგმა მოიცავდეს გადახედვის, მონიტორინგის და ცვლილებების საშუალებასაც (www.ndp.org.au, 2016).

მომსახურების მიწოდება: აღნიშნულ ეტაპზე ხდება იმ გეგმის აღსრულება, რომელიც დავგეგმეთ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთან. აქვე უნდა გავითვალისწინოთ, რომ პირი თავად უნდა დავეხმაროთ გაიაზროს მისი პასუხისმგებლობები. მძიმე და ღრმა გონებრივი განვითარების შეფერხების მქონე პირებთან მიმართებაში ეს შესაძლოა, კვლავ

ცოტა სხვაგვარად, შემოქმედებითი გზით გავაკეთოთ. გეგმის აღსრულების ეტაპზე შემთხვევის მმართველი უნდა იყოს მომთმენი, გააზრებული ჰქონდეს დრო რაც თითოეული მიზნის მიღწევას დასჭირდება, ჰქონდეს სათანადო კომუნიკაცია პირთან და მის ოჯახთან, მუდმივად აკეთებდეს რეფლექსიას თითოეულ გადადგმულ წარმატებულ ნაბიჯზე მიღწევასა თუ გამოწვევაზე, იყოს ლოიალური, ითვალისწინებდეს პირის ინდივიდუალურობას და იყოს მორგებული პირის რეალურ საჭიროებას და იყოს ორიენტირებული ცვლილებებზე, რადგან ხშირად გეგმა შესაძლოა არ განვითარდეს ისე, როგორც დასაწყისში იყო. ამიტომ ამისთვის პირიც უნდა მოვამზადოთ რომ ცვლილებები იქნება და თავად მულტიგუნდის წევრები (CSR DG, 2021).

მომსახურების მიღების პროცესში, უნდა იქნას უზრუნველყოფილი პირისთვის უკუკავშირის საშუალება. მომსახურების განვითარების პროცესში ახლაც მიმდინარეობს უკუკავშირის მოპოვება, თუმცა ეს არ ხდება ობიექტურად. შემთხვევის მმართველს შეუძლია გააკეთოს როგორც თვითრეფლექსია, თუ რა მუშაობს და რა არა, ასევე ოჯახის წევრების და თავად პირის ჩართულობით გაიაზროს, life course perspective-ის მიხედვით ყველა დონეზე რა როგორ მუშაობს დაგეგმილი ღონისძიებებიდან, მაგალითისთვის შეგვიძლია გამოვიყენოთ მარტივი რუქა, მოცემული სურათში 3.

 <p>რა მუშაობს კარგად?</p>	 <p>რა არ მუშაობს კარგად? რა შევცვალთ?</p>
ინდივიდის დონე	
ოჯახის დონე	
მომსახურების დონე	
<p>რა შევცვალთ, რომ გავაძლიეროთ მიღწეული შედეგი და შევცვალთ სტრატეგიები, რომელიც არ მუშაობს?</p>	

იმისთვის რომ ჰქონდეთ საშუალება პირებს მათი მოსაზრების დაფიქსირების არსებობს სხვა გზებიც:

1. შემთხვევის მენეჯერის მიერ მუდმივი კომუნიკაცია პირებთან
2. შემთხვევის მენეჯერის მიერ პირისთვის რეფლექსიის მიცემის საშუალება:
 - 2.1. წერილობით, წინასწარ გაკეთებული კითხვარის საშუალებით, რომელიც მარტივი და გასაგებია და მისაწვდომია პირებისთვის მათთვის გასაგები საშუალებით. (ბრაილის შრიფტი, სურდო თარჯიმნის საშუალებით, სმენის სირთულის მქონე ადამიანებისთვის შესაბამისი ტექნიკური საშუალებით, მძიმე და ღრმა გონებრივი განვითარების შეფერხების მქონე პირებისთვის კონკრეტული რუკის, სურათების , სიმბოლოების საშუალებით, თუ სხვაგვარად ვერ ხერხდება მოსაზრების გაზიარება (მაგალითისთვის იხილეთ დანართი), ისეთი შრიფტით დაწერილი, რომელიც აღსაქმელია ყველასთვის
3. შეხვედრები პირის მხარდამჭერ ქსელთან და მათი მოსაზრების გარკვევა. იგივე შესაძლოა მოხერხდეს სხვა ადამიანის მიერ, რათა თავიდან იქნას არიდებული ინტერესთა კონფლიქტი და ოჯახის წევრებს შეექმნათ კომფორტი აზრის თავისუფლად გაზიარების მიზნით
4. მულტიდისციპლინური გუნდის წევრების მიერ იგივე ნაბიჯებით პირისთვის ინფორმაციის მოძიება

ამას გარდა, თავად მომსახურების მიმწოდებელი მენეჯმენტი, უნდა იყოს მობილიზებული, რომ:

ა) უზრუნველყოს შეხვედრები მომსახურების მიმღებ პირებთან და მათგან მიიღოს უკუკავშირი

ბ) ჩართოს თავად შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირი ან მისი ოჯახის წევრი მმართველობაში

ბ) განთავსებული ჰქონდეს საჩივრების, თხოვნების ყუთი, სადაც პირები ინდივიდუალურად შეძლებენ აზრის დაფიქსირებას. კვლევები ცხადყოფს, რომ აღნიშნული არ მუშაობს კარგად საქართველოში, აქ ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორი უნდა გავითვალისწინოთ, პირები უნდა ჩავაყენოთ საქმის კურსში , შევასხსენოთ რომ ეს მათი უფლებაა დააფიქსირონ აზრი. ამას გარდა, მკაცრად უნდა იყვნენ თანამშრომლები გაფრთხილებულნი, რომ არ მოახდინონ ზემოქმედება ბენეფიციარებზე, არ აიძულონ ფაქტების დამალვა. ბენეფიციარები კი დარწმუნებულნი უნდა იყვნენ, რომ კონფიდენციალობა იქნება დაცული

გ) ამას გარდა, ორგანიზაციამ ქმედებაში უნდა დაანახოს ბენეფიციარებს, რომ მათი მოსაზრებები მნიშვნელოვანია და ამას რეალური შედეგები მოჰყვება

დ) ჩართოს ბენეფიციარები ფიქრის პროცესში, შესაბამისად დაგეგმვის პროცესშიც

ე) აღსანიშნია, სოციალური მუშაკის როლი, რომელსაც პროფესიული მანდატის მიხედვითაც ავალთ იყოს ორგანიზაციის დიაგნოსტი - ანუ შეატყობინოს ორგანიზაციის მმართველ რგოლს მომსახურების მიმღებთა რეალური საჭიროებები

ვ) მომსახურებას შეუძლია დაგეგმოს გარე შეფასება, რომელიც სრულად გამორიცხავს ინტერესთა კონფლიქტს. შეფასება შესაძლებელია ჩატარდეს როგორც მომსახურების მიმღებ პირებთან, ასევე მომსახურების მიმწოდებელ ორგანიზაციის თანამშრომლებთანაც

ზ) ჩაატაროს უფრო მასშტაბური კვლევები, რომლებიც მოიკვლევს მისი სამიზნე ჯგუფების რეალურ, გამოკვეთილ საჭიროებებს, რელატიურ საჭიროებებს

თ) შეადგინოს ახალი სტრატეგია, რომელიც დაფუძნებული იქნება იმ გამოწვევებზე, რაც ორგანიზაციას აქვს და დააფუძნოს განვითარების ახალი მიმართულებები მომსახურების მიმღებთა ინტერესებს, გამოკვეთილ გამოწვევებს, დააფუძნოს ის უფლებებზე დაფუძნებულ მიდგომებს

გადასინჯვა: მუშაობის შემდეგ გადასინჯვა ის ეტაპია, როდესაც უკვე ხდება მიღწეული შედეგების შეფასება, გადახედვა - ხომ არ გამოიკვეთა სხვა საჭიროება, ინტერესი? სხვა მიმართულებით მუშაობა ხომ არაა საჭირო? შემდეგ ხდება დახურვა და წინასწარ შეტყობინება პირისთვის (CSRDG, 2021).

კითხვები რომელიც პროფესიონალებმა უნდა დაუსვას საკუთარ თავს როდესაც სრულდება შემთხვევაზე მუშაობა:

- გაიაზრა თუ არა მან ოჯახის/პირის საჭიროებები ბოლომდე?
- მომსახურების მიწოდების პროცესში ხომ არ იყო აზრის, ცრურწმენის ზეგავლენის ქვეშ?
- ხომ არ წარმოიშვა ინტერესთა კონფლიქტი, რომელმაც დააზიანა მომსახურების/შემთხვევის მმართველის/გუნდის და მათი მუშაობის პროცესი?
- ჰქონდა თუ არა თითოეულ სპეციალისტს და გუნდს მუდმივი რეფლექსია საკუთარ თავთან?
- ითვალისწინებდა თუ არა ინდივიდის და ოჯახის აზრს გადაწყვეტილებების მიღებისას?
- მიიღო თუ არა მათგან ამომწურავი უკუკავშირი?
- როგორ შეუწყო ხელი ამ პორცესს?
- სხვა ინიციატივის გამოჩენა ხომ არ არის საჭირო, რომ მომსახურებაში ახალი მიმართულებები დაინერგოს?
- მზადაა ოჯახი დაიხუროს მასთან მუშაობა? შეძლებენ ოჯახის წევრები და/ან თავად ინდივიდი დამოუკიდებლად გაუმკლავდნენ მომავალ გამოწვევებს?

მაშ, როგორ უნდა გახადოთ შეზღუდული შესაძლებლობის უფლებებზე დაფუძნებული მიდგომა მისაწვდომი ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სფეროში? დანერგვის გარდა შეგვიძლია გავაძლიეროთ უკვე არსებული:

- ✚ ჯანდაცვისა და სოციალური დაცვის ორგანიზაციამ შეიძლება განახორციელოს მათი პოლიტიკის გადახედვა იმის უზრუნველსაყოფად, რომ ისინი შეესაბამება გაეროს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების კონვენციის პრინციპებს.
- ✚ პერსონალი უნდა იყოს გაწვრთნილი, რომ გაიგოს ადამიანის უფლებათა კანონის შედეგები ჯანმრთელობისა და სოციალურ ზრუნვაზე, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებებზე და როგორ გამოიყენოს პრაქტიკულად უფლებებზე დაფუძნებული მიდგომა. პროფესიონალებმა ორგანიზებმა ასევე უნდა ასწავლონ ადამიანის ძირითადი უფლებები ყველა სასწავლო კურსზე.

- ✚ ჯანდაცვისა და სოციალური დაცვის ორგანიზაციებმა უნდა შეიმუშაონ საკომუნიკაციო სტრატეგია იმის უზრუნველსაყოფად, რომ პერსონალმა იცოდეს ადამიანის უფლებებისადმი ერთგულება, აღიაროს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები უფლებების მფლობელებად და გააცნობიეროს უფლებებზე დაფუძნებული მიდგომის შედეგები.
- ✚ ყველა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირს უნდა შეეძლოს ინფორმაციის მიღება იმ სერვისების შესახებ, იმ ფორმატით, რომლის გამოყენებაც და გასაგები იქნება ინდივიდისათვის. ჯანდაცვისა და სოციალური დაცვის პერსონალსა და ინდივიდს შორის ეფექტური კომუნიკაცია ასევე გაადვილებს გადაწყვეტილების უფრო ინფორმირებულ მიღებას
- ✚ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთათვის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის შენობებისა და სერვისების ფიზიკური ხელმისაწვდომობა უნდა განიხილებოდეს და გაუმჯობესდეს. შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები უნდა ჩაერთონ ყველა კონსულტაციაში.
- ✚ ჯანდაცვისა და სოციალური დაცვის პერსონალმა უნდა გაითვალისწინოს, რომ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირს აქვს გადაწყვეტილებების მიღების უნარი და პირი უნდა იყოს მხარდაჭერილი ამაში. საჭიროების შემთხვევაში ადვოკატირება უნდა იყოს შესაძლებელი, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების დასახმარებლად, განსაზღვრონ და გააცნონ თავიანთი მოთხოვნები, პრიორიტეტები და შეშფოთება სხვებს, განსაკუთრებით მომსახურების მიმწოდებლებს, ისე, რომ ეს იყოს ინდივიდუალური და მგრძობიარე (<http://rightsni.org/>, 2011).

სხვა სტრატეგიები მომსახურების განვითარების მიმართულებით:

თემთან და ოჯახთან ურთიერთობისას, უფლებაზე დაფუძნებული მიდგომით და ავსტრალიის სტანდარტების მიხედვით, ინდივიდი თავად ირჩევს, როგორ ურთიერთობა ჰქონდეს მის მხარდამჭერ ქსელთან. მაგალითად, შეარჩიოს ადამიანების წრე, ვინც ჩართული იქნება მასთან ერთად გეგმის აღსრულების პროცესში, ექნება მუდმივი კომუნიკაცია. ან შეარჩიოს სოციალური მუშაკი, სხვა პროფესიონალი. ამას გარდა, მსოფლიოში გამოცდილი პრაქტიკაა, peer support რომელიც გულისხმობს სხვა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირის მიერ მხარდაჭერას, მსგავსი გამოცდილების მქონე პირის მიერ გამოცდილების გაზიარებას და პროცესში მხარდაჭერას (არაფორმალური მხარდაჭერის წრეები).

ამასთან, დიდი როლი აქვს პირს თავად იყოს მასთან დაკავშირებული გადაწყვეტილებების მიღების, მომსახურების განვითარების პროცესში ჩართული, როგორც ადვოკატი და განახორციელოს თვითადვოკატობა. ეს მეზო და მაკრო დონეზე მუშაობის მხრივ, დიდი გავლენის მოხდენის შესაძლებლობაა. მომსახურების განვითარების პროცესში პირების ჩართულობა არ უნდა განვიხილოთ მხოლოდ მომსახურების შიგნით, მისი შეცვლა შესაძლებელია საერთო პოლიტიკის, და ან ვიწროდ სათემო პოლიტიკის, პროგრამების ცვლილების გზით.

იმისთვის, რომ პირი ჩაერთოს ადვოკატობის კამპანიაში ან თავად გახდეს სოციალური ადვოკატი - გახდეს ცვლილების აგენტი, არსებობს რამდენიმე გზა: კამპანია წარმართოს დამოუკიდებლად, ჯგუფურად (კოალიციურად) ან სხვა სპეციალისტის მხარდაჭერით. თუმცა, ნებისმიერ შემთხვევაში სოციალური ადვოკატობა ერთ-ერთი მექანიზმია მაკრო დონეზე ცვლილების მოხდენისთვის. მაგალითად, კამპანია გაიგონე თვალებით -

რომელიც ჩატარდა სინგაპურში და მიზანმიმართული იყო, ბარიერების დამსხვრევაზე და იგივე გამოცდილების გაზიარებაზე, რაც აქვთ ჩვეულებრივი ტიპური მქონე ადამიანებს. მაგალითად, სინგაპურის სმენის სირთულეების მქონე ასოციაციამ - შექმნა აპლიკაცია (WIKI MEDIA) - რომელიც იქნებოდა შესაძლებლობა, სმენის სირთულეების ადამიანებისთვის რომ მათაც მიეღოთ სიამოვნება კინოში წასვლით და ფილმის ყურებით. შეიქმნა სპეციალური მოწყობილობა, რომელი ვიდეო/თვალის მსგავსია და მონტაჟდება სათვალეზე, და ფილმის ყურების პარალელურად არის შესაძლებელი თარგმანის ხილვა (სატრენინგო მოდული სმენის სირთულეების მქონე თემისთვის, 2021).

სმენის პრობლემების მქონე პირებს ავსტრალიაში ყოველთვის აქტიურად უწევდნენ ადვოკატობას, როგორც სახელმწიფოში ისე, სერვის პროზაიდერებთან, და აქტიურად არიან ჩართულები ყოველდღიურ ცხოვრებაში - დასაქმება იქნება, თარგმანის უზრუნველყოფა, განათლება, ტელეკომუნიკაციების, ინფორმაციებთან წვდომა, ადამიანის უფლებები თუ ახალგაზრდული მიმართულება (სატრენინგო მოდული სმენის სირთულეების მქონე თემისთვის, 2021).

ბრიტანეთის სოციალურ მუშაკთა ასოციაციის ანგარიშის მიხედვით დღესდღეობით სოციალურ მუშაობას და უფლებებზე დაფუძნებულ მიდგომას ერთმანეთის გარეშე არსებობა წამროუდგენელია. ასოციაცია ხაზს უსვამს ინდივიდზე ორიენტირებული (ცენტრირებული) ცენტრირებული მიდგომის მნიშვნელობას შეზღუდული შესაძლებლობის პირების ცხოვრების ხარისხის გაუმჯობესების მიმართულებით. მაგალითად ბრიტანეთში არსებობს ცალკე მომსახურება Named Social Worker (2017 წლის პილოტის შედეგი), რომელიც საჭიროების შემთხვევაში ინდივიდუალური მხარდაჭერა იოჯახის და პირის ცხოვრების განმავლობაში. პილოტის მიზანი იყო ერთის მხრივ დაკვირვებოდნენ, რამდენად შეძლებდნენ სოციალურ მუშაკები პირების გაძლიერებას და მათთვის ავტონომიურობის მინიჭების საშუალებას, მეორეს მხრივ კი დაკვირვებოდნენ პირების ინდივიდუალურ შედეგებს. მიუხედავად პილოტის მოკლე ვადისა, შეფასების მტკიცებულებები ვარაუდობენ, რომ NSW პილოტმა მნიშვნელოვანი გავლენა იქონია სამ დონეზე

1. ინდივიდები და მათ გარშემო მყოფი ადამიანები:

- ჰქონდათ გაზრდილი შესაძლებლობები მიეღოთ თავიანთ პიროვნებაზე ორიენტირებული გეგმები ისე, რომ გათვალისწინებული იყო მათი კომუნიკაციის საჭიროებები, რაც დროთა განმავლობაში დაეხმარა სოციალურ მუშაკს ჩამოეყალიბებინა ნდობაზე დაფუძნებული ურთიერთობები
- მიიჩნევდა, რომ მათი NSW უსმენდა და ითვალისწინებდა მათ აზრს და საჭიროების შემთხვევაში მოქმედებდა მათი სახელით
- თვლიდა, რომ NSW ატარებდა ზომებს, რომლებიც აკმაყოფილებდა მათ და მათ გარშემომყოფთა საჭიროებებს, რაც უზრუნველყოფდა ცხოვრების უკეთეს ხარისხს

მსგავსი მოდელი გამოიყენება საფრანგეთშიც, სადაც იმის მიხედვით თუ რა საჭიროებები აქვს პირს, მისი სოციალური მუშაკი მხარდაჭერას ახორციელებს ან ცხოვრების გარკვეულ ეტაპებზე ან მთელი ცხოვრების განმავლობაში (Department of Health Named Social Worker - Reflect and Refined Report, 2017).

ავსტრალიის მაგალითზე თუ ვიმსჯელებთ, ძირითადად უფლებებზე დაფუძნებული მიდგომის უზრუნველყოფისთვის, ინდივიდზე ორიენტირებული მიდგომები გამოიყენება, რომელიც ინდივიდის სოციალური ინკლუზიის და პროგრამებში


ჩართულობის გაძლიერებასაც უწყობს ხელს. მომსახურებები მრავალკომპონენტანია და მოიცავს მხარდამჭერი ქსელის გაძლიერებაზე მუშაობას, პირის პიროვნული ურთიერთობების გაძლიერებაზე მუშაობას, თემში ჩართულობის ხელშეწყობას, ცხოვრების ეტაპებზე გადასვლისთვის ტრანზიციულ პორცესში დახმარებას.

ავსტალიაშივე უფლებებზე დაფუძნებული, ინდივიდზე ორიენტირებული მიდგომა გამოიყენება იძულებით გადაადგილებულ პირებთან მიმართებაშიც. ამას გარდა, ძალიან ეფექტურია ფსიქიკური ჯანმრთელობის სფეროში მისი გამოყენება სხვადასხვა დაწესებულებების მიერ ფსიქიკური ჯანმრთელობის პრობლემების მქონე პირების გაძლიერების მიმართულებით მიკრო, მეზო და მაკრო დონეზე (A RIGHTS-BASED APPROACH TO DISABILITY IN THE CONTEXT OF MENTAL HEALTH, 2021). უფლებებზე დაფუძნებული მიდგომა გამოიყენება ბრიტანეთში, გერმანიაში, თუმცა უმეტესწილად ჯანდაცვის მომსახურებებში.

შოტლანდიის უფლებათა დაცვის კომისიამ, 2018 წელს უფლებებზე დაფუძნებული მიდგომა შეიტანა ფსიქიკური ჯანმრთელობის ეროვნულ სტრატეგიაში.

მაკრო დონეზე პოლიტიკის განვითარების მხრივ, საინტერესო მიდგომაა Twin Track approach, რომელიც უზრუნველყოფს პოლიტიკის იმგვარ დაგეგმარებას, როდესაც პროგრამები სპეციფიურად შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა საჭიროებებზეა მორგებული. უკვე არსებული პროგრამები კი, რომლებსაც სხვა მოწყვლადი თუ არა მოწყვლადი ჯგუფებისთვისაა განკუთვნილი, ხდება სენსიტიური შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების მიმართაც, რაც უხსნის გზას მათ განახორციელონ ყველა უფლება მომსახურებაზე მისაწვდომობის მხრივ (Jones & Serieux-Lubin, 2018).

პოლიტიკის ინკლუზიური განვითარება Twin Track Approach-ის მიხედვით



აღნიშნული მიდგომა უზრუნველყოფს პირთა თანაბარ ჩართულობას პოლიტიკის შემუშავების პროცესში, სადაც თითოეულ ეტაპზე გააზრებული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა საჭიროებები, მათივე მოსაზრების გათვალისწინებით (Jones & Serieux-Lubin, 2018)

დასკვნის სახით შეგვიძლია ვთქვათ, რომ მომსახურებების განვითარების კუთხით, უფლებაზე დაფუძნებული მიდგომის გათვალისწინებით შეგვიძლია მოვიაზროთ, როგორც მიკრო, ისე მეზო და მაკრო დონეზე. მსოფლიოში შეზღუდული შესაძლებლობების პოლიტიკის და მომსახურებების განვითარების მხრივ, მნიშვნელოვანი ნაბიჯები იდგმება და აუცილებელია, ამ განვითარებას დროულად აუწყოს ფეხი ყველა ქვეყანამ, რათა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები არ დარჩნენ უფლებათა განხორციელების გარეშე, თითოეული შეფერხება პოლიტიკის თუ მომსახურების განვითარების პროცესში ხომ ინდივიდის ყოველდღიურ ცხოვრებაზე აისახება და ტოვებს მათ უფლებების გარეშე. შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები თავად არიან საკუთარი საჭიროებების ექსპერტები ამიტომ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა ჩართულობა მომსახურებების განვითარების პროცესში, ბევრი გზით შეიძლება და აუცილებელია ამას ითვალისწინებდეს როგორც რიგითი სპეციალისტი, ისე გადაწყვეტილების მიმღები პირი მაკრო დონეზე.

გამოყენებული ლიტერატურა:

- (2021). *A RIGHTS-BASED APPROACH TO DISABILITY IN THE CONTEXT OF MENTAL HEALTH*. United Nations.
- CSRDG. (2021). ადამიანის უფლებაზე დაფუძნებული მომსახურების სტანდარტები. In CSRDG.
- CSRDG. (2021). *უფლებებზე დაფუძნებული მიდგომით შემთხვევის მართვის სახელმძღვანელო*. CSRDG.
- (2015). *Decision making support for people with cognitive disability*. Scope (Aust) Ltd.
- (2017). *Department of Health Named Social Worker - Reflect and Refined Report*. *helensandersonassociates.co.uk*. (n.d.). Retrieved from helensandersonassociates.co.uk.
- Heller, T. (2012). *Disability Through the Life Course*. Sage Publications.
- HOTHERSALL, S. J. (2008). *Social Work with Children, Young People and their Families in Scotland*. Learning Matters Ltd.
- <http://rightsni.org/>. (2011, 08 22). Retrieved from <http://rightsni.org/>:
http://rightsni.org/2011/08/a-rights-based-approach-to-disability-in-health-and-social-care/?fbclid=IwAR05quZj2O1zFKSkq1n4PxNBOWCrZKa2KaBXLZMLzLxEAoNUET634_E4LLs
- <https://www.enablingguide.sg>. (n.d.). Retrieved from <https://www.enablingguide.sg/disability-info/life-stages-transitions>
- Ife, J. (2000). *Human Rights and Social Work - towards rights based practice*. Sydney: Cambridge University press.
- Jeanette Thompson, J. K. (2008). *PERSON CENTRED PRACTICE*. open university press.
- Jones, F., & Serieux-Lubin, L. (2018). *Disability, human rights and public policy in the Caribbean A situation analysis*. United Nations.
- Khan, M. F., & Alam, M. A. (2016). COPING TRENDS OF PARENTS HAVING CHILDREN WITH DEVELOPMENTAL DISABILITIES: A LITERATURE REVIEW. *European Journal of Special Education Research*.
- Lynn K. Jones, D. (n.d.). Person-Centered Thinking in Developmental Disabilities — Dreaming Possible Dreams. *social work today*,
https://www.socialworktoday.com/archive/exc_011909.shtml.
- Magaña, B. R. (2016). Introduction to the special issue: Family Support of Persons with Disabilities Across the Life Course. *Journal of Family Social Work*.
- (n.d.). *National Standards for Disability Australia*.
- Partskhaladze, N. (2020). *Quality of Life as an Outcome Measure of the Child Care System Reform in Georgia*. Doctoral Thesis. Unpublished.

Schulmann, K., Ilinca, S., Rodrigues, R., & Pateisky, D. (2017). *From Disability to rights based approach to long term care in Europe*. Vienna: European Centre for Social Welfare Policy and Research.

SUPPORTING INDIVIDUALS TO LIVE FULL LIVES Guardianship Alternatives. (2018). Wisconsin Board for People with disabilities.

What Is Self-Determination and Why Is It Important? (n.d.). A National Gateway to Self Determination.

www.ndp.org.au. (2016). Retrieved from www.ndp.org.au:
<https://www.ndp.org.au/images/factsheets/346/2016-10-person-centred-approach.pdf>

(2019). *ბავშვის უფლებათა კოდექსი*. საქართველოს პარლამენტი.

(n.d.). *გაეროს კონვენცია შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების შესახებ*.

გიგინეიშვილი, ქ. (2013). *გონებრივი განვითარების შეფერხების მქონე პირთა დასაქმება საქართველოში (შემთხვევების განხილვა)*. unpublished.

მეზვრიშვილი, თ. (2021). *ფსიქიკური ჯანმრთელობის სახელმძღვანელო სოციალური მუშაკებისთვის*.

(2016). *სატრენინგო მასალა სოციალური მუშაკებისთვის*. საქართველოს სოციალურ მუშაკთა ასოციაცია.

(2021). *სატრენინგო მოდული სმენის სირთულეების მქონე თემისთვის*. საქართველოს სოციალურ მუშაკთა ასოციაცია.

საქართველოს სოციალურ მუშაკთა. (2018). *ტრენინგი სოციალური მუშაკებისთვის*. საქართველოს სოციალურ მუშაკთა ასოციაცია.

(2019). *საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ*. საქართველოს სახალხო დამცველი.

სოციალური მუშაობა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვებთან. (2018). თბილისი: საქართველოს სოციალურ მუშაკთა ასოციაცია.

(2013). *სოციალური მუშაობის საფუძვლები*.

(2020). *უფლებებზე დაფუძნებული სოციალური მომსახურება ხანდაზმულების და შშმ პირებისთვის*. თბილისი: CSRDG.

(2020). *ქმედუნარიანობის რეფორმის შეფასება - კანონმდებლობა და პრაქტიკა*. სოციალური სამართლიანობის ცენტრი.

შალაშვილი, მ. (2015). *შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ახალგაზრდების სოციალური ინკლუზიის და დამოუკიდებლობის ხელშეწყობა*. თბილისი: საქართველოს სოციალურ მუშაკთა ასოციაცია.

(2018). *შშმ პირთა დასაქმების ხელშეწყობი სახელმწიფო პროგრამების მონიტორინგის ანგარიში*. სახალხო დამცველი.

**უფლებებზე დაფუძნებული მომსახურების
მართვა: კვლევა, დაგეგმვა, განხორციელება და
შეფასება - ავტორი: შორენა სამაგლიშვილი**

საკითხავი მასალა მომზადებულია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის, სოციალური მუშაობის სამაგისტრო პროგრამის სავალდებულო კურსისთვის „სოციალური პროგრამების განვითარება და შეფასება“

საკითხები:

- უფლებებზე დაფუძნებული პროგრამის განვითარების ძირითადი პრინციპები
- უფლებებზე დაფუძნებული პროგრამის განვითარების საფეხურები
- უფლებებზე დაფუძნებული კვლევა და ეთიკის საკითხები
- უფლებებზე დაფუძნებული პროგრამების მონიტორინგი და შეფასება

უფლებებზე დაფუძნებული პროგრამის განვითარების ძირითადი პრინციპები

უფლებებზე დაფუძნებული პროგრამები ფოკუსირდება ერთის მხრივ, პროგრამის შედეგებზე/მიღწევებზე, რომელიც ემსახურება სხვადასხვა ნიშნით მოწყვლადი ჯგუფების უფლებების და ინტერესების დაცვას, ხოლო მეორეს მხრივ, თავად პროგრამის განვითარების პროცესზე. ამ თავის ფარგლებში ჩვენი ინტერესის საგანს შეადგენს სწორედ უფლებებზე დაფუძნებული პროგრამის განვითარების პროცესი. ასეთი პროგრამების განვითარების დროს მთავარი პრინციპია ბენეფიციარების საჭიროებების შეფასებაზე დაფუძნებული პროგრამების განვითარება, ხოლო ბენეფიციარის საჭიროებების შეფასების დროს კი, გათვალისწინებულია ისეთი ფაქტორები, როგორცაა ბენეფიციარების თანამონაწილეობის მხარდაჭერა, მათი პიროვნული ღირსების პატივისცემა და გაძლიერება, რათა მათ სრულყოფილად შეძლონ შეფასების პროცესში მონაწილეობა. ასევე, მნიშვნელოვანია, რომ პროგრამის განვითარების პროცესი იყოს მთლიანად გამჭვირვალე და პროგრამის განმავითარებელი ორგანიზაცია გრძნობდეს პასუხისმგებლობას ბენეფიციართა ჯგუფის/თემის მიმართ და იყოს ანგარიშვალდებული.

თანამედროვე სოციალური პოლიტიკის ერთ-ერთი მიმართულებაა ისეთი პროგრამების დაფინანსება, რომელიც დაეფუძნება ეფექტურობის პრინციპებს, ხოლო პროგრამა ეფექტურია, თუ ის ეფუძნება მეცნიერულ მტკიცებულებებს და წარმოადგენს პრობლემასთან ბრძოლის ყველაზე ეფექტურ გზას. ამავდროულად, პროგრამის ეფექტურობა განისაზღვრება იმითაც, თუ რამდენად ითვალისწინებს ის ბენეფიციარის საჭიროებებს.

ამდენად, პროგრამა უნდა ფოკუსირდეს ბენეფიციარის საჭიროებებზე და არა სააგენტოს, სოციალური მომსახურების მიმწოდებლის საჭიროებებზე. სოციალური პროგრამებისთვის ეფექტურობის მაჩვენებელი არის არა სარგებელი ან დანახარჯი, რომელიც მას აქვს, არამედ ის ხარისხი, რომლითაც ბენეფიციარის საჭიროება უმაყოფილდება.

ძველი მიდგომის მიხედვით, უკვე არსებული პროგრამები არ დგებოდა ექვექვემ და მხოლოდ მცირე ცვლილებებს განიცდიდა. შენარჩუნებული იყო ე.წ. “სტატუს კვო”. თანამედროვე მიდგომის მიხედვით, მნიშვნელოვანია, რომ პროგრამის დაგეგმვის პროცესში ხდებოდეს პრობლემის ანალიზი, რომელიც დაეყრდნობა პრობლემის გაგებას და არა მის სწრაფ გადაჭრას. პროგრამის დამგეგმავებმა უნდა შეიმუშავონ ისეთი პროგრამები, რომლის მომსახურებებიც ემსახურება მოცემული პრობლემის თანდათანობით აღმოფხვრას და წარმოადგენს მოცემული პრობლემის აღმოფხვრის/შემცირების ერთ-ერთ (და არა “ერთადერთ”) ალტერნატიულ მეთოდს.

”საჭიროების’ ქვეშ” იგულისხმება “იდენტიფიცირებული მდგომარეობა, რომელიც ზღუდავს პიროვნების/ინდივიდის ან ოჯახის წევრის მთლიან პოტენციალს. იგი გამოიხატება სოციალურ, ეკონომიკურ, და ჯანმრთელობასთან დაკავშირებულ ტერმინებში და არის თვისებრივი განზომილების. თუმცა, საჭიროა ამ თვისებრივი განზომილების რაოდენობრივში გადაყვანა”. ამრიგად, საჭიროებას აქვს ორი განზომილება: თვისებრივი და რაოდენობრივი. საჭიროება არის ნორმატიული ცნება და ფორმირდება სოციალური, პოლიტიკური და ეკონომიკური სისტემებით. შესაბამისად, საჭიროება არ არის აბსოლუტური ცნება, არამედ ეს არის ელასტიური და მოქნილი ცნება.

პირველ რიგში, საჭიროება განისაზღვრება ცხოვრების სტანდარტით. მაგალითად, მეოცე საუკუნის დასაწყისში მოთხოვნა არ იყო ცხელ წყალზე, კანალიზაციის არსებობაზე და ა.შ. ეს სტანდარტები შეიცვალა მეოცე საუკუნის ბოლოს და მითუმეტეს, 21-ე საუკუნეში.

მეორე ფაქტორი, რომელიც ზეგავლენას ახდენს საჭიროებაზე, არის სოციოპოლიტიკური გარემო. ადამიანების განწყობები და მოლოდინები მუდმივად ცვლებადია. წლების წინ, საჯარო, საყოველთაო საბავშვო ბაღების იდეა არ იყო მისაღები, რადგან ითვლებოდა რომ დედის ვალდებულებაა ბავშვის აღზრდა, რადგან ქალი უნდა იყოს სახლში, არ მუშაობდეს და ზრუნავდეს ოჯახზე. დღეს ეს დამოკიდებულება ქალის მიმართ ძირეულად არის შეცვლილი და საბავშვო ბაღის მომსახურებაც, შესაბამისად, გახდა “საჭიროება” ყველა გეოგრაფიულ სივრცეში მცხოვრები ადამიანებისთვის.

მესამე ფაქტორი, რომელიც ზეგავლენას ახდენს საჭიროების განსაზღვრაზე არის რესურსების და ტექნოლოგიების მისაწვდომობა. თუ ადამიანებს არ სჯერათ, რომ მოცემული რესურსი არის ადეკვატური მოცემული მოთხოვნის დასაკმაყოფილებლად, ნაკლებ სავარაუდოა, რომ ისინი ამ რესურსს მოითხოვენ. მაგალითად, სანამ იარსებებდა გულის “შუნტირების” შესაძლებლობა, ადამიანები არ მოელოდნენ საკუთარი სიცოცხლის გახანგრძლივებას ამ ტექნოლოგიის ხარჯზე. ახალმა ტექნოლოგიებმა გააჩინეს მოთხოვნა ამ მიმართულებით.

საჭიროებებზე დაფუძნებული პოლიტიკის შემუშავების დროს ადამიანის საჭიროებები უნდა იქნას შესწავლილი და გათვალისწინებული უფლებებზე დაფუძნებული სოციალური პროგრამების შემუშავებისას. კერძოდ, არსებობს საჭიროებების შესწავლის ოთხი გზა:

ნორმატიული საჭიროება

სტანდარტების ან ნორმის (კრიტერიუმი) არსებობა, რომელიც დადგენილია ავტორიტეტის, ნორმის, ზოგადი შეთანხმების მიხედვით. ამ ნორმასთან მიმართებაში უნდა გაიზომოს სიტუაციის ან პირობის თვისებრივი და რაოდენობრივი ბუნება. ეს სტანდარტი ცვალებადია და იცვლება დროთა მანძილზე იმ ფაქტორების ზეგავლენით, რომელიც ზემოთ იყო დასახელებული. ამ საჭიროების შესწავლა შესაძლებელია ექსპერტების გამოკითხვის საშუალებით ან არსებული სტანდარტების და ნორმების შესწავლით და შედარებით არსებულ მდგომარეობასთან. ამის შესაბამისად, მოცემული ნორმების განსაზღვრაში კრიტიკულია გათვალისწინებულ იქნას ადამიანის უფლებები, რომელიც 21-ე საუკუნეში განვითარებული ქვეყნებისა და საერთაშორისო ორგანიზაციების/ მისიების დღის წესრიგში დადგა. ეს არის ადამიანის ფუნდამენტური უფლებების არა მხოლოდ დაცვა, არამედ მათი ასახვა საქმიანობის ყველა სფეროში და

მოქმედ პროგრამებსა და პროექტებში დანერგვა. ევროკავშირის მიერ 2012 წელს შემუშავებული ადამიანის უფლებებისა და დემოკრატიის სამოქმედო გეგმა (EU Action Plan on Human Rights and Democracy) ითვალისწინებდა უფლებებზე დაფუძნებული მიდგომის დანერგვას ევროკავშირის ყველა პროგრამასა და პროექტში (European Commission, 2012), 2012). უფლებებზე დაფუძნებული მიდგომა (Rights Based Approach , RBA) გულისხმობს არა მხოლოდ ადამიანის ფუნდამენტურ უფლებებს, რაც ძირითად სამართლებრივ დოკუმენტებშია დეკლარირებული, არამედ უფლებებს უფრო ფართო ჭრილში განიხილავს და ითვალისწინებს მრავალფეროვან უფლებრივ სპექტრს, როგორცაა: ეკონომიკური უფლებები, სოციალური უფლებები, სქესობრივი და რეპროდუქციული ჯანმრთელობის უფლებები და სხვა (European Commission, 2014))¹².

აღქმული საჭიროება

აღქმული საჭიროება არის ის, რასაც ფიქრობენ ან გრძნობენ ადამიანები, იმის შესახებ, თუ რა საჭიროებები აქვთ. ეს საჭიროებები დამოკიდებულია მათ მიმდინარე სიტუაციაზე და შესაძლოა იცვლებოდეს ინდივიდების მიხედვით. აღქმული საჭიროების შესწავლა ძირითადად ხდება ბენეფიციარების გამოკითხვების საშუალებით. უფლებებზე დაფუძნებული მიდგომის მიხედვით, აღქმული საჭიროების გაგება მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული ქვეყნის სამოქალაქო საზოგადოების განვითარების დონეზე, იმაზე, თუ რამდენად აღიქვამენ ადამიანები საკუთარს თავს უფლებების მქონეებად, რამდენად გამოხატავენ თავიანთ დამოკიდებულებას ამ მიმართულებით. ასევე, რამდენად აღიარებულია ამა თუ იმ მოწყვლადი ჯგუფების უფლებების დაცვა ქვეყნის და საზოგადოების პრიორიტეტად, რამდენად აქტიურად არიან ჩართულები აქტივისტები ამ პროცესებში და ა.შ.

გამოხატული საჭიროება

გამოხატული საჭიროებას ეკონომისტების მიდგომასაც უწოდებენ და განისაზღვრება იმის მიხედვით, თუ ბენეფიციარები რა მომსახურებებს იყენებენ, ან რა მომსახურებებზეა მოთხოვნები. კერძოდ, აღქმული საჭიროება დგინდება იმის მიხედვით, თუ ინდივიდი რამდენად რეალურად ცდილობს ამ თუ იმ მომსახურების მოპოვებას, რამდენმა ადამიანმა მიიღო მომსახურება და რამდენი ადამიანია მოსაცდელთა სიაში. გამოხატული საჭიროება ძნელი შესასწავლია, რადგან ყველა ადამიანი არ არის აქტიური და აქტიურად არ ეძებს მომსახურებებს, რომელიც არ არის მისთვის მისაწვდომი. გამოხატული საჭიროების გაზომვა შესაძლებელია სტატისტიკური მონაცემების შეგროვებით (რამდენმა ადამიანმა მიიღო სერვისი, რამდენმა დაწერა განაცხადი და მოითხოვა სერვისი), რომელსაც უნდა აწარმოებდეს სააგენტო. ამრიგად, უფლებებზე დაფუძნებულ მომსახურებებზე მოთხოვნას მრავალი ფაქტორი განსაზღვრავს. მათ შორის მნიშვნელოვანია ადამიანების ცნობიერების დონე, მათი უფლებამოსილების ხარისხი, რამდენად იბრძვიან ისინი საკუთარი უფლებების დასაცავად. აქვე, უნდა აღინიშნოს, ქვეყანაში სოციალური მუშაობის განვითარების დონე, ის, თუ სოციალური მუშაკები რამდენად აქტიურად ახდენენ სხვადასხვა მოწყვლადი ჯგუფების გაძლიერებას და მათი უფლებების ადვოკატობას, მათ ჩართვას სხვადასხვა მომსახურებებში, ან ისეთი ახალი მომსახურებების განვითარებას, რომელიც ქვეყანაში არ არსებობს იმ დროისთვის, მაგრამ აუცილებელია მათი უფლებების რეალიზებისათვის. ასევე, მნიშვნელოვანია, თუ ზოგადად, რამდენად მომწიფებულია

¹² საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრი. (2021). უფლებებზე დაფუძნებული სოციალური მომსახურება ხანდაზმულებისა და შშმ პირებისათვის. საერთშორისო და საქართველოს გამოცდილება. კვლევის ანგარიში.

სამოქალაქო საზოგადოება და ზრუნავს ქვეყანაში უფლებებზე დაფუძნებული მომსახურებების და ზოგადად, პოლიტიკის განვითარების ხელშესაწყობად.

რელატიური საჭიროება

საჭიროების კიდევ ერთი სახეა რელატიური საჭიროება და ეყრდნობა პრინციპს, რომ მსგავს რეგიონებს სჭირდებათ მსგავსი მომსახურებები, თუ არის განსვლა, მაშასადამე აქ არის საჭიროება. ძირითადი საფუძველი არის თანასწორობა. თუმცა, ყველა რეგიონის ინტერესების ერთნაირად გათვალისწინება შეუძლებელია. ამ საჭიროებას შეისწავლიან საერთაშორისო გამოცდილების, მსგავს გეოგრაფიულ არეალში უკვე არსებული მომსახურებების შესწავლით და შედარებითი ანალიზის წარმოებით. რელატიური საჭიროება ყველაზე მეტად არის გამოყენებული უფლებებზე დაფუძნებული მომსახურებების/პროგრამების განვითარების არგუმენტად. საქართველო, რომელიც მიისწრაფვის რომ გახდეს დემოკრატიული სახელმწიფო და განვითარებული სამყაროს ნაწილი, სწავლობს სხვა ქვეყნების მაგალითზე. აღიარებს რა ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციაში აღწერილ უფლებებს და ცდილობს მის ასახვას ჯანდაცვისა და სოციალური მომსახურების სისტემებში საერთაშორისო გამოცდილების გათვალისწინებით (2015). ცალკეულ ქვეყნებსა და საერთაშორისო ორგანიზაციებს შექმნილი აქვთ ისეთი დოკუმენტები, რომლებიც კარგად ასახავენ სოციალურ მომსახურებაში უფლებებზე დაფუძნებული მიდგომის დასაწერად გადასადგმელ ნაბიჯებს. მაგალითად, (1) ირლანდიის მთავრობის მიერ მომზადებულ დოკუმენტი, რომელიც ეხება ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მომსახურებაში უფლებებზე დაფუძნებული მიდგომის დანერგვის ძირითად პრინციპებს; (2) რეაბილიტაციის ევროპულ პლატფორმაში ასახულ ხედვა, ევროპაში სოციალური სექტორის გაძლიერებისა და სოციალური მომსახურების ხარისხის გაუმჯობესების შესახებ; (3) ევროკავშირის მიერ განვითარებულ მიდგომა, რომელიც ეხება უფლებებზე დაფუძნებული პრინციპების დანერგვას თავის ყველა პროგრამაში, პროექტსა და ყოველდღიურ საქმიანობაში და ა.შ.¹³

უფლებებზე დაფუძნებული პროგრამის სახელმძღვანელო პრინციპები - PANEL:

უფლებებზე დაფუძნებული მიდგომა გულისხმობს იმას, რომ ბენეფიციარების საჭიროებების შეფასების და პროგრამების განვითარების დროს გამოყენებულ იქნას შემდეგი სახელმძღვანელო პრინციპები (PANEL: Participation, Accountability, Non-Discrimination and Equality, Empowerment and Legality)¹⁴.

(ა) მონაწილეობა

- მომსახურების მიმღებები უნდა მონაწილეობდნენ ყველა იმ გადაწყვეტილების

მიღებაში, რაც მომსახურებასა თუ ინტერვენციას ეხება.

შეფასების დროს მნიშვნელოვანია პოტენციურ ბენეფიციარებთან კვლევის ჩატარება და მათგან ინფორმაციის მოპოვება. ამ მხრივ, შესაძლოა გამოკითხულ იქნან სხვადასხვა ჯგუფები, რომლებიც განიცდიან პრობლემის გამო პირდაპირ თუ არაპირდაპირ ზეგავლენას. ასევე, მნიშვნელოვანია იმ ორგანიზაციების ჩართულობა, რომლებიც

¹³ საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრი. (2021). უფლებებზე დაფუძნებული სოციალური მომსახურება ხანდაზმულებისა და შშმ პირებისათვის. საერთაშორისო და საქართველოს გამოცდილება. კვლევის ანგარიში.

¹⁴ St Helena Equality and Human Rights Commission, 2020

წარმოადგენენ ამ ჯგუფების პრობლემებზე მომუშავე ორგანიზაციებს. ბენეფიციარების თანამონაწილეობა უზრუნველყოფს იმას, რომ ბენეფიციარები თანხმდებიან რა პრობლემის მიზეზებზე და მისი გადაჭრის გზებზე, მეტად ერთვებიან პროგრამის განხორციელებაში.

(ბ) ანგარიშვალდებულება

- ადამიანის უფლებათა სტანდარტების ეფექტური მონიტორინგი და მათი დარღვევის შემთხვევაში აღმოფხვრის ეფექტური გზების ძიება.

(გ) არადისკრიმინაციული მიდგომა და თანასწორობა

- უფლებების სრულად რეალიზება დისკრიმინაციის ყველა ფორმის აკრძალვასა და აღმოფხვრას გულისხმობს. ასევე, უნდა გატარდეს პრევენციისთვის საჭირო ღონისძიებები, განსაკუთრებული ფოკუსი უნდა გაკეთდეს მათზე, ვინც ყველაზე მეტად არის მარგინალიზებული და უფლებების განხორციელების გზაზე ყველაზე მეტად ხვდებათ ბარიერები.

(დ) გამლიერება

- ყველამ კარგად უნდა იცოდეს საკუთარი უფლებები და როგორ მოითხოვოს ამ უფლებების დაცვა.

(ე) კანონიერება

- სოციალური მომსახურების მიმწოდებლები დარწმუნებულები უნდა იყვნენ, რომ

მათ მიერ განხორციელებული ყველა მომსახურება და მიღებული პროცედურა შესაბამისობაშია ადამიანის უფლებათა კანონმდებლობასთან.

უფლებებზე დაფუძნებული პროგრამების განვითარების საფუძვლები

სოციალური პროგრამები იქმნება დასაბუთებული პრობლემების საფუძველზე. პროგრამის ეფექტურობის შეფასების მნიშვნელოვანი კრიტერიუმია სწორედ იმის შემოწმება, თუ რამდენად ემსახურება ესა თუ ის პროგრამა რომელიმე სოციალური პრობლემის მოგვარებას და რამდენად არის ბენეფიციარის მოთხოვნები ანუ საჭიროებები დაკმაყოფილებული.

პრობლემის ანალიზით და საჭიროებების შესწავლით იწყება პროგრამის დაგეგმვის პროცესი. დაგეგმვის პროცესი ასევე მოიცავს იმ ზოგადი პოლიტიკის ფორმულირებას, რომლის საფუძველზეც უნდა ჩამოყალიბდეს პროგრამის მიზნები და ამოცანები, ჩარევის (ინტერვენციის) მეთოდის ანუ პროგრამის შერჩევა და დანერგვა, განისაზღვროს პროგრამის განხორციელებისათვის საჭირო რესურსები, მონიტორინგის, შეფასების და უკუკავშირის პროცედურები.

პროგრამის დაგეგმვის სისტემური მიდგომის მიხედვით, საჭიროა სოციალური პოლიტიკის განმსაზღვრელებმა შემდეგ შეკითხვებს გასცენ პასუხები.

- რაში მდგომარეობს პრობლემა?
- რა არის ამ პრობლემის გამომწვევი მიზეზი და რა გავრცელების არეალი აქვს მას?
- რა მახასიათებლებით ხასიათდება ადამიანები, რომლებიც განიცდიან ამ პრობლემას?
- რამდენი ადამიანი განიცდის ამ პრობლემას?
- შეიძლება თუ არა რაიმე გეოგრაფიულ არეალში მათი ლოკალიზირება?

ხშირად ადგილი აქვს შემდეგი სახის შეცდომას. თითქოს მთლიანად გაგებულია პრობლემა და წინასწარ არის ცნობილი ამ პრობლემის გადაჭრის გზები. ამ შემთხვევაში, ფიქრობენ, რომ პრობლემის მიზეზია უბრალოდ რესურსების ნაკლებობა. მაგალითად, არ არის საკმარისი თანხა, ან არ არის საკმარისი ადამიანური რესურსები და ა.შ. თუმცა, რესურსების ქონა ყოველთვის არ ნიშნავს, რომ ნაპოვნია პრობლემის გადაჭრის გზები. რამდენადაც სოციალური პირობები და გარემო მუდმივად იცვლება, ასევე ადამიანებიც იცვლებიან და შესაბამისად, პრობლემებიც იცვლება, საჭიროა, რომ მოხდეს პრობლემის და მისი გამომწვევი პირობების/მიზეზების მუდმივი შესწავლა.

სოციალური პრობლემების გაგებისათვის კრიტიკულია, რომ მოხდეს პრობლემის ანალიზი და ბენეფიციართა საჭიროებების შეფასება. ეს არის პროგრამის დაგეგმვის დროს პირველი დონის ამოცანა. პრობლემის ანალიზი პირველ რიგში უნდა ეყრდნობოდეს პრობლემის გაგებას. პრობლემის ანალიზი უნდა მოიცავდეს მისი გამომწვევი მიზეზების სიღრმისეულ შესწავლას.

თავდაპირველად ხდება სოციალური ფაქტების შესწავლა, შემდგომ ამ ფაქტებიდან გამოიკვეთება პრობლემა, რაც ნიშნავს იმას, რომ სოციალური ფაქტები, მონაცემები გადაიქცევა პრობლემებად, როდესაც ხდება ამ პირობების/მონაცემების შეფასება, როგორც ნეგატიური, მტკივნეული და არადამაკმაყოფილებელი (საჭიროებების შესწავლის პროცესი). მნიშვნელოვანია დაინტერესებულ პირთა წრის იდენტიფიკაცია, თუ ვინ და რატომ აფასებს მოცემულ სოციალურ პირობებს, როგორც პრობლემას.

პრობლემის ანალიზის დროს მნიშვნელოვანია იმის გარკვევა, თუ მოცემულ პრობლემასთან მიმართებაში რომელი სოციალური ღირებულებები არის შელახული, რამდენად არის აღიარებული მოცემული პრობლემა სხვადასხვა დაინტერესებული ჯგუფების მიერ და რომელი ჯგუფები განმარტავენ მოცემულობას, როგორც პრობლემას. სოციალური ღირებულებების შელახვის მიმართულებით უნდა ვიხელმძღვანელოთ ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციით.

ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია არის პირველი დოკუმენტი, სადაც აღიარებულია ადამიანის ფუნდამენტური უფლებების დაცვის უნივერსალურობა. ის აღიარებს ყველა ადამიანის თავისუფლებასა და თანასწორობას და პოლიტიკურ პროცესებზე მაღლა ადამიანს აყენებს. ამ დოკუმენტმა ხელი შეუწყო ქალთა, შშმ პირთა და სხვა მოწყვლადი ჯგუფების უფლებების გაუმჯობესებას. შესაბამისად, ეს უფლებები აღიარებულია მრავალი ქვეყნის კანონმდებლობების მიერ. მოცემულ დოკუმენტში

მოცემული 30 უფლება და თავისუფლება ეხება - თავშესაფრის უფლებას, წამების, მონობისა და იძულებითი შრომის აკრძალვას. ისეთ სამოქალაქო და პოლიტიკურ უფლებებს, როგორცაა: სიცოცხლის, თავისუფლების, გამოხატვის, აზრის, სინდისისა და რელიგიის თავისუფლება. გულისხმობს, ასევე, ადამიანის ეკონომიკურ, სოციალურ და კულტურულ უფლებებს: სოციალური დაცვის, ჯანმრთელობისა და განათლების. დოკუმენტში მნიშვნელოვანი ყურადღება ეთმობა პირადი და ოჯახური ცხოვრების დაცულობას. დოკუმენტი ყველას ერთნაირად ანიჭებს აზრის გამოხატვის უფლებას, მიუხედავად მისი მდგომარეობისა და პირობებისა. დოკუმენტის მიხედვით, ყველა ადამიანს აქვს ქორწინების უფლება „საქორწინო ასაკის მამაკაცსა და ქალს აქვთ ქორწინებისა და ოჯახის შექმნის უფლება ეროვნული კანონმდებლობის შესაბამისად, რომელიც აწესრიგებს ამ უფლების განხორციელების პირობებს. ამ კონვენციით გაცხადებული უფლებებითა და თავისუფლებით სარგებლობა უზრუნველყოფილია ყოველგვარი დისკრიმინაციის გარეშე სქესის, რასის, კანის ფერის, ენის, რელიგიის, პოლიტიკური თუ სხვა შეხედულებების, ეროვნული თუ სოციალური წარმოშობის, ეროვნული უმცირესობისადმი კუთვნილების, ქონებრივი მდგომარეობის, დაბადებისა თუ სხვა ნიშნის განურჩევლად“ (1994)¹⁵.

უფლებებზე დაფუძნებული პროგრამის განვითარების დროს უნდა გავითვალისწინოთ ორი მხარე: ერთის მხრივ, უფლებების მქონეები, და მეორეს მხრივ, პასუხისმგებლობების განმახორციელებლები. უფლებების მქონეები არიან ყველა ინდივიდები ან/და ინდივიდთა ჯგუფები, რომელთა უფლებებიც ირღვევა და მეორეს მხრივ, პასუხისმგებლობის მქონეები კი არიან სახელმწიფო და არასამთავრობო, საერთაშორისო ორგანიზაციები, რომლებსაც აქვთ ამ უფლებების განხორციელების პასუხისმგებლობა.

პროგრამის განვითარების მიმართ უფლებებზე დაფუძნებული მიდგომის გამოყენება ემსახურება სხვადასხვა დისკრიმინირებული და მოწყვლადი ჯგუფებისთვის ადვოკატობის გაწევას. ასეთი ტიპის მიდგომა ზრდის დაინტერესებული მხარეების მოტივაციას და პროექტების განხორციელების შესაძლებლობას.

უფლებებზე დაფუძნებული სოციალური პროგრამების განვითარება რამდენიმე საფეხურს მოიცავს. ეს საფეხურებია:

I. პრობლემის კონცეპტუალური ანალიზი და საჭიროებების შეფასება - ჰიპოთეზის ჩამოყალიბება

ეს ეტაპი მოიცავს პრობლემის კონცეპტუალურ ანალიზს, რაც გულისხმობს პრობლემის მიზეზების იდენტიფიცირებას. ამის შემდეგი ეტაპია საჭიროებების შეფასება. საჭიროებების შეფასების დროს ხდება სამიზნე პოპულაციის შეფასება, იმის განსაზღვრა, თუ რამდენი ადამიანია რისკის ქვეშ და ბოლოს, ჰიპოთეზის განვითარება, ანუ მთელი რიგი “თუ-მაშინ” წინადადებების ჩამოყალიბება, რომელიც თავის თავში მოიცავს იმას, თუ როგორ უნდა გადაიჭრას პრობლემა. ეფექტური პროგრამის დიზაინი გულისხმობს ჰიპოთეზას, რომელიც ახდენს აქტივობის გენერალიზებას. მაგ., თუ მშობლებს უზრუნველყოფთ სპეციალური ტრენინგით აღმზრდელობითი მეთოდების შესახებ, მაშინ შემცირდება ბავშვების მიმართ უყურადღებობა და ცუდი მოპყრობა. ამგვარი ჰიპოთეზა იძლევა იმის მექანიზმს, რომლითაც მოხდება პროგრამის შეფასება: რამდენად შემცირდება

¹⁵ საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრი. (2021). უფლებებზე დაფუძნებული სოციალური მომსახურება ხანდაზმულებისა და შშმ პირებისათვის. საერთაშორისო და საქართველოს გამოცდილება. კვლევის ანგარიში.

ბავშვების მიმართ უყურადღებობა მას შემდეგ, რაც მშობლები გაივლიან სპეციალურ კურსებს?

თუ მიზნად ვისახავთ რაიმე პრობლემის აღმოფხვრას, საჭიროა იმ ფაქტორების შეცვლა, რომლებიც იწვევენ ამ პრობლემას ან კაუზალურად დაკავშირებული არიან ამ პრობლემასთან. ამიტომ საჭიროა პრობლემის გამომწვევი მიზეზების ე.წ. ფაქტორების ან წინაპირობების იდენტიფიკაცია. ფაქტორების გამოკვეთა შესაძლებელია პრობლემის ანალიზით და არსებული მეცნიერული თეორიებით, რაც გულისხმობს პრობლემის წარმოშობის მიზეზების შესწავლას.

ჰიპოთეზის ჩამოყალიბებისას გათვალისწინებულ უნდა იქნას შემდეგი:

➤ გარკვეული წინაპირობები შეიძლება გადაიჭრას მხოლოდ ეროვნული ან რეგიონალური მასშტაბით;

მაგალითად, პოლიტიკური ეკონომიკა არის უმუშევრობის განმაპირობებელი ფაქტორი. თუ მოვახდენთ აქცენტს პოლიტიკურ ეკონომიკაზე, როგორც მიზეზზე, რამაც განაპირობა ადამიანების უმუშევრობა, მაშინ ჰიპოთეზა შემდეგნაირად უნდა ჩამოყალიბდეს:

- (1) თუ მოვახდენთ არსებული ეკონომიკური სისტემის ცვლილებას ისე რომ, გავაკონტროლებთ ზრდის და ინფლაციის ციკლებს;
- (2) მაშინ ჩვენ შევძლებთ სტრუქტურული და ფრიქციული ფაქტორების შემცირებას, რომელიც იწვევს რეგიონალურ უთანასწორობას, უმუშევრობას და ქალების და უმცირესობების მეორად სამუშაოებზე დასაქმებას;
- (3) მაშინ ჩვენ შევამცირებთ უმუშევრობას;

ცხადია, ზემოთ ჩამოყალიბებული ჰიპოთეზა არ არის რეალისტური და სააგენტოს არ შეუძლია ასეთი ფართომასშტაბიანი ცვლილების განხორციელება. ამდენად, საჭიროა ჰიპოთეზის განსხვავებულად ჩამოყალიბება.

მაგალითად, უფრო რეალისტურია შემდეგი ჰიპოთეზა:

- (1) თუ მოვახდენთ ადამიანების უმუშევრობასთან დაკავშირებული ფაქტორების იდენტიფიკაციას;
- (2) თუ უზრუნველყოფთ სპეციალურ წამახალისებელ პოლიტიკას, რომ დავასაქმოთ უმუშევარი ადამიანები;
- (3) თემში უმუშევრობის დონე საგრძნობლად შემცირდება.

➤ ზოგიერთი წინაპირობა შეუძლებელია გადაიჭრას, რადგანაც ამ ეტაპზე არ არსებობს მათი გადაჭრის ტექნოლოგია;

მაგალითად, შშმ ბავშვი, როგორც ფაქტორი, რომელიც იწვევს ბავშვის მიმართ ცუდ და სასტიკ მოპყრობას. ცხადია, შეუძლებელია შეზღუდული შესაძლებლობის აღმოფხვრა. ამდენად, ჰიპოთეზა განსხვავებულად უნდა ჩამოყალიბდეს. კერძოდ, შშმ ბავშვი კი არის მის მიმართ მშობლის/აღმზრდელის მიერ ცუდი მოპყრობის მიზეზი, არამედ ის სტრესი,

რასაც აღმზრდელი განიცდის არსებული მოცემულობის გამო. ამიტომ ჰიპოთეზა იქნება შემდეგნაირი:

- (1) თუ ჩვენ მოვახდენთ იმ სტრესის შემცირებას, რასაც განიცდიან შშმ ბავშვების მშობლები/აღმზრდელები;
- (2) მაშინ შევამცირებთ შშმ ბავშვების მიმართ ცუდად და სასტიკ მოპყრობას.

➤ შეუძლებელია წინაპირობების/მიზეზების კონტროლი, სოციალურად და კულტურულად მიუღებელია.

მაგალითად, არასრულწლოვანთა ადრეული სექსუალური ურთიერთობები და ადრეული ფეხმძიმობა. არასრულწლოვანთა ადრეული ფეხმძიმობის შემცირება შესაძლებელია, თუ მოვახდენთ არასრულწლოვანებში სექსუალური აქტივობის აკრძალვას, მაგრამ ამის კონტროლი შეუძლებელია. ამდენად, ჩვენ აქცენტი უნდა გავაკეთოთ ჩასახვის გაკონტროლებაზე.

- (1) თუ არასრულწლოვანებს ავუხსნით რა შედეგები აქვს ადრეულ ფეხმძიმობას რეპროდუქციულ ჯანმრთელობაზე;
- (2) თუ მათ ვასწავლით, როგორ დაიცვან თავი სექსუალური აქტივობის დროს;
- (3) მაშინ შემცირდება ადრეული ფეხმძიმობის შემთხვევები.

ამრიგად, ჰიპოთეზების ჩამოყალიბების დროს კარგად უნდა გავიზაროთ ის ფაქტორები, რაც იწვევენ პრობლემას. ამავდროულად, აქცენტი უნდა გავაკეთოთ რეალისტურ ჰიპოთეზებზე, რაც ერთ-ერთი გზაა პრობლემის შესამცირებლად თუ აღმოსაფხვრელად. რასაკვირველია, ჰიპოთეზის ჩამოყალიბება უნდა მოყვებოდეს პრობლემის სიღრმისეულ ანალიზს, რომლის დროსაც მნიშვნელოვანია შეფასდეს თუ ადამიანის რომელი უფლებები ირღვევა და რა არის ამ უფლებების დარღვევის გამომწვევი მიზეზები.

ქვემოთ მოცემულია პროგრამის ანალიზის რუქა, რომელიც სასურველია გათვალისწინებულ იქნას უფლებებზე დაფუძნებული პროგრამების განვითარების დროს.

	დიახ	არა
პროექტში ასახულია მასში მონაწილე პირების უფლებები და მოვალეობები;		
პროექტში იდენტიფიცირებულია უფლებების და პასუხისმგებლობის მქონე ყველა ჯგუფები, რომლებიც პირდაპირ ან არაპირდაპირ უკავშირდებიან მოცემულ პროექტს;		
პროექტში იდენტიფიცირებულია ის მიზეზები, რამაც განაპირობა ის, რომ მოცემული ჯგუფის/ჯგუფებების უფლებები ვერ ხორციელდება;		
პროექტში ნათლად არის ჩამოყალიბებული, თუ პროექტი რამდენად უწყობს ხელს უფლებების პირდაპირ ან არაპირდაპირ განხორციელებას;		
პროექტში იდენტიფიცირებულ უფლებასთან დაკავშირებით პროექტის უარყოფითი შედეგების თავიდან ასაცილებლად სტრატეგია;		
პროექტში ჩამოყალიბებულია თუ როგორ მოახდენს პროექტი უფლებების მქონე ჯგუფების გაძლიერებას ან მათთვის უფლებამოსილების მინიჭებას.		
პროექტის რაციონალიზაციაში ხაზგასმულია, რომ ყველაზე მარგინალიზებული და მოწყვლადი ჯგუფები არიან იდენტიფიცირებულები და ის, თუ როგორ მოხდება მათი მდგომარეობის გაუმჯობესება/მათი მხარდაჭერა;		
პროექტში აღნიშნულია, თუ პასუხისმგებლობის მქონე ჯგუფების კომპეტენციები როგორ შეუწყობს ხელს უფლებების განხორციელებას ეროვნული პოლიტიკის დონეზე, ეროვნული და საერთაშორისო კანონმდებლობის დონეზე;		
პროექტში ჩამოყალიბებულია თუ რამდენად ამკვიდრებს ანაგრიშვლადებულების მექანიზმებს ეროვნულ და საერთაშორისო დონეზე (უკუკავშირის, რეფერალის მექანიზმები და სხვ.);		
პროექტში აღნიშნულია, თუ რამდენად ეფუძნება გაეროს რეკომენდაციებს: <ul style="list-style-type: none"> - ბავშვის უფლებების კონვენცია; - ადამიანის უფლებების კონვენცია; - გაეროს ორიგანიზაციის სხვა რეკომენდაციები. 		

II. მიზნების და ამოცანების ჩამოყალიბება

დაგეგმვის მეორე ამოცანაა, ჰიპოთეზის გადათარგმნა მიზნებად და ამოცანებად. რა ხარისხითაც გაზომვადია ამოცანები, მით უფრო შესაძლებელია პროგრამის განხორციელების შეფასება. იერარქიულად ჩამოყალიბებული ჰიპოთეზები შესაძლებლობას იძლევა, რომ უფრო მაღალი დონის ამოცანები მიღწეულ იქნას დაბალი დონის ამოცანებით.

III. პროგრამის დიზაინი

მესამე ამოცანაა ინტერვენციის ანუ პროგრამის განვითარება. პროგრამის დიზაინში წარმოდგენლია, თუ როგორ იქნება პროგრამა აწყობილი. აქ დეტალურად უნდა იყოს განხილული პროგრამის ძირითადი ელემენტები და მათი თანამიმდევრობა. მოცემული უნდა იყოს პროგრამის თითოეული მომსახურება, მისი განხორციელების მეთოდები და მექანიზმები.

IV. მონაცემების შეგროვების სისტემის განვითარება

აქ განიხილება პროგრამის ყველა ელემენტი, რომელიც ჩამოთვლილია პროგრამის დიზაინში. საჭიროა მათი გადათარგმნა მონაცემების შეგროვების სისტემაში, რაც პროგრამის მენეჯერებს პროგრამის მონიტორინგის შესაძლებლობას მისცემს. ქვემოთ მოცემულია ძირითადი ასპექტები, რაც განიხილება პროგრამის ინფორმაციული სისტემების ანალიზის დროს:

- ბენეფიციარის დემოგრაფიული მონაცემები;
- ბენეფიციარის სოციალური ისტორია;
- ბენეფიციარის პრობლემის ტიპი;
- ბენეფიციარის პრობლემის სიმწვავე;
- ბენეფიციარის პიროვნული მახასიათებლები;
- სააგენტოს ადამიანური რესურსების შესახებ ინფორმაცია (გამოცდილება, განათლება და სხვ.)
- მატერიალური რესურსები;
- მომსახურების (პროგრამის) ტიპი;
- მომსახურების ამოცანები;
- ინტერვენციის მეთოდი;
- მომსახურების დასრულება;
- უშუალო შედეგი (აუთფუთი/output);
- შუალედური შედეგი (აუთქამი/outcome);
- გრძელვადიანი შედეგი (იმფაქტი/impact);
- ფინანსური მონაცემები.

V. შეფასების გეგმის განვითარება

მონაცემების შეგროვების სისტემა ასევე უზრუნველყოფს მონაცემებს იმის შესაფასებლად, თუ რამდენად ეფექტურია პროგრამა. ამ ეტაპზე გამოიყენება შეფასების კვლევის სხვადასხვა დიზაინები. ქვემოთ მოცემულია პროგრამის შეფასების სხვადასხვა მიდგომები:


- მომსახურე პერსონალის მიერ ბენეფიციარების უშუალო მომსახურებაზე დახარჯული დროის და რესურსების შეფასება;
- ფულადი სახსრების სწორად წარმართვის და ხარჯების შემცირების გზების შეფასება;
- მომსახურების განხორციელების პროცესის შეფასება და რამდენად ჯდება პროგრამის იმ დიზაინში, რომელიც თავდაპირველად იყო განსაზღვრული;
- პროგრამის უშუალო შედეგების ხარჯის შეფასება და გზების ძიება, თუ როგორ უნდა შემცირდეს დანახარჯი(ფასი), ისე რომ მომსახურების ხარისხს ზიანი არ მიადგეს;
- ბენეფიციარების მიღწეული შუალედური შედეგების შეფასება და გზები, თუ როგორ არის შესაძლებელი ამ შუალედური შედეგების გაუმჯობესება;
- პროგრამის შედეგების ხარჯის შეფასება და გზები, თუ როგორ არის შესაძლებელი ამ ღირებულების/ხარჯების შემცირება ბენეფიციარებზე უარყოფითი ზეგავლენის გარეშე;
- რა წვლილი შეაქვს მოცემულ პროგრამას მთელი თემის მასშტაბით, მოცემული სოციალური პრობლემის შემცირების თვალსაზრისით, მოცემული უფლების რეალიზების თვალსაზრისით.

ქვეთავში “უფლებებზე დაფუძნებული პროგრამების მონიტორინგი და შეფასება” განხილული იქნება სპეციფიკური ფაქტორები, რომელიც გამოიყენება უფლებებზე დაფუძნებული პროგრამების მონიტორინგის და შეფასების დროს.

უფლებებზე დაფუძნებული კვლევა და ეთიკის საკითხები

უფლებებზე დაფუძნებული პროგრამების განვითარების დროს განსაკუთრებული როლი აქვს როგორც თანამონაწილეობითი კვლევითი პრინციპების, ასევე კვლევის ეთიკის გამოყენებას. თანამონაწილეობითი კვლევა გულისხმობს თავად ბენეფიციარების, როგორც მკვლევრების მონაწილეობას კვლევაში/პროგრამის დაგეგმვის პროცესში. თანამონაწილეობითი კვლევა ქმედებაზე ორიენტირებული კვლევის ნაირსახეობაა, რომლის მიზანია ადამიანის ქცევის შეცვლა შინაგანი მოტივაციით. კვლევის ამოცანები დგინდება ქცევის შესაცვლელად, ქცევის შეცვლის ეფექტიანობა სისტემატურად ფასდება და მოდიფიცირდება. ეს არის წრიული პროცესი, რომელიც აერთიანებს უფლებების მქონე ინდივიდების/ჯგუფების (ბენეფიციარების) ექსპერტებად მომზადებას, საჭირო ცვლილებებზე/პრობლემაზე ინფორმაციის შეგროვებას, დაგეგმვას/ქმედებას და ბოლოს, განხორციელებულ ქმედებაზე დაკვირვება/რეფლექსიას. ქმედებაზე ორიენტირებული კვლევა არის პრაქტიკული და გამოყენებითი და მიმართულია კონკრეტული პრობლემის იდენტიფიკაციაზე და მის გადაჭრაზე.

სურათი #1 თანამონაწილეობითი კვლევის საფეხურები



პირველი საფეხური: ამ საფეხურზე ხდება უფლებების მქონე ინდივიდების/ჯგუფების (მოქმედი თუ პოტენციური ბენეფიციარების/უფლების მქონე ინდივიდების/ჯგუფის წარმომადგენლების) გადამზადება კვლევის ექსპერტებად, რათა მათ თავად შეძლონ იმის ფორმულირება, თუ როგორ ხდება მათი უფლებების დარღვევა. ისინი სწავლობენ კვლევის ეთიკის საკითხებს, კითხვების დასმის ტექნიკებს, სწავლობენ თავიანთი უფლებების შესახებ და ა.შ.

ამ ეტაპზე მნიშვნელოვანია მათი გაძლიერება და კვლევაში თანასწორი დამოკიდებულების ჩამოყალიბება, რომლის დროსაც მკვლევარი არ იმყოფება ექსპერტის მდგომარეობაში, თითქოს მან უკეთ იცის პრობლემის შესახებ და ბენეფიციარი/უფლების მქონე ინდივიდი კი არის მეორეხარისხოვანი, რომელიც მხოლოდ კვლევის სუბიექტია, რომლისგანაც აგროვებენ ინფორმაციას. ეს სრულიად განსხვავებული მიდგომაა, როცა მთავარი ამოცანაა მოწყვლადი ჯგუფების წარმომადგენელთა გაძლიერება, რათა მათ შეძლონ თავისივე თემის წევრების უკეთ დახმარება, პრობლემის შიგნიდან დანახვა. ასეთი მიდგომა ზრდის კვლევაში მონაწილეთა შინაგან მოტივაციას და ცვლილების განხორციელების სურვილს.

მეორე საფეხური: მეორე საფეხურზე მიმდინარეობს ინფორმაციის შეგროვება და პრობლემის იდენტიფიკაცია გადამზადებული პოტენციური/ თუ არსებული ბენეფიციარი-ექსპერტების თანამონაწილეობით. შესაძლებელია გამოყენებულ იქნას როგორც რაოდენობრივი, ისე თვისებრივი კვლევის მეთოდოლოგია. შეგროვებული ინფორმაცია გვეხმარება პრობლემის თეორიულ და პრაქტიკულ გააზრებაში (ე.წ. პრობლემის რაციონალიზაცია).

მესამე საფეხური: ამ საფეხურზე უკვე ორგანიზაციის შიგნით, სადაც ხორციელდება ცვლილება/იგეგმება ახალი პროექტი, ხორციელდება სამუშაო ჯგუფების შეხვედრები, რომელშიც მონაწილეობენ სხვადასხვა დაინტერესებული მხარეები. ერთობლივი მონაწილეობით ხორციელდება პროგრამის დაგეგმვა, რომელიც მოიცავს ცვლილების განხორციელების მიზნებს, ამოცანებს, განსახორციელებელ აქტივობებს. მესამე საფეხურზევე იწყება პროექტის განხორციელება, სადაც მონაწილე ბენეფიციარები უშუალოდ მონაწილეობენ ქმედების/ცვლილების განხორციელებაში.

მეოთხე საფეხური: ეს საფეხური მოიცავს დაკვირვებას, შედეგების შეფასებას/კრიტიკულ რეფლექსიას, რასაც თან ახლავს საჭიროების შემთხვევაში უკვე ახალი დაგეგმვა. ეს პროცესი ფაქტიურად მონიტორინგის ფუნქციას ასრულებს.

ექსპერტი-ბენეფიციარები აკვირდებიან პროექტის განხორციელების პროცესს. პროცესზე დაკვირვების დროს გამოიყენება თვითრეფლექსიის სხვადასხვა მეთოდები (დაკვირვების დღიური, სამუშაო შეხვედრები და სხვა).

კვლევის ეთიკის საკითხები

თანამონაწილეობითი კვლევის ჩატარება ყურადღების გარეშე არ ტოვებს კვლევის ეთიკის საკითხებსაც. იმის მიუხედავად, რომ ის განუხრელად დიდ უფლებებს ანიჭებს კვლევაში მონაწილე პირს.

1950 წელს მიღებული კვლევის ეთიკის კოდექსი, რომელიც ე.წ. ნიუმბერგის კოდექსის სახელითაა ცნობილი და წარმოადგენს პირველ საერთაშორისო სტანდარტს კვლევის განხორციელების დროს, ადგენს იმ ძირითად პრინციპებს, რომელიც უნდა იქნას დაცული ადამიანის კვლევაში მონაწილეობის დროს, რათა კვლევამ დააკმაყოფილოს მორალური, ეთიკური და სამართლებრივი პრინციპები.

კოდექსი ითვალისწინებს 10 ძირითად საკითხს კვლევაში ადამიანის მონაწილეობისას. ეს საკითხებია.

1. ნებაყოფლობით ჩართვა;
2. დასაბუთება, რომ სხვა გზით შეუძლებელია მოცემული ინფორმაციის მიღება;
3. ადამიანზე ჩატარებულ სამედიცინო ექსპერიმენტებს წინ უნდა უძლოდეს ცხოველებზე ჩატარებული ექსპერიმენტები;
4. თავიდან უნდა იქნეს აცილებული კვლევის მონაწილისთვის ყოველგვარი ფიზიკური და ფსიქოლოგიური ზიანი;
5. ექსპერიმენტი არ უნდა ჩატარდეს, თუ მას შეიძლება მოყვეს ადამიანის დაზიანება ან გარდაცვალება;
6. რისკის ხარისხი არასდროს არ უნდა აღემატებოდეს ჰუმანურობის დაცვას;
7. რისკის ხარისხი უნდა შემცირდეს სათანადო მომზადების ხარჯზე;
8. კვლევები უნდა ჩატარდეს მაღალ კვალიფიცირებული და გამოცდილი მკვლევრების მიერ;
9. მონაწილეს ყოველთვის უნდა ჰქონდეს შესაძლებლობა კვლევის/ექსპერიმენტის შეწყვეტის;
10. უნდა არსებობდეს შესაძლებლობა, რომ კვლევა დაუყოვნებლივ შეწყდეს, თუ არსებობს იმის დამადასტურებელი გონივრული საბუთი, რომ კვლევაში მონაწილეობა იწვევს სტრესს, ტანჯვას და ა.შ.

კვლევამ ადამიანების მონაწილეობით შესაძლებელია გამოიწვიოს გარკვეული სახის დილემები. ამ დროს მნიშვნელოვანია იმის განსაზღვრა, თუ მოცემულ კვლევას რამდენად მნიშვნელოვანი წვლილის შეტანა შეუძლია სფეროში და მეორეს მხრივ, ამ კვლევაში მონაწილეობით კვლევის სუბიექტებისთვის რა რისკი დგება. უფლებებზე ორიენტირებული კვლევებისთვის უპირველესი ღირებულებაა ადამიანის უფლებები და მათი დაცვა.

1979 წელს დაიხვეწა აშშ-ს ნაციონალური კომისიის მიერ შექმნილი ეთიკური და სახელმძღვანელო პრინციპები. რომელიც ცნობილია ბელმონტის ანგარიშის სახელით (Belmont Report). ეს ანგარიში შედგება სამი ძირითადი კომპონენტისგან:

- (1) ადამიანის პატივისცემა;
- (2) კვლევის ბენეფიტი/სარგებელი;
- (3) სამართლიანობა;

განვიხილოთ თითოეული ეს კომპონენტი უფრო დეტალურად.

(1) ადამიანის პატივისცემა

ადამიანთა პატივისცემის და ეთიკურობის პრინციპები შეიძლება განვიხილოთ ორი ძირითადი ასპექტის მიხედვით:

ა) ადამიანები უნდა განიხილებოდნენ დამოუკიდებელი გადაწყვეტილების მიმღებ პირებად. მხოლოდ დამოუკიდებელ პიროვნებას შეუძლია განიხილოს პოტენციური ზიანი და სარგებელი, გაანალიზოს, თუ რა რისკების და სარგებლის მომტანი შეიძლება გახდეს მის მიერ კვლევაში მონაწილეობა და ანალიზის საფუძველზე მიიღოს შესაბამისი გადაწყვეტილება.

კვლევის სავარაუდო მონაწილეებს უნდა მიეწოდოთ სრული ინფორმაცია კვლევაზე, რათა დამოუკიდებლად გადაწყვიტონ მიიღებენ თუ არა კვლევაში მონაწილეობას. არ უნდა მოხდეს მათზე ზეწოლა და მათ უნდა მიეცეთ საკმარისი დრო, რომ მიიღონ გადაწყვეტილება, სურთ თუ არა კვლევაში მონაწილეობა. ეთიკური პრინციპები გულისხმობს, რომ მონაწილეები ნებაყოფლობით ჩაერთვნენ კვლევაში და ჰქონდეთ შესაბამისი ინფორმაცია კვლევასთან დაკავშირებით. ეს მოხდება ინფორმირებული თანხმობის ფორმის გამოყენებით, რომელიც უნდა იქნას კვლევაში აუცილებლად გამოყენებული.

იმ ადამიანების მიმართ კი, რომელთაც დამოუკიდებლად გადაწყვეტილების მიღება არ/ვერ შეუძლიათ, საჭიროა დამატებითი ღონისძიებები გატარდეს, რათა მოხდეს მათი უფლებების გარანტიების დაცვა. კერძოდ, როდესაც პირებს უჭირთ დამოუკიდებლად შეაფასონ კვლევაში ჩართვის რისკები და სარგებელი, საჭიროა მათთვის სპეციალურად შემუშავებულ იქნას დამხმარე დებულებები. ამ ჯგუფში შემოდიან ისეთი ჯგუფები, როგორებიცაა: ბავშვები, შშმ პირები, მძიმე გონებრივი განვითარების შეფერხების მქონე პირები და სხვა. ასეთ შემთხვევებშიც კი თითოეულ მონაწილეს უნდა ეძლეოდეს შესაძლებლობა თავად გადაწყვიტოს, მიიღებს თუ არ მონაწილეობას და მათთვის შეთავაზებული უნდა იქნას მათ მიერ ინფორმაციის გაგების ეფექტური გზები. ზოგ შემთხვევაში ეს ეთიკური საკითხები შეიძლება იყოს მშობლის ან მეურვის ინფორმირებული თანხმობა.

(ბ) რისკის პრევენციისთვის მნიშვნელოვანია, რომ მკვლევარი დარწმუნდეს იმაში, რომ კვლევის მონაწილეებმა კარგად გაიაზრეს მიწოდებული ინფორმაცია, გაიაზრეს კვლევის რისკები და სარგებელი; ასევე, ის, რომ მონაწილეზე არავის მოუხდენია ზეგავლენა და კვლევაში მონაწილეობას არ იღებს იძულებით ან სხვისი გავლენით.

(2) ბენეფიტი/სარგებელი

ძალზედ მნიშვნელოვანია, რომ ზუსტად და მკაფიოდ განისაზღვროს კვლევაში მონაწილეობის სარგებელი. მნიშვნელოვანია იმაში დარწმუნება, რომ კვლევა არ არის ზიანის მომტანი კვლევის მონაწილესთვის და ის მიიღებს მაქსიმალურ სარგებელს, ხოლო მიღებული იქნება ყველა ზომა შესაძლო ზიანის რისკების მინიმუმამდე დაყვანის მიზნით.

(3) სამართლიანობა

სამართლიანობა მოითხოვს, რომ ფიზიკურ პირებს და ჯგუფებს ექცეოდნენ სამართლიანად და პოტენციურ მონაწილეებს თანაბრად შეეძლოთ კვლევაში სარგებელის მიღება და მონაწილეობა. სამართლიანობის პრინციპებმა შეიძლება განსაზღვროს კვლევაში მონაწილეების შერჩევის კრიტერიუმები და მკვლევრებმა დასვან კითხვები, თუ რომელი ჯგუფები უნდა ჩაერთოს კვლევაში მათი კომპეტენტურობიდან, სარგებლიანობიდან და მოწყვლადობიდან გამომდინარე და არა იმის გამო, რომ პირდაპირ უკავშირდებიან შესასწავლ პრობლემას.

ეთიკური საკითხების რეგულაციები შედგება 5 მთავარი სტანდარტისაგან.

სტანდარტი 1: ყველა სახის კვლევა, რომელშიც მონაწილეობენ ადამიანები, საჭიროებს ეთიკური პრინციპების დაცვას და კვლევის ჩატარებამდე აუცილებელია უწყების შესაბამისი სტრუქტურის მიერ ან კვლევის ეთიკის კომისიის მიერ წინასწარ მოხდეს კვლევის ეთიკურობის განხილვა და კვლევის ჩატარებაზე თანხმობის მოპოვება.

სტანდარტი 2: კვლევაში საჭიროა დამატებითი პროტოკოლის და ინფორმირებული თანხმობის გამოყენება, როდესაც მასში მონაწილეობას იღებენ ორსული ქალები, მუცლად მყოფი ნაყოფი და ახალშობილები.

სტანდარტი 3: ადამიანზე სამედიცინო ან ქცევითი დაკვირვების დროს საჭიროა დამატებითი ეთიკური საკითხების დაცვა. მაგალითად, პატიმრებთან ან სხვა პირებთან, რომელებიც იმყოფებიან ერთ სივრცეში და მიმდინარეობს მათზე დაკვირვება.

სტანდარტი 4: არასრულწლოვნებზე კვლევის ჩატარება, სადაც ისინი მონაწილეობენ, როგორც კვლევის მთავარი ობიექტები და კვლევის ძირითად სამიზნე ჯგუფი, მოითხოვს ეთიკური საკითხების უფრო გაღრმავებულ, დამატებით განხილვას, რომ მაქსიმალურად იყოს დაცული მათი უფლებები.

სტანდარტი 5: აუცილებელია კვლევის ეთიკური კომისიები და ინსტიტუციები დარეგისტრირდნენ შესაბამისი საერთაშორისო სტანდარტების საფუძველზე და ისე გასცენ კვლევის ჩატარებზე თანხმობა. საჭიროა, ეს ორგანიზაციები იყვნენ უფლებამოსილები და სათანადოდ განიხილონ კვლევითი პროექტები და დაიცვან კვლევის მონაწილეების უფლებები.

ეს ორგანიზაციები ვალდებული არიან შეაფასონ კვლევა შემდეგი კრიტერიუმების მიხედვით:

- კვლევაში მონაწილეობის რისკები ინდივიდებში;
- რისკებისგან დაცვის ადეკვატურობა;
- კვლევის პოტენციური სარგებელი კვლევაში მონაწილეებისათვის და საზოგადოებისათვის;
- კვლევიდან მიღებული/მიღწეული ცოდნის მნიშვნელობა;

ინფორმირებული თანხმობის მოპოვება

ეთიკური კვლევის მნიშვნელოვანი ასპექტია ინფორმირებული თანხმობის მოპოვება.

პირველ რიგში, ინფორმირებული თანხმობა გულისხმობს, რომ მონაწილემ ნებაყოფლობით მიიღოს მონაწილეობა კვლევაში. ინფორმირებული თანხმობა მოიცავს სამ მნიშვნელოვან ასპექტს:

(1) ნებაყოფლობითობა

კვლევის მონაწილეზე მკვლევართა ჯგუფი არ უნდა ახდენდეს გავლენას ჩაერთოს თუ არა კვლევაში. თანხმობა უნდა იყოს დამოუკიდებლად მიღებული და/ან ნამდვილად მონაწილის სურვილით.

(2) გააზრება/გაგება

კვლევის მონაწილეებს უნდა შეეძლოთ გადაწყვეტილების მიღება და ინფორმაციის კარგად გაგება, რათა მიიღონ შესაბამისი გადაწყვეტილება კვლევაში მონაწილეობაზე/ან კვლევაში მონაწილეობისაგან თავის შეკავებაზე.

(3) გახსნა/გულწრფელობა

მკვლევრებმა მონაწილეებს შემდეგი ინფორმაცია უნდა მიაწოდონ:

- კვლევის მიზნები;
- კვლევაში მონაწილეობის ნებისმიერი შესაძლო რისკი;
- შესაძლებელი სარგებლის შესახებ ინფორმაცია, თუ რა იქნება ეს სარგებელი თავად კვლევის მონაწილისთვის და ზოგადად, სამიზნე ჯგუფისთვის, როგორ მოხდება აღნიშნული პრობლემის მოგვარება/შემცირება;
- კვლევის ალტერნატივის შესახებ;
- კონფიდენციალურობის/ანონიმურობის დაცვის შესახებ;
- ზიანის შემთხვევაში კონპენსაციის გადახდის უზრუნველყოფაზე;
- მონაწილეთა უფლებების დაცვის და ზიანის რისკების მინიმუმამდე შემცირების შესახებ;
- მონაწილეობის პირობების გაცნობა, მათ შორის კვლევაში მონაწილეობის შეწყვეტის უფლებასთან დაკავშირებით.

ამ ინფორმაციის მიწოდება უნდა მოხდეს ისე, რომ პირმა მიიღოს შესაბამისი გონივრული გადაწყვეტილება მონაწილეობასთან დაკავშირებით.

მოთხოვნები ინფორმირებული თანხმობის დოკუმენტირებაზე

რეგულაციები მოითხოვს, რომ მკვლევარმა გამოიყენოს კვლევაში ეფექტური ინფორმირებული თანხმობის ფორმა, რომელსაც ექნება იურიდიული ძალა და მონაწილეს მისცემს საშუალებას გადაწყვიტოს ჩაერთვება თუ არა კვლევაში, რაც ამცირებს იძულებას და არასასურველ გავლენას. პოტენციურ მონაწილეებს კარგად უნდა ესმოდეთ, რომ მონაწილეობის მიღება ნებაყოფლობითია და მათ შეუძლიათ ნებისმიერ დროს შეწყვიტონ კვლევაში მონაწილეობა.

იმისთვის, რომ კვლევა იყოს ნებაყოფლობითი აუცილებელია მინიმუმამდე შემცირდეს იძულების ან ზეწოლის რისკები კვლევის მონაწილეზე. ინფორმირებული თანხმობის ფორმა უნდა იყოს გაგებულ, როგორც მიმდინარე პროცესებში სამართლებრივი დაცვის მექანიზმი.

ინფორმირებული თანხმობა მიზნად ისახავს კვლევის პოტენციური მონაწილეებისთვის კვლევის მიზნებთან, რისკებთან, ბენეფიტებთან სარგებელთან, ალტერნატივებთან/ცვლილებებთან დაკავშირებით ინფორმაციის მიწოდებას, რაც მონაწილეებს დაეხმარებათ გადაწყვეტილების მიღებაში.

ინდივიდუალურ/დამოუკიდებელ გადაწყვეტილებაზე შეიძლება გავლენა იქონიოს რამდენიმე ფაქტორმა, როგორებიცაა: ასაკი, გონებრივი და კოგნიტური შეზღუდვა, ავადმყოფობა და სხვა. იმისათვის, თუ რამდენადაა გასაგებია მონაწილისთვის ინფორმირებულ თანხმობაში მოცემული ინფორმაცია, უნდა შეფასდეს მონაწილის ინდივიდუალური შესაძლებლობები შემდეგი კრიტერიუმებით:

1. ინდივიდს რამდენად შესწევს გაგების და გააზრების უნარი, რა დონეზეა მისი თუნდაც ჩამორჩენილობა, განათლება და ა.შ.
2. ინდივიდს რამდენად შესწევს უნარი გაიაზროს კვლევის სირთულეები და რისკები და, რამდენად ადეკვატურია კვლევაში მონაწილეობის მისაღებად მისი შესაძლებლობები.

კვლევაში მონაწილისთვის ინფორმირებული თანხმობის პროცესში ინფორმაციის მიწოდების ვალდებულება ეკისრება მკვლევარს. მკვლევარმა კვლევაში არ უნდა ჩართოს არავინ, სანამ არ დარწმუნდება, რომ მონაწილე იაზრებს მიწოდებულ ინფორმაციას, მისთვის ყველაფერი გასაგებია და დამოუკიდებლად იღებს გადაწყვეტილებას მონაწილეობასთან დაკავშირებით.

მკვლევარს შეუძლია გამოიყენოს რამდენიმე მეთოდი რომელიც დაეხმარება მონაწილეს ინფორმაციის გააზრებაში. კერძოდ, შესაძლებელია ეს მეთოდები იყოს:

- ზეპირი პრეზენტაცია, რომელიც კვლევის შესაძლო მონაწილეს აწვდის ინფორმაციას კვლევაზე. განიხილოს მიწოდებული ინფორმაცია და დასვას კითხვა მონაწილეობის შესახებ ან სხვა ნებისმიერი კითხვა;
- დამატებითი მასალებით უზრუნველყოფა, როგორცაა ბროშურები, კვლევის ზოგადი ან კონკრეტული პროცედურების ახსნა, რომელიც გამოყენებული იქნება კვლევაში;
- ვიდეო პრეზენტაციები შესაძლო მონაწილეებისთვის, რომლითაც გაეცნობიან კვლევას და მასთან დაკავშირებულ პროცედურებს.
- ინფორმირებული თანხმობა უნდა იყოს გასაგებ ენაზე დაწერილი, რომ კვლევის ნებისმიერი მონაწილისთვის იყოს გასაგები.

ინფორმირებული თანხმობის დოკუმენტი აუცილებლად უნდა იყოს წერილობითი ფორმის, რომელიც მოიცავდეს ყველა საჭირო პუნქტს ან უნდა იყოს შემოკლებული ფორმით, თუმცა ყველა საჭირო პუნქტი და დეტალი ზეპირად უნდა გადაეცეს კვლევის შესაძლო მონაწილეს ან მის კანონიერ წარმომადგენელს. ინფორმირებულ თანხმობაზე საჭიროა კვლევის მონაწილის ხელმოწერა.

შესაძლოა, ეთიკურმა კომისიამ წერილობითი ინფორმირებული თანხმობის ფორმის მოპოვება გააუქმოს იმ შემთხვევაში, თუ:

1. კვლევაში მონაწილეობის დამადასტურებელი ერთადერთი საბუთია ინფორმირებული თანხმობის ფორმა და მონაწილეებისთვის მთავარი რისკს წარმოადგენს კონფიდენციალობის შესაძლო დარღვევა. თითოეულ მონაწილეს მკვლევარმა უნდა კითხოს სურს თუ არა დოკუმენტურად გაფორმდეს კვლევაში მონაწილეობა. მხოლოდ იმის შემდეგ, თუ იქნება მონაწილის სურვილი, უნდა მოხდეს ინფორმირებული თანხმობის წერილობით გაფორმება.

2. ან, კვლევა არ წარმოადგენს მონაწილეებისთვის არავითარ მინიმალურ რისკებსაც კი და არ საჭიროებს წერილობით ინფორმირებულ თანხმობის პროცედურების გავლას.

კვლევის ჩატარება ინფორმირებული თანხმობის გარეშე

ეთიკური საკითხების შესახებ არსებული რეგულაციები საშუალებას იძლევა ინფორმირებული თანხმობის გარეშე კვლევის ჩატარებას ზოგიერთ შემთხვევაში, თუ დაკმაყოფილებულია შემდეგი პირობები:

1. კვლევა ან პროექტი ხორციელდება სახელმწიფოს ან ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლების თანხმობით, ან მათთან დაქვემდებარებით და კვლევა მიზნად ისახავს შეისწავლოს, შეაფასოს ან სხვაგვარად განიხილოს:

- საზოგადოებრივი სარგებელი ან მომსახურების პროგრამები;
- ამ პროგრამის /სერვისის მომსახურების და სარგებლის მიღების პროცედურები;
- შესაძლო ცვლილებები ან ალტერნატივები ამ სერვისებში/პროგრამებში;
- ამ პროგრამის/ სერვისის მეთოდების შესაძლო ცვლილება ბენეფიტის/სარგებლის გადახდის ან ამ პროგრამის ფარგლებში მომსახურების მიღებაში ცვლილებები.

2. ინფორმირებული თანხმობისგან გათავისუფლება შეუძლია ეთიკის კომისიას იმ შემთხვევაში, თუ დაკმაყოფილებულია შემდეგი პირობები:

- კვლევა მოიცავს მინიმალურ რისკებს ინდივიდების მიმართ;
- კვლევაში მონაწილეობაზე უარის თქმა უარყოფით გავლენას არ მოახდენს ადამიანის კეთილდღეობაზე და უფლებებზე;
- კვლევის ნებისმიერ მონაწილეს აქვს მონაწილეობაზე უარის თქმის შესაძლებლობა;
- საჭიროების შემთხვევაში კვლევის მონაწილეს მიეწოდება დამატებითი ინფორმაცია კვლევაში მონაწილეობის შემდეგ.

3. გადაწყვეტილება, იმის შესახებ, თუ შესაძლებელია ინფორმირებული თანხმობის გარეშე კვლევის ჩატარება, დამოკიდებულია იმაზე თუ, რამდენად პრაქტიკულია/აქტუალურია ესა თუ ის საკითხი. მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნულ რეგულაციაში არაა განსაზღვრული, რას შეიძლება მოიცავდეს აქტუალურობა, მკვლევარს არ აძლევს დამოუკიდებლად გადაწყვეტილების მიღების უფლებას გამოიყენოს თუ არა ინფორმირებული თანხმობის ფორმა.

4. ზოგიერთ შემთხვევაში ინფორმირებულ თანხმობაზე უარის თქმის მიზეზი შეიძლება იყოს კვლევისთვის საჭირო სამედიცინო ჩანაწერის კონფიდენციალურობის დარღვევის მაღალი რისკი. ეს გადაწყვეტილება უნდა მიითოს კვლევის ეთიკურმა კომისიამ.

კვლევაში გადაწყვეტილების მიღების უნარი და კანონიერი წარმომადგენლის უფლებამოსილება.

ბელტმორის პრინციპების თანახმად, მკვლევარებმა უნდა შეიმუშაონ ინფორმირებული თანხმობის დებულება კვლევაში მონაწილე პირებისთვის, რომლებმაც თავიანთი ინტერესებიდან გამომდინარე უნდა მიიღონ გადაწყვეტილება კვლევაში მონაწილეობის შესახებ.

კვლევაში მონაწილის შეზღუდული შესაძლებლობის დროს, მის კანონიერ წარმომადგენელს ენიჭება უფლება გასცეს ნებართვა ინფორმირებული თანხმობაზე. თუმცა, კვლევის მონაწილემაც უნდა განაცხადოს წარმომადგენელთან ერთად თანხმობა მონაწილეობასთან დაკავშირებით. მაგალითად, ზოგიერთი ადამიანი, რომელიც იმყოფება მედიკამენტოზურ მკურნალობაზე, მათთან ისეთი დრო უნდა შეარჩიოს მკვლევარმა, როდესაც იგი შეძლებს უშუალოდ მისგან თანხმობის მოპოვებას.

განსაკუთრებული ადგილი უჭირავს არასრულწლოვნებთან კვლევის ჩატარებას. არასრულწლოვნებს არ აქვთ სრულფასოვანი გადაწყვეტილების მიღების შესაძლებლობა და აქედან გამომდინარე ისინი განიხილებიან მოწყვლად ჯგუფებად და დაუცველებად; თუმცა, აუცილებელია მათგან კვლევაში მონაწილეობაზე თანხმობა (Assent form for minors) მისი მშობლის/კანონიერი წარმომადგენლისაგან თანხმობასთან (informed consent) ერთად.

ბავშვები გვადლევენ თანხმობას კვლევაში მონაწილეობაზე, რომ ჩაერთვებიან თავიანთი სურვილით, ხოლო მშობელი/მეურვე ნებართვას აძლევს ბავშვს კვლევაში მონაწილეობაზე ინფორმირებული თანხმობით.

დამატებითი მარეგულირებელი მოთხოვნა მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის ინფორმირებულ თანხმობაზე მისი შვილის კვლევაში მონაწილეობაზე და ბავშვის ნებართვა/თანხმობა განკუთვნილია იმის დასადგენად, რომ მკვლევარი პატივს სცემს როგორც ბავშვის, ასევე მშობლის/მეურვის გადაწყვეტილებას.

არასრულწლოვნის ასაკი, სიმწიფე და ფსიქოლოგიური მდგომარეობა უნდა იქნეს გათვალისწინებული მისი კვლევაში ჩასართავად. ამის განსაზღვრა ხდება ეთიკის კომისიის მიერ. მას შეუძლია მოახდინოს თითოეული ბავშვის ინდივიდუალური შეფასება თუ, რამდენად შეუძლია ან არ შეუძლია კვლევაში მონაწილეობის მიღება. ასევე, შეიძლება შეიმუშაოს სპეციალური კოგნიტური შესაძლებლობების შეფასების ფორმა ყველა მონაწილე ბავშვისთვის და ამით დაადგინოს, თუ ვის შეუძლია კვლევაში მონაწილეობა და ვის არა.

შინაარსი და ენა, რომელზეც იქნება თანხმობის პროცედურები/ფორმა უნდა იყოს ბავშვის ასაკის, განათლების და განვითარების შესაბამისი. შესაძლებელია საჭირო გახდეს რამდენიმე თანხმობის ფორმა, თუ კვლევაში მონაწილეობას იღებს სხვადასხვა ასაკის და განათლების მქონე ბავშვი.

განსაკუთრებით მოწყვლადი არასრულწლოვნების კვლევის ეთიკური საკითხები

საინტერესოა, უნდა ჩატარდეს თუ არა კვლევა იმ ბავშვებისთვის, რომელთაც არ ყავთ კანონიერი წარმომადგენლები. მაგალითად, ასეთ ჯგუფს შეადგენს ქუჩასთან დაკავშირებული ბავშვები.

ეს პრობლემა არის ემოციურად შეფერილი საჯარო პრობლემა, რომელიც ეროვნული და საერთაშორისო ბავშვთა კეთილდღეობის ორგანიზაციების პრიორიტეტად განიხილება.

ადამიანის უფლებების მიდგომა, რომელიც ეყრდნობა ბავშვის უფლებების გაეროს კონვენციის სამართლებრივ და კონცეპტუალურ ჩარჩოს, გამოყოფს კვლევას, რომელიც ფოკუსირებულია ბავშვების რთულ და გამოუვალ ვითარებებში გამკლავების მექანიზმებზე, ასევე, ქუჩასთან დაკავშირებული ბავშვების და ახალგაზრდების ჯანმრთელობის რისკებზე, რომელიც განპირობებულია მათი ქუჩაში ცხოვრებით და

მუშაობით. მთავარი აქცენტი კეთდება იმაზე, თუ რამდენად არის დაცული მათი უფლებები და თუ რა რისკების წინაშე აყენებს მათ ქუჩის კონტექსტი.

გაეროს ბავშვის უფლებათა კონვენცია (1990) გამოყოფს ბავშვების კრიტიკულ უფლებებს, ამ უფლებების განხორციელების საბაზისო პრინციპებს და ამავდროულად, სამართლებრივ ნორმებს, რომელიც ავალდებულებს ქვეყნებს პრაქტიკაში ამოქმედონ ეს უფლებები და პრინციპები. ეს აღარ არის ჰუმანიტარული და საქველმოქმედო ორგანიზაციების ამოცანა, არამედ ეს არის სახელმწიფოებისა და მთავრობების სამართლებრივი პასუხისმგებლობა. კონვენცია გამოკვეთს იმ სფეროებს, სადაც ბავშვის უფლებები და ინტერესები უნდა იყოს გათვალისწინებული. მაგალითად, მშობლებისაგან განცალკევება, გამოხატვის თავისუფლება, ჯანმრთელობა, განათლება, დასაქმება და ა.შ., სადაც მთავარი პრინციპია “ბავშვის საუკეთესო ინტერესის” გათვალისწინება (მუხლი 3.1). ეს უნივერსალური პრინციპი იმ მიზნით ჩამოყალიბდა, რომ მეტი უფლებამოსილება მიანიჭოს სწორი და მოქნილი გადაწყვეტილებების მიღებას კულტურული კონტექსტის/ინტერპრეტაციების გათვალისწინებით. ამდენად, განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ქუჩასთან დაკავშირებული ბავშვების და ახალგაზრდების საუკეთესო ინტერესების გათვალისწინებას, როგორც ეს არის ადვოკატირებული კონვენციით.

ზოგიერთი მკვლევარი და ბავშვების ადვოკატი ორგანიზაცია (The Consortium for Street Children) ამატებს ბავშვების ახალ უფლებებსაც, როგორცაა, (1) ბავშვის უფლება არ იყოს სტიგმატიზებული; (2) ბავშვის უფლება, რომ მასზე ჩატარდეს კორექტული კვლევა - განხორციელდეს ქუჩაში მცხოვრები და მომუშავე ბავშვების ადეკვატური დათვლა; (3) ბავშვის უფლება მუშაობდეს და ჰყავდეს მხარდამჭერი სისტემა (ქსელი); (4) მისი პრივატობის უფლება და სხვების მხრიდან მისი ინდივიდუალობის (სექსუალობის ჩათვლით) პატივისცემის უფლება, და (5) ბავშვის უფლება იყოს დაცული მედიის, აქტივისტების, დონორების ზედმეტი, არასათანადო ყურდღებისაგან, როდესაც ეს სისტემები შერჩევითად უსვამენ ხაზს მის სისუსტეებსა და მოწყვლადობას.

გაეროს კონვენციის მიხედვით, ბავშვის საუკეთესო ინტერესების გათვალისწინება არის არა მხოლოდ მათი დაცვა და საჭიროებების დაკმაყოფილება, არამედ მათი მოსმენა და მონაწილეობის ხელშეწყობა. მნიშვნელოვანია, უფლებათა სამ კატეგორიას (დაცვა, უზრუნველყოფა და მონაწილეობა) შორის ბალანსის დაცვა. ბავშვის მონაწილეობის უფლების მიხედვით, ბავშვი არის “საკუთარი ცხოვრების ცვლილების აგენტი”. ბავშვის ამ უფლების დაკმაყოფილება მოითხოვს, რომ უფროსებმა აღიარონ, რომ ბავშვებს აქვთ სოციალური კომპეტენციები. ამდენად, ქუჩის ბავშვების განხილვა მხოლოდ “მოწყვლად, არაკომპეტენტურ, უუფლებოდ” ძალიან პრობლემატურია, მაშინ როცა ამ ბავშვებს აქვთ რთულ ცხოვრებასთან გამკლავების უნარები.

ინტერაქტიული და თანამონაწილეობითი მეთოდების გამოყენება ეფუძნება იმ მთავარ კონცეფციას, რომ ბავშვებს აქვთ თავიანთი “ქმედითი მე”, “სოციალური კომპეტენციები” და შეუძლიათ ინფორმირებული გადაწყვეტილებების მიღება საკუთარი ცხოვრების შესახებ. მათ შეუძლიათ საკუთარი შეხედულებების და მოსაზრებების გამოხატვა, რომლებიც შესაძლოა განსხვავდებოდეს უფროსების შეხედულებებისაგან. ასეთი კვლევა უპირატესობას ანიჭებს ამ ბავშვების პერსპექტივას და ბავშვების თანამონაწილეობას კვლევის მიზნების ჩამოყალიბებაში და განხორციელებაში.

კონკრეტულად, ეს გულისხმობს ახალგაზრდების მონაწილეობას კვლევის პროცესში. ახალგაზრდები განიხილებიან მკვლევრებად და არა უბრალოდ ინფორმაციის გამცემებად, რესპონდენტებად. ამ ტიპის კვლევაში ქუჩასთან დაკავშირებული ახალგაზრდა თავად

ატარებს ინტერვიუებს თავის თანატოლებთან, იღებს ფოტოებს და ვიდეოს საკუთარი ცხოვრების და ქუჩის მეგობრების შესახებ. ასეთ მიდგომას მივყავართ ადვოკატობის ახალ ფორმებამდე, ქუჩაში მომუშავე და მცხოვრები ბავშვების სოციალურ მობილიზაციამდე, ხელს უწყობს მათ მონაწილეობას ეროვნულ და საერთაშორისო ფორუმებში, სადაც განიხილება მათ უფლებებთან დაკავშირებული საკითხები.

ბავშვზე ცენტრირებული მიდგომების გამოყენება არ ამარტივებს ეთიკურ საკითხებს. კერძოდ, ქუჩასთან დაკავშირებული ბავშვების არა როგორც კვლევის ობიექტებად, არამედ მათი მკვლევრებად მონაწილეობა წარმოშობს მთელ რიგ, განსხვავებული ტიპის ეთიკურ პრობლემებს. კერძოდ, ამ შემთხვევაში გასათვალისწინებელია არა მხოლოდ ინფორმირებული თანხმობის საკითხები და ბავშვების აზრების/შეხედულებების პატივისცემა, არამედ მონაცემების შეგროვების, ინტერპრეტაციის, და კვლევის შედეგების დამახინჯების გარეშე გავრცელების საკითხები.

ზემოთ მოცემული კონტექსტის გათვალისწინებით, შეგვიძლია ვთქვათ, რომ ქუჩაში მცხოვრები და მომუშავე ბავშვების მშობლისგან ნებართვის აღება არაა რეალისტური და რელევანტური.

საერთაშორისო დოკუმენტი, “ეთიკური კვლევა, რომელიც მოიცავს ბავშვებს (ERIC) 2013¹⁶“ განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს ეთიკურ გამოწვევებს, რომელიც აქტუალური ხდება, როდესაც კვლევაში მონაწილეობენ განსაკუთრებით მოწყვლადი არასრულწლოვანთა ჯგუფები, მაგ. ქუჩაში მცხოვრები და მომუშავე ბავშვები. ამ შემთხვევაში განსაკუთრებული ყურადღება ექცევა მკვლევრების და პროვაიდერი ორგანიზაციების როლებს და პასუხისმგებლობებს. კერძოდ, იმას, რომ მოპოვებულ იქნას ინფორმირებული თანხმობა და ამავედროულად, შენარჩუნებულ იქნას რესპონდენტების პრივატობა და კონფიდენციალურობა.

ქუჩაში მცხოვრები და მომუშავე ბავშვების უმრავლესობა გამოქცეულია ოჯახებიდან ან მათი მშობლების/ნათესავებისგან ტრეფიკინგის მსხვერპლია. ამასთანავე, მშობლები ნაკლებად ასრულებენ ბავშვის მზრუნველის როლს, ხშირ შემთხვევაში ძალადობენ კიდევ თავიანთ შვილებზე, ამიტომ არარელევანტურია მათგან ნებართვის აღება. აქ უნდა ვიმსჯელოთ, რომ ის ზიანი, რაც ამ შემთხვევაში ბავშვს მიადგება თავისი ე.წ. მზრუნველისგან, გაცილებით მაღალია, ვიდრე ის პოტენციური ზიანი, რომელიც შესაძლოა მიიღოს კვლევაში მონაწილეობისაგან, მშობლის თანხმობის გარეშე. გარდა ამისა, კვლევის შედეგები გამოყენებული უნდა იქნას ამ რისკ ჯგუფისთვის (ქუჩაში მცხოვრები და მომუშავე ბავშვები) პოლიტიკის და მომსახურებების დასახვეწად, ანუ კვლევაში მონაწილეობის სარგებელი უნდა იყოს მაღალი, ხოლო რისკები კი მინიმალური.

მნიშვნელოვანი საკითხია კვლევაში მონაწილე არასრულწლოვნების ასაკის განსაზღვრა. ამ შემთხვევაში, გასათვალისწინებელია ადგილობრივი კანონმდებლობა. მაგალითად, საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით, 10 წლის ბავშვს აქვს არჩევანის გაკეთების უფლება იმასთან დაკავშირებით, თუ მშობლების დაშორების შემთხვევაში თავად განსაზღვროს, თუ ვისთან იცხოვრებს¹⁷.

¹⁶ Ethical Research Involving Children (ERIC project), <https://childethics.com>

¹⁷ საქართველოს კანონი შვილად აყვანის და მინდობითი აღზრდის შესახებ, 2017. <https://matsne.gov.ge/ka/document/view/3665080>

როგორც უკვე აღვნიშნეთ, ბავშვებს მაქსიმალურად გასაგებად უნდა მიეწოდათ ინფორმაცია. მითუმეტეს, კვლევაში ბავშვების მონაწილეობის დროს, გათვალისწინებულ უნდა იქნას ფაქტი, რომ შესაძლოა მათ არ ქონდეთ უნარი, რომ კომპეტენტურად გამოხატონ თავიანთი თანხმობა კვლევაში მონაწილეობაზე არა მხოლოდ ასაკის, არამედ სხვა მიზეზების გამოც (მაგ. სოციალური ჩამორჩენა, ენის ბარიერი, ალკოჰოლიზმი და სხვა). ამის კომპენსირების მექანიზმად შესაძლოა გამოყენებულ იქნას სპეციალური კითხვარი, მაგალითად, Competence Assessment Tool for Clinical Research (MacCAT-CR)¹⁸¹⁹. აღნიშნულ ინსტრუმენტს აქვს ძლიერი ფსიქომეტრული პარამეტრები. კვლევაში მხოლოდ იმ ბავშვებმა უნდა მიიღონ მონაწილეობა, რომლებიც გამოავლენენ კომპეტენტურობას. თავად ინფორმირებული თანხმობის ფორმაში ჩაშენებული უნდა იყოს კითხვები, რომელიც შეამოწმებს ბავშვის გაგების და გადაწყვეტილების მიღების კომპეტენტურობის და შესაძლებლობის დონეს.

უფლებებზე დაფუძნებული პროგრამების მონიტორინგი და შეფასება

მომსახურების დონეზე მომსახურების გაზომვა ხორციელდება მიღწეული ცვლილების გასაზომად. მომსახურების გაზომვა მიმდინარეობს პროგრამების მონიტორინგის და შეფასების სახით.

მონიტორინგი არის სპეციფიკური ინდიკატორების შესახებ მონაცემების შეგროვების და გაანალიზების სისტემური პროცესი, რომელიც მიზნად ისახავს მოცემული სიტუაციის შესახებ პროგრესის დადგენას და მიღებულ შედეგებზე დაყრდნობით შესაბამისი ჩარევების განხორციელებას, ხოლო შეფასება არის უკვე დასრულებული პროექტის, პროგრამის შედეგების სისტემური და ობიექტური შეფასება. მისი მიზანია იმის განსაზღვრა, თუ რამდენად მოხდა დაგეგმილი ამოცანების მიღწევა, რამდენად დროში მყარი და ეფექტიანი შედეგებია მიღწეული. შეფასების შედეგად მიღებული ინფორმაცია უნდა იყოს სანდო და გამოყენებადი, უნდა ითვალისწინებდეს მონიტორინგის შედეგებს და იძლეოდეს გადაწყვეტილების მიღების შესაძლებლობას.

შეფასება აგრეთვე ეხება პროგრამის საერთო ღირებულების ან მნიშვნელოვანების განსაზღვრის პროცესს ანუ რამდენად შეესაბამება შესატყვისი სტანდარტების მიღწევას, მოცემულ შემთხვევაში, უფლებებზე დაფუძნებული პროგრამების სტანდარტების მიღწევას.

უფლებებზე დაფუძნებული პროგრამების/მომსახურების შეფასება ხორციელდება ექვსი სტანდარტის მიხედვით²⁰ (იხ. ცხრილი#1 უფლებების ბლოკები). ეს სტანდარტებია:

¹⁸ Hein IM, Troost PW, Lindeboom R, Benninga MA, Zwaan CM, van Goudoever JB, Lindauer RJL. Accuracy of the MacArthur Competence Assessment Tool for Clinical Research (MacCAT-CR) for Measuring Children's Competence to Consent to Clinical Research. JAMA Pediatr. 2014; 168(12): 1147-1153

¹⁹ Hein et al. Assessing children's competence to consent in research by a standardized tool: a validity study, Hein et al. BMC Pediatrics 2012, 12:156, <http://www.biomedcentral.com/1471-2431/12/156>

²⁰ Atip Fund Georgia ხანდაზმული და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვების /პირების სოციალური მომსახურებისას უფლებებზე დაფუძნებული მიდგომის შეფასების ინსტრუმენტი

უფლებები, თანამონაწილეობა, ინდივიდუალური შედეგები, უკუკავშირი, მომსახურების ხელმისაწვდომობა და მომსახურების მართვა. Atip Fund Georgia-ს მიერ მომზადებული სოციალური მომსახურების ხარისხის მართვის სახელმძღვანელო ინსტრუმენტს აქვს ცხრილის სახე, სადაც თითოეული სტანდარტი წარმოადგენს ცალკე ცხრილს. სტანდარტებს თან ახლავს ინდიკატორები და მოქმედების მაჩვენებლები, რომლებიც ეყრდნობა რეაბილიტაციის ევროპული პლატფორმის (European Platform for Rehabilitation (EPR) მიერ გამოყენებულ FREDAI და PANEL2 პრინციპებს. თითოეული ცხრილი გულისხმობს კონკრეტულ ინდიკატორებთან დაკავშირებით კომენტარების გაკეთებასა და შეფასებას. ასევე, თითოეული სტანდარტის შემაჯამებელ შეფასებას.

ცხრილი#1: უფლებების ბლოკები²¹

უფლება	კლიენტის რომელი უფლების განხორციელებაში შეაქვს წვლილი მომსახურებას (უფლების განმარტება)	განმარტება
უფლებები	მე მაქვს უფლება ვაკონტროლო და არჩევანი გადაკეთო მომსახურების ან დახმარების მიღებისას. ასევე უფლება მაქვს გავწიო გარკვეული რისკები და ვიყო დისკრიმინაციისგან და ზიანისგან თავისუფალი.	მომსახურების მიმწოდებელი ხელს უწყობს ადამიანის უფლებების რეალიზებას, როგორცაა გამოხატვის თავისუფლება, თვითგანსაზღვრის და გადაწყვეტილების მიღების უფლებას; ამასთან აქტიურად ნერგავს და ახორციელებს ძალადობის, ზიანისა და უფულვებელყოფის პრევენციისაკენ მიმართულ ღონისძიებებს.
თანამონაწილეობა	მე მაქვს უფლება ვიყო ჩემ მიერ არჩეული თემის წევრი. ასევე უფლება მაქვს სურვილისამებრ ვიქონიო ოჯახთან, მეგობრებთან და თემთან კონტაქტი/კომუნიკაცია.	მომსახურების მიმწოდებელი მუშაობს ინდივიდებთან, მათ ოჯახებთან, მზრუნველებთან და მეგობრებთან, რათა ხელი შეუწყოს ბენეფიციარების აქტიურ თანამონაწილეობას და მათ სოციუმში ინტეგრაციას
ინდივიდუალური შედეგები	მე მაქვს უფლება წარვმართო საკუთარი ცხოვრება და მივიღო გადაწყვეტილებები	მომსახურება და დახმარება ფასდება, იგეგმება, ხორციელდება და გადაიხდება ბენეფიციარის

²¹ ინდიკატორების-ცხრილი-GPIDA-30.03.2021.

	<p>თუ როგორ დამხმარება მომსახურების მიმწოდებელი ამაში.</p>	<p>ძლიერი მხარეების გათვალისწინებით, მათი ცხოვრებისეული მიზნების მიღწევაში ხელშეწყობის მიზნით.</p>
<p>უკუკავშირი</p>	<p>მე მაქვს უფლება და თავისუფლება მივცე პოზიტიური და ნეგატიური უკუკავშირი მომსახურების მიმწოდებელს ჩემთვის გაწეული მომსახურების და დახმარების შესახებ. ასევე მაქვს უფლება მოვითხოვო რჩევა და დახმარება დამოუკიდებელი მხარისგან ამ უფლების განხორციელებისთვის.</p>	<p>მომსახურების მიმწოდებელი რეგულარულად ახდენს უკუკავშირის შეგროვებასა და შედეგების გამოყენებას მომსახურების გაუმჯობესების მიზნით.</p>
<p>მომსახურების ხელმისაწვდომობა</p>	<p>მე მაქვს უფლება მქონდეს მომსახურებაზე და დახმარებაზე ხელმისაწვდომობა, რომელიც ეფუძნება სამართლიან და გამჭვირვალე კრიტერიუმებს. ასევე მაქვს უფლება გამოვიყენო გადამისამართების მექანიზმი, როდესაც მომსახურების მიმწოდებელი ვერ მთავაზობს საჭირო დახმარებას ან მომსახურებას.</p>	<p>მიმწოდებელი მართავს მომსახურებაში ჩართვასთან, მის მიწოდებასთან და ამორიცხვასთან დაკავშირებულ პროცესებს გამჭვირვალედ, სამართლიანობის და თანასწორობის პრინციპების დაცვით.</p>
<p>მომსახურების მართვა</p>	<p>მე მაქვს ისეთი მომსახურების და დახმარების მიღების უფლება, რომელიც იმართება ეფექტურად, ფასდება/გადაიხედება რეგულარულად, არის მომსახურების მიმწოდებლის მაღალი პასუხისმგებლობის გამოვლინება და შეესაბამება თანამედროვე ტენდენციებს.</p>	<p>მომსახურების მიმწოდებელს აქვს ეფექტიანი, და პასუხისმგებლობის მქონე მმართველობა, რათა ბენეფიციარების კეთილდღეობის მაქსიმალურ შედეგებს მიაღწიოს</p>

ინფორმაციის მოსაპოვებლად შესაძლოა გამოყენებულ იქნას შერეული მეთოდები (მაგალითად, ნახევრადსტრუქტურირებული სიღრმისეული ინტერვიუ, ფოკუს ჯგუფები, რაოდენობრივი ანკეტა და სხვ.).

ინფორმაციის მოგროვება უნდა მიმდინარეობს მრავალმხრივი წყაროებიდან, როგორებიცაა:

- 1) მომსახურების მიწოდებაში პირდაპირ ჩართულ პირები;
- (2) მომსახურების ადმინისტრაციის წარმომადგენლები;
- (3) მომსახურების მიმღებთან / მისი ოჯახის წევრთან;
- (4) მომსახურებასთან დაკავშირებული სახელმწიფო უწყების რელევანტურ პირთან;
- (5) მომსახურების გარე შეფასების/ მონიტორინგის განმახორციელებელ პირთან და ა.შ.

ასევე, მონიტორინგის შედეგები მნიშვნელოვანია ბენეფიციარისთვის და თანამშრომლებისთვის და წარმოადგენს მომსახურების გაუმჯობესების აუცილებელ პირობას. მონიტორინგი იძლევა ინფორმაციას გასაუმჯობესებელ მხარეებზე, რომელი მიზანი ვერ მიიღწა და რა იყო ამის მიზეზი²². კერძოდ, შესაძლოა მოპოვებული ინფორმაციის საფუძველზე დაიგეგმოს, თუ როგორ უნდა

- გააძლიერონ არსებული მომსახურება
- გაზარდონ ეფექტური სერვისები გამოყენება
- იდენტიფიცირება გააკეთონ გადამზადების საჭიროებზე
- უკეთ განსაზღვრონ ბიუჯეტი
- გადახედონ გრძელვადიან გეგმას და ა.შ.

მომსახურებების გაზომვა (მონიტორინგის და შეფასების მიზნით) მოიცავს შემდეგ ეტაპებს:

- მომზადება: ჯგუფის შექმნა, რომელი პროგრამები გაიზომება, დროითი ჩარჩოს შექმნა, მონაწილე სპეციალისტების განსაზღვრა, საჭირო ინსტრუმენტების იდენტიფიცირება.
- გასაზომი შედეგების შერჩევა: პროგრამების ლოგიკური მოდელების შექმნა და გასაზომი შედეგების იდენტიფიცირება.
- ინდიკატორების დეტალიზება: ინდიკატორების დეტალიზება თითოეული შედეგისთვის. იმ ინდიკატორების რომელიც საშუალებას იძლევა შეფასდეს მიიღწა თუ არა შედეგი. ამისათვის, საჭიროა გაზომვადი მახასიათებლების ასახვა შედეგებში. ეს შეიძლება იყოს თვისებრივი ან რაოდენობრივი. ასევე, განისაზღვროს რომელმა ფაქტორებმა შეიძლება მოახდინონ გავლენა შედეგებზე. ისინი შეიძლება იყოს: დემოგრაფიული (სქესი, ასაკი, ეთნიკურობა, განათლების დონე, შემოსავალი,

²² ხარისხის მართვის სახელმძღვანელო, თბილისი, 2021 წელი.

სტატუსი, ფუნქციონირების დონე) სირთულის დონე, გეოგრაფიული მახასიათებელი, ორგანიზაციული გაერთიანებები (თუ ერთი მიზნის მიღწევაზე სხვა ორგანიზაციაც არის პასუხისმგებელი), შედეგების გაზომვის ტიპი, ვითვლით რაოდენობრივად თუ თვისებრივად.

- მონაცემების შეგროვებისთვის მომზადება: წყაროების იდენტიფიცირება, საიდანაც შესაძლებელია მონაცემების შეგროვება; მონაცემების შეგროვების მეთოდების განსაზღვრა; ვის მიერ, როგორ რა სიხშირით აისახება მონაცემები.
- ინდიკატორების საზომი სისტემის მომზადება: საცდელი სტრატეგიის შექმნა; მონაცემების შეგროვებისთვის მომზადება; მონაცემების შეგროვება და დაკვირვება.
- მიგნებების ანალიზი: მონაცემების შეყვანა; მონაცემების ანალიზი; შედეგების ჩამოყალიბება ნათლად.
- განხილვა: გაზომვის სისტემის გაუმჯობესება, დარწმუნება რომ ყველაფერი ზუსტად არის ასახული. განხილვა ინსტრუმენტების ცვლილებასთან დაკავშირებით.
- მიგნებების გამოყენება: თანამშრომლებისთვის, ბენეფიციარებისთვის ცვლილებების შესახებ ინფორმაციის მიწოდება, განხილვა, რა გაკეთდა კარგად და რატომ? რა ვერ გაკეთდა კარგად რატომ? როგორ შეგვიძლია გავზომოთ შედეგები.

მომსახურების ეფექტურობის გაზომვისათვის მნიშვნელოვანია არსებობდეს თითოეული პროგრამის/მომსახურების ლოგიკური მოდელი, რომელიც მოიცავს შემდეგ ასპექტებს:

- პრობლემის ანალიზი. შესაძლებელია თუ არა ზუსტად იმის განსაზღვრა, თუ რომელი პრობლემის აღმოფხვრაზე არის მიმართული მოცემული პროგრამა? რამდენად ეფუძნება პროგრამა იმ თეორიებს და კვლევებს, რომლებიც მიმართულია მოცემული პრობლემის გადასაჭრელად? ვინ არიან მოცემული პროგრამის სამიზნე ჯგუფები (მაგ, სათანადო კვალიფიკაციის არმქონე, უმუშევარი, უსახლკარო ადამიანები და ა.შ.)? რამდენად ზუსტად არის განსაზღვრული გეოგრაფიული საზღვრები, რომელსაც ემსახურება მოცემული პროგრამა? არსებობს თუ არა ზუსტი სტატისტიკური მონაცემები პროგრამის ბენეფიციარების შესახებ, მომსახურე პერსონალის და დანახარჯების შესახებ?
- საჭიროებათა შეფასება. რა საჭიროებები აქვთ ბენეფიციარებს, რომელთაც ემსახურება პროგრამა? რა ნორმატიული საჭიროებების (სტანდარტი) საფუძველზე არის განსაზღვრული ბენეფიციარების საჭიროებები? არსებობს თუ არა ინფორმაცია, თუ ბენეფიციარები როგორ აფასებენ საკუთარ საჭიროებებს? რა საჭიროებები არის იდენტიფიცირებული? იმ ადამიანებიდან, რომლებსაც ესაჭიროებოდათ მოცემულ პროგრამაში ჩართვა, რამდენ პროცენტს გაეწია მომსახურება? არის თუ არა მომლოდინეთა სია? არსებობს თუ არა მონაცემები, თუ მსგავს გეოგრაფიულ გარემოში, რა ტიპის პროგრამულ მომსახურებებს სთავაზობენ ბენეფიციარებს?
- პროგრამის მიზნები. რა მიზანი უნდა იყოს მიღწეული პროგრამის განხორციელების შედეგად? არის თუ არა ასახული პროგრამის მოსალოდნელი შედეგები გადმოცემული “თუ --- მაშინ” ფორმატში? (მაგალითად, “თუ” მშობლები

ისწავლიან კარგი კომუნიკაციის უნარს და ამას გამოიყენებენ თავიანთ შვილებთან”, “მაშინ” ნაკლებად იძალადებენ ფიზიკურად თავიანთ შვილებზე)? არის თუ არა გამოყოფილი დამოუკიდებელი ცვლადი, დამოკიდებული ცვლადი და შულებდური ცვლადი, რომელთა შორისაც არსებობს სავარაუდო მოსალოდნელი კავშირი (მაგალითად, პროგრამის “რისკის ქვეშ მყოფი ახალგაზრდა ფეხმძიმე ქალების ჩვილთა სიკვდილიანობის და გონებრივი ჩამორჩენის შემცირება” ამ პროგრამაში მოცემულია დამოკიდებული ცვლადი: ჩვილთა სიკვდილიანობის შემცირება/ მაღალი რისკის ქალების მიერ ჯანმრთელი ჩვილების დაბადების შანსების გაზრდა - ეს არის საბოლოო მიზანი, რასაც უნდა მიაღწიოს პროგრამამ. შუალედური ცვლადია: დღენაკლული ჩვილების დაბადების სიხშირის შემცირება და დამოუკიდებელი ცვლადია: რისკის ქვეშ მყოფი ქალების კვების გაუმჯობესება, მათი სამედიცინო მონიტორინგი, ინფექციური და სხვა დაავადებების შემცირება, მშობელთა სტრესის შემცირება, ტრავმების შემცირება და ა.შ.).

ჰიპოთეზის მაგალითი: თუ შემოქმედებას მოვახდენთ რისკის ქვეშ მყოფ ახალგაზრდა ფეხმძიმე ქალებზე (მარტოხელა, სიღარიბის ქვეშ მყოფი, წამალდამოკიდებული და სხვა) კერძოდ, შევამცირებთ მათ სტრესს, გავაუმჯობესებთ მათ კვებას, შევამცირებთ ტრავმის რისკებს, გავზრდით სამედიცინო მონიტორინგს, მაშინ შემცირდება ამ ქალების მიერ დღენაკლული ბავშვების დაბადება და საბოლოოდ, გაიზრდება მაღალი რისკის ქალების მიერ ჯანმრთელი ჩვილების დაბადების შანსები და შემცირდება ჩვილთა სიკვდილიანობა.

პროგრამის დიზაინი. რამდენად ხდება პროგრამის ბენეფიციარების კატეგორიზირება და შედარება მათი პრობლემების სიმძიმის მიხედვით? რა ინსტრუმენტით არის შესაძლებელი ამ შედარების გაკეთება? რამდენად არის გაწერილი პროგრამის თითოეული მომსახურება დროისა და მოცულობის მიხედვით? რა ამოცანები აქვს მოცემულ პროგრამას? თითოეული მომსახურება რა მეთოდებს იყენებს (მაგალითად, ინდივიდუალური კონსულტაციები, ჯგუფური თერაპიები, ინსტრუქციები და ა.შ.)? რა მექანიზმებით ან მეთოდებით ხდება იმ ადამიანების იდენტიფიცირება, რომლებმაც დაასრულეს მოცემული მომსახურების მიღება ან გამოვიდნენ მომსახურებიდან? რით განსხვავდებიან იმ ბენეფიციარებისაგან, რომლებიც განაგრძობენ მომსახურების მიღებას? პრე და პოსტ ტესტის დიზაინის გამოყენებით თუ ხდება შედეგების გაზომვა? რამდენად გროვდება ინფორმაცია იმ ბენეფიციარების შესახებ, რომლებიც ხანგრძლივად არიან მოცემულ პროგრამაში ჩართულნი? რამდენად არის ზუსტად განსაზღვრული მომსახურების ერთეული, რომელსაც იყენებს მომსახურება მის მიერ განხორციელებული პროგრამის მომსახურების/მომსახურებების თანხის ან მოცულობის გასაზომად? არასებობს თუ არა სტანდარტები (მაგ. ეთიკური, ჰიგიენური და სხვა), რომლითაც ხორციელდება პროგრამა, რათა დაცულ იქნას ბენეფიციართათვის მომსახურების მიწოდების ხარისხი?

- რესურსები. არის რესურსები, რომელიც გამოიყენება რათა მიიღწეს პროგრამის მიზნები. ეს შეიძლება იყოს თანამშრომელი, მოხალისე, აღჭურვილობა, თანხა და სხვა. არის თუ არა შესაწავლილი, თუ მოცემულ პერსონალს, საკუთარი გამოცდილების და ცოდნის საფუძველზე, რამდენად გაჰყავს ბენეფიციარები სასურველ შედეგებზე? რა მტკიცებულებები არსებობს ამასთან დაკავშირებით.
- აქტივობები. რასაც პროგრამა ახორციელებს მიზნის მისაღწევად. ისინი აისახება

აქტივობების შედეგებში (output). მაგალითად უსახლკარო ოჯახებისთვის თავშესაფრის მიცემა.

- აქტივობის შედეგები (output). აქტივობების პროდუქტი, მაგალითად რამდენ ადამიანს მიეწოდა საკვები. ასევე ის ცნობილი როგორც „სერვისების გაერთიანება“. პროგრამის აქტივობების შედეგები განაპირობებს სასურველ შედეგს.
- გრძელვადიანი შედეგები/ეფექტიანობა (outcome). არის ბენეფიციარისთვის ბენეფიტი. ისინი შეიძლება იყოს ცოდნა, უნარები, ღირებულებები, პირობები და სხვა. თითოეულ პროგრამას შეიძლება ქონდეს რამდენიმე შედეგი. შედეგები შეიძლება იყოს მოკლევადიანი, შუალედური და გრძელვადიანი.
- ინდიკატორები. მონაცემები, რომელზე დაყრდნობითაც ხდება შედეგების გაანალიზება.
- შესაძლო რისკები. რა ფაქტორებმა შეიძლება შეუშალოს ხელი სასურველი მიზნის მიღწევას.
- რისკთან გამკლავება. რა ნაბიჯები გადაიდგმება რისკის თავიდან ასაცილებლად.
- ინფორმაციის წყარო. ვისგან მიიღება ინფორმაცია, რომელიც აისახება შედეგებში.
- ინფორმაციის მიღების მეთოდი. როგორ და ვის მიერ მიიღება ინფორმაცია. განსაზღვრულია თუ არა პროგრამის შემადგენელი მომსახურებების მონაცემთა შეგროვების მეთოდები? როგორია მონაცემების შეგროვების გეგმა? განსაზღვრულია თუ არა, როგორ უნდა შეგროვდეს მონაცემები მომსახურების მიწოდების ხარისხის შესახებ? განსაზღვრულია თუ არა როგორ შეგროვდება მონაცემები პროგრამის წარმატების გასაზომად? განსაზღვრულია თუ არა, როგორ უნდა მოხდეს პროგრამის ხარჯების დათვლა, მომსახურების მიწოდების ღირებულება და ბენეფიციართან მიღწეული შედეგი?
- ინფორმაციული ტექნოლოგიების გამოყენება. არსებობს თუ არა კომპიუტერული მონაცემთა ბაზა და მონაცემთა დამუშავებული სისტემა? რამდენად დარდება პროგრამის ცვლადები ერთმანეთს, რაც ბენეფიციარების პრობლემების გაგების უკეთ შესაძლებლობას იძლევა? რამდენად რეგულარულად ხდება პროგრამის მონაცემების შესახებ ინფორმაციის განახლება? კონკრეტული ჯგუფები (უშუალო მომსახურებაში ჩართული პირები, სუპერვაიზორები, პროგრამის მენეჯერები, დირექტორთა საბჭო ან პოლიტიკური ფიგურები, ადმინისტრატორები და ა.შ.) რამდენად იყენებენ სპეციალურ ცხრილებს (კორელაციური ანალიზი), რომ უკეთესად გაიგონ მიწოდებული პროგრამის ეფექტურობის შესახებ? რამდენად პერიოდულად განიხილება, თუ რა ცვლილებები შეიძლება განხორციელდეს პროგრამის გასაუმჯობესებლად?
- ბიუჯეტირება. რამდენად გამოითვლება პირდაპირი/მომრავი დანახარჯები პროგრამის მიხედვით; ირიბი დანახარჯები პროგრამის მიხედვით; პროგრამის სრული ხარჯები; პროდუქტის საშუალო დანახარჯი; თითოეული მომსახურების დასრულებული ხარჯები; თითოეული ბენეფიციარის მომსახურების ხარჯები.

გამოყენებული ლიერატურა

1. საქართველოს საკანონმდებლო მაცნე. 1990. კონვენცია ბავშვის უფლებების შესახებ - “ბავშვის საუკეთესო ინტერესის” გათვალისწინება (მუხლი 3.1) <https://matsne.gov.ge/ka/document/view/1399901?publication=0>
2. საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრი. (2021). უფლებებზე დაფუძნებული სოციალური მომსახურება ხანდაზმულებისა და შშმ პირებისათვის. საერთშორისო და საქართველოს გამოცდილება. კვლევის ანგარიში.
3. სოციალური მომსახურებებისა და ინტერვენციების განვითარების კვლევითი ცენტრი. IRB ტრენინგის მასალები. 2019 წელი.
4. შორენა სამაგლიშვილი, ჯანა ჯავახიშვილი, თეონა გოცირიძე, ქეთევან ლეკიშვილი, (2021). მონოგრაფია: ქუჩასთან დაკავშირებული ახალგაზრდები: ეთიკური კვლევა და ანალიტიკა. ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი. ISBN 978-9941-18-361-4
5. ხარისხის მართვის სახელმძღვანელო, თბილისი: 2021.
6. Kettner, P. M, Moroney, R.M, & Martin, L.L. (1999). Designing and managing programs: An effectiveness-based approach, (2nd Ed.). Thousand Oaks, CA: Sage.
7. Monitoring and Evaluation: some tools, methods and approaches; World Bank: 2004. Pp: 5- 25
8. Shorena Sadzaglishvili, Teona Gotsiridze, and Ketevan Lekeshvili, 2021. Ethical Considerations for Social Work Research With Vulnerable Children and Their Families. *Research on Social Work Practice*, 2021, Vol. 31(4) 351-359. DOI: 10.1177/1049731521996457
9. Using mixed methods in monitoring and evaluation. Policy research working paper. Experiences from international development. Bamberger, M. et. al. http://torontoevaluation.ca/solutions/downloads/pdf/G_WPS5245-BambergerRaoWoolcock-March2010.pdf

ინდივიდზე ორიენტირებული მიდგომა
ფსიქიკური პრობლემების მქონე პირთა ფსიქო-
სოციალური მომსახურებისას - გავრცელებული
მიდგომები, მომსახურებები და საუკეთესო
პრაქტიკები - ავტორი: თამარ მახარაძე

საკითხავი მასალა მომზადებულია ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის
სახელმწიფო უნივერსიტეტის, სოციალური მუშაობის საბაკალავრო პროგრამის
არჩევითი კურსისთვის „ფსიქიკური ჯანმრთელობის პოლიტიკა“

მასალა შედგება სამი თავისგან. თითოეული თავის მომზადებისას გამოყენებული იყო ერთი ძირითადი დოკუმენტი, რომლის მნიშვნელოვანი ნაწილი იყო თარგმნილი. ასევე, დამატებით გამოყენებული იყო რამდენიმე წყარო. თითოეულ თავს დასაწყისში მითითებული აქვს ძირითადი დოკუმენტი, რომლის მნიშვნელოვანი ნაწილის თარგმანსაც წარმოადგენს ეს თავი.

რას გულისხმობს ინდივიდზე ორიენტირებული მიდგომა ფსიქიკური პრობლემების მქონე პირთა მომსახურების პროცესში

თავში მოცემული ტექსტის ძირითადი ნაწილი თარგმნილია შემდეგი პუბლიკაციიდან: Life Without Barriers (2019) Person Centered Approach, We live without barrier

თანამედროვე სოციალური მომსახურებები, მათ შორის მომსახურებები, რომლებიც განკუთვნილია ფსიქიკური პრობლემების მქონე პირებისთვის, ეფუძნება პიროვნებაზე ორიენტირებულ პრაქტიკას - მიდგომას, რომელიც ორიენტირებულია შეუქმნას ადამიანებს ბარიერებისგან თავისუფალი გარემო.

პიროვნებაზე ორიენტირებული მიდგომის ძირითადი მიზნებია:

- ხელი შეუწყოს მომსახურების დაგეგმვასა და განხორციელებაში კლიენტის მონაწილეობას;
- ხელი შეუწყოს პიროვნებაზე ორიენტირებული მიდგომის შესაბამისი ღირებულებების დანერგვასა და განხორციელებას, როგორც მომსახურების შიგნით, ისე მის ფარგლებს გარეთ;
- ხელი შეუწყოს ამ მიდგომის მიმართ მომსახურებაში ჩართული პერსონალის ინფორმირებულობის გაზრდასა და შესაბამისი ცნობიერების ამაღლებას - შემოიტანოს მეტი სიცხადე, თუ რას ნიშნავს პიროვნებაზე ორიენტირებული პრაქტიკა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე და კონკრეტულად, ფსიქიკური პრობლემების მქონე პირთა მომსახურების ყველა სფეროსა და მიმართულებასთან დაკავშირებით.

ინფორმაცია პიროვნებაზე ორიენტირებული მიდგომის შესახებ მნიშვნელოვანია სხვადასხვა ჯგუფისთვის. უპირველეს ყოვლისა, ამ მიდგომის შესახებ კარგად უნდა იყვნენ ინფორმირებული მომსახურების მიმწოდებელი ორგანიზაციის ადმინისტრაციული და მომსახურებაში ჩართული პერსონალი. საკუთარი უფლებების დასაცავად, თანამედროვე მომსახურების სტანდარტების შესახებ გარკვეული უნდა იყვნენ თავად მომსახურებების მიმღებები და მათი ოჯახის წევრები - ეს მათ დაეხმარებათ მომსახურებასთან დაკავშირებით მოლოდინების სწორად განსაზღვრაში; და, რა თქმა უნდა, პიროვნებაზე ორიენტირებული მიდგომის არსსში კარგად უნდა ერკვეოდნენ სახელმწიფო უწყებები და დონორი ორგანიზაციები, რათა მათ სწორად განსაზღვრონ ის ძირითადი სტანდარტები და პრიორიტეტები, რომლებსაც უნდა ეფუძნებოდეს სოციალური მომსახურება.

რას ნიშნავს პიროვნებაზე ორიენტირებული მიდგომა? მომსახურება პიროვნებაზეა ორიენტირებული, როდესაც მომსახურების ყველა გეგმა თუ ქმედება იმის შესახებ თუ რა არის კლიენტისთვის მნიშვნელოვანი, ეფუძნება სწორედ კლიენტის პერსპექტივას და ხელს

უწყობს მის სოციალურ ინკლუზიას. პიროვნებაზე ორიენტირებულია მომსახურებები, რომელთა დაგეგმვისას უსმენენ იმას, თუ რა უნდათ მომსახურების მიმღებებს, პრიორიტეტი ენიჭება და პატივს სცემენ მათ არჩევანს იცხოვრონ თემში და ძალისხმევას მიმართავენ სწორედ იმაზე, თუ როგორ დაეხმარონ მათ ამაში. **პიროვნებაზე ორიენტირებული მომსახურებები არ გულისხმობს იმას, რომ მომსახურების მიმღები უნდა მოერგოს არსებულ პირობებს, არამედ ყველაფერი კეთდება იმისთვის, რომ მომსახურება მოერგოს კლიენტის საჭიროებებს.** პიროვნებაზე ორიენტირებული პრაქტიკა მიმართულია მომსახურების თემთან დაკავშირებაზე - ეხმარება კლიენტს თემში ინტეგრაციაში და მომსახურების საქმედ მიაჩნია არა მხოლოდ მის ფარგლებში ხელმისაწვდომი კონკრეტული სპეციალიზირებული მომსახურება, არამედ მას აინტერესებს, თუ როგორ იყენებს პიროვნება ამ მომსახურებას თემში. მაგალითად, როდესაც დღის ცენტრში ფსიქიკური პრობლემების მქონე პირს ვეხმარებით სოციალური უნარების განვითარებაში, ჩვენთვის საინტერესოა, როგორ იყენებს ამ უნარებს ჩვენი ბენეფიციარი ოჯახში, მეზობლებთან, მეგობრებთან, სასწავლო დაწესებულებებსა და სამსახურში. პიროვნებაზე ორიენტირებული მომსახურება კლიენტს მომსახურების გარეთ, თემში ინტეგრაციის პროცესშიც ეხმარება. პიროვნებაზე ორიენტირებული მიდგომა გულისხმობს ინდივიდის, ორგანიზაციის, თემისა და სისტემურ დონეზე მიმდინარე მოქმედებების ფართო დიაპაზონს და ორიენტირებულია იმაზე, რომ მოუსმინოს კლიენტს და სწორედ კლიენტი იყოს ცენტრალურ ადგილზე მომსახურების დაგეგმვისა და განხორციელებისას.

პიროვნებაზე ორიენტირებული მიდგომა გულისხმობს ორ მნიშვნელოვან კომპონენტს: (1) პიროვნებაზე ორიენტირებულ აზროვნებასა და (2) პიროვნებაზე ორიენტირებულ დაგეგმვას.

1. პიროვნებაზე ორიენტირებული აზროვნება განიხილება, როგორც პიროვნებაზე ორიენტირებული დაგეგმვის საფუძველი, რომელიც გულისხმობს იმ ღირებულებებს, უნარებსა და ინსტრუმენტებს, რომლებიც გამოიყენება კლიენტთან სამუშაოდ, იმის დასადგენად, თუ რა სურს ადამიანს და რისი მიღწევა უნდა ცხოვრებაში. პიროვნებაზე ორიენტირებული აზროვნება ეს არის გარკვეულწილად ფილოსოფია, ხედვა, რომელიც გულისხმობს მომსახურების მიმღების დანახვას მისი ძლიერი მხარეების პერსპექტივიდან, მის მოსმენას მისი სურვილებისა და მისწრაფებების პერსპექტივიდან, რათა დავეხმაროთ მას იმ ცხოვრების მიღებაში, რომელიც მისთვის ღირებულია. პიროვნებაზე ორიენტირებული აზროვნება არის ყველა სახის ქმედების საფუძველი ნებისმიერ სიტუაციაში და წარმოადგენს ქვაკუთხედს იმისა, თუ როგორ მუშაობენ ინდივიდები და ორგანიზაციები მომსახურების მიმღებებთან, მათ შორის ფსიქიკური პრობლემების მქონე პირებთან.

2. პიროვნებაზე ორიენტირებული დაგეგმვა - ეს არის გზა აღმოვაჩინოთ, თუ რა სურთ ადამიანებს, მხარი დავუჭიროთ მათ იმის მიღებაში, რაც სჭირდებათ და დავგეგმოთ, თუ როგორ ვიმოქმედოთ სასურველის მისაღწევად. ეს არის მტკიცებულებაზე დაფუძნებული პრაქტიკა, რომელიც ადამიანებისთვის დამოუკიდებელი და ინკლუზიური ცხოვრების დაგეგმვაში გვეხმარება. პიროვნებაზე ორიენტირებული დაგეგმვა ეს არის ინსტრუმენტების ნაკრები ცვლილებების გასატარებლად, როგორც ინდივიდუალურ, ისე ორგანიზაციულ დონეზე. მისი ძირითადი მახასიათებელი ის არის რომ აქცენტი მომსახურების მიმწოდებლისა და პროფესიონალისგან, მომსახურების მიმღებზე გადააქვს. პიროვნებაზე ორიენტირებული დაგეგმვა კლიენტს, ფსიქიკური პრობლემების მქონე პირს, დაგეგმვის პროცესის ცენტრში ათავსებს და მთელ ძალაუფლებას მას

ანიჭებს - მომსახურების მიმწოდებელი, მასში ჩართული პროფესიონალები ყურადღებით უსმენენ მას, მისი ოჯახის წევრებსა და ახლობლებს, ყურადღებით სწავლობენ თუ რა სურთ მათ მოცემულ მომენტში და მომავალში; და მოქმედებებიც სწორედ ამის გათვალისწინებით იგეგმება. პრობლემების გადაჭრა და რესურსების მობილიზაცია მხოლოდ კლიენტების საჭიროებებსა და მათ უპირატესობებს ეფუძნება. პიროვნებზე ორიენტირებული დაგეგმვის ძირითად მახასიათებლებს წარმოადგენს:

- პიროვნებას, მომსახურების მიმღებს უჭირავს ცენტრალური ადგილი;
- მომსახურების მიმღების ოჯახის წევრები და ახლობლები სრულფასოვანი პარტნიორები არიან;
- მომსახურების გეგმა ასახავს პიროვნების შესაძლებლობებს, მის პრიორიტეტებს და მხარდაჭერა მიმართულია ისე, რომ პიროვნებამ მისი თემის ცხოვრებაში მნიშვნელოვანი წვლილის შეტანა შეძლოს;
- მომსახურების გეგმა გულისხმობს გაზიარებულ პასუხისმგებლობებს, რომლებიც ეფუძნება ადამიანის უფლებებს;
- მომსახურების გეგმა გულისხმობს მუდმივ დიალოგს, მოსმენას, სწავლასა და ქმედებას, რომელიც პიროვნებას ეხმარება ცხოვრებისგან იმის მიღებში, რაც სურს.

რას ვაღწევთ პიროვნებაზე ორიენტირებული მიდგომით:

- ინდივიდუალობა - ნებისმიერი ადამიანის ინდივიდუალურ თვისებებს ხედავენ და აღიარებენ;
- არჩევანი - ადამიანს საშუალება ეძლევა მიიღოს ინფორმირებული გადაწყვეტილება და აიღოს პასუხისმგებლობა საკუთარ არჩევანზე; ხოლო მის არჩევანთან დაკავშირებულ რისკებს მომსახურება ითვალისწინებს და მხარს უჭერს კლიენტს მათ შემცირებაში.
- პრივატობა - მომსახურების მიმღებთან დაკავშირებული ინფორმაცია და ყოველგვარი მოქმედება არის კონფიდენციალური;
- დამოუკიდებლობა - მომსახურების მიმღებს აძლიერებენ, რათა მან იმოქმედოს საკუთარი ინტერესებისთვის და მას მოექცნენ ღირსების დაცვით.
- ინკლუზია - მომსახურების მიმღებს მხარს უჭერენ იყოს თემის აქტიური წევრი, მონაწილეობა მიიღოს თემის ცხოვრების ყველა ასპექტში და ითვლებოდეს მის ღირებულ წევრად.

რას გულისხმობს პიროვნებაზე ორიენტირებული მიდგომის პრინციპები:

- პიროვნებაზე ფოკუსირება - მომსახურების მიმღები, მათ შორის ფსიქიკური პრობლემების მქონე პირი, არის ყველანაირი დაგეგმვისა და გადაწყვეტილების მიღების პროცესის ცენტრში, რაც მას სასურველი ცხოვრების სტილის მიღწევაში ეხმარება. პიროვნება თავად ირჩევს ამ პროცესებში მონაწილეობის ხარისხს, მისი სურვილისა და შესაძლებლობებიდან გამომდინარე. მისი მაქსიმალური ჩარულობა და მონაწილეობა წახალისებულია.
- ინკლუზიურობა და ხელმისაწვდომობა - მომსახურების გამცემი არის არა მხოლოდ კონკრეტული სერვისის მიმწოდებელი, არამედ იგი მონაწილეობს ფსიქიკური პრობლემების მქონე პირებისთვის ინკლუზიური გარემოს შექმნაში, სადაც მათ ყველა სახის საქმიანობაში (სოციალური, ეკონომიკური, სპორტული, კულტურული და სხვა) შეუძლიათ ჩართვა.

- შედეგებზე ფოკუსირება - ყველა სახის მომსახურება, პირდაპირ თუ ირიბად, მიმართულია იმაზე, რომ ფსიქიკური პრობლემების მქონე პირებმა მომსახურებიდან პოზიტიური შედეგები მიიღონ.
- სხვების ჩართულობა - პიროვნების სურვილის გათვალისწინებით, მისი ოჯახის წევრები, ახლობლები და სხვა მომსახურების მიმწოდებლები აქტიურად მონაწილეობენ ყველა პროცესში; ეს გულისხმობს პიროვნების ცხოვრებაში ისეთ ჩართვას, რომელიც მას ეხმარება სოციალური ქსელის გაფართოვებასა და სოციალურ ინკლუზიაში.
- პიროვნების პრიორიტეტებსა და ძლიერ მხარეებზე ფოკუსირება - მომსახურება ორიენტირებულია პიროვნების ამჟამინდელ და მომავალ პრიორიტეტებზე და ფოკუსირებულია მის ძლიერ მხარეებზე, ინტერესებზე, ოცნებებსა და მისწრაფებებზე; ცდილობს დაინახოს პიროვნება მისი ასაკის, სქესის, კულტურული და ეთნიკური მიკუთვნებულობის, მისი სოციალური და ეკონომიკური სტატუსისა და სხვა იმ ფაქტორების გათვალისწინებით, რომელიც განსაზღვრავს ადამიანის უნიკალურობას.
- გაზირებული ვალდებულება/პასუხისმგებლობა - ყველა, ვინც მონაწილეობს პიროვნებისთვის მომსახურების დაგეგმვასა და განხორციელებაში, პასუხისმგებელია იმ ცვლილებების გატარებაზე, რომლებზეც შეთანხმდნენ და რომლებიც აუცილებელია პიროვნებისთვის სასურველი ცხოვრების წესის მისაღებად.
- კულტურის პატივისცემა - პიროვნებაზე ორიენტირებული მიდგომა პატივს სცემს პიროვნებისთვის მნიშვნელოვან კულტურულ ფაქტორებს, როგორც შეიძლება იყოს კულტურული მიკუთვნებულობა, ენა, რელიგიური შეხედულებები და სხვა. მომსახურების დაგეგმა და განხორციელება ითვალისწინებს მისთვის მნიშვნელოვან ტრადიციებსა და ჩვეულებებს.
- პროცესის განგრძობადობა - პიროვნების სურვილებისა და ინტერესების გათვალისწინება და მისთვის ცენტრალური ადგილის მინიჭება არ არის ერთჯერადი. პიროვნებაზე ორიენტირებული მიდგომა ეფუძნება დაშვებას, რომ ფსიქიკური პრობლემების მქონე პირებს აქვთ მომავალი და მათი ინტერესები და მისწრაფები შეიძლება შეიცვალოს დროთა განმავლობაში.
- რეგულარული გადახედვა და გაუმჯობესება - რეგულარული ინტერვალებით ხდება მომსახურების დიზაინისა და მიწოდების გადახედვა, მიღებული შედეგების შეფასებისა და იმაში დარწმუნების მიზნით, რომ დაგეგმილი მიზნები მიიღწა და კვლავ აქტუალურია პიროვნებისთვის.
- ერთი პიროვნება, ერთი გეგმა - დაგეგმვის პროცესი კოორდინირებულია პიროვნების ცხოვრების ყველა მნიშვნელოვანი სფეროს მიხედვით და გულისხმობს საერთო მიზნის მისაღწევად ყველა სპეციალისტის ჩართულობასა და მხარდაჭერას.

აუცილებელია იმის აღნიშვნა, რომ პიროვნებაზე ორიენტირებული მიდგომა შშმ პირთა სოციალურ მომსახურებაში 2006 წლის გაეროს მიერ მიღებულ შშმ პირთა უფლებების დაცვის კონვენციას ეფუძნება, რომელიც საქართველოში 2013 წლიდან მოქმედებს. კონვენცია მიზნად ისახავს შშმ პირების ცხოვრება გახადოს ინკლუზიური, უზრუნველყოს მათი მონაწილეობა სოციალურ, ეკონომიკურ და პოლიტიკურ ცხოვრებაში; შშმ პირებს ჰქონდეთ შეუზღუდავი და სხვებთან თანაბარი წვდომა განათლებაზე, სამედიცინო და სოციალურ მომსახურებაზე, დასაქმებასა და ცხოვრების სხვა მნიშვნელოვან სფეროებზე. კონვენციის მიხედვით, შშმ პირთა ძირითადი უფლებები ეფუძნება შემდეგს (United Nations, 2006):

- კანონის წინაშე თანასწორობა დისკრიმინაციის გარეშე;

- საკუთარი გადაწყვეტილების მიღება;
- მათი ოჯახური ცხოვრების პატივისცემა;
- ძალადობისა და ექსპლოატაციისგან დაცვის უზრუნველყოფა;
- ინკლუზიური განათლება;
- ღირსეული ცხოვრების შესაძლებლობა;
- თემში ცხოვრებისა და საზოგადოებრივ პროცესებში მონაწილეობის მხარდაჭერა;
- ხელმისაწვდომი ფიზიკური გარემო და ინფორმაცია.

როგორ უნდა შევუწყოთ ხელი პროვინებაზე ორიენტირებული მიდგომის დანერგვას? ამ მიდგომის დანერგვა ითხოვს ყურადღების გამახვილებას ყველა დონეზე:

- ინდივიდუალურ დონეზე - ცოდნის, ღირებულებებისა და ქცევითი მოდელების განვითარება, რომლიც ხელს უწყობს პროვინებაზე ორიენტირებული მიდგომის დანერგვას;
- პროფესიულ დონეზე - პროფესიულ განათლებასა და განვითარებასთან დაკავშირებულ კურიკულუმში პროვინებაზე ორიენტირებულ მიდგომას მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს;
- ორგანიზაციულ დონეზე - პროვინებაზე ორიენტირებული მიდგომა ორგანიზაციის მუშაობის განუყოფელ ნაწილს წარმოადგენს; მას აქვს საჭირო რესურსები და ორგანიზაციული კულტურა;
- სისტემურ დონეზე - პროვინებაზე ორიენტირებული მიდგომა მაშინ არის ეფექტური, როდესაც ის დანერგილია ყველა სფეროსა და მომსახურებაში, როდესაც მას ზოგადი პოლიტიკა და პროცედურები ეფუძნება და გამოყოფილია საჭირო რესურსები ყველა დონეზე მისი დანერგვისა და მონიტორინგისთვის.

იმისთვის, რომ ყველა დონეზე მოხერხდეს პროვინებაზე ორიენტირებული მიდგომის დანერგვა, მნიშვნელოვანია ყურადღების გამახვილება ისეთ სფეროებზე, როგორცაა: მართვა/ხელმძღვანელობა, გაზიარებული ღირებულებები და რწმენები, ინდივიდუალური შედეგები, ინკლუზიური თემი და საზოგადოება, შესაბამისი ღირებულებებისა და პროფესიონალიზმის მქონე პერსონალი, სწავლა და პროფესიული განვითარება ინდივიდუალურ და ორგანიზაციულ დონეზე და თანამშრომლობა

მართვა/ხელმძღვანელობა

მართვა/ხელმძღვანელობა			
კონკრეტული მიმართულებების დადგენა	ადამიანების მომართვა განსაზღვრული მიმართულებით	მოტივირება და შთაგონება	პროვინებაზე ორიენტირებული ხედვის მხარდაჭერა

ორგანიზაციებში პროვინებაზე ორიენტირებული მიდგომის დანერგვისას, ხელმძღვანელობას აქვს შემდეგი ძირითადი პასუხისმგებლობები:

- ცვლილებებისთვის განსაზღვროს ის ძირითადი მიმართულებები, რომლებიც მიგვიყვანს საჭირო ხედვასა და სტრატეგიებამდე;
- მომართოს ადამიანები ამ მიმართულებით - მიაწოდოს ადამიანებს ინფორმაცია ახალი ხედვის შესახებ ისე, რომ მათზე გავლენა მოახდინოს და სამოქმედოდ განაწყოს;
- საჭირო ცვლილებების გზაზე არსებული წინააღმდეგობის გადალახვის მოტივაცია და ინსპირაცია აღძრას ადამიანებში;
- პიროვნებაზე ორიენტირებულ მიდგომაზე დაფუძნებულ ორგანიზაციებს სჭირდებათ ლიდერები, რომლებიც მზად არიან გამოცხადონ, რომ ორგანიზაცია, გუნდი, რომელსაც ისინი ხელმძღვანელობენ, ეფუძნება პიროვნებაზე ორიენტირებულ მიდგომას და მოიქცნენ შესაბამისად.

ორგანიზაციაში პიროვნებაზე ორიენტირებული მიდგომის დანერგვისას, თანამდებობის პირებს აქვთ ამ მიდგომის ზოგადად მხარდამჭერის როლი და მის დანერგვას ხელს უწყობენ, არა მხოლოდ უშუალოდ მომსახურების მიწოდებაში, არამედ ისეთ სფეროებშიც, როგორცაა ადამიანური რესურსები, მენეჯმენტი, ფინანსები და ადმინისტრირება. ლიდერი შეიძლება იყოს ნებისმიერი, ვისაც შეუძლია განსაზღვროს თუ როგორ შეიძლება საქმის განსხვავებულად გაკეთება და ხელი შეუწყოს ამ პროცესს. ხშირად, საკმაოდ რთულია პიროვნებაზე ორიენტირებული მიდგომის ყველა ელემენტის ინტეგრირება ორგანიზაციაში - სწორედ ლიდერის როლია იზრუნოს ორგანიზაციის ყველა სფეროში ამ მიდგომის ინტეგრირებაზე.

ორგანიზაციის წევრებში ხედვის გაზიარებისთვის სხვადასხვა რესურსის გამოყენება შეიძლება:

- ფორმალური გზები - ანგარიშები, მოხსენებები, კრებები და სხვა;
- არაფორმალური გზები - ჯგუფური დისკუსიები, „ლანჩზე“ შესვენებები და სხვა
- ლიდერის ქცევა - როდესაც ის თავის ქცევით ცდილობს იყოს საუკეთესო მოდელი.

გაზიარებული ღირებულებები და რწმენები

გაზიარებული ღირებულებები და რწმენები			
ახალი ღირებულებების დამკვიდრება	მმართველობა	შეტყობინებების გაცვლა	კომუნიკაცია და ენა

პიროვნებაზე ორიენტირებული ღირებულებების დანერგვა მუდმივად უნდა ხდებოდეს ჩვენს სამუშაო გარემოში, რომ ყველამ, ვისთვისაც ვმუშაობთ და ვისთან ერთადაც ვმუშაობთ, იცოდეს რა არის ჩვენი ღირებულებები. მნიშვნელოვანია პასუხი გავცეთ ისეთ კითხვებს, როგორცაა:

- როგორ ვახდენ ჩემი ღირებულებების დემონსტრირებას? ჩემი ერთგულება პიროვნებაზე ორიენტირებული ღირებულებების მიმართ, როგორ გამოხატება ჩემს ქცევაში?
- რა სახის შეტყობინებები შეიძლება გამოვიყენო თანამშრომლებთან, კლიენტებთან და მათი ოჯახის წევრებთან, რომ ნათლად გამოვხატო ჩემი პიროვნებაზე ორიენტირებული ღირებულებები?
- როგორ გამოხატავს პიროვნებაზე ორიენტირებულ ღირებულებებს ჩემი საქმიანობა და მართვის სტილი?

რას ვაკეთებთ, რაც კარგად გამოხატავს პიროვნებაზე ორიენტირებულ მიდგომას:

- ვზრუნავთ ურთიერთობებზე;
- ვართ კრეატიულები;
- პატივს ვცემთ გარშემომყოფებს;
- ვართ გულისხმიერები;
- ვართ გაბედულები.

ინდივიდუალური შედეგები

ინდივიდუალური შედეგები			
ძირითადი აქცენტი ადამიანებზე	გეგმებს წარმართავს ინდივიდუალური მიზანი	გამოწვევებთან გამკლავება	ბარიერების გადალახვა

ორგანიზაცია, რომელიც იყენებს პიროვნებაზე ორიენტირებულ მიდგომას აქცენტს აკეთებს ადამიანებზე, რომლებსაც მხარს უჭერს და არა მომსახურებებზე, რომლებსაც სთავაზობს. ეს ნიშნავს, რომ მომსახურების დაგეგმვისას და განხორციელებისას ამოსავალი უნდა იყოს იმ ადამიანების სურვილები და მისწრაფებები, რომლებსაც ვემსახურებით. მთავარი გასაღებია მოვუსმინოთ ადამიანებს.

მომსახურების დაგეგმვისა თუ განხორციელებისას, უნდა დავსვათ შემდეგი კითხვები:

- რამდენად გამოხატავს ეს აქტივობა იმ ადამიანების საჭიროებებსა და სურვილებს, რომლებსაც ჩვენ მხარს ვუჭერთ?
- რა შემთხვევაში გავაკეთოთ იმ ბარიერების შესამცირებლად, რომლებიც გვხვდება ჩვენი ბენეფიციარებისთვის დასახული მიზნების მისაღწევად?
- რამდენად მონაწილეობს პიროვნება, რომელსაც მხარს ვუჭერთ, გადაწყვეტილების მიღების პროცესში? რამდენად ვითვალისწინებთ მის არჩევანს?
- რას გულისხმობს წარმატება ამ პიროვნებისთვის?
- რომელ შედეგს თვლის მნიშვნელოვანად პიროვნება?

ინკლუზიური თემი და საზოგადოება

ინკლუზიური თემი და საზოგადოება			
თემში არსებული ურთიერთობები და თემში ჩართულობა	ინკლუზია და უსაფრთხოება	გამოწვევებთან გამკლავება	ბარიერების გადალახვა

პიროვნებაზე ცენტრირებულ მიდგომაზე დაფუძნებულ ორგანიზაციებს მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვთ იმ თემში, რომლებშიც მუშაობენ. არაერთი კვლევა აჩვენებს, რომ შშმ პირებსა და მათ ოჯახებს უფრო სავსე ცხოვრება აქვთ, თუ მათ ადგილობრივი თემიდან მხარდაჭერა აქვთ. თემში არსებული კონტაქტები შშმ პირებსა და მათ ოჯახებს შესაძლებლობას აძლევს უფრო აქტიურად ჩაერთონ თემის ცხოვრებაში და წვლილი შეიტანონ მის განვითარებაში; შესაბამისად, იყვნენ თემის ღირსეული და მნიშვნელოვანი წევრები.

ორგანიზაციას, რომელიც ეყდნობა პიროვნებაზე ორიენტირებულ მიდგომას, შეუძლია:

- ხელი შეუწყოს მომსახურების მიმღებისა და მისი ოჯახის წევრების დაკავშირებას ადგილობრივი თემის წევრებთან, სოციალური და მეგობრული კავშირების ჩამოყალიბებას.
- ითანამშრომლოს იმ ორგანიზაციებთან, რომლებიც არ მუშაობენ შშმ პირებთან, რათა მათ თავიანთ პროგრამებსა და აქტივობებში გაითვალისწინონ შშმ პირთა საჭიროებები და ინტერესები.
- კარგად გააანალიზოს ადგილობრივი თემის ძლიერი მხარეები და გამოწვევები, რათა უზრუნველყოს შშმ პირებისთვის უსაფრთხო გარემო და მინიმუმამდე დაიყვანოს რისკები;
- ხელი შეუწყოს და წახალისოს პოზიტიური ურთიერთობები, ფორმალური და არაფორმალური ქსელების განვითარება.

შესაბამისი ღირებულებებისა და პროფესიონალიზმის მქონე პერსონალი

შესაბამისი ღირებულებებისა და პროფესიონალიზმის მქონე პერსონალი			
ღირებულებებზე დაფუძნებული რეკრუტირება და მიკუთვნებულობა	სიცხადე როლების განაწილებაში და აღიარება	გამლიერება და მხარდაჭერა	მენტორობა და სუპერვიზია

პიროვნებაზე ორიენტირებული მიდგომა აუცილებლად გულისხმობს ადამიანებისადმი პატივისცემითა და ღირსების დაცვით მოპყრობას. ორგანიზაციაში ეს ვრცელდება როგორც მომსახურების მიმღებებზე, ისე პერსონალზე. პერსონალი, რომელიც არის სათანადოდ დაფასებული და შეუძლია გადაწყვეტილების მიღება, რისკების საკუთარ თავზე აღება და იყენებს კრეატიულ მიდგომებს, მეტად შეძლებს მომსახურების პროცესი პიროვნებაზე ორიენტირებული მიდგომის შესაბამისად წარმართოს. პერსონალი უნდა იყოს წახალისებული და დაფასებული მისი მიღწევებისთვის. მენეჯმენტის მხრიდან მას უნდა ჰქონდეს საკმარისი ნდობა იმისთვის, რომ კარგად შეასრულოს თავისი საქმე. მენეჯერებს შეუძლიათ გაუწიონ მენტორობა და სუპერვიზია, დაამყარონ პოზიტიური დიალოგი და მისცენ ნათელი ინსტრუქციები. მნიშვნელოვანია, პერსონალმა იგრძნოს რომ მათ აფასებენ და პატივს სცემენ.

მენეჯმენტმა პერსონალის მიმართ პატივისცემა და დაფასება შეიძლება სხვადასხვა გზით გამოხატოს:

- დაიქირავოს სწორი ადამიანები, შესაფერისი ღირებულებებით;
- შესთავაზოს ტრენინგი და ნათლად დაანახოს მათი ღირებულება, საჭიროება;
- მხარი დაუჭიროს მენტორობითა და სუპერვიზიით;
- წახალისოს და დააჯილდოვოს მიღწევებისთვის;
- მხარი დაუჭიროს მათ, ვისაც გარკვეული სირთულეები აქვს;
- განავითაროს და შეინარჩუნოს ისეთი ორგანიზაციული კულტურა, სადაც პერსონალი ორგანიზაციის ღირებულ ნაწილად ითვლება;
- პერსონალთან მიმართებაში, გამოიყენოს პიროვნებაზე ორიენტირებული მიდგომა;
- შექმნას ერთიანი ხედვა, სადაც მენეჯმენტსა და პერსონალს ერთნაირად ესმის, თუ რას გულისხმობს წარმატება.

სწავლა და პროფესიული განვითარება ინდივიდუალურ და ორგანიზაციულ დონეზე

სწავლა და პროფესიული განვითარება ინდივიდუალურ და ორგანიზაციულ დონეზე			
რეფლექსიაზე დაფუძნებული პრაქტიკა	უწყვეტი განვითარება	პროფესიული თემი	სტრუქტურირებული სწავლება

შშმ პირებთან მუშაობის კონტექსტი მუდმივად იცვლება - ცვლილებები შედის მუშაობის მეთოდოლოგიაში; ასევე, მუდმივად იცვლება პროგრამების დაფინანსების მექანიზმები და ხარისხის უზრუნველყოფის სტანდარტები. შშმ პირებთან მომუშავე პროფესიონალებს უნდა ჰქონდეთ საკმარისი ცოდნა, უნარები და გამოცდილება რომ ეფექტურად იმუშაონ მუდმივად ცვალებად გარემოში. თითოეული თანამშრომლისთვის, რომელიც ეყრდნობა პიროვნებაზე ორიენტირებულ მიდგომას, გამოწვევას წარმოადგენს ისწავლოს

გამოცდილებიდან და მოერგოს მუდმივად ცვალებად კონტექსტს ისე, რომ მიაღწიოს კლიენტისთვის სასურველ მიზნებსა და გააუმჯობესოს შედეგები.

კლიენტზე ორიენტირებული მიდგომის მქონე ორგანიზაციებში, პერსონალის უწყვეტ განათლებას შემდეგი გზებით უზრუნველყოფენ:

- პრაქტიკასთან დაკავშირებით პროფესიული რეფლექსიის უზრუნველყოფა ფორმალური სუპერვეზიის, შეხვედრებზე თანასწორთა უკუკავშირისა და სამუშაო ჯგუფებზე დისკუსიების ორგანიზების გზით;
- საკმარისი დროისა და თანმიმდევრული ძალისხმევით გამოყოფა პროფესიული თემის განვითარების ხელშესაწყობად - ინოვაციური მიდგომების, საუკეთესო პრაქტიკებისა და ახალი იდეების გასაცნობად.
- პერსონალისთვის ფორმალური და არაფორმალური განათლების მიღების შესაძლებლობის უზრუნველყოფა.
- პერსონალის პროფესიული განვითარების ხელშეწყობა ხარისხის სტანდარტების განვითარებით, შეფასებისა და უკუკავშირების მექანიზმების დაწესებით.

თანამშრომლობა/პარტნიორობები

თანამშრომლობა/პარტნიორობები			
სტრატეგიული	პროფესიული	თემი	ადამიანები, ოჯახები და მზრუნველები

შშმ პირებს, მათ ოჯახსა და მზრუნველებს, სახელმწიფო სააგენტოებს, შშმ პირებთან და სხვა თემებზე მომუშავე ორგანიზაციებს, ყველას შეუძლია წვლილი შეიტანოს ინკლუზიური თემის მშენებლობაში, რომელშიც შშმ პირები თანასწორი და ღირებული მონაწილეები არიან. ასეთი პარტნიორობების შექმნის ხელშეწყობით, პიროვნებაზე ორიენტირებული მიდგომის მქონე ორგანიზაცია შშმ პირებს ეხმარება მათი მიზნების მიღწევაში და ხელს უწყობს იცხოვრონ „ჩვეულებრივი ცხოვრებით“.

პიროვნებაზე ორიენტირებულ მიდგომაზე დაფუძნებული პარტნიორობები გულისხმობს:

- შშმ პირებს;
- მათ ოჯახებს, მზრუნველებს და მხარდაჭერებს;
- თემის წევრებს და თემის დამაკავშირებლებს (მაგალითად, ხანდაზმულებს);
- პროფესიულ და კლინიკურ ჯგუფს;
- უფრო ფართო თემს;
- შშმ პირებთან მომუშავე სხვა ორგანიზაციებს;
- „მეინსტრუმულ“ ორგანიზაციებს;
- კორპორაციებსა და ბიზნეს ორგანიზაციებს;
- ადვოკატირებაზე მომუშავე ორგანიზაციებს.

პიროვნებაზე ორიენტირებულ მიდგომაზე დაფუძნებული ორგანიზაციის პერსონალს აქვს საჭირო ცოდნა და უნარები იმისთვის, რომ ხელი შეუწყონ ასეთი პარტნიორობების განვითარებას როგორც *ინდივიდუალურ დონეზე* - როდესაც ისინი მხარს უჭერენ შშმ პირს ადგილობრივი თემის აქტივობებისა და მომსახურების ხელმისაწვდომობაში; ასევე, *პროფესიულ დონეზე* - როდესაც ისინი მონაწილეობენ უკეთესი ტექნიკებისა და საზომების შექმნაში და სისტემურ დონეზე - როდესაც მხარს უჭერენ დამოკიდებულებების შეცვლასა და მიმღებლობის გაზრდაში. ძლიერი, მდგრადი და პოზიტიური პარტნიორობები პიროვნებაზე ორიენტირებული პრაქტიკის საფუძველს წარმოადგენს.

მნიშვნელოვან პარტნიორობებს წარმოადგენს ისინი, რომლებიც:

- უზრუნველყოფენ უნივერსალური მომსახურების მიწოდებას - ტრანსპორტი, გასართობი აქტივობები, ჯანდაცვა, განათლება, საცხოვრებელი და ინფორმაციასა და კონსულტირებაზე წვდომა;
- ხელს უწყობენ არჩევანისა და საკუთარ ცხოვრებაზე კონტროლის მიღწევის შესაძლებლობის შექმნას - აყალიბებენ მომსახურებებს, რომლებიც ერგებიან ადამიანების საჭიროებებს და არა პირიქით - აყალიბებენ ადამიანებს, რომ ისინი მოერგონ უკვე არსებულ მომსახურებებს;
- აშენებენ სოციალურ კაპიტალს - ზრუნვა და მხარდაჭერა, რომლის მიღებაც შშმ პირებსა და მათზე ზრუნველებს შეეძლებათ ადგილობრივი თემისგან, მეგობრებისგან, მეზობლებისგან და სხვადასხვა ჯგუფებისგან;
- უზრუნველყოფენ პრევენციასა და ადრეულ ინტერვენციას - მხარდაჭერა, რომელიც ხელმისაწვდომია ადამიანებისთვის, რომ დარჩნენ დამოუკიდებელნი საკუთარ სახლებში, რამდენ ხანსაც შესაძლებელი იქნება.

ფსიქიკური პრობლემების მქონე პირთა მხარდაჭერის პოზიტიური გზები

თავში თავში მოცეული ტექსტის ძირითადი ნაწილი თარგმნილია შემდეგი პუბლიკაციიდან: Devision of Mental Health, Developmental Disabilities and Addictive Desasaes (2005) Behavior Supports Manual - Guidelines for supporting adults with challengins behaviors in community settings.

არ აქვს მნიშვნელობა, ვისთან ვურთიერთობთ - იქნება ეს მეგობარი, თანამშრომელი თუ კლიენტი, ჩვენ ყოველთვის შეგვიძლია *ყველას* მიმართ გამოვხატოთ მხარდაჭერა და გამოვიყენოთ ურთიერთობის მხარდაჭერი გზები. ფსიქიკური პრობლემების მქონე პირებთან მუშაობისა და ურთიერთობის დროს, ეს მიდგომა განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, რადგან ამ ადამიანებს ხშირად ახასიათებთ ე. წ. რთული ქცევა (challenging behavior) და მათ მხარდაჭერაზე მიმართული პოზიტიური კომუნიკაცია კარგ შედეგებს იძლევა.

რას ვუწოდებთ რთულ ქცევას? რთულ ქცევად ითვლება ისეთი ქცევა, რომელსაც სხვები პრობლემურად მიიჩნევენ; ქცევა, რომელიც გარემოსთან ნაკლებად შესატყვისია; ის შესაბამისობაში არ მოდის იმასთან, რაც მიღებულია მოცემულ თემში, თუ საზოგადოებაში. რთული ქცევა პიროვნებისთვის მნიშვნელოვანი ბარიერი ხდება საზოგადოებასთან

ურთიერთობისას და ხშირად, თემისგან/საზოგადოებისგან მისი გარიყვის მნიშვნელოვანი მიზეზი ხდება. რთული ქცევა შეიძლება განსხვავდებოდეს სერიოზულობისა და ინტენსივობის ხარისხის მიხედვით. ის, თუ რას ვეძახით „რთულ ქცევას“ შეიძლება განსხვავდებოდეს თემისა და საზოგადოების მიხედვით - იქიდან გამომდინარე, თუ მოცემულ თემსა თუ საზოგადოებაში, რას მიიჩნევენ მისაღებ და მიუღებელ ქცევად.

სანამ დეტალურად განვიხილავთ რთული ქცევის გამომწვევ მიზეზებსა და მასთან გამკლავების გზებს, უკეთესად უნდა გავერკვეთ ზოგადად, ადამიანის ქცევაში და იმ ფაქტორებში, რომლებიც მასზე გავლენას ახდენს. ადამიანის ქცევა არის ყველაფერი ის, რასაც ყოველდღიურ ცხოვრებაში ვაკვირდებით - ღიმილი, საუბარი, ჭამა, ჩაცმა და სხვა. სხვადასხვა სიტუაცია თუ გარემო, ადამიანს ქცევის განსხვავებულ „წესებს“ უყენებს. მაგალითად, განსხვავებული ქცევა მოგვეთხოვება ბიბლიოთეკასა და სტადიონზე. ასევე, განსხვავებული შეიძლება იყოს ადამიანის შეხედულებები იმის შესახებ, თუ რა სახის ქცევას ელიან მისგან. როდესაც ადამიანს არ ესმის ეს მოლოდინები, ის მათ ვერც აკმაყოფილებს და მისი ქცევა ნაკლებად მისაღები ხდება; ეს კი, ზღუდავს მის სოციალურ კონტაქტებს - ის ნაკლებად სასურველი ხდება და ნაკლებად ეძლევა თემში აქტიურად მონაწილეობის შესაძლებლობა.

ადამიანის ქცევაზე ბევრი ფაქტორი ზემოქმედებს. ქცევას სხვადასხვა მიზანი და ფუნქცია აქვს - ის შეიძლება მიმართული იყოს რაღაცის მიღებისკენ, თავის არიდებისკენ, სიამოვნების მიღებისკენ და სხვა. ზოგიერთი ქცევა შეიძლება განპირობებული იყოს ნევროლოგიური ფაქტორებით, როგორცაა, მაგალითად, აუხსნელი მოძრაობები ან ხმები - ადამიანი ვერ აკონტროლებს ამ ქცევას. ასეთი ქცევების შესწავლით შეიძლება დავადგინოთ მათი გამომწვევი ფაქტორები - ე.წ. „თრიგერები“, რომლებიც ჩამრთველის როლს ასრულებს და იწვევს კონკრეტულ ქცევას. ზოგადად, ადამიანის ქცევაზე გავლენის მომხდენი ფაქტორები შეიძლება დავაჯგუფოთ შემდეგ კატეგორიებში:

- **ფიზიოლოგიური** - მომდინარეობს ჩვენი ფიზიკური მდგომარეობიდან; ამის მაგალითი შეიძლება იყოს ტკივილის განცდა, ჩხვლეტები გულის არეში, შიმშილის განცდა, რომლის გამო არ შეგიძლიათ ფიქრი, საპირფარეშოში შესვლის საჭიროება და სხვა.
- **სოციალური** - მომდინარეობს ნებისმიერი სიტუაციიდან, რომელშიც კი ვყოფილვართ ჩათული; ამის მაგალითი შეიძლება იყოს იმ სახის დანახვა, რომელიც გახსენებთ არასასურველ ადამიანს, მუდამ ერთი და იგივე ადამიანების გარემოცვაში ყოფნა და სხვა.
- **ფსიქოლოგიური** - მომდინარეობს ჩვენი ემოციებისგან, გრძნობებისა და აზრებისგან; ამის მაგალითი შეიძლება იყოს ბრაზი, რომელიც შეიძლება გამოწვეული იყოს ვინმეს სიტყვებით, სიცილით, როდესაც არ გვესმის მისი გამომწვევი მიზეზი, ჩვენი მისამართით ნათქვამი კომენტარი და სხვა.
- **გარემოსეული** - მომდინარეობს ჩვენს გარშემო არებული ნებისმიერი ფაქტორიდან. ამის მიზეზი შეიძლება იყოს ბნელი შენობა, ქარიშხალი, მეტისმეტად ცხელი დღე, მანქანების ხმაური და სხვა.

რათქმავუნდა, რთულია ბოლომდე გავიგოთ თუ რა ხდება ადამიანის შიგნით, თუმცა ნებისმიერ ქცევაზე დაკვირვება და აღწერა შეიძლება. აღწერის დროს კი არ უნდა დაგვავიწყდეს ადამიანის შინაგანი მდგომარეობა - ძალიან რთულია კონცენტრირდე საქმეზე, როდესაც გჭირდება საპირფარეშოში შესვლა ან გტკივა კბილი, ან გწყურია, ან ჩაგესმის ხმები, რომლებიც გეუბნებიან რომ უნდა ეჩხუბო ოჯახის წევრებს. ძალიან

ხშირად, ჩვენ მომენტალურად ვაკეთებთ დასკვნებს, როგორც კი თავს იჩენს „არასასურველი ქცევა“. სწორი იქნება, თუ პირველ რიგში დავსვავთ კითხვას - „რას გვეუბნება პიროვნების ქცევა?“ პასუხი ამ კითხვაზე უკავშირდება სწორედ ფიზიოლოგიურ, სოციალურ, ფსიქოლოგიურ და გარემოსეულ ფაქტორებს, რომლებიც შეჯამებულია ქვემოთ მოცემულ ცხრილში.

ცხრილი 2.1

ქცევის გამომწვევი „მიზეზები“

ფიზიოლოგიური	გარემოსეული	ფსიქოლოგიური	სოციალური
ალერგია	ჰაერის ხარისხი	შფოთვა	მიმტერებით ყურება
ართრიტი	სხვების სიახლოვე	ასერტულობა	ცვლილებები პერსონალში
ყურადღების დეფიციტი	ტენიანობა	დამოკიდებულებები რწმენები	კრიტიკა
ჰალუცინაციები	განათება	მოწყენილობა	საფრთხე
დემენცია	ფიზიკური გარემოს სიმჭიდროვე	შიში	არჩევანის არარსებობა
ყურის, კბილის და სხვა ტკივილი	ხმაური	მარტობა	კონკრეტული ადამიანის გარემოცვაში ყოფნა
მოჭარბებული ენერგია	სუნი	ფობიები	სექსუალური პროვოცირება
ენერჯის ნაკლებობა	ტემპერატურა	პიროვნული მახასიათებლები	საუბრის ტონი
შიმშილი	არაკომფორტული ავეჯი	სიმორცხვე	უსაქმურობა
წამლის გვერდითი მოვლენები		ეჭვიანობა	ბევრი საქმე
პრემენსტრუალური სინდრომი		შურისძიება	
<u>და ბევრი სხვა მდგომარეობა!</u>	<u>და ბევრი სხვა მდგომარეობა!</u>	<u>და ბევრი სხვა მდგომარეობა!</u>	<u>და ბევრი სხვა მდგომარეობა!</u>

იმისთვის რომ რთული ქცევის მქონე პირთან პოზიტიური კომუნიკაცია შევძლოთ, კარგად უნდა გვესმოდეს, თუ რას გამოხატავს ამ ქცევით ადამიანი და რა არის მისი გამომწვევი მიზეზები. პირველ რიგში, უნდა გვახსოვდეს, რომ რთული ქცევა ხშირად სამედიცინო და ფსიქიატრიულ მდგომარეობას უკავშირდება. ეს განსაკუთრებით ეხება ისეთ შემთხვევებს, როდესაც ადამიანის ქცევა ჩვენთვის უბრალოდ გაუგებარია. მისი ქცევა შეიძლება იყოს გვერდითი ეფექტი იმ წამლისა, რომელსაც ის მისი სამედიცინო მდგომარეობის გამო იღებს - მაგალითად, ხმოვან ჰალუცინაციებთან გასამკლავებლად. ის ადამიანები, რომლებიც ასეთ წამლებს იღებენ ზოგჯერ აღნიშნავენ, რომ ამ წამლების გვერდითი ეფექტი უფრო ცუდი გამოცდილებაა, ვიდრე ხმები, რომლებიც ჩაესმით.

მეორე, რაც გასათვალისწინებელია რთული ქცევის გამომწვევი მიზეზების განხილვისას არის მარტობა, რომელსაც ადამიანები განიცდიან; და კვლავ, ეს განსაკუთრებით ეხება ისეთ ქცევებს, რომლებიც ჩვენთვის სრულად გაუგებარია. რთული ქცევის მიზეზი შეიძლება იყოს ადამიანის ცხოვრებაში ჩვეულებრივი, ნორმალური ურთიერთობების არარსებობა - გასარკვევია, რამდენად აქვს ამ ადამიანს შესაძლებლობა ჩართული იყოს თავის თემში და ჰქონდეს იქ ურთიერთობების დამყარების შესაძლებლობა. როგორია მისი ურთიერთობები მომსახურების მიმწოდებელ პერსონალთან? სამუშაო მოვალეობების გამო პიროვნებასთან ყოფნა სრულებით არ ნიშნავს მასთან ადეკვატური ურთიერთობის დამყარებას. მომსახურების მიმწოდებელი უნდა დაფიქრდეს - თუ დაგეგმილ ინტერვენციებს არ მიჰყავს პიროვნება შინაარსიან ცხოვრებასა და ურთიერთობებთან, მაშინ რა შედეგს ვიღებთ ამ ქმედებებით?

როდესაც ადამიანი რთულ ქცევას ავლენს, ხშირად არ ვითვალისწინებთ საფუძვლად არსებულ სამედიცინო თუ ფსიქიატრიულ მდგომარეობას; ჩვენ უბრალოდ ვღიზიანდებით და გამოვთქვამთ სხვადასხვა სახის არასასიამოვნო კომენტარს. თუმცა, ასეთი რეაგირებით კიდევ უფრო ვართულებთ ამ ქცევას. როგორც ამ სფეროში მომუშავე ერთ-ერთი სპეციალისტი აღნიშნავს - „სანამ ჩვენ ვერ შევძლებთ იმას, რომ ადამიანმა თავი უკეთ იგრძნოს, მისი რთული ქცევა არ შეწყდება“.

წამლებისა და სამედიცინო მდგომარეობის გარდა, ფსიქიკური პრობლემების მქონე პირების რთული ქცევის გამომწვევი მიზეზი შეიძლება იყოს სოციალურ გარემოში მათი ფიზიოლოგიური თუ ფსიქოლოგიური რეაქციების არასწორი ინტერპრეტაცია ან მიუღებლობა. სანამ განსაზღვრულ ქცევას მივაწერთ ადამიანს, მნიშვნელოვანია იმის გააზრება, თუ რას გამოხატავს ის კონკრეტული რთული ქცევით. ქვემოთ მოცემულია რამდენიმე კითხვა, რომელიც გასათვალისწინებელია, როდესაც ვცდილობთ რთული ქცევის მიზეზების გაგებას:

1. *რთული ქცევა სამედიცინო მდგომარეობის სიმპტომი ხომ არ არის?* მაგალითად, ნევროლოგიური დარღვევების მქონე პირმა აღფრთოვანებისას შეიძლება დაგარტყათ - უნებლიე მოძრაობების ან კუნთების სუსტი კონტროლის გამო.
2. *რამდენად დამაკმაყოფილებელია ადამიანის ცხოვრების ხარისხი (მათი გადასახედიდან) პიროვნული ურთიერთობების, პერსონალური არჩევანის შესაძლებლობის ან ცხოვრებისეულ პირობებთან მიმართებით?*
3. *რთული ქცევა ხომ არ არის წამლის გვერდითი მოვლენა?*
4. *რთული ქცევა ხომ არ არის სხვა დაკავშირებული ქცევების ჯაჭვის ნაწილი?* მაგალითად, თუ პიროვნებას არ უნდა სახელოსნოში წასვლა, მან შეიძლება მიმართოს რამდენიმე ქცევას; მაგალითად, უარი თქვას დილით საწოლიდან ადგომაზე, მოიავადმყოფოს თავი, გაიქცეს სახლიდან ან თავს დაესხას სხვებს.

თუ ასეა, ერთმა ინტერვენციამ შეიძლება მოაგვაროს ბევრი პრობლემა. თუ ეს დანახული არ იქნება, პრობლემების მოგვარების გზები ეფექტური ვერ იქნება.

5. **რთული ქცევა გარკვეული უნარის ან უნარების ნაკლებობით ხომ არ არის გამოწვეული?** ხშირად, რთული ქცევა უკავშირდება შესაბამისი უნარის არარსებობას. მაგალითად, როდესაც ადამიანს ვთხოვთ გააკეთოს რაღაც, რაც მას არ შეუძლია, ის შეიძლება გაღიზიანდეს და პასუხად დაგარტყათ ან ვთხოვით წასვლა.

ზოგადად, რთული ქცევის სწორი ინტერპრეტაციისთვის, პასუხი უნდა გასცეთ შემდეგ კითხვებს:

1. **რას ნიშნავს ეს ქცევა პიროვნებისთვის? მისი გადასახედიდან, რა პოზიტიურ გამოცდილებას უკავშირდება?** მაგალითად, ზოგიერთ ადამიანს ნებისმიერი სახის ყურადღება სიამოვნებას ანიჭებს, ზოგიერთს კი- სიწყნარე და სიჩუმე ურჩევნია. ქცევა, რომელიც პიროვნებისთვის სასურველ მდგომარეობას უკავშირდება, სავარაუდოდ, განმეორდება. შესაბამისად, მნიშვნელოვანია, ადამიანებს არჩევანის საშუალება მივცეთ, როგორც პიროვნული კონტროლის საშუალება.
2. **რას არიან ამ ქცევით თავს პიროვნება?** მაგალითად, მეტისმეტად ხმაურიანი ადამიანების ცემას მოჰყვება ის, რომ მოძალადე პიროვნებას განარიდებენ მათგან და სხვებისგან იზოლაციაში მოათავსებენ - სწორედ ის, რაც „მოძალადეს“ უნდოდა. ასევე, თავის მოავადმყოფების შედეგად, პიროვნებას არ უშვებენ სკოლაში, რომელიც პიროვნებისთვის ძალიან სტრესულ ადგილს წარმოადგენს.

ქვემოთ მოცემულია რამდენიმე მაგალითი, თუ როგორ იმოქმედა მომსახურების მიმწოდებელმა ორგანიზაციამ ბენეფიციარის რთული ქცევის მიზეზების შესასწავლად და მასთან გასამკლავებლად:

მაგალითი #1

ბატონ ჯონს აქვს მძიმე გონებრივი განვითარების დარღვევა. მას არ შეუძლია ლაპარაკი. მას არასოდეს გამოუვლენია სხვების მიმართ ძალადობა. თუმცა, ერთ საღამოს, სახლში განრისხდა და დაიწყო ნივთების სროლა. ის წაიყვანეს ადგილობრივ სასწრაფო რეაგირების კაბინეტში, რათა კრიზისული ინტერვენციის სპეციალისტს ენახა. ის მოათავსეს ფსიქიატრიულ კლინიკაში ფსიქოზის დიაგნოზით.

თუმცა, ჰოსპიტალში ექიმმა დაადგინა, რომ ბატონ ჯონს აწუხებდა საჭმლის მომწოდებელი სისტემის სერიოზული პრობლემები, რაც იწვევდა გაუვალობას, ეს კი მას ძლიერ დისკომფორტს უქმნიდა და ტკივილს აყენებდა. ექიმებმა სასწრაფოდ დაიწყეს ამ დაავადების მკურნალობა, რის შემდეგაც ბატონი ჯონსის ნერვიული შეტევები არ განმეორებულა. ოჯახში მასზე მზრუნველ პირს ასწავლეს, როგორ უნდა ეკონტროლებინა სიტუაცია. შედეგად, ბატონი ჯონსის ფსიქიატრიულ კლინიკაში მოთავსების საჭიროება აღარ დამდგარა და არც მისი რთული ქცევის დარეგულირების გეგმა გამხდარა აქტუალური.

მაგალითი #2

ქალბატონ სმიტს არასდროს გამოუვლენია პრობლემები ქცევაში. ბოლო პერიოდში, ის გახდა ჩაკეტილი და ნაკლებ ინტერესს ავლენდა სამსახურში პროფესიული უნარების ტრენინგის მიმართ - აღარ სურდა პროგრამაში მონაწილეობა. თანდათან მისი ჩაკეტილობა გადაიზარდა რისხვის შეტევებში - ის უარს აცხადებდა სატრენინგო პროგრამაში მონაწილეობაზე. ცუდად ყოფნის მომიზეზებით, ცდილობდა თავიდან აეცილებინა სამსახურში წასვლა. ის წაიყენეს ფსიქიკური ჯანმრელობის ცენტრში ფსიქიატრიული შეფასებისთვის. მას გამოუწერეს წამლები, როგორც დეპრესიის, ისე ფსიქოზოს სამკურნალოდ.

რამდენიმე დღის შემდეგ, სხვა სააგენტოს კონსულტანტი, რომელიც ინტენსიურად მუშაობდა ქალბატონ სმიტთან და საკმაოდ ახლოს იყოს მასთან, მივიდა მის სამსახურში და შეხვდა პროფესიული უნარების სატრენინგო პროგრამის თანამშრომლებს. კონსულტანტმა იცოდა, რომ წლების წინ ქალბატონი სმიტი გააუპატიურეს - მოძალადე იყო მაღალი კაცი, მკლავზე ტატუთი. პროგრამის თანამშრომლებმა გაიხსენეს, რომ ქალბატონი სმიტის პრობლემები დაიწყო იმ პერიოდიდან, როდესაც ის გადაიყვანეს ახალ ჯგუფში, სადაც იყო მამაკაცი მკლავზე ტატუთი. მიუხედავად იმისა რომ ეს კაცი არ იყო მოძალადე, მან გამოიწვია ქალბატონ სმიტში პოსტ-ტრავმული სტრესული რექცია. ამ ინფორმაციის მიღების შემდეგ, პროგრამის თანამშრომლებმა ქალბატონი სმიტი სხვა ჯგუფში გადაიყვანეს. ქალბატონ სმიტის ჩაკეტილობა, რისხვა და თანამშრომლობაზე უარი მომენტალურად გაქრა. მას აღარ დასჭირდა წამლების მიღება და ქცევის დარეგულირების გეგმა. ასევე, მან განაახლა ადგილობრივი ფსიქიკური ჯანმრთელობის ცენტრში თერაპიაზე სიარული - ის ცდილობდა იმ უნარების განვითარებას, რომლებიც მომავალში მსგავს სიტუაციასთან გამკლავებაში დაეხმარებოდა.

მაგალითი #3

ქალბატონი სტეისი არის 30 წლის ქალი, რომელსაც აუტიზმი აქვს. ის კომუნიკაციას არ ამყარებს სიტყვებით, მაგრამ აქვს მკაცრად გამოხატული დამოკიდებულებები იმის შესახებ, თუ რა მოსწონს და რა არ მოსწონს. ქალბატონი სტეისი ცხოვრობს საკუთარ სახლში 24 საათიანი მხარდაჭერის პირობებში. წლების განმავლობაში ის დადის ადგილობრივ სარეაბილიტაციო ცენტრში. ცენტრს აქვს მკაცრი წესები „შესაბამისი ქცევის“ შესახებ, მაგრამ ქალბატონი სტეისი არასოდეს მისდევს ამ წესებს. მას მოსწონს ინდივიდუალური სესიები, თუმცა უარს ამბობს მონაწილეობა მიიღოს ჯგუფურ აქტივობებში. ჯგუფური აქტივობების დროს ის ყვირის, ისვრის საგნებს და იხდის საცვალს. ჯგუფური გასვლების დროს, ყვირის მინი ავტობუსში, წვება იატაკზე და არ დგება.

ცენტრის თანამშრომლები მეტად შეწუხებული იყვნენ ქალბატონი სტეისის ქცევით. ის მშვიდად მხოლოდ მაშინ იყო, როდესაც საშუალებას აძლევდნენ მარტოობაში დაეთვალთვალებინა თავისი ჟურნალ-გაზეთები, ხშირად მხოლოდ ერთი თანამშრომლის თანდასწრებით. თუმცა, ცენტრს არ შეეძლო ასეთი ინდივიდუალური მუშაობის უზრუნველყოფა, რადგან ეს ყურადღებას აკლებდა სხვა ბენეფიციარებს. ქალბატონ სტეისის, მისი ოჯახის წევრებსა და მომსახურების მიმწოდებლებს არაერთი შეხვედრა ჰქონდათ ამ სიტუაციასთან დაკავშირებით, პრობლემის მოსაგვარებლად სცადეს არაერთი გზა, თუმცა არაფერმა იმუშავა.

წესების მრავალგზის დარღვევის გამო, ცენტრმა უარი უთხრა ქალბატონ სტეისის მომსახურებაზე. მან ახალი მომსახურების მიღება დაიწყო - პერსონალური მომსახურების მიწოდებელი დღის განმავლობაში მუშაობდა ქალბატონ სტეისისთან. მას აღარ სთხოვდნენ ჯგუფურ აქტივობებში მონაწილეობას. მას შეეძლოა თავად დაეგეგმა აქტივობები მისთვის სასურველ ადამიანთან ერთად. ახალი მომსახურების შემდეგ, მან შეწყვიტა ტანზე გახდა, მნიშვნელოვნად შემცირდა სხვა რთული ქცევებიც. ის გახდა უფრო მშვიდი და მეტად იღიმის. პერიოდულად, კვლავ ყვირის და ისვრის საგნებს, თუმცა ეს ძირითადად უკავშირდება მენსტრუალური ციკლის პერიოდებსა და განსაზღვრულ მოვლენებს. მისი „რთული ქცევი“ უფრო ლოკალიზებულია და მათთან გამკლავება უფრო მარტივი გახდა. სასურველ გარემოში, ინდივიდუალური მხარდაჭერის მიღების შედეგად, ქალბატონ სტეისის საშუალება მიეცა თემში ჩართულიყო ისე, როგორც მას სურდა და მეტი სიამოვნება მიეღო ცხოვრებიდან.

როდესაც ვსაუბრობთ ფსიქიკური პრობლემების მქონე პირთა მხარდაჭერის პოზიტიურ გზებზე, უნდა გვახსოვდეს, რომ მხარდაჭერა და პოზიტიური კომუნიკაცია მნიშვნელოვანია არა მხოლოდ ამ ჯგუფისთვის. ეს არის მიდგომა, რომელიც ადამიანმა ყველგან და ყოველთვის უნდა გამოიყენოს. უნდა გვახსოვდეს, რომ ადამიანებს მოვექცეთ ისე, როგორც გვინდა რომ ჩვენ მოგვექცნენ. ნებისმიერი პირი, რომელიც ადამიანებთან მუშაობს, მგრძნობიარე უნდა იყოს სხვების საჭიროებების მიმართ. მაგალითად:

- თუ ადამიანი მშიერია, მივცეთ მან მსუბუქი ხემსი - თუ ეს ნებადართულია დაწესებულებაში;
- თუ ადამიანს სწყურია, მივცეთ წყალი ან შესაბამისი სასმელი - თუ ეს ნებადართულია დაწესებულებაში;
- თუ ადამიანს სცხელა ან სცივა, შესაბამისად შევცვალოთ ტემპერატურა ოთახში ან მივცეთ მას შესაბამისი ტანსაცმელი;
- თუ ადამიანი სევდიანია, დაველაპარაკოთ იმის შესახებ, თუ რამ დაასევდიანა;
- თუ ადამიანი მოწყენილია, ვკითხოთ რა უნდა რომ გააკეთოს, დავეხმაროთ ჩაერთოს ისეთ საქმიანობაში, რომელიც მისთვის საინტერესოა, სადაც თავს პროდუქტიულად გრძნობს;
- თუ ადამიანი არ თანამშრომლობს, გავუჩინოთ თანამშრომლობის ინტერესი და შევთავაზოთ არჩევანი;
- თუ ადამიანი თავს გვაბეზრებს აბეზარი ქცევით, ვეცადოთ იგნორირება გავუკეთოთ მის ქცევას ან ვეცადოთ გავიაზროთ, რა არის ამ აბეზარი ქცევის მიღმა;
- თუ ადამიანი ვერ კონცენტრირდება აქტივობაზე ან მეცადინეობაზე, ვნახოთ რისი გაკეთება შეგვიძლია იმისთვის, რომ აქტივობა/მეცადინეობა უფრო სტრუქტურირებული გავხადოთ, რაც უკეთესად სამართავი იქნება მისთვის.
- თუ ადამიანი არ გრძნობს თავს კარგად და არ სურს დაესწროს იმას, რაც „სავალდებულოა“, უფლება მივცეთ აიღოს „ბიულეტენი“ ან გავარკვიოთ, რა შეიძლება გავაკეთოთ იმისთვის, რომ თავი უკეთ იგრძნოს.

ადამიანებთან ურთიერთობისას, მნიშვნელოვანია იმ მიდგომის გამოყენება, რომელსაც ვუწოდებთ **პოზიტიურ ქცევით მხარდაჭერას (Positive Behavior Support)**. პოზიტიური ქცევითი მხარდაჭერის მიდგომის მიზანია ხელი შეუწყოს პიროვნების ზრდას, გააუმჯობესოს მისი ცხოვრების ხარისხი და არააქტუალური გახადოს მკაცრი ზომების გამოყენება. ეს მიდგომა ეფექტურია მაშინ, როდესაც დასკვნებს იმის შესახებ თუ რა

მუშაობს უკეთ კონკრეტულ პიროვნებასთან მიმართებით, ვაკეთებთ მისი თვალთახედვიდან გამომდინარე.

პოზიტიური ქცევითი მხარდაჭერა გულისხმობს იმ სიტუაციების მინიმუმამდე დაყვანას, რომელიც სტრესულია პიროვნებისთვის და საკუთარ ცხოვრებაზე მაქსიმალური კონტროლისთვის მისთვის ყველანაირი დახმარების გაწევას. ეს მიდგომა აქცენტს არ აკეთებს ჯილდოსა და დასჯაზე. პოზიტიური ქცევითი მხარდაჭერა გულისხმობს:

- იმის კარგად გააზრებას, თუ რას და როგორ ამბობს ადამიანი;
- იმის კარგად გააზრებას, თუ რა გავლენა აქვს ადამიანზე სხვების გარემოცვაში ყოფნას, საუბრის ტონს, სიტყვებს, ჟესტებსა და ქცევას; საჭიროების შემთხვევაში, მათი შეცვლის მზაობა;
- დახმარებას, რომ ადამიანმა საკუთარი სურვილებისა და არჩევანის გამოხატვა შეძლოს;
- პერსონალის მხარდაჭერას, რომ შეცვალონ ქცევა, როდესაც პიროვნებაზე უარყოფით გავლენას ახდენს;
- დროებით ისეთი სიტუაციებისგან თავის არიდებას, რომლებიც პიროვნებისთვის არაკომფორტული და სტრესულია;
- პიროვნებისთვის საშუალების მიცემას, რომ ყოვლდღიურ, რუტინულ საქმიანობაში ივარჯიშოს საკუთარ ქმედებებზე კონტროლის მოპოვებასა და გადაწყვეტილების მიღებაში;
- პიროვნების მხარდაჭერას, რომ შეძლოს სტრესთან გამკლავებისა და ემოციური თვითრეგულაციის უნარების განვითარება;
- წინასწარ ისეთი სიტუაციების განსაზღვრას, რომლებიც სტრესული იქნება პიროვნებისთვის და მასთან გამკლავებაში მისი მხარდაჭერა.
- პიროვნების ცხოვრებაში ისეთი პოზიტიური გამოცდილების შემოიტანას, როგორცაა- შინაარსიანი და ღირსეული სამუშაო, სასიამოვნო ფიზიკური ვარჯიში, რეკრეაციული აქტივობები და სხვა.
- პიროვნებისთვის სტრესული ფაქტორებისგან (როგორცაა ხმაური, განათება, სიცივე და სხვა) გარემოს მაქსიმალურად გათავისუფლებას.

როგორ უნდა გამოვიყენოთ პოზიტიური ქცევით მხარდაჭერის მიდგომა პიროვნებაზე ფოკუსირებულ მიდგომასთან ერთად? ამ ორი მიდგომის ერთად გამოყენება ნიშნავს, დავეხმაროთ ადამიანს მისი მიზნების მიღწევაში და პოზიტიური გზით, ხელი შევუწყოთ საჭირო უნარების განვითარებას. ნაბიჯები, რომლებსაც მივყავართ პიროვნების მიზნებამდე, შეიძლება არ იყოს ბოლომდე ნათელი და ადვილად და სწრაფად გასავლელი. მაგალითად, როდესაც ადამიანი ამბობს- 'მე მინდა ნახევარ განაკვეთზე დავიწყო მუშაობა სასტურმომში, დიასახლისის თანამდებობაზე' შესაძლოა მომენატალურად ვერ უპასუხოთ და კარგად დაფიქრება დაგჭირდეთ, თუ როგორ შეიძლება დაეხმაროთ ამაში. ქვემოთ მოყვანილია მაგალითი, თუ როგორ დაეხმარა ერთი თანამშრომელი მომსახურების მიმღებს სასურველი მიზნის მიღწევაში:

„ემანუილს უნდოდა მის დასთან, ბიატრისთან ერთად ცხოვრება. ბიატრისი უარზე იყო, ამბობდა რომ ემანუილი მასთან ვერ იცხოვრებდა, რადგან ჩაუმქვრალი სიგარეტის ნამწვს ტოვებდა საფერფლეში. მაშასადამე „წესი“ ითხოვდა ემანუილისაგან აღარ დაეტოვებინა ჩაუმქვრალი სიგარეტი საფერფლეში. ემანუილმა იცოდა როგორ მოეთავსებინა სიგარეტის ნამწვი საფერფლეში, მაგრამ არ იცოდა მისი ჩაქრობა. პერსონალის ამოცანა იყო

ესწავლებინათ მისთვის სიგარეტის ბოლომდე ჩაქრობა საფერფლეში. პერსონალს ასევე უნდა გაერკვია, რა დაეხმარებოდა მას ამაში“.

იმის გაგებით, თუ რა იცის უკვე პიროვნებამ, რისი გაკეთება არ იცის და რა რესურსი სჭირდება მიზნის მისაღწევად, უკეთ გავერკვევით თუ როგორ შეიძლება დავეხმაროთ მას მიზნის მიღწევაში. ცხრილში მოცემულია მაგალითი იმისა, თუ როგორ შეიძლება ამ ინფორმაციის თავმოყრა:

ქცევა	რა იცის პიროვნებამ	საჭირო უნარი ან ქცევა	უნარი, რომლის სწავლაც სჭირდება პიროვნებას	საჭირო რესურსი
საფერფლეში ტოვებს სიგარეტის ჩაუქვრელ ნამწვს	სიგარეტის ნამწვს დებს საფერფლეში	საფერფლეში დებს მთლიანად ჩამქვრალ სიგარეტის ნამწვს	სიგარეტის სრულად ჩაქრობა	საფერფლე ქვიშით

როგორც ვხედავთ, პოზიტიური ქცევით მხარდაჭერის მიდგომის გამოყენებისას, აუცილებელია, ადამიანს გადაწყვეტილების მიღებისას ჰქონდეს არჩევანის გაკეთების შესაძლებლობა და სათანადო მხარდაჭერა მიზნის მისაღწევად . მნიშვნელოვანია, კარგად გავიგოთ პიროვნების ძლიერი მხარეები, უნარები და სურვილები; ასევე, გავიაზროთ მისი საჭიროებები და სუსტი მხარეები. აუცილებელია, ადამიანს დავეხმაროთ სტაბილური, პოზიტიური ურთიერთობების ჩამოყალიბებაში. პოზიტიური ქცევით მხარდაჭერის მიდგომა უნდა იყოს ჩვენი ცხოვრების შემადგენელი ნაწილი, იმ ფილოსოფიისა და მიდგომის ბუნებრივი ელემენტი, რომელსაც ზოგადად ვიყენებთ სხვებზე ზრუნვისა და დახმარებისას.

ფსიქიკური პრობლემების მქონე პირების პიროვნებაზე ორიენტირებული სოციალური მომსახურების საუკეთესო პრაქტიკა - „მხარდაჭერის წრეები (შრეები)“ (circles of support)

თავში მოცეული ტექსტის ძირითადი ნაწილი თარგმნილია შემდეგი პუბლიკაციიდან:
Resourcing Inclusion Communities (2019) Circles of Support - A Manual for getting started

რას გულისხმობს „მხარდაჭერის წრეები (შრეები)“ და როგორ მუშაობს ის? „მხარდაჭერის წრეები (შრეები)“ გულისხმობს ადამიანების ჯგუფს, რომლებიც ერთად მოქმედებენ შშმ პირის დასახმარებლად. ამ მეთოდს ხშირად იყენებენ ფსიქიკური პრობლემებისა და ინტელექტუალური განვითარების დარღვევის მქონე პირებთან სამუშაოდ.

„მხარდაჭერის წრეები (შრეები)“ ეფუძნება პიროვნებაზე ორიენტირებულ მიდგომას - ადამიანთა ჯგუფი დარაზმულია და ერთად მუშაობს იმისთვის, რომ შშმ პირს მიზნების ფორმულირებასა და მათ განხორციელებაში დაეხმაროს. ის მოქმედებს, როგორც მეგობართა თემი, რომლის ცენტრში შშმ პირია - მის მხარდაჭერაში იგულისხმება პრაქტიკული რჩევები, პრობლემების გადაწყვეტის გზებისა და კრეატიული მიდგომების ინიცირება, პიროვნების ცხოვრებაში პოზიტიური ცვლილებების გასატარებლად.

„მხარდაჭერის წრეები (შრეები)“ სხვადასხვა სახელით არის ცნობილი. ზოგიერთ ქვეყანაში მას უწოდებენ მხარდაჭერის ქსელს, სხვაგან - მეგობართა წრეებს. თუმცა, მისი არსი ყველგან ერთი და იგივე რჩება - თემში ადამიანები ერთიანდებიან იმისთვის, რომ შშმ პირს, უფრო ხშირად ფსიქიკური პრობლემებისა და ინტელექტუალური განვითარების დარღვევების მქონე პირებს, სხვადასხვა მიმართულებით დაუჭირონ მხარი.

„მხარდაჭერის წრეები (შრეები)“ ეფუძნება ადამიანის ცხოვრებაში ურთიერთობებისა და ძლიერი მხარდამჭერი ქსელის არსებობის მნიშვნელობის აღიარებას. ეს განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მათთვის, ვინც შეზღუდული შესაძლებლობის გამო, უფრო მეტად მოწყვალდი. ყველა ჩვენთაგანს ჰყავს მეგობრები და არაფორმალური სოციალური ქსელი, რომლებსაც ეყრდნობა მაშინ, როდესაც რჩევა სჭირდება, ან განიცდის კრიზისს, ან სურს სიხარულისა და წარმატების გაზიარება. შშმ პირების შემთხვევაში, ასეთი სოციალური ქსელის არსებობა შესაძლოა არ იყოს ასეთი ბუნებრივი, რადგან მათ ხშირად საკმაოდ შეზღუდული კომუნიკაცია აქვთ თემის წევრებთან. ამიტომ, მათთვის მხარდამჭერი ქსელის ჩამოყალიბებას ხშირად ხელშეწყობა სჭირდება; და სწორედ ამ მიზანს ემსახურება „მხარდაჭერის წრეები (შრეები)“.

ითვლება რომ „მხარდაჭერი წრეების (შრეების)“ იდეა დაიწყო კანადაში, მეოცე საუკუნის 80-იანი წლების დასაწყისში. შშმ პირი, ჯუდიტ სნოუ, მისი მდგომარეობიდან გამომდინარე, აღმოჩნდა 24 საათიანი ზრუნვის დაწესებულებაში, ძალიან შეზღუდულ გარემოში - მას დახმარების გარეშე არ შეეძლო ბევრი პერსონალური საქმის შესრულება. მეგობრების წრე მას დაეხმარა დაეგემა ცხოვრება ისე, რომ დამოუკიდებლობის მაქსიმალური ხარისხისთვის მიეღწია და დაეტოვებინა 24 საათიანი ზრუნვის დაწესებულება. ის გადავიდა საკუთარ სახლში, მიიღო განათლება და დაიწყო თავისი პროფესიული კარიერა, როგორც მწერალმა. ამ პერიოდიდან, დაიწყო მხარდაჭერის წრეების ფორმირება სხვა ქვეყნებში - დიდ ბრიტანეთში, აშშ-ში, ახალ ზელანდიასა და ავსტრალიაში. რთულია იმის განსაზღვრა, თუ რა რაოდენობის „მხარდაჭერის წრეები“

არსებობს - ზოგიერთი მათგანის მუშაობას ხელს უწყობს ფორმალური ორგანიზაციები, ზოგიერთი მათგანი კი ოჯახებისა და მათი მეგობრების თანამშრომლობის შედეგია.

რა არის „მხარდაჭერის წრეების (შრეების)“ ძირითადი მახასიათებლები?

- მხარდაჭერის ქსელის განვითარება პიროვნების გარშემო, რომელიც წრის ცენტრში მდებარეობს;
- პიროვნების აწმყოსა და მომავლის დაგეგმვაში სხვების ჩართვა;
- იდეების, რესურსებისა და ქსელების მრავალფეროვნების შექმნა;
- იმ ადამიანთა ჯგუფის ჩამოყალიბება, რომლებიც პიროვნების საუკეთესო ინტერესებიდან გამომდინარე მოქმედებენ;
- ადამიანისთვის ისეთი გარემოს შექმნა, სადაც ის იზრდება საკუთარი თავის რწმენითა და და საკუთარი ინტერესების დაცვით.

ფსიქიკური პრობლემების მქონე ადამიანებს, ისევე როგორც ზოგადად შშმ პირებს, ხშირად უწევთ იზოლაციაში ცხოვრება; ან ცხოვრობენ იმ ადამიანების გარემოცვაში, რომლებსაც უხდიათ იმისთვის, რომ მათთან ერთად იყვნენ. „მხარდაჭერის წრეები (შრეები)“ ეს არის სტრატეგია, რომელიც შშმ პირებს იმ ადამიანებთან აკავშირებს, რომლებიც მათ ყოველდღიურ ცხოვრებაში არიან; ასევე, ეხმარება მათ გვერდით იყვნენ ის ადამიანები, რომლებიც, საჭიროების შემთხვევაში, მათი სახელით ისაუბრებენ და თვალს მიადევნებენ იმას, რომ მათი ცხოვრება იყოს უსაფრთხო და ღირსეული, როგორც აწმყოში, ისე მომავალში.

რა არის „მხარდაჭერის წრეების (შრეები)“ სტრატეგიის სარგებელი?

- ის პიროვნების გარშემო თავს უყრის იმ ადამიანებს, რომლებსაც აქვთ განსხვავებული უნარები, ვიდრე აქვს პიროვნებას და მის ოჯახს;
- ის ხელს უწყობს ურთიერთობებს და ნამდვილი მეგობრული კავშირების ჩამოყალიბებას;
- ის ადამიანს ხედავს, როგორც ინდივიდს, ვისაც აქვს საკუთარი შეხედულებები, აქვს თვითგამორკვევის უნარი და შესაძლებლობა მონაწილეობა მიიღოს თემის ცხოვრებაში. ის აქცენტს აკეთებს პიროვნების უნარებსა და ძლიერ მხარეებზე;
- ის ეხმარება ადამიანს ოცნებებისა და მიზნების ფორმულირებასა და იმის განსაზღვრაში, თუ რა უნდა გაკეთდეს მათი შესრულებისთვის;
- ის ეხმარება დაგეგმვასა და ახალი იდეების, პერსპექტივებისა და უნარების თავმოყრაში;
- ის გარკვეულწილად გამოდის როგორც მომავლის გარანტი; ის შეიძლება განვიხილოთ, როგორ უსაფრთხოებისა და პასუხისმგებლობის უზრუნველმყოფი - ადამიანები, რომლებიც იცნობენ პიროვნებას და ზრუნავენ მასზე, ყოველთვის მის სიახლოვეს იქნებიან, რათა დარწმუნდეს, რომ ის არის უსაფრთხოდ და აქვს საკმარისი მხარდაჭერა;
- ის აფართოვებს პიროვნების ოჯახის წევრებისა და მეგობრების წარმოდგენას იმაზე, თუ რას გულისხმობს პიროვნების მხარდაჭერა და ამით აუმჯობესებს მოქმედებების დაგეგმვის პროცესს.


რა წარმოადგენს „მხარდაჭერის წრეების (შრეების)“ შეზღუდვას?

იმისთვის რომ კარგად გავიაზროთ რას ნიშნავს ეს სტარტეგია, უნდა გავარკვიოთ რა არ არის ის. „მხარდაჭერის წრეებს (შრეებს)“ არ შეუძლიათ პიროვნების ოჯახის როლის ჩანაცვლება, არ შეუძლია საკუთარ თავზე რომელიმე მომსახურების მიწოდების ან პიროვნებაზე ყოველდღიური ზრუნვის პასუხისმგებლობის აღება, არ შეუძლია ჩაერთოს პიროვნებასთან დაკავშირებულ ყველა საკითხში; ასევე, არ არის ფოკუსირებული პიროვნების მშობლებსა და მზრუნველებზე. ეს უკანასკნელი ხაზგასასმელია - „მხარდაჭერის წრეების (შრეების)“ ძირითადი ფოკუსი არის შშმ პირი და არა მისი ოჯახი. თუმცა, ხშირად, მშობლები თავს მხარდაჭერილად გრძნობენ, როცა ხედავენ თუ როგორ ეხმარებიან მათ შშმ ოჯახის წევრს. ასევე მხედველობაშია მისაღები, რომ „მხარდაჭერის წრეები (შრეები)“ არ არის ყველა პრობლემის ჯადოსნური გადაწყვეტა - მნიშვნელოვანია რეალისტური მოლოდინების არსებობა. პიროვნებამ და მისმა ოჯახმა შეიძლება გადაწყვიტოს, რომ ყველა პრობლემა არ შემოიტანონ განსახილველად და ზოგიერთი თემა პრივატულად შეინახონ. „მხარდაჭერის წრეების (შრეების)“ სტარტეგიის ანალიზისას, ასევე მხედველობაშია მისაღები ის გარემოება, რომ ადამიანის ცხოვრებაში ცვლილებების განხორციელებას დრო სჭირდება; ზოგიერთი პრობლემა არის მრავალშრიანი და მათი მოგვარება სწრაფად არ ხერხდება. ასევე, შესაძლოა ადგილი ჰქონდეს რეგრესს - ამ შემთხვევაში, „მხარდაჭერის წრეების (შრეების)“ უპირატესობა არის ის, რომ შესაძლებელია დაუბრუნდეთ საწყის წერტილს და თავიდან დავიწყოთ დაგეგმვა უკეთესი იდეით.

ჯუდით სნოუ (1998) აღწერს ურთიერთობის ოთხ წრეს (შრეს), რომელიც ჩვენს ცხოვრებაში არსებობს (იხ. ფიგურა 3.1):

ფიგურა 3.1

ურთიერთობის ოთხი წრე (შრე) ადამიანის ცხოვრებაში, ჯუდით სნოუს მიხედვით



პირველი წრე: „ინტიმურობის წრე (შრე)“ გულისხმობს მათ, ვინც ძალიან ახლოს არის ჩვენთან. ეს ის ადამიანები არიან, რომლებიც იმდენად მნიშვნელოვანი არიან ჩვენთვის, რომ მათი არყოფნა ჩვენზე მნიშვნელოვან გავლენას ახდენს. ეს შეიძლება იყვნენ ოჯახის წევრები და ძალიან ახლო მეგობრები.

მეორე წრე: „მეგობრობის წრე (შრე)“ გულისხმობს მეგობრებსა და ნათესავებს, რომლებთან ერთად შესაძლოა პერიოდულად წავიდეთ კინოში, ვისადილოთ კაფეში, თუმცა მათ არ განვიხილავთ ჩვენთვის ყველაზე ძვირფას მეგობრებად, რომლებსაც რეგულარულად ვნახულობთ.

მესამე წრე: „მონაწილეობის წრე (შრე)“ გულისხმობს იმ ადამიანებსა და ორგანიზაციებს, ვისთან ერთად ვმონაწილეობთ სხვადასხვა პროცესებში. ეს შეიძლება იყოს სამსახური, სკოლა, სპორტი, გართობა, ინტერესთა ჯგუფები და სხვა. ზოგიერთი ადამიანი მესამე წრიდან, შეიძლება მოგვიანებით აღმოჩნდეს პირველ და მეორე წრეში. მესამე წრე, გარკვეულწილად, განვიხილავთ როგორც „სათბური შემდგომი ურთიერთობების გასაზრდელად“

მეოთხე წრე: „მიმოცვლის წრე (შრე)“ - გულისხმობს ანაზღაურებად ადამიანებს - მათ, ვინც ჩვენს ცხოვრებაში არიან იმიტომ, რომ მათ ამისთვის უხდიათ. ეს ადამიანები შეიძლება იყვნენ ექიმები, მასწავლებლები, სტილისტები, ხელოსნები და სხვა.

ბევრ ადამიანს აქვს აქტიური ურთიერთობები ამ ოთხი წრის მიხედვით - მათ ცხოვრებაში ადამიანები ხშირად იცვლიან ადგილს წრეებში. შშმ პირები კი შესაძლოა იყვნენ მოწყვალდი ამ მიმართულებით და მხოლოდ რამდენიმე ადამიანი ჰყავდით რამდენიმე წრეში. მაგალითად, მათ შესაძლოა ინტიმური, ახლობლური ურთიერთობები ჰქონდეთ ოჯახის წევრებთან, მაგრამ არ ჰქონდეთ ნამდვილი მეგობრული ურთიერთობები. ასევე, ისინი შესაძლოა თემიდან იზოლირებულად ცხოვროდნენ და არ ჰქონდეთ ურთიერთობები მონაწილეობის წრის დონეზე. თუმცა, ეს მესამე, „მონაწილეობის წრე“ უხვად იყოს ჩანაცვლებული დაქირავებული პირებით - სოციალური მუშაკებით, მომსახურების მიმწოდებლებით და სხვა - მეოთხე, „მიმოცვლის წრიდან“.

„მხარდაჭერის წრეები (შრეები)“ შეიძლება მოვიაზროთ, როგორც ამგვარი დისბალანსის შევსების გზა. პირველ რიგში, ის აახლოვებს ადამიანებს პირველი და მეორე წრიდან. მეორე, ის გეგმავს, როგორ შემოიყვანოს მეტი ხალხი ადამიანის ცხოვრებაში, „მონაწილეობის წრის“ განვითარების გზით, საიდანაც ადამიანებმა საბოლოო ჯამში შეიძლება „მეგობრობის წრეში“ გადაინაცვლონ.


ვის უნდა ვთხოვოთ „მხარდაჭერის წრეში“ მონაწილეობა? ნებისმიერი ადამიანი, ვისაც კავშირი აქვს პიროვნებასთან და გულწრფელად დაინტერესებულია მისი კეთილდღეობით, შეიძლება ჩართული იყოს „მხარდაჭერის წრეში“; ასეთი შეიძლება იყვნენ მეზობლები, მეგობრები, ნათესავები, სხვადასხვა ჯგუფისა და ასოციაციის წევრები, რომლებშიც გაერთიანებული არიან ოჯახის წევრები. ასევე, მნიშვნელოვანია იმის აღნიშვნა, რომ თავად პიროვნება უნდა იყოს ჩართული გადაწყვეტილების მიღების პროცესში, თუ ვინ მოიწვიონ „მხარდაჭერის წრეში“. უპირველეს ყოვლისა, აუცილებელია განვიხილოთ პიროვნებისა და მისი ოჯახის ქსელი - ვინ წარმოდგენს მათ კონტაქტებს.

მხედველობაში უნდა მივიღოთ ის, რომ „მხარდაჭერის წრეში“ უპირველესად მხარდასაჭერი პიროვნების ასაკის ან თაობის ადამიანები იყვნენ ჩართულნი, რადგან მათ უკეთ იციან, როგორ დაამყარონ მეგობრული ურთიერთობები მათი ასაკის მქონე პირებთან და როგორ ჩართონ პიროვნება ასაკის შესაბამის აქტივობებში. გარდა ამისა, ისინი არიან საკმარისად ახალგაზრდები, რომ დარჩნენ ამ ადამიანის ცხოვრებაში, მშობლებისა და მზურნველების გარდაცვალების შემდეგ. მომავლზე ფიქრი და სწორი დაგეგმვა არის „მხარდაჭერის წრის (შრის)“ წარმატებული მუშაობის საწინდარი.

ქვემოთ მოცემულ ფიგურაზე (იხ. ფიგურა 3.2) მოცემულია ერთ-ერთი შშმ პირის ურთიერთობის წრეები (შრეები). შშმ პირი არის წრის ცენტრში და მის გარშემო არიან ის ადამიანები, რომლებიც მოცემულ მომენტში მის ქსელში არიან. იდეა არის ის, რომ ფიგურაზე წრის ცენტრთან ახლოს მყოფი ადამიანები არიან ისინი, ვისაც პიროვნებასთან ახლო ურთიერთობები აქვთ. ბიძია ჯონი მოცემულ სიტუაციაში შეიძლება ცენტრიდან შორს არის, თუმცა შეიძლება ის წახალისებელი იყოს რომ დაამყაროს უფრო ახლო ურთიერთობები და მეტად იყოს ჩართული ჯანეტის ცხოვრებაში. ყოველთვის კარგია იმაზე დაფიქრება, თუ ვის გამოუჩენია წარსულში ინტერესი და მხარდაჭერა ამ პიროვნების მიმართ; რამდენად შესაძლებელია მათი კვლავ გააქტურება და პიროვნების ცხოვრებაში ჩართვა, შესაძლოა ახალი როლით.

ფიგურა 3.2

შშმ პირის ურთიერთობის წრეები (შრეები) - ადაპტირებულია პუბლიკაციიდან: Resourcing Inclusion Communities (2019) Circles of Support - A Manual for getting started



კარგი იქნება, თუ ოჯახის წევრებს დავეხმარებით „მხარდაჭერის წრის (შრის)“ შექმნაში. ქვემოთ მოცემულია ოჯახის წევრებისთვის განკუთვნილი ღირებული რჩევები, რომლებიც შექმნეს „Circle of Support – A Manual for getting started“ –ის ავტორებმა.

პირველ რიგში, დაფიქრდით, ვისთან არის დაკავშირებული თქვენი შშმ ოჯახის წევრი. თქვენ შეიძლება ქსელი დაყოთ თქვენი საკუთარი ცხოვრების სფეროების მიხედვით და შეავსოთ ფიგურა ამ ადამიანებით; ისინი შეიძლება იყვნენ მეგობრები, ნათესავები, მეზობლები, თანამშრომლები და სხვა. თუ ნახავთ რომ წრეებში არის წყვეტა და ცარიელი ადგილები, უნდა იფიქროთ სწორედ ამ მიმართულებით კავშირების გამტკიცებაზე.

შეიძლება თუ არა, რომ დაქირავებული ადამიანი - ის, ვისაც მხარდაჭერისთვის თანხას უხდით, ჩავრთოთ „მხარდაჭერის წრეში“? თავისი არსით, „მხარდაჭერის წრის“ სტრატეგია ეფუძნება მოხალისეობრიობას; შესაბამისად, თუ ამ ქსელში ანაზღაურების მქონე ადამიანი აღმოჩნდება, მისი საქმიანობა „მხარდაჭერის წრის“ ფარგლებში მოხალისეობრივი უნდა იყოს. მაგალითად, „მხარდაჭერის წრეში“ შეიძლება შეყვანილი იყოს ის სპეციალისტი, რომელიც პიროვნებასთან მუშაობას დღის ცენტრის მომსახურების ფარგლებში, თუმცა როგორც „მხარდაჭერის წრის“ წევრი, ის შეიძლება მოხალისეობრივად ზრუნვადეს, ქსელის სხვა წევრებთან ერთად, პიროვნების განათლებაზე და ეხმარებოდეს პროფესიული განათლების მისაღებად საჭირო საბუთების შეგროვებაში. ეს საქმე არ შედის მისი, როგორც დღის ცენტრის თანამშრომლის, ვალდებულებებში და ამას აკეთებს მოხალისეობრივ საფუძველზე, როგორც „მხარდაჭერის წრის“ წევრი.

ზოგადად, „მხარდაჭერის წრეში“ ანაზღაურებადი სპეციალისტის ჩართვას ზოგჯერ გარკვეული უხერხულობა მოჰყვება; სხვებმა შესაძლოა ჩათვალონ, რომ მათ გვერდით არის „ექსპერტი“, რომლის აზრიც, მათთან შედარებით, უფრო ღირებულია და თავი შეიკავონ საკუთარი მოსაზრებების გამოთქმისგან. თუმცა, ისიც გასათვალისწინებელია, რომ სფეროს სპეციალისტები, კარგად იცნობენ თავად შშმ პირს და ამავე დროს, აქვთ კარგი კონტაქტები; პიროვნებას კი, მოცემულ მომენტში, მხარს უჭერენ არა როგორც დაქირავებული პირები, არამედ როგორც გულშემატკივარი და მეგობარი.

რამდენი ადამიანი უნდა იყოს ჩართული „მხარდაჭერის წრეში“? - არ არსებობს ზოგადი წესი, თუმცა ყველაზე მცირე უნდა იყოს ოთხი ან ხუთი წევრი. არსებობს შემთხვევები, როდესაც „მხარდაჭერის წრემ“ მუშაობა სამი წევრით დაიწყო. ქსელში უნდა იყოს იმდენი ადამიანი, რამდენის მართვაც შესაძლებელია - ყველას უნდა შეეძლოს აქტიური მონაწილეობის მიღება, თუმცა წევრებ არ უნდა იყვნენ იმდენად ბევრი, რომ რთული გახდეს მოსაზრებების დაახლოება და კონსენსუსზე დაფუძნებით გადაწყვეტილების მიღება.

როგორ უნდა ვთხოვოთ ადამიანებს გახდნენ „მხარდაჭერის წრის“ წევრები? ოჯახის წევრებმა შესაძლოა უხერხულად იგრძნონ თავი სხვებისთვის იმის თხოვნით, რომ უფრო ახლო ურთიერთობაში შემოვიდნენ მათი შშმ ოჯახის წევრის ცხოვრებაში და უფრო მნიშვნელოვანი როლი შეასრულონ მის ცხოვრებაში. მნიშვნელოვანია გვახსოვდეს, რომ ჩვენ არ ვთხოვთ ჩვენთვის, არამედ, ჩვენ ვთხოვთ სხვა ადამიანისთვის, რომელზეც გული შეგვტკივა და ვისი ცხოვრებაც გვაღელვებს. როდესაც საკითხს ასე შევხედავთ, დისკომფორტს ნაკლებად ვიგრძნობთ. ამის გააზრება განსაკუთრებით მნიშვნელოვანია შშმ პირის ოჯახის წევრებისთვის, რადგან ყველაზე ხშირად სწორედ ისინი მოიაზრებიან „მხარდაჭერის წრის“ ინიციატორებად. შშმ პირის ოჯახის წევრებს ხშირად აწუხებთ კითხვა - ვინ იქნება „მათი შვილის /ოჯახის წევრის გვერდით, როდესაც ისინი აღარ იქნებიან? ამიტომ არის ძალიან მნიშვნელოვანი გარშემო სხვა ადამიანების, განსაკუთრებით,

ახალგაზრდების შემოკრება, რომლებიც მონაწილეობას მიიღებენ შშმ პირის ცხოვრებაში. შეიძლება გაჩნდეს კითხვა, რატომ უნდა მოუხდეს ვიღაცას დაუთმოს დრო და ძალისხმევა ამ საქმეს? ეს ხომ მათგან გარკვეულ ძალისხმევას მოითხოვს? ამგვარი კითხვებით წარმოქმნილი დისკომფორტი შემცირდება, თუ კვლავ პერსპექტივას შევიცვლით და ნაცვლად იმისა რომ ვიფიქროთ - „ჩვენ ადამიანს ვიწვევთ მძიმე საქმის შესასრულებლად“, ვიტყვი რომ „ადამიანს შესაძლებლობას ვაძლევთ პოზიტიური წვლილი შეიტანოს სხვის ცხოვრებაში, იყოს ღირებული ადამიანი და ეს გამოცდილება შესაძლოა ორმხრივად სასარგებლო აღმოჩნდეს“. „მხარდაჭერის წრის (შრის)“ შესახებ არსებულ ლიტერატურაში ვხვდებით ადამიანთა ისტორიებს იმის შესახებ, თუ როგორ შეცვალა „მხარდაჭერის წრეში“ მონაწილეობამ მათი დამოკიდებულებები და ღირებულებები (Bourke, S.,2009).

ზოგადად, ადამიანებს არ უყვართ, როდესაც სხვებს თხოვნით მიმართავენ. რიკ ტომფსონი (2005) მოუწოდებს ადამიანებს, რომ „მზად იყვნენ სათხოვნელად“. ეს ავტორი მუშობდა ქვინსლენდში (ავსტარლიის შტატი) ორგანიზაციაში, რომელიც ადამიანებს თემში კავშირებისა და ქსელის განვითარებაში ეხმარებოდა და მან კარგად იცოდა ის გამოწვევები, რომლებიც თან ახლავს თხოვნას. როგორც ავტორი აღნიშნავს, როდესაც მზად ხართ სათხოვნელად და ზუსტად იცით, რა მოლოდინები გაქვთ სხვების მიმართ, თქვენს თხოვნას სხვები უკეთესად იგებენ. ეს ნიშნავს, რომ თქვენ კარგად უნდა აუხსნათ სხვებს, თუ რატომ გასურთ „მხარდაჭერის წრის“ ჩამოყალიბება და ამ საქმეში მათი მონაწილეობა.

თუ თვლით, რომ ამ თხოვნით მიმართვა თქვენთვის ძალიან რთულია, აჯობებს ეს სხვამ გააკეთოს, ის ვისაც სხვები პატივს სცემენ და ასევე, მისგან ეს თხოვნა არ გაუკვირდებათ - საკმარისად დაკავშირებულია ოჯახთან. მხოლოდ უნდა დარწმუნდეთ, რომ მას კარგად ესმის „მხარდაჭერის წრის“ არსი და შეძლებს კითხვებზე პასუხის გაცემას.

არ იგძნოთ თავი შეურაცხყოფილად, თუ ვინმემ არ ისურვა „მხარდაჭერის წრეში“ ჩართვა. არსებობს უამრავი მიზეზი, თუ რატომ შეიძლება ვერ ჩაერთოს ადამიანი. ეს არ უნდა განვიხილოთ როგორც თქვენი და თქვენი ოჯახის პერსონალური უარყოფა და ამან გავლენა არ უნდა მოახდინოს იმ ურთიერთობაზე, რომელიც აქამდე გქონდათ. მიეცით ადამიანს შესაძლებლობა, შემოგიერთდეთ მოგვიანებით.

როგორ დავგეგმოთ „მხარდაჭერის წრის“ შეხვედრები? ყოველი „მხარდაჭერის წრის“ აქვს მისთვის დამახასიათებელი კულტურა და სტრუქტურა. თუმცა, არასებობს გარკვეული ზოგადი წესები, რომლებიც „მხარდაჭერის წრის“ შეხვედრებს მეტ წარმატებას მოუტანს:

- რამდენად ხშირად უნდა ჩატარდეს შეხვედრები - როგორც წესი, „მხარდაჭერის წრის“ შეხვედრები ტარდება ორ ან სამ თვეში ერთხელ. ეს ნიშნავს, რომ შეხვედრები არ ინიშნება ისე ხშირად, რომ ადამიანებისთვის რთულად შესასრულებელი იყოს; და არც ისე იშვიათად, რომ ადამიანებმა ერთმანეთთან დაკავშირება ვერ მოახერხონ. რაც მთავარია, მათ უნდა შეძლონ იმ ადამიანის კარგად გაცნობა, ვის მხარდასაჭერადაც შეიკრიბნენ. თუ მხარდამჭერებმა ვერ მოახერხეს მისი კარგად გაცნობა, გაუჭირდებათ მისი ცხოვრების შესახებ საკუთარი მოსაზრებების გამოთქმა ან რჩევების მოცემა.
- რამდენ ხანს უნდა გაგრძელდეს შეხვედრა - როგორც წესი „მხარდაჭერის წრის“ შეხვედრები არ გრძელდება ორ საათზე მეტი. უნდა გვახსოვდეს, რომ ადამიანები მოხალისეობრივად მონაწილეობენ ამ საქმიანობაში და შეხვედრები არ უნდა დაიგეგმოს ხანგრძლივად და არ უნდა გაგრძელდეს დაგეგმილზე დიდხანს. შეხვედრების ხანგრძლივობის დაცვა ადამიანებს უქმნის განცდას, რომ მათ დროს პატივს სცემენ და მეტად გაუჩნდებათ სურვილი გააგრძელონ „მხარდაჭერის წრეში“

მონაწილეობა. შეხვედრას არ უნდა ჰქონდეს მხოლოდ საქმიანი ხასიათი - მათი „გაცოცხლება“ შეიძლება ყავა/ჩაის შემოტანით და სოციალიზაციის შესაძლებლობით.

- სად იმართება „მხარდაჭერის წრის“ შეხვედრები - როგორც წესი შეხვედრები იმართება მხარდასაჭერი პიროვნების სახლში. შეხვედრა ეხება ამ პიროვნების პირად ცხოვრებას, შესაბამისად, გარემო უნდა იყოს პრივატული და მყუდრო. შეიძლება ყველამ ფიზიკურად ვერ მოახერხოს დასწრება - მნიშვნელოვანია უზრუნველვყოთ მათი მონაწილეობა სკაიპით ან დისტანციური კომუნიკაციის სხვა საშუალებებით.
- მნიშვნელოვანია, შშმ პირის მონაწილეობა „მხარდაჭერის წრის“ შეხვედრაში - უნდა გვახსოვდეს, რომ „მხარდაჭერის წრის“ ცენტრში ის ადამიანია, ვის მხარდასაჭერადაც შეიკრიბა ეს ხალხი. მისი ჩართვა და მონაწილეობა მაქსიმალურად უნდა იყოს წახალისებული. ხშირად, შშმ პირები ერთვებიან და უფრო თამამად გამოთქვამენ საკუთარ მოსაზრებებს მას შემდეგ, რაც ქსელი გამართულად იწყებს მუშაობას და რეგულარული შეხვედრების სახეს იღებს. ზოგიერთ შემთხვევაში, შშმ პირებს არ სურთ შეხვედრების საქმიან ნაწილში მონაწილეობა, მაგრამ ერთვებიან არასაქმიან ნაწილში - ჩაი/ყავისა და სოციალიზაციის ნაწილში. ზოგიერთ შემთხვევაში, ოჯახის წევრები ცდილობენ კონკრეტული თემების განხილვას არ დაასწრონ შშმ პირი, რადგან ის ამ თემების მიმართ შეიძლება ძალიან მგრძობიარე იყოს. ასევე, არის შემთხვევები, როდესაც შშმ პირი პერიოდულად ესწრება შეხვედრებს, რადგან მისთვის მიმდევარ ყოველ მათგანზე დასწრება. როგორც ვხედავთ, არ არსებობს მკაცრად განსაზღვრული წესები - ძირითადი პრინციპი არის შშმ პირის უფლებების, მისი საჭიროებებისა და სურვილების გათვალისწინება.

ქვემოთ მოცემულია რამდენიმე მაგალითი კონკრეტული პიროვნებების „მხარდაჭერის წრის“ დღის წესრიგის შესახებ, რომელიც თარგმნილია Circle of Support – A Manual for getting started“-დან.

პიტერის „მხარდაჭერის წრის“ პირველი შეხვედრა

1. შესავალი - რამდენი ხანი იცნობს თითოეული წევრი პიტერს და როგორ გაიცნეს ერთმანეთი - 15 წუთი
2. ჯგუფის წევრების მიერ ერთმანეთის გაცნობა - 15 წუთი
3. დისკუსია „მხარდაჭერის წრის“ შესახებ - რას გულისხმობს და როგორ შეიძლება ის დაეხმაროს პიტერს იმისთვის, რომ უკეთესი ცხოვრება ჰქონდეს - 10 წუთი
4. პიტერის ცხოვრება ახლა და როგორ ვისურვებდით რომ ჰქონდეს - 20 წუთი
5. გონებრივი ირეიში პიტერის უნარებისა და თვისებების შესახებ - 20 წუთი
6. დისკუსია შეხვედრების ლოჯისტიკის შესახებ (რამდენად ხშირად, რომელ დღეებში, როგორი პერიოდულობით და სხვა) - 5 წუთი
7. რეფლექსია და უკუკავშირი - 5 წუთი
8. ჩაი

სკოტის „მხარდაჭერის წრე“

2014 წლის 8 აგვისტოს შეხვედრის დღის წესრიგი

1. წინა შეხვედრის ჩანაწერების მიმოხილვა
2. მიმდინარე მოქმედებების შესახებ განახლებული ინფორმაციის მოწოდება
3. თემში ახალი კავშირების დამყარება - შესაძლებლობები სკოტისთვის
4. სკოტის დაბადების დღის აღნიშვნის დაგეგმვა

თუ თვლით, რომ გაქვთ დასამატებელი საკითხი, გთხოვთ, ამ შეხვედრამდე დამირეკეთ შემდეგ ნომერზე...

„მხარდაჭერის წრის“ მუშაობის მნიშვნელოვან ნაწილს წარმოადგენს მოქმედების დაწყება - როდესაც გადაწყვეტილებები მიღებულია, მას შეიძლება მიეცეს სამოქმედო გეგმის სახე, სადაც მითითებული იქნება, ვინ რას და როდის ასრულებს. ამ გზით, შესაძლებელია შედეგებისადმი თვალის მიდევნება და წევრების ინფორმირება საქმეების მიმდინარეობის შესახებ. წერილობით ჩამოყალიბებულმა გეგმამ შეიძლება წევრებს მეტად უზიძვოს მოქმედებისკენ, რადგან ისინი დაინახავენ რომ საქმიანობა სამართლიანად და სწორად ნაწილდება. სამოქმედო გეგმას შეიძლება ჰქონდეს შემდეგი სახე (თარგმნილია Circle of Support – A Manual for getting started“-დან)

მოქმედება/დავალება	ვინ ასრულებს	შესრულების დრო
მეთიუს ცურვის გაკვეთილების საფასურის გარკვევა	ტერი	„მხარდაჭერის წრე“ შემდეგი შეხვედრისთვის - 16 იანვარი
გარემოსდაცვით ადგილობრივ ჯგუფებთან საუბარი მოხალისეობის შესახებ	ლუისი	შემდეგ თვეში
მეთიუს წაყვანა საყიდლებზე მისი ძმის დაბადების დღისთვის	პიტერი	„მხარდაჭერის წრე“ შემდეგი შეხვედრისთვის - 16 იანვარი

როდესაც „მხარდაჭერის წრე“ ამოქმედებულია და ადამიანები მზად არიან აქტიურად ჩაერთონ მუშაობაში, შემდეგი ნაბიჯია იმ მიმართულებების განსაზღვრა, რომლის შესაბამისად შეიძლება „მხარდაჭერის წრის“ მუშაობის წარმართვა. ეს თემები შეიძლება იყოს:

- პიროვნების მომავლის პოზიტიური ხედვის ჩამოყალიბება და შესაბამისი გეგმების დასახვა;
- სამომავლო გეგმების დასახვა, რომელიც უზრუნველყოფს პიროვნების უსაფრთხო ცხოვრებას;
- პიროვნების ცხოვრებაში უარყოფითი სიტუაციების იდენტიფიცირება და მუშაობა მათი პოზიტიურად შეცვლისათვის;
- პიროვნების ინტერესების გარკვევა და შესწავლა;
- იმ სფეროების აღმოჩენა, რომლის შესაბამისი უნარები უფრო მეტად აქვს განვითარებული პიროვნებას;
- სკოლის შემდგომი შინაარსიანი ცხოვრების დაგეგმვა;
- დასაქმების შესაძლებლობების განხილვა.

„მხარდაჭერის წრე“ ნებისმიერი ასაკის ადამიანისთვის მუშაობს. მნიშვნელოვანია, გავითვალისწინოთ წრის ცენტრში მყოფი პიროვნების ასაკი და დავფიქრდეთ, ამ ასაკის ადამიანებისთვის რ არის მეტად დამახასიათებელი. ზემოთ ჩამოთვლილი ბევრი თემა, ბავშვების შესატყვისიცაა. ამ სიას შეიძლება დაემატოს რამდენიმე მოსაზრება, რომელიც ბავშვებისთვის მეტად სასარგებლო შეიძლება იყოს:

- გზების გამონახვა თუ როგორ შეიძლება უფრო მეტი ნათესავისა და მეგობრის ჩართვა ბავშვის ცხოვრებაში;
- სკოლაში ტრანზაქციის დაგეგმვა;
- სკოლის შემდგომი აქტივობების დაგეგმვა;
- ბავშვთა ჯგუფებში გაწევრიანების იდეების მიმოხილვა;
- დახმარება ბავშვებისთვის ტიპური გამოცდილების მიღებაში, როგორცაა, წვეულებები ღამისთევით, დღეობები, სკოლის ექსკურსიები და სხვა.

გამოყენებული ლიტერატურა

- Division of Mental Health, Developmental Disabilities and Addictive Desases (2005) Behavior Supports Manual - Guidelines for supporting adults with challengins behaviors in community settings
- Clarc, C. (2009).Identity , individual rights and social justice . In R. Adams, L. Dominelly, & M.Payne (Eds) Critical practice in social work, London, UK, Palgrave, Macmillan.
- Greenfield, G., Ignatowicz, M.A., Beisi, A., Pappas, Y., Car, J., & Majeed, A. (2014).Wake up, wake up! It's my life! Patient narrative on person-centeredness in the integrated care context: A qualitative study . BMC Health Services Research , 14 (619), 2-11.
- Life Without Barriers (2019) Person Centered Approach, We live without barrier
- Mead , N., & Bower, P. (2000). Patient-centeredness: A conceptual framework and review of the empirical literature. Social Science and Medicine, 51, 1087-1110.
- Resourcing Inclusion Communities (2019) Circles of Support - A Manual for getting started
- United Nations (2006) The Conventions of the Rights of Persons with Disabilities.